15

საუკეთესო

ქართული მოთხრობა

2013

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

კრებულში თავმოყრილია საუკეთესო ქართული მოთხრობები, რომლებიც 2012 წელს გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში, ინტერნეტსა და კრებულებში.

„15 საუკეთესო" მეათედ გამოდის და ისევე როგორც წინა კრებულებს, არც ამას აქვს პრეტენზია, რომ ეს შერჩევა ობიექტურია. ჩვენ ვეცადეთ, გამოქვეყნებულ მოთხრობებს შორის საუკეთესოები შეგვერჩია და საინტერესო და მრავალფეროვანი კრებული შეგვედგინა.

წიგნში 15 ავტორის თითო მოთხრობაა შესული და დალაგებულია ანბანურად, ავტორების გვარების მიხედვით. თითოეული მოთხრობა ამავე დროს არის ნომინანტი პრემიისა „წლის საუკეთესო მოთხრობა", რომელსაც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" წელს უკვე მერვედ გადასცემს საუკეთესო მოთხრობის ავტორს.

შემდგენელი: ლელა ცისკარიშვილი

15 საუკეთესო ქართული მოთხრობა 2013
თბილისი, 2013

© შესაბამისი ავტორები, 2013

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ISBN 987-9941-15-848-3

TOP 15 Georgian Short Stories 2013
Published by Bakur Sulakauri Publishing
Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი პრინტში"

სარჩევი

ნიკუშა ანთაძე
ნეპალური ტრილოგია 5

სალომე ბენიძე
ჩემი საყვარლის საყვარლები 17

მარი ბექაური
მოთხრობა ორ კაცზე 26

ლაშა ბუღაძე
მგლის ცოდვა 40

თეონა დოლენჯაშვილი
პერსონალური ქრისტე 50

თამუნა ერგემლიძე
ნამსხვრევი 61

თეა თოფურია
დილა მთაში 65

ზურაბ ლეჟავა
კუს სუპი ინდაურის ბულიონის ნაცვლად 72

ალექსანდრე ლორთქიფანიძე
ბოლო კადრი 99

თამთა მელაშვილი
ის დღე 116

ლაშა მილორავა
ხვალიდან მე კონფორმისტი ვიქნები 120

მარიამ ტაბაღუა
მეშვიდე რესპონდენტი 133

ანინა ტეფნაძე
STD 148

ეკატერინე ტოგონიძე
მე ვარ 158

არჩილ ქიქოძე
ოჯახური პორტრეტები 176

ნიკუშა ანთაძე

ნეპალური ტრილოგია

401

ჩემს ოთახში შემოძვრა. ბალიშზე კანაფის თაიგული დამიტოვა. რა შტერობაა. ლობიში მოვკარი თვალი, რო მოაბოდიალებდა ამ ფოთლებს და ჩემთან თუ მოქონდა, რას წარმოვიდგენდი. იდიოტი. აუ რა ბიჭია! კატმანდუში კი არა, თბილისში რო შემხვედროდა, იქაც გამაგიჟებდა. როგორ შემოძვრა? ფანჯრიდან, ხო, ალბათ? მაგარი ბანძი სასტუმროა ეს „ტაიომა". კიდე კაი, რო აქაურებმა ქურდობა არ იციან საერთოდ. პატიოსანი ხალხია, მარა ძალიან ბინძურები. ფუ! სისუფთავესთან არ გაუვლიათ. ჯერ მარტო წყალი რა ბინძური მოდის. რო ვბანაობ, მგონია რო ვისვრები. საზიზღრობაა. ამ ნომერშიც რა სუნი დგას და რა გახდა საერთოდ. ესეთი ორადგილიანები ვიცით ჩვენო და ერთ ლოგინში ჩაგვაწვინეს მე და ლიკუნა კაი წყვილივით. არა, ლიკუნა ძაან ჩემია, მარა მთელი ღამე ტრიალებს და ხანდახან ხვრინავს. მოკლედ, ფანჯრიდან შემოძვრა, თაიგულად შეკრული პლანის ფოთლები დამიდო ბალიშზე და გაიპარა. რომანტიკოსი კრეტინი, ნუ. ისე რამდენს ეწევა, გავგიჟდი. პირიდან არ გაუგდია რაც ჩამოვედით. აქაც ვინ რას დააკლებს, მთელი ქალაქი ბარიგაა. მაინც საყვარელია. იდიოტი. სუ ხო შავი სათვალით დადის, მარა რო იხსნის, ღმერთო, რა თვალები აქვს და რა გამოხედვა! მარა მოიცა, საიდან იცოდა, მე რომელ მხარეს ვწევარ? ეე... სხვა დროს აქ არ შე-

მოსულა. მით უმეტეს, ღამე. პროსტა გაარტყა? არა, ეგრე არ გარისკავდა. აბა როგორ მიხვდა? დავიჯერო ჩვენს ნივთებში ჩაძვრა? ჩემოდანი ლოგინის გვერდით მიგდია. არაა... ჩემი პასპორტი ნახა? ვაიმე, არა, ის სურათი ნახა? თავსაც მოვიკლავ! ბრეკეტები მიკეთია და თმა მაქვს საოცარ ფერზე. არ არსებობს. დავიღუპე. რას იფიქრებდა? ზედაც აღარ შემომხედავს ალბათ. კაი რა, ჯერ სხვის ნივთებში ძრომიალი რა წესია? დეგენერატი. იქნებ არ უნახავს. სად არის აბა პასპორტი? ეს სუნი გადამრევს. ვაიმე, ეს რა არი? არ არსებობს! არა... არა! არ მჯერა! ჩემოდანში მოჯვა და პასპორტით გამოიწმინდა?! ფუუ! ეს როგორ გამიკეთა?! შენს სისხლს დავლევ, შე იდიოტო!

სისხლიანი ჭერი

კატმანდუ ნეპალის დედაქალაქია. ტამელი – კატმანდუს ცენტრი. „ტაიომა" სასტუმროა ტამელის შუაგულში. მე ოთარ მალაზონია ვარ. „ტაიომას" 305-ე ნომერში ვწევარ ლოგინზე. ჭერს ვუყურებ. ჭერი სისხლიანია. ტანსაცმლით ვწევარ. ფეხზეც მაცვია. არ მაწუხებს. სიმართლე გითხრათ, დღეს იმდენი მაქვს მოწეული, საერთოდ არაფერი მაწუხებს. მარტო იმაზე ვფიქრობ, ჭერზე სისხლი საიდან გაჩნდა. თან ცოტა კი არა – უზარმაზარი წითელი ლაქაა. მკვეთრი და სველი. გინახავთ ასეთი რამე?

მოსაწევი საუცხოო აქვთ. მეათე დღეა. ქართველების დიდი ჯგუფი ვართ, ქალაქს მოვედეთ. აქ ახლა 2069 წლის 24 ივნისია. არადა 1 კვირის წინ 2012 წლის ოქტომბერი იწყებოდა თბილისში. საიდან გამოუვიდათ ასეთი კალენდარი, კაცმა არ იცის. ათასი უცნაური რამე ვნახე ამ დღეებში, მაგრამ ამან ყველაფერს გადააჭარბა. როგორია – სასტუმროში ბრუნდები, შემოდიხარ ნომერში, ლოგინზე წვები, ჭერს უყურებ და სისხლიანია! ნეტა დღეს გაჩნდა, თუ ასე იყო? ვერ გამოვრიცხავ,

რომ აქამდე არც ამიხედავს... 2012-დან 2069-ში რომ მოხვდები, უცებ კი გეგონება დროში ვმოგზაურობ, მომავალში გადავინაცვლეო, მაგრამ ამ დროს გარეთ სულ სხვა ამბავია. ნეპალს კომუნისტური პარტია მართავს, ალაგ-ალაგ წითელ დროშებს აფრიალებენ, ბავშვები ერთნაირი ფორმებით დარბიან სკოლებში, მთელი ქალაქის ელექტროგაყვანილობა ქუჩაშია გამოჭიმული, შიგადაშიგ შუქიც მიდის და გენერატორებს აგრუხუნებენ. მომავლის და წარსულის მიქსია, მოკლედ. არც ეს მაწუხებს.

დღეს, სადილის დროს, გესთ ჰაუსის ეზოს რესტორანში მაიმუნი მომიჯდა გვერდზე ჭკვიანური სახით და ოფიციანტს ბანანის ლასი შეუკვეთა. ეგეთი ქვეყანაა.

წარმოდგენა არ მაქვს, რატომ უნდა იყოს ჭერი სისხლიანი. იქნებ სისხლია ჭერიანი? არა. სხვა ოთახებშიც ასე ხომ არ არის? ვინმე იტყოდა. ზურიკას მაინც არ გამოეპარებოდა. ისე, ზურიკას აზრი მაინტერესებს. როგორ ახსნის?

– რაო? ჭერი სისხლიანია? დაიკიდე, მეზობლებმა ჩამოუშვეს ალბათ.

მარტო მოსაწევად კი არ ჩამოვსულვარ, ყველაფერს ვათვალიერებ. ტაძრებია საინტერესო. ბუდისტურიც და ინდუისტურიც. ცოცხალი ღმერთის სასახლეც ვნახე, ქალღმერთი კუმარის, რომელიც ახლა 5 წლისაა. ახალდაბადებული გოგონებიდან ნეპალელი გურუები ერთ-ერთს ირჩევენ და ღმერთად აღიარებენ. მერე ამ სასახლეშია გამოკეტილი, სანამ პირველად არ მოუვა. მანამდე ხალხი მოდის, ლოცულობს, თაყვანს სცემენ, მერე კი, დაეწყება თუ არა ქალური ამბები, გურუები ახალ ღმერთს ირჩევენ, ყოფილი კი უნდა გათხოვდეს. სიამოვნებით დავრჩებოდი აქ და კუმარის ცოლად შერთვაზეც არ ვიტყოდი უარს. ექს-ღმერთის ქმარი ოთარ მალაზონია. ულერს.

გაწიე-გამონიე და სისხლიანია ჩემი ოთახის ჭერი. ბესოს მოთხრობა მახსენდება – „ჯადო“.

„დედაც იხდიდა და, მამაც მთელი ღამის განმავლობაში

ისეთი ძალით ისროდა დედას ჰაერში, რომ დილისკენ დედას კინკრიხოდან მუდამ სისხლი სდიოდა ხოლმე."

ახლა რას იფიქრებდა ბესო?

– 305-ში ხარ ხო? მანდ ერთი პოლონელი ყოფილა გაჩერებული შენამდე. 3-4 კვირით. ხოდა, კოლო გადაეკიდა. ყოველ ღამე სასიკვდილოდ გლეჯდა. არ გაახარა. დადიოდა კაცი დაკბენილ-დასიებული. თან ვერც გამოიჭირა, სანამ ეს მავნე მწოველი ისე არ გაიბერა სისხლით, რომ ჰაერში ძლივსღა ეკიდა. აი, მაშინ კი დაენძრა. გაუქანა გამწარებულმა პოლონელმა მძიმე ბალიში და ჭერზე მიახეთქა კაი საზამთროსხელა კოლო. გასკდა და გაასხა, აბა რა მოუვიდოდა. მერე კიდე შენ შემოგიშვეს აქ, მიხვდი?

მაიმუნებთან ერთად ვისადილე და პაშუპატინაში წავედი. ამის მერე დიდხანს აღარ მოგშივდებაო, გამაფრთხილეს. როგორც წესი, მდინარის ერთ ნაპირზე ტურისტები დგანან და მეც იქ ვიდექი. მეორე ნაპირზე კი ჭირისუფლები იკრიბებიან. 10-15 კაცი იწვის ერთდროულად. სქელი კვამლი და მწვადის სუნი ტრიალებს. უყურებ, როგორ იწვის ადამიანი, მისი ნათესავები კი შენ გიყურებენ – როგორ გიკვირს და როგორ იღებ ფოტოებს ინსტაგრამისთვის. უცნაური სანახაობაა, მაგრამ ალბათ ამათაც გააკვირვებდათ ჩვენებურ დასაფლავებაზე დასწრება. „3-4 დღის გარდაცვლილ კაცს ხის ყუთში დებენ, თხრილში უშვებენ და მიწას აყრიან, სანამ ბოლომდე არ ამოივსება, მერე მიდიან და ქეიფობენ", – მოყვებოდა ვინმე ნეპალელი ტურისტი სამეგობროში.

ჭერის ყურება არ მბეზრდება. მართობს იმაზე ფიქრი, ჩემ ადგილას სხვები რას იფიქრებდნენ. იცოს რომელიმე ფილმი გაახსენდებოდა.

– რათ უნდა ბევრი ლაპარაკი, ზედა ოთახში მოკლეს ვიღაცა. სამურაის კარგად ალესილი ხმლით დაჩეხეს ალბათ იატაკზე. სისასტიკე იყო და ბევრი სისხლი, აი, ტარანტინოსთან რომ იცლებიან ხოლმე ბოლო წვეთამდე.

არადა, რა მკვლელობა, კატმანდუში ძაღლიც არ მინახავს აგრესიული, იმ საწყალ დალმატინელს თუ არ ჩავთვლით, ბარი-

გასთან რომ დამიმარტოხელა. კეთილი შოქტის კაფეში ვიჯექი, აქ დამელოდე, სანამ ჰაშიშს მოგიტანო. ჩემ გარდა არავინ იყო. ერთი მოზრდილი დალმატინელი იწვა კუთხეში. თითქოს ეძინა, მაგრამ მიყნოსა თუ არა, მაშინვე გამოფხიზლდა. მხიარული ყეფით მომვარდა, ორ ფეხზე შეხტა და „მოფერება“ დამიწყო. მკერდამდე მწვდებოდა. ვერ მოვიშორე, გვარიანად დამკაწრა და კბილიც გამკრა ერთი-ორჯერ. არ შემშინებია, სანამ არ შევამჩნიე, რომ თავზე სისხლი ჰქონდა მიმხმარი. ავადმყოფიამეთქი, გამიელვა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე – მეთხუთმეტედ რომ შემომახტა, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლები ძალიან მიყვარს, საშინლად მომინდა ამ მოუსვენარი არსებისთვის თავში მუშტი ჩამერტყა. მე, რა თქმა უნდა, ეს არ გამიკეთებია, მაგრამ ეტყობა ჩემამდე ვიღაცამ არ დაინდო.

ჭერს ვუყურებ და რას აღარ ვეჭვობ. ექიმთან ხომ არ დავრეკო?

– ექიმო, ჭერიდან სისხლი მომდის და რა ვქნა?

ჩვენს ჯგუფში ბატონი მერაბია ექიმი, მაგრამ ის ალბათ სადღეგრძელოს მეტს არაფერს იტყოდა ამ თემასთან დაკავშირებით, უკიდურეს შემთხვევაში იცეკვებდა... ბატონი მერაბი „მავნე ბალახებს“ არ ეწევა და ყველგან თბილისიდან ჩამოტანილ არყის ბოთლებს დაატარებს. ალბათ ახლაც მთვრალია და ვერანდაზე გამოჭერილ სასტუმროს ადმინისტრატორებს ვახტანგურად ასმევს.

ქალაქში საოცარი მოძრაობაა. უტროტუარო ვიწრო ქუჩები ერთმანეთში იხლართება. აქეთ-იქეთ დახლებია გაშლილი, გაცხარებული ვაჭრობა მიდის. აქ ძირითადი ტრანსპორტი რიქშაა – სამთვლიანი ეტლი. ორ მგზავრს იტევს. თავდაუზოგავად მიგაგორებს გაოფლილი ნეპალელი, რომელიც სიხარულისგან აფეთქდება, 200 რუპიას თუ გადაუხდი. არის ამაში რაღაც მონური, მაგრამ თვითონ ისეთი ბედნიერია, შენც აღარ დარდობ. ტაქსებიც დადიან. რატომღაც ყველა ერთნაირია – ძველისძველი სუძუკი. სხვა მანქანისთვის თვალიც არ მომიკრავს. ახალგაზრდები მოტოებით და მოპედებით

დასრიალებენ. ავტობუსებს ახალჩამოსული ტურისტები მოჰყავთ. არანაირი შუქნიშანი, არანაირი საგზაო წესები, პოლიციას მხოლოდ საცობის განეიტრალება ევალება, საცობებს კი ხშირად შეხვდებით – ერთად დგანან რიქშები, მოტოციკლები, მოპედები, სუძუკები, ავტობუსები და ფეხით მოსიარულეები. შეიძლება უცებ ძროხაც ამოგიდგეთ გვერდით, ანდა იაკი.

– Кровь на потолке? Ты что, охуел? На, кури... – მეტყოდა ოლეგა და შეკეთებულ სიგარეტს მომაწოდებდა. მაგარი კოქტეილების კეთება დაამხეცა. სუფთა მარიხუანაში ურევს ჰაშიშს, პოლენს და მაცანს. ახვევს ქაღალდში და ზემოდან კიდევ ცხიმს უსვამს. ბომბია.

კრემაციიდან რომ წამოვედი, საკმაოდ მშიოდა. აქაურ სამზარეულოს ვერ შევეგუე. ყველაფერს იაკის ხორცით ამზადებენ. საზიზღარი მოტკბო გემო აქვს, თან კუჭს მიღიზიანებს, ამიტომ ევროპულ კერძებს დავეძებ. Food Bazar-ში პიცა შევუკვეთე. მენიუში მოცარელა ეწერა, მაგრამ იაკის ყველით აღმოჩნდა. მშიოდა... ბევრი ზეთი მოვასხი და თავს ძალა დავატანე. საერთოდ, იაკი რომ არ არსებობდეს, რა ეშველებოდათ ამათ? გარდა იმისა, რომ ყველა კერძში ტენიან, მთელ ქალაქში იყიდება იაკის ტყავისგან შეკერილი ტანსაცმელი, იაკის ძვლისგან დამზადებული აქსესუარები, გამოსახულია მაისურებსა და პოსტერებზე, მისი სახელობისაა მაღაზიებისა და რესტორნების უმრავლესობა – ლოკალური სელებრითია მოკლედ.

ვცდილობ, რომ წითელი ჭერი რორშახის ტესტად გამოვიყენო და სხვადასხვა ფიგურა გავარჩიო სისხლში. არ გამოდის. ლადო ივარაუდებდა, რომ აქ ეპიკ ფეილი მოხდა, ფონეტიკური შეცდომა, რომლის შემდეგაც მთელ ამბავში ასოებმა „ჭ"-მ და „მ"-მ ადგილები გაცვალეს. სინამდვილეში ასე უნდა იყოს:

„კატჭანდუ ნეპალის დედაქალაქია. ტაჭელი კატჭანდუს ცენტრი. „ტაიოჭა" სასტუჭროა ტაჭელის შუაგულში. ჭე ოთარ ჭალაზონია ვარ. „ტაიოჭას" 305-ე ნოჭერში ვწევარ ლოგინზე. მერს ვუყურებ. მერი სისხლიანია. ტანსაცჭლით ვწევარ.

ფეხზეც ჭაცვია. არ ჭაწუხებს. სიჭართლე გითხრათ, დღეს იჭდენი ჭაქვს ჭოწეული, საერთოდ არაფერი ჭაწუხებს. ჭარტო იჭაზე ვფიქრობ, მერზე სისხლი საიდან გაჩნდა. თან ცოტა კი არა – უზარჭაზარი წითელი ლაქაა. ჭკვეთრი და სველი."

ისე ლადოს მაგარი რამე მოუვიდა. წამოსვლამდე ორი კვირით ადრე გადაწყვიტა, ნეპალური ლექსიკონისთვის გადაეხედა და მოულოდნელად ისეთ რამეს წააწყდა, ძლივს გადავაფიქრებინეთ თბილისში დარჩენა.

საზღვარზე, პასპორტი რომ წარადგინა, ბოდიშებს იხდიდა, მაგრამ ნეპალელები ზრდილობიანი ხალხია და არავის შეუცხადებია ფაქტი, რომ მათ ქვეყანას ოფიციალურად ესტუმრა ყ**.

თამუნა სულ ისეთი ეჭვის თვალით მაკვირდება, ამაშიც აუცილებლად მე დამადანაშაულებდა.

– სისხლიანი კი არა, შერცხვა საცოდავ ჭერს და გაწითლდა. 10 დღეა გიყურებს! ეხუმრები? ორი წუთით რო გხედავ, მეც მრცხვენია შენ მაგივრად, რამდენს ეწევი? რას გავხარ? ეგ ჭერი კიდე კარგად არი, მე რო მაგის ადგილას ვიყო, საერთოდ ჩამოვინგრეოდი ერთ მშვენიერ ღამეს!

უკვე ბინდდებოდა, Garden of Dreams-ს რომ მივუახლოვდით. ეს სრულიად ფანტასტიური ადგილია – სამოთხე, სამხუთე, სამექვსე, სამშვიდე! უნეტარესი გრძნობები დამეუფლა. ზურგზე ფრთები მოვისინჯე, გემრიელად მოვწიე ოლეგას კოქტეილი და ბალახზე გავგორდი. ირგვლივ ტურისტები წვანან, ზოგი კითხულობს, ზოგი წერს, წყვილები ერთმანეთს ეხუტებიან. მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილი ყვავილების სუნი (ქალაქის მძიმე არომატის შემდეგ) ფილტვებს გიწმენდს. შადრევნებში ოქროს თევზები ბრწყინავენ. ტემპერატურა იდეალურია. ასე ჩამოღამდა ოცნებების ბაღში და უეცრად ჩემს თვალწინ რენე მაგრიტის „სინათლის იმპერია" დაიხატა. გაშტერებული ვუცქერდი.

ახლა ჭერს ვუცქერ გაშტერებული. მიშა ძიას აზრიც მაინტერესებს.

„ჭერამის ნაჭერით
ჭერი გაჭერი
დაჭერი დასაჭერი
და დამჭერზე
დამაჭერი...
ჰაჰჰ-ჰა-ჰა! აბა, იფიქრე...“

საღამოს ვაჭრობა ცხოველდება. „ნამასტე, სერ, ნამასტე!“ – გესმის ყოველი მხრიდან. ნამასტე ნეპალური თბილი გამარჯობაა, რომელიც შენთვის არავის ენანება. ას რუპიად შეიძენ, რაც კი თვალში მოგივა, ასი რუპია კი ერთ დოლარზე ცოტა მეტია. ახალი ჩიბუხი ვიყიდე, ძველის გაწმენდა მეზარებოდა. შვიდასად შემომთავაზა პატარა ბიჭმა. ასიანი დავანახე. 650 იყოსო. არა-მეთქი. ასე ვივაჭრეთ 15 წუთი (მივსეირნობდი, ის კი მომდევდა), სანამ არ მიხვდა, რომ მეტის გადახდას ნამდვილად არ ვაპირებდი და დამნებდა. ჩიბუხი ჩამაბარა, პატივისცემით დამიკრა თავი და მშვიდობიანი ღამეც მისურვა. აქ თუ არ ვაჭრობ, პატივს არ გცემენ. სასტუმროსკენ შემოვუხვიე. რატომღაც ქუჩა გადაეთხარათ. მივუახლოვდი და სიხარულისგან თვალები ამიციმციმდა. სხვას რომ მოეყოლა, არ დავიჯერებდი – ორმოში უზარმაზარი კანაფის ხე იდო! ულამაზესი ფოთლები მწვანედ ხასხასებდა. დავყნოსე. წარმოგიდგენიათ? გზა გადათხარეს და ვინმე რომ არ ჩავარადნილიყო, გამაფრთხილებელი ნიშნის მაგივრად თხრილში მოსაწევი ჩაუშვეს. რა ხალხია. ორი ტოტი მოვტეხე, თაიგულივით შევკარი და სასტუმროსკენ გამოვეშურე...

კანაფის თაიგულით რომ ვიდექი ლიფტში, ამ დროს შუქი წავიდა, მე კი უეცრად ვიგრძენი, რომ სამი დღეა ტუალეტში არ ვყოფილვარ და აღსასრულის მომენტი დადგა. იაკი ამოქმედდა. უშუქობა არ მაღელვებდა, ვიცოდი მალე ჩართავდნენ, მაგრამ კუჭის შემოტევას ველარ ვუძლებდი. კინაღამ გავსკდი. ალბათ სამი წუთი გავატარე ასე, თუმცა მეჩვენებოდა, რომ წლები გავიდა, ნეპალური კალენდრით 2100 წელი დადგა და გარეთ საახალწლო შუშხუნებს აგრიალებდნენ, სინამდვილე-

ში კი ეს მხოლოდ ჩემი მუცლის აფეთქებები იყო. შუქი აინთო თუ არა, მაშინვე დერეფანში ვისკუპე, სართულისთვის არც შემიხედავს. ჩემს ოთახს მივვარდი. გასაღები ჯიბეში არ აღმომაჩნდა, ფარდა გადავწიე და ფანჯრიდან შევძვერი. ტუალეტის კარს დავეჯაჯგურე. არ გაიღო. სიმწრის ცრემლები მომადგა. ლოგინს ვეცი და იქვე ჩავიკუზე. ამ დროს უკვე ვხვდებოდი, რომ ეს ჩემი ნომერი არ იყო, არც ცარიელი ნომერი იყო, უბრალოდ ვიღაცასთან შემოვიჭერი, მაგრამ უკან ვერ დავიხევდი. ვინ რას გაიგებს-მეთქი, დავიმშვიდე თავი და იმედი დავიტოვე, რომ მაინცდამაინც ქართველთან არ შემოვპარულვარ. მუცელიც მიწყნარდა. ქაღალდი მჭირდებოდა. ხელში რაც მომხვდა, ავიღე და ამ დროს დერეფნიდან შემოსულმა სინათლემ სნორედ ის გვერდი გაანათა, რომელზეც პასპორტში სახელი და გვარი წერია ხოლმე. ოთარ, შე საზიზღარო! ვხვდებოდი რომ სიგიჟე იყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. საქმე ბოლომდე მივიყვანე და ფანჯრიდან გადმოვძვერი.

რა ვუყო ამ ჭერს? ფეისბუქზე რომ მომეყოლა, რა დღეშიც ვარ, საზოგადოება რას იფიქრებდა ნეტა?

დავიჯერო მართლა მოსაწევის ბრალია და მეჩვენება სისხლი? ეგრე შეიძლება ეს სასტუმროც მეჩვენება, კუმარიც, რიქშებიც, მაიმუნებიც, კრემაციაც და კომუნიზმიც.. იქნებ ნეპალშიც არ ვარ საერთოდ. თუმცა ნეპალში რომ არ ვიყო, ასე სად დავბოლდებოდი? აქ რაღაც სხვა ამბავია. ერთხელაც უნდა გავიხსენო მთელი დღე – მაიმუნებთან ერთად ვისადილე გესთ ჰაუსში, წავედი კრემაციაზე, ვჭამე იაკის პიცა, ოცნებების ბაღში ვიწექი, ვიყიდე ჩიბუხი და კანაფის ხე ვიპოვე თხრილში, დავბრუნდი სასტუმროში, უცნობ თანამემამულეს ჩემოდანი წავუბილწე (ოთარ, შე საზიზღარო!) და ნომერში ამოვედი. უაზროდ გამოვაღე კარადა და ზედა თაროზე გადამალულ იარაღს წავაწყდი. ავიღე. ლოგინზე დავდექი, თავი ავწიე, ლულა ყელზე მივიბჯინე და ჩახმახს გამოვკარი. ჭერი წითლად შეიღება, მე კი უსულოდ დავეცი ლოგინზე და ფიქრი დავიწყე: კატმანდუ ნეპალის დედაქალაქია. ტამელი კატმან-

დუს ცენტრი. „ტაიომა" სასტუმროა ტამელის შუაგულში. მე ოთარ მალაზონია ვარ. „ტაიომას" 305-ე ნომერში ვწევარ ლოგინზე. ჭერს ვუყურებ. ჭერი სისხლიანია...

მაგრამ არა, ცოცხალი ვარ! ამის დასამტკიცებლად შემიძლია ავდგე კიდევაც. აი, წამოვჯექი. ცოტაც და ავდგები.. შემომიბრუნა, ესე იცის კარგმა მოსაწევმა... ტყლუმპ! სისხლის მოზრდილი წვეთი მეცემა ცხვირზე. ისევ ლოგინზე ვიშხლართები. ყურებამდე მელიმება.

საშიში ჰაშიში

შეუძლებელია ამ ოთახში 12 ადამიანი ეტეოდეს, მაგრამ ფაქტია. დღეს არ მომიწევია. ერთდღიანი შესვენება აუცილებელი იყო. სამაგიეროდ ნეპალური რომი აღმოვაჩინე – Khukri. მშვენიერი სასმელია ლელვის არომატით. მთელი საღამო ვწრუპავდი. ბიჭებსაც მოეწონათ და ისე გემრიელად გამოთვრნენ, კიდევ ერთხელ შემარცხვინეს! ამჯერად სტრიპტიზ-ბარში. ზურამ ისე იღრიალა ლადო-ლადოო, ორმა გოგომ ცეკვა შეწყვიტა, რომ დაენახათ ვინ მოიხსენიეს ასე დაუნდობლად. არადა როგორ ვეხვეწები... კვდებიან სიცილით. კატმანდუში სამი სტრიპტიზ-ბარია – BEBO, NASHA და GOGO. ამ აღმოჩენაზე ბევრი ვიხალისეთ, ქართველის გახსნილი იქნება სამივეო, ამტკიცებდა იცო, მაგრამ ალბათ უბრალოდ დამთხვევაა. ამჯერად BEBO-ში ვიყავით. სტრიპტიზ-ბარი კი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში არავითარი სტრიპტიზი აქ არ არის, ჩაცმულები ცეკვავენ. მაქსიმუმ მხრები ან მუცელი გამოაჩინონ. ბოძებიც დგას, მაგრამ არავინ ეკარება. მთელი მუღამიც ამაშია, ამიტომაც დავდივართ აქ ჩვენი ჯგუფის გოგოებთან ერთად. BEBO 12 საათზე იკეტება, სხვა კაფებარების მსგავსად და დღემდე გვეგონა, ამ დროს მთავრდებოდა კატმანდუს ღამის ცხოვრება, მაგრამ გაირკვა, რომ არსებობს კლუბი, სახელად Pisces, რომელიც გათენებამდე ღიაა! გახარებულები გავცვივდით. მშვენიერი კლუბი აღმოჩნდა. ცხადია,

მუსიკა უგემოვნო იყო, მაგრამ საერთო განწყობას და ატმოსფეროს არაფერი დაეწუნებოდა. ისევ რომს ვსვამდით და ვცეკვავდით. გოგოებმა აიწყვიტეს. ჟანუკამ აქაური თაყვანისმცემელიც კი იშოვა. ტანმორჩილი ახალგაზრდა სუშილ ხადკად გაგვეცნო, ბაიკერი ვარო. ჟანუკამ, რა თქმა უნდა, ჩემი სახელიც არ დაუმალა. სუშილმა თანაგრძნობით შემათვალიერა და დამამშვიდა – არაუშავს, მთელი მსოფლიო ლადოებით არის სავსეო. მერე სანდომიანი ღიმილით გვთხოვა, ჟანუკასთან ერთად წრეს დავარტყამ ტამელს და უვნებლად დაგიბრუნებთო. ჟანუკას უკვე ჩაფხუტი ეხურა. რა ჭკუით გავატანეთ, არ ვიცი. ამის შემდეგ სამი საათი გავიდა და ჯერაც არ გამოჩენილან! მოსაძებნად გასვლა უაზრობაა. ველოდებით. ჩემი და ზურიკას ციცქნა ოთახში შემოიკრიბა ნახევარი სასტუმრო – ჟანუკას დაქალები გაქვავებული სახეებით ჭამენ ერთმანეთს (ყველა სიკეთესთან ერთად, მათი ოთახის გასაღებიც დაკარგულს გაჰყვა), მე, ზურა, იცო და მარიკა ნეპალურ კალენდარზე ვმსჯელობთ (რაღაცნაირად სიმბოლურია ეს 69), იატაკზე ვსხედვართ, ბესო და ძია მიშა ჭადრაკს თამაშობენ, ბატონი მერაბი ლოგინზეა გაშოტილი და უშფოთველად ფშვინავს, მაკა კატმანდუს რუკას ათვალიერებს აიპედში, თამუნა კი ბოლთას სცემს – წამდაუწუმ გვეჯახება და გვაბიჯებს. მართლა არ მესმის, როგორ ვეტევით. დაძაბულობა იგრძნობა, ვნერვიულობთ. თან ნელ-ნელა პახმელია მიტევს, მაგარი თავის ტკივილი სცოდნია Khukri-ს. რაღაცა უნდა ვქნათ, დილამდე ასე ხომ არ გაგრძელდება. მოწევა არ მაწყენდა. ამას ვფიქრობ და უცებ ბესო დინჯად დგება იატაკიდან. ხელში ჰაშიშის გუნდა უჭირავს.

– ეს პოკჰარადან გამომატანეს იქაურმა გურუებმა. მსგავსი არაფერი მოგიწევიაო, გამაფრთხილეს. რა არის-მეთქი ეგეთი და საშიშიაო. ასე ჰქვია თურმე – Sashish.

თერთმეტი მასტერკა შევაკეთეთ. ბატონ მერაბს ეძინა. გოგოები უარზე იყვნენ, მაგრამ დავარწმუნეთ, რომ ამის გარდა ვერაფერი იხსნიდა სიტუაციას. ერთად გავუკიდეთ და ოთახში ნისლი დადგა, მიეყუდებოდი. მსგავსი მართლა არაფერი მო-

მიწევია. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა სრულ სიჩუმეში, სანამ ძია მიშას არ მოაფიქრდა, ფანჯარა გამოეღო. ნისლი დერეფნისკენ დაიძრა და უეცრად, ამ ზეციურ სიმყუდროვეში, სროლის ხმა გავიგონეთ. დაუჯერებელი იყო აქ ახლა ვინმეს გაესროლა, მაგრამ მე მაინც ინსტინქტურად გავიხედე მოპირდაპირე ოთახისკენ, სადაც ოთარი მეგულებოდა. ჩვენს მისვლა-მოსვლაზე რომ არ გამოუხედავს, ჩავთვალე ალბათ გათიშულს სძინავს-მეთქი. ამასობაში ნისლი გაიფანტა და ზღურბლზე ჟანუკა გავარჩიე. ხელში გახსნილი შამპანურის ბოთლი ეჭირა, გვერდით გაბადრული სუშილი ედგა, მათ უკან კი იაკის რქები მოჩანდა. პაუზა იყო ყველაზე მაგარი პაუზათა შორის, შემდეგ კი ვიღაცამ მთელ ხმაზე იღრიალა:

– ჰაშიშმა მოიტანა!

სიცილმა იხეთქა. სუშილი და ჟანუკაც აგვყვნენ. თან ოთახში შემოათრიეს იაკი, რომლის აქ ყოფნაც ჯერ კიდევ არ მჯეროდა, მიუხედავად იმისა, რომ ზმუოდა და რქებს იქნევდა გამეტებით. აბაზანაში ჩაკეტეს. ჟანუკა მოჰყვა, რომ მას და სუშილს დაქორწინება გადაუწყვეტიათ, ამის სათქმელად სუშილის მშობლებთან წასულან ქალაქგარეთ, ბედნიერ მშობლებს კი მიულოციათ ორივესთვის, ჩაუკოცნიათ და იაკი გამოუტანებიათ საქორწილო საჩუქრად. არაფერი გაგვკვირვებია. სათითაოდ ჩავეხუტეთ ახალდაქორწინებულებს.

– აუ, რა კარგია, რომ გღვიძავთ, – მოისმა ღია კარიდან, ხმაურზე ოთარი გამოსულიყო, – ჩემს ოთახში ჭერია სისხლიანი და მინდოდა თქვენთვის მეკითხა, რას ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს?

ყველანი გავჩუმდით და მისკენ გავიხედეთ. რა უნდა გვეთქვა? ამ დროს აბაზანის კარი გაიღო და იაკის თავი გამოჩნდა.

– ნამასტე, ოთარ!

ბატონ მერაბს ეძინა.

ჟურნალი „მაუწყებელი“

სალომე ბენიძე

ჩემი საყვარლის საყვარლები

ფანჯარასთან ვდგავარ და ვუყურებ. ჩემკენ ზურგით ზის და თანამშრომლებს ეთათბირება. ხელში პასტას ათამაშებს და თვალები, რა თქმა უნდა, შუშის აქვს. ასეთ დროს სხვებს გონიათ, დაძაბული ფიქრობს იმაზე, რასაც ეუბნებიან. მარტო მე ვიცი, რომ ამ დროს საერთოდ არ ესმის, რა ხდება ირგვლივ, მაგრამ ეს არასდროს არავისთვის მითქვამს.

ეს ხაკისფერი პიჯაკი მე ჩამოვუტანე შარშან რომიდან. უხდება. მე მიყვარს, როცა ჩემი ნაყიდი ტანსაცმელი აცვია, უფრო ის მიყვარს, როცა სხვები აღნიშნავენ, რომ ყველაზე უკეთ მე ვიცი, რა უხდება, ყველაზე უფრო კი ის მიყვარს, როცა თვითონ ამბობს, რომ ყველაზე კარგად ჩემს ნაყიდ ტანსაცმელში გრძნობს თავს.

ვატყობ, თავის ქნევას უმატა თანხმობის ნიშნად, ესე იგი, იღლება. ღილაკს ხელს ვაჭერ და მდივანს შოკოლადის და ყავის შემოტანას ვთხოვ. ვამჩნევ, როგორ უყურებს ჩემს წითელ-ლაქწასმულ ფრჩხილებს და მეღიმება.

მდივანს ყავა და შოკოლადი მოაქვს. მე ჭიქას ფანჯარაზე ვდგამ. უნდა გაგრილდეს, ისე არ დალევს. ესეც მარტო მე ვიცი.

მიყურებს და მიღიმის. ყველაზე კარგად თვითონ იცის, რომ არის რაღაცები, რაც მის შესახებ მარტო მე ვიცი და არასდროს, არასდროს მითქვამს სხვებისთვის.

ერთმანეთი რომ გავიცანით, პატარები ვიყავით. პატარები რა, მე – თექვსმეტის, თვითონ – ჩვიდმეტის. სულ ჩუმად იყო,

ჩუმად მიყურებდა ხოლმე შორიდან. მე მეცინებოდა, ვტიპობდი. იმიტომ ვტიპობდი, რომ უფრო მაგარი ტიპი ვიყავი, უბრალოდ, განზრახ არ ვაკეთებდი არაფერს. ეს სხვა გოგოებს დასდევდა და ჩუმად მაინც მე მიყურებდა. ერთხელ წავასწარი – ბუნგალოს საპირფარეშოსთან ვიღაც გოგო ყავდა აყუდებული და მე რომ დამინახა, მომაშტერდა... მომაშტერდა და გააგრძელა.

მეორე დღეს სასტუმროს სასადილოში შევეფეთე საუზმეზე და თვალი ამარიდა. მე გამეცინა. ვერ მივხვდი, რატო გაუტყდა. მაშინ მართლა არავინ იყო ჩემთვის. მაშინ არ ვიცოდი, რომ მერე ბევრჯერ ვნახავდი სხვა ქალთან და ბევრჯერ მოვიკვნეტდი ტუჩს მწარედ, ისე მწარედ, რომ საკუთარი სისხლის გემო მეგრძნო, მაგრამ არ ვიტირებდი.

და რატო არ ვიტირებდი? ზუსტად არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ ვგრძნობ – მე მის საწოლში ჩემი ადგილი მაქვს.

რით ველარ დამთავრდა ეს ოხერი თათბირი. ეწევა. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ბევრს ეწევა. როცა მთხოვს, რომ მოვწიო, მეც ვეწევი. უყვარს, როცა ერთად ვეწევით. მეც მიყვარს. ისე, კაცმა რომ მკითხოს, დიდი ხანია, მოწევას შევეშვი.

სავარძელზე გადაწვა და კვამლს ჭერისკენ უშვებს, ვითომ უსმენს თანამშრომლებს. მე ფანჯარასთან ვდგავარ გაუნძრევლად, თან ამის საქციელს ვაკვირდები, თან სხვებს ვუგდებ ყურს. ვიცი, ამაღამ ჩემთან დარჩება. ისე იფხანს კეფას, ნერვიულად, ჩემთან დარჩება და დილით, ყავას რომ გავუმზადებ, ნამცხვარს დავუჭრი, ბანანს გავუფცქვნი, წინ დავუჯდები, მის ფინჯანს სულს შევუბერავ, ქვემოდან ავხედავ და გავუღიმებ, მკითხავს, გუშინდელ (ანუ დღევანდელ) თათბირზე ვინ რა ილაპარაკა.

ამიტომ ყველაფერი კარგად უნდა მახსოვდეს. მე ჩავარდნები არ მეპატიება.

ზღვაზე შეხვედრის მერე ისე გავიდა ორი წელი, არაფერი უთქვამს. მარტო მიყურებდა ხოლმე. თან ვმეგობრობდით და თან ისე მიყურებდა ხოლმე, მეგონა, შიშველი ვიდექი და სულ მინდოდა, ან გავქცეოდი, ან მაგრად ჩავხუტებოდი.

იმ გოგოს ვერ ვიტანდი, „გეპეიში“ სწავლობდა, ჩამოვარდნილი უკანალი ქონდა და სქელი ფეხები. ცოტა უტვინოც იყო. უტვინო რა, გაუნათლებელი, თორემ იმისთვის კი ყოფნიდა ტვინი, რომ ამას კისერზე ჩამოკიდებოდა, თან ჩემს დასანახად. ჩემს დასანახად იმიტომ, რომ ბევრი ეცადა თუ ცოტა, გაიკითხა-გამოიკითხა და ვერავინ უთხრა, რა ვიყავით ჩვენ ერთმანეთის, შეყვარებულები, მეგობრები... და საერთოდ, რა ჯანდაბა ხდებოდა ჩვენს თავს. ვის რა უნდა ეთქვა, ჩვენც არ ვიცოდით წესიერად. გოგო კი სულ კისერზე ეკიდა ამას და ბოლოს ჩაუწვა კიდეც. მე ვიღაცამ მითხრა და მეგონა, მოვკვდი. საღამოს ჩაის რომ ვსვამდი, ჭიქა ხელში შემომეფშვნა, ხელები კიდევაც დამეწვა და კიდევაც დამესერა. ერთი ხაზი ახლაც მამჩნევია მარცხენა ხელისგულზე და ახლა, როცა ვეფერები ხოლმე, როცა იღლება და მივდივარ და ორივე ლოყაზე ვადებ ხელებს, როგორც თვითონ უყვარს, სახეზე ხვდება თავისივე სისულელის შედეგი – ჩემი დასახიჩრებული ხელისგული. ხშირად მეკითხებოდა, რა დამემართა ამ ხელზე, მე არაფერს ვპასუხობდი, მერე ეს ორივე ხელში იღებდა ჩემს მარცხენას, აბრუნებდა და ძალიან ფრთხილად მკოცნიდა ნაიარევზე. ძალიან რომ წაიღო ტვინი კითხვით, რა დამემართა, ვუთხარი, რომ ოდესღაც, ბავშვობაში, ველოსიპედიდან გადმოვვარდი. რა იცის, რომ ველოსიპედს ვერასოდეს ვატარებდი. ამას გონია, მე ყველაფერი შემიძლია, იმიტომ, რომ მე ყველაზე მაგარი ვარ, არასოდეს არაფერი მეშლება, არაფერი მავიწყდება და არ შეიძლება, რაიმე ცუდად გამომივიდეს. ველოსიპედის ამბავი რომ მოისმინა, ბევრი იცინა, მერე გაჩერდა, მიყურა და თქვა: „ჩემი გადარეული“. მას შემდეგ, ყოველთვის, როცა გადაღლილობის მომხსნელი ჩემი მაგიური მოფერება ჩემს „ბავშვობის ტრავმას“ ახსენებს, გაღიმებული კოცნის ხოლმე ჩემს ნაიარევს და ამბობს: „გადარეული... ჩემი გადარეული...“

საათს ვუყურებ. უკვე საათ-ნახევარია, ვთათბირობთ. არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივ საკითხებს განვიხ-

ილავთ, სისულელეებს. ან რა უნდა ხდებოდეს ახალი ყოველ კვირაში.

ხანდახან მეცოდება. ყველა ამას უჭამს ტვინს – თანამშრომლები, ცოლი და მთელი მისი სანათესაო; მეგობრები, რომლებსაც ყოველთვის რაღაც ჭირდებათ ამისგან; კიდევ ისინი, ვის წინაშეც სამსახური ავალდებულებს, ისინიც, ვის წინაშეც თვითონ ივალდებულებს თავს, კიდევ უამრავი გზააბნეული, რომლებსაც ეს ყველას წინაშე ვალდებული ჰგონიათ.

მე ვცდილობ, ყველაზე ნაკლებად შევაწუხო. კმაყოფილი ვარ საყვარლის სტატუსით და მართალია, ვიცი, რომ ამაზე დიდი ბედნიერებებიც არსებობს, ვცდილობ, არ შევიმჩნიო. არც მაშინ მითქვამს რაიმე, ამისმა ცოლმა კინაღამ ბავშვი რომ მომანათვლინა, როგორც „ოჯახის მეგობარს". უარი არ მითქვამს, უბრალოდ, იმ დილით, ბავშვი რომ უნდა მომენათლა, ავარია მოვახდინე და ნეკნები დავილეწე. მერე ამასთან ოჯახში დავრეკე და მოვიბოდიშე, რომ ამ საპატიო მიზეზის გამო ნათლობაზე ვერ მივიდოდი და ასევე ძალიან ზრდილობიანად ვითხოვე, რომ ე. წ. „მოხსენიებული ნათლიის" სტატუსი არ მინდოდა.

დანათესავებას გადავრჩით, მაგრამ წვიმიან ამინდში ნეკნების ტკივილი ცუდად მახსენებს იმ ავარიას და ასევე მახსენებს იმას, რომ დეგენერატი ვარ, მაგრამ ცოცხალი დეგენერატი.

ჰოდა, როცა წვიმს და თითქმის მთელი სხეული მტკივა, ღამეები მიყვარს. მიყვარს იმიტომ, რომ ჩემი ბინის მანსარდაზე ანთია ბუხარი, მე შიშველი ვწევარ ხალიჩაზე და ეს მკოცნის, ზურგზე მკოცნის, ძალიან ფრთხილად, იმიტომ, რომ იცის, ავარია განზრახ მოვახდინე, იმისთვის, რომ ჩემთვის ყოველთვის ეკოცნა; რომ არასდროს მონატრებოდა ჩემი შიშველი სხეული, ფაფუკ ხალიჩაში ჩაკარგული და გრილი.

ესეც მარტო მე და მან ვიცით. სხვა ვერასოდეს გაიგებს.

პირველად რომ წავედი, ეგონა, მოკვდებოდა. მერე მითხრა თვითონ. სანამ წავიდოდი, ერთ დილით ვიღაცასთან გამოვიჭირე. სადღაც უნდა წასულიყო, რაღაც შეხვედრა ქონდა და მე

უნდა დამერეკა, იმიტომ, რომ ვერასდროს ვერავინ აღვიძებს დედამისის და ჩემ გარდა. დედამისი სახლში არ იყო და წინა საღამოს მთხოვა, დილის რვაზე დამერეკა.

მეც დავრეკე და ვიღაც გოგომ მიპასუხა. მე არ შევიმჩნიე და გააღვიძე-მეთქი, ვუთხარი. კარგიო და თურმე, ვერ გააღვიძა. იმ შეხვედრაზე ვერ მივიდა და საქმე გააფუჭა, მე კი, იმის მაგივრად, გამხარებოდა, რომ თავისი უტვინობით მორიგი სისულელე ჩაიდინა, საკუთარ თავს ვერ ვაპატიე ეს ამბავი.

ჩვენ ისევ ერთად დავდიოდით, ამას სულ ვიღაც ჰყავდა და მე წასვლა გადავწყვიტე. გადავწყვიტე და წავედი, რაღაც პროგრამა მოვძებნე, საბუთები შევიტანე, გავიმარჯვე და რამდენიმე თვით დავახვიე. იქ კარგი იყო, მაგრამ მენატრებოდა, ძალიან მენატრებოდა და ყოველ დილით, სარკეში რომ ვიხედებოდი, ჩემს თმაში ჭაღარის პროცენტული რაოდენობის ზრდა მაშფოთებდა.

მერე ჩამოვედი.

ისევ არაფერი თქვა.

მერე კიდევ წავედი, უფრო დიდი ხნით. ჭაღარაც მომემატა, მაგისტრის ხარისხიც და კიდევ ჩამოვედი.

ისევ იგივე...

მოკლედ, რამდენიმეჯერ წავედი და ჩამოვედი და საგრძნობლადაც გავჭაღარავდი. უბრალოდ, ქერა ვარ და ძალიან არ მეტყობა. ამბობენ, რომ მიხდება კიდევაც. არ ვიცი, მართლა მიხდება თუ არა ჭაღარა მაშინ, როცა მხოლოდ 31 წლის ვარ, მაგრამ ვიცი ის, რომ მან იცის – ჩემი ნაადრევი ჭაღარა მისი ბრალია და ამიტომ, როცა თმაზე მეფერება, ყოველთვის ფრთხილობს, ფრთხილობს, რომ არ გააღვიძოს ჩემს თმაში მიძინებული ტკივილები.

ერთხელაც რომ ჩამოვედი, მეგობრის აგარაკზე მივდიოდით. მე და ეს მარტო. ზაფხული იყო და მე ძალიან თხელი კაბა მეცვა. მანქანა ახლაც ჩქარა დაყავს, მაშინაც ჩქარა დაყავდა. სულ სულელურ მუსიკას უსმენდა და მე დავცინოდი, იმიტომ, რომ მე ისევ ვტიპობდი, ევროპაში ვცხოვრობდი რამ-

დენიმე წელი, ამერიკაში ვაპირებდი წასვლას და ვტიპობდი, რა.

ძალიან ცხელოდა და მე ვერც ვამჩნევდი, ისე ვიწევდი კაბის კალთას მაღლა და მაღლა და თან ამის საყვარელ სულელურ სიმღერებზე ვიცინოდი. რომ გადაუხვია, ვერ მივხვდი, ის გადასახვევი რა შუაში იყო და ფანჯრიდან გადავიხედე. მარტო მაშინ მივხვდი, ძალიან ცხელი ხელის შეხება რომ ვიგრძენი შესამჩნევად დამოკლებული კაბის კალთის ქვეშ.

არაფერი მითქვამს საერთოდ. ვტიროდი მარტო, ვტიროდი და ვიყავი ბედნიერი, იმიტომ, რომ რაც ხდებოდა, მეც მინდოდა და რა მნიშვნელობა ქონდა, სად ხდებოდა და როდის, და რატომ მაინცდამაინც აქ და ახლა.

მაშინ ვიყავი ყველაზე ბედნიერი და ბუნებრივი. და მგონი, თვითონაც. იმიტომ, რომ რაც გროვდებოდა, გროვდებოდა წლების განმავლობაში, ყველაფერი ერთად იყო, ყველა სიტყვა, ყველა ემოცია და მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იყო მასთან, მის ცხოვრებაში, მის საწოლში, მის სხეულთან ახლოს.

ეს, რა თქმა უნდა, არავისთვის მითქვამს, სამაგიეროდ, მეორე დღეს სხვებმა მითხრეს, რომ ვიღაც ყავდა და ის გოგო მოდელი, მსახიობი, მომღერალი თუ ვიღაც იყო და მთელმა თბილისმა იცოდა ამათი ამბავი, იმიტომ, რომ რამდენჯერმე, მთვრალს, ეს გოგო შუა კლუბში ყავდა ნახმარი.

მე მაშინ, უბრალოდ, ტუჩი მოვიკვნიტე, მეტი არაფერი და მიუხედავად იმისა, რომ დარჩენა ისე მთხოვა, როგორც არასდროს, ამერიკაში გავფრინდი.

საათს ვუყურებ. ძალიან იწელება ეს თათბირი. მეც კი დავიღალე. უკვე მიჭირს ყურადღებით ყოფნა. თან, დედა ალბათ უკვე გამოიყვანდა ბაღიდან ჩემს შვილს. მერე რა, რომ ანასტასია სულ დედაჩემთანაა და სულ ვენატრები, სინდისის ქენჯნაც მაწუხებს და დედის ინსტიქტიც იმაზე ძლიერი მაქვს, ბევრს რომ გონია.

ამას და ჩემს შვილს ერთმანეთი ძალიან უყვართ.

– შაბათს სად წავალთ? – ურეკავს ხოლმე პარასკევ საღა-

მოს ანასტასია. დარეკვის დროსაც თვითონ არჩევს და ნომერსაც თვითონ კრეფს.

– სადაც შენ გინდა, ტას! – ეუბნება ეს.

ანასტასია მე მგავს და ცირკი და ზოოპარკი არ უყვარს.

– თეატრში, – ამბობს და თვალები უციმციმებს.

თითქმის ყოველ შაბათს ეს სახლში ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს და დააგვიანდება. თითქმის ყოველ შაბათს ჩვენ ერთად დავდივართ თეატრში, ჩვენ და ანასტასია, ჩემი გერმანელი შვილი.

მე ისეთი ქორწილი მქონდა, ბევრი რომ ოცნებობს: დიდი, თეთრი კაბა მეცვა და გვერდით მაღალი, სიმპათიური გერმანელი მედგა. არა, უბრალოდ კი არ მედგა, მე მას ცოლად მივყვებოდი. მყავდა სამი მეჯვარე, ორი ქართველი და ერთიც – გერმანელი და სამივეს ერთნაირი კაბები ეცვა. დედაჩემი სიხარულისგან ტიროდა და ყველა ნათესავი აღნიშნავდა, რომ მე ყოველთვის ჭკვიანი ვიყავი და ჭკვიანურადაც გავთხოვდი.

მე და მაქსიმილიანი ერთად მაშინ ვსწავლობდით, სულ პირველად რომ წავედი. მეორედ აფრიკაში შევხვდი, სადაც ჩემმა ამერიკულმა უნივერსიტეტმა კვლევის გასაკეთებლად გამგზავნა. თვითონ რაღაც ჰუმანიტარული მისიით იყო, მოშიმშილე აფრიკელებს აპურებდა. მაქსიმილიანი გამოტყდა, რომ ყოველთვის გიჟდებოდა ჩემზე და უარზე მეც არ დავმდგარვარ.

ჩვენ სამი წელი ვიცხოვრეთ ერთად ბერლინში, ბედნიერად და სტაბილურად, იმდენად ბედნიერად და სტაბილურად, რომ მე ყელში ამომივიდა ბერლინის ნაცრისფერი ცაც, ჩვენი არაჩვეულებრივი ბინაც, ისიც, რომ მაქსიმილიანი იყო ყველაზე კარგი მამა, ვინც კი ოდესმე მინახავს დედამიწის ზურგზე.

სამი წლის მერე მე ისევ დავბრუნდი, იმისთვის დავბრუნდი, რომ კიდევ ერთხელ ვყოფილიყავი ისე ავადმყოფურად ბედნიერი ამასთან ერთად, როგორც მაშინ.

ეს დამხვდა ცოლით, შვილით და კიდევ რამდენიმე საყ-

ვარლით. მე ჩამოვედი და ყველაფერი ავრიე. ცოლმა, რომელიც დაუსწრებლად მიცნობდა, როგორც ამის „საუკეთესო მეგობარს“, შემომჩივლა, იქნებ შენ მაინც გააგებინო, რომ ცოტა მომხედოს და დამაფასოსო.

მე კი, რა თქმა უნდა, ამას ის გავაგებინე, რომ მის ცხოვრებაში სხვა ქალების ადგილი არაა, იმიტომ, რომ მე ისევ ვარსებობ და ყოველთვის ვიარსებებ, ყოველთვის დავცინებ მის სულელურ მუსიკალურ გემოვნებას და ყოველთვის მეცმება მოკლე სარაფანი იმისთვის, რომ მან თავი ვერ შეიკავოს და ჩვენ ყველგან, სადაც მოგვინდება, უბრალოდ, ბედნიერები ვიყოთ.

მაქსიმილიანმა გამიგო, როგორც ევროპელი კაცების უმეტესობა იგებს ხოლმე იმას, რომ ცოლს აღარ უყვარს. მე მისთვის არ მითქვამს, რომ არასოდეს მყვარებია, არც ის მითქვამს, რომ მასთან სექსი ყოველთვის თვალდახუჭულს მქონდა და სხვაზე ვფიქრობდი. თუ ლოგიკურად მივყვებით, ჩემს წარმოსახვაში ანასტასია მაქსიმილიანის შვილი სულაც არაა, ამის შვილია, მაგრამ მე ეს არასდროს არავისთვის მითქვამს, არც მაქსიმილიანისთვის, არც ამისთვის, მაგრამ ეს თვითონ ხვდება. მგონი, თავის წარმოსახვაშიც თვითონაა ანასტასიას მამა.

ის, რომ ჩვენ შორის რაღაც არის, რა თქმა უნდა, არავინ იცის, მაგრამ ყველა ხვდება.

მიყვარს, როცა დილით ჩემ გვერდით იღვიძებს და ყავას ვუმზადებ, მერე გამზადებულ ყავას ფანჯრის რაფაზე ვდგამ გასაგრილებლად, უფრო მერე კი, სანამ საკუთარი ხელით დავალევინებ, თვითონვე ვუბერავ სულს.

რაღაც საბუთზე ხელს აწერს. ესე იგი, თათბირი მთავრდება, იმიტომ, რომ ამას ყოველთვის თათბირის ბოლოს აკეთებს.

მე ეს ვიცი.

კიდევ ის ვიცი, რომ ახლა უკმაყოფილოა – მდივნის მოტანილი შოკოლადი უთხილო იყო, არადა, თხილიანი უყვარს.

ერთ კვირაში პრაღაში მივფრინავ და ზუსტად ვიცი, როგორი პალტო უნდა ჩამოვუტანო, რომ თავი ყველაზე მაგარი ეგონოს.

მანამდე კი...

ისეთი ჩაფიქრებული ზის, ამაღამ აუცილებლად ჩემთან რჩება.

იმიტომ, რომ მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი მესმის და ყველაფერს ვხედავ.

იმიტომ, რომ მე ყოველთვის მაქვს საუკეთესო თხილიანი შოკოლადი.

იმიტომ, რომ ცა იქუფრება, საღამოს იწვიმებს, მე მეტკინება ზურგი და ფრთხილი, ფრთხილი კოცნები დამჭირდება.

იმიტომ, რომ მე მისი საყვარელი ვარ და ეს უფრო მეტია, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია. ხანდახან სიყვარული სწორედ ასეთია.

http://www.facebook.com/salome.benidze

მარი ბექაური

მოთხრობა ორ კაცზე

ზოგჯერ მეკითხებიან ხოლმე, რა მოხდებოდა, მე და მას გვეცხოვრა ერთ დროსა და ერთ ქვეყანაში. მე ვპასუხობ, რომ ამ შემთხვევაში, აუცილებლად ვიცხოვრებდით ერთ ქალაქში, ერთ ბინაში და ერთ ოთახში.

ყოველთვის ასე იყო: როგორც კი მარტოობა დაიწყებოდა, მაშინვე გამოჩნდებოდა ხოლმე და მთხოვდა, ჩემთან დამეტოვებინა. „ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით", – ამბობდა და თან ოთახში ნაცნობ ნივთებს უწყებდა ძებნას, – „ცოტა ხანი არაფერი გიშავს. ისეთი მარტო ვარ, ვერც კი წარმოიდგენ." ვიცოდი, სინამდვილეში იმიტომ მოდიოდა, რომ ეშინოდა, მარტოობას ვერ გადავიტანდი. მე მგონი მაშინ კარგად ვერ ხვდებოდა, როგორი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, სხვების გარეშე მევლო ქუჩებში და უცნობ ადამიანებზე მეფიქრა, ან ღამღამობით ფანჯარასთან ვმჯდარიყავი და განათებულ ბინებში საკუთარი წარსული მეძებნა... რა უნდა მექნა, არ შემეძლო მისთვის იმის მტკიცება, რომ ყველაფერი გაივლიდა ან როდისმე დასრულდებოდა, არ შემეძლო სხვა ადამიანებივით მწუხარე სახის მიღება და დამამშვიდებელი სიტყვების წარმოთქმა. თავადაც არ მჯეროდა ამის და მე მგონი, სწორედ მაგიტომ იყო, რომ თავის მარტოობას მაინც და მაინც ჩემსას ამთხვევდა და ისეთ ადამიანთან არჩევდა მისვლას, ვინც არასოდეს დაადებდა მხარზე ხელს თანაგრძნობის გამოსახატად...

სამაგიეროდ, თვითონ ჩამაცივდებოდა ხოლმე, რა მოხდაო. მე კი პასუხად მხრებს ვიჩეჩავდი და ათას სისულელეს ვიგონებდი, რომლისაც არც ერთს არ გვჯეროდა, მაგრამ იმას ეგრე სჭირდებოდა – სიტყვების აუცილებლობა, რაღაცის თქმის აუცილებლობა, თუნდაც სცოდნოდა, რომ ეს რაღაც იმწამს მოფიქრებული ტყუილი იყო.

მაშინაც ეგრე მოხდა. ვიცოდი, აბა რა. უბრალოდ, არ მეგონა, თუ ასე მალე ჩამოვიდოდა და თან სხვასაც მოიყოლებდა. კარი რომ გავუღე, რატომღაც ჩათვალა, რომ ის მეორე უნდა მცოდნოდა და არც კი გამაცნო. მოგვიანებით, როცა უკვე ჩვენ-ჩვენი ოთახებიდან გამოსვლა დავიწყეთ და საღამოებს ერთად ვატარებდით, მივხვდი, რომ ისიც მისნაირი იყო, მისი ასლი, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით კამათობდნენ და შეეძლოთ ერთმანეთი ყველაზე უხამსი სიტყვებით ელანძღათ. ალბათ ერთმანეთში ებრძოდნენ იმას, რაც საკუთარ თავში ვერ გადაელახათ. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ზუსტად ვიცოდი, რომ ამ ორ კაცს ერთმანეთი ერთდროულად წარმოუდგენლად უყვარდა და სძულდა, რადგან უყვარდათ და სძულდათ საკუთარი თავი ერთიმეორეში.

გარკვეული პერიოდის მერე ისიც აღმოვაჩინე, რომ ჩემს მარადიულ სტუმარს არ მოსწონდა, თუ მე და მისი თანმომყოლი დიდხანს გავაბამდით საუბარს და ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ცდილობდა, ერთმანეთს წავეკიდებინეთ. თუმცა ორივე კარგად ვხვდებოდით მის ჩანაფიქრს და ჩუმჩუმად დავცინოდით ამ ბავშვური ეგოისტური ქცევებისთვის.

„ველარ ვწერ, ასეთი რამე არასოდეს დამმართნია, – ვუთხარი ერთხელ, – მაგიდას მივუჯდები ხოლმე დიდი, ყავით სავსე ფინჯნით და ვცდილობ, წერა დავიწყო, მაგრამ არაფერი გამომდის. სისულელეებს ვწერ, მერე ვშლი, მერე ისევ სისულელეებს ვწერ და ისევ ვშლი. ბოლოს ნერვები მომეშლება ხოლმე და ფინჯანს იატაკზე ვახეთქებ... ღმერთო ჩემო, რამდენი ფინჯანი გავტეხე, სანამ ჩამოხვიდოდი. რა უნდა ვქნა?"

ველოდი, რას მიპასუხებდა, ის კიდე იმ მეორეს მიუტრი-

ალდა და – „აი, როგორ ცხოვრობენ მწერალი ქალებიო“, – ასე უთხრა. კაცმა გაიცინა. მეც გავიცინე, თუმცა ნათქვამს მივუხვდი და იმასაც მივხვდი, რომ ჩემს წამოგებას ცდილობდა. წამოვდექი და საძინებელში გავედი.

ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ კარებთან იჯდა და, რა გინდა-მეთქი, გავძახე. არაფერიო. მაშინ ადექი მანდედან და წადი-მეთქი. არაო. რატომ-მეთქი? ნუ გწყინსო. არ მწყინს, უბრალოდ, არ მინდა, რომ ახლა მანდ იჯდე, ხელს მიშლი-მეთქი. ფეხებზე მკიდიაო. კარგი-მეთქი. მე შენთვის ჩამოვედიო. მართალი იყო და აღარ ვუპასუხე. ის კიდე ეგრე იჯდა კართან, მთელი ღამე და როცა დილას ოთახიდან გამოვედი, დავინახე, რომ სიცივისგან მოკუნტულს ეძინა. დავიხარე და თმაზე გადავუსვი ხელი. ვერ იგრძნო. მერე მეც იატაკზე დავწექი და ზურგიდან ამოვუწყვე ხელები. გაელვიძა. მცივაო, – წამოჯდა. წამოდი, სამზარეულოში გავიდეთ და ცხელ ჩაის დაგალევინებ-მეთქი. ყავა მირჩევნიაო.

მერე სამზარეულოში ვისხედით, ყავას ვსვამდით და რაღაცებს მიყვებოდა. ვუსმენდი. უცებ ლაპარაკი შეწყვიტა.

– ეგრე იმიტომ ვთქვი, რომ გამებრაზებინე, – წინა ღამის ამბავს დაუბრუნდა, – ან შეიძლება, მინდოდა, მის თვალში დამემცირებინე.

– რატომ? – მართლა ვერ მივხვდი.

– ალბათ არ მინდა, ეგონოს, რომ მისნაირი ხარ და არც ის მინდა, ფიქრობდე, თითქოს ისაა შენნაირი. მერე მარტო აღარ იქნები.

– ზოგჯერ ვერ გიტან ხოლმე.

– რატომ? – გაეცინა და მივხვდი, რომ იცოდა, რასაც ვუპასუხებდი.

– იმიტომ, რომ ასე ვგავართ ერთმანეთს. მაგიტომ მოდიხარ ხოლმე?

თავი გააქნია.

– აქ დრო და სივრცე აღარ არსებობს. შენ ეგ მოიგე. მერე რა, რომ შეიძლება სხვები ფიქრობდნენ, თითქოს რაღაცე-

ბი არეული გაქვს. დარწმუნებული ვარ, უკვირთ, რისთვის გამოუხურავ ხოლმე კარს და ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ათენებ ღამეებს. ეგენი ვერასოდეს გაიგებენ, მეც ხო ეგრე ვარ, – ჩემკენ გადმოიხარა და სახეზე ჩამომისვა ხელი:

– მაგრამ შენ ხომ იცი, რომ დროს მოუგე.

ალბათ მართალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამის მხოლოდ ერთი საბუთი არსებობდა: მისი აქ ყოფნა.

– ისევ ვიღაც მიატოვე? – ვკითხე ბოლოს და ბოლოს.

შემომხედა.

– მე არა, იმან.

– სძინავს?

– არ ვიცი. შეიძლება.

– რატომ წამოიყვანე, ან იმ ქალს რაღას ერჩოდა?

– ის ქალი უყვარს, მაგრამ ასე მოინდომა.

– ვხვდები, რატომაც.

– ჰო, ეგაა.

– მაგას რიღასთვის სჭირდება მარტოობა?

– არ ვიცი, მე მგონი, მაგასაც ვერ გაუგია თავის თავის...

თუმცა იმან, მეორე კაცმა, სხვანაირად თქვა. მახსოვს, მაშინ ჩემს ოთახში ვისხედით იატაკზე. ღამდებოდა. ის წამოდგა და ფირფიტას დაუწყო ძებნა, მუსიკისთვის რომ მოგვესმინა. მე ვუმტკიცებდი, ფირსაკრავი არ მუშაობს-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა და ჯიუტად აგრძელებდა ფირფიტების ქექვას. მერე მოტრიალდა, დავიღალეო და ისევ ძირს დაჯდა.

– მესმოდა, ჩემზე რომ ლაპარაკობდით, – ჯერ მას შეხედა, მერე მე, – ჰო, მელვიძა და გავიგონე... ჰოდა იმის თქმა მინდოდა, რომ არაა ეგრე, როგორც თქვენ გგონიათ. იმიტომ წამოვყევი, რომ შემეშინდა რაღაცების. ვიფიქრე, რა იქნება, თუ სულ ამ ქალთან მომიწია ყოფნა, თუ ბავშვს გამიჩენს და მერე ისე ვიცხოვრებ, როგორც ყველა-მეთქი. თუ ჩვენი ცხოვრება ვალდებულებებად გადაიქცევა და აღარასოდეს ვიგრძნობ, როგორია, როცა ქუჩაში შემთხვევით მხვდება და ამ დროს სხეულში ჭიანჭველები მიწყებენ სიარულს-მეთქი. თუ

წინასწარ შეთანხმებულად დამიწვება და აღარ ილაპარაკებს იმ სისულელეებს, რის გამოც ასე მიყვარდა, რადგან ეცდება, თავი ჭკვიანად მომაჩვენოს-მეთქი.

– მაგას ახლა აჯერებ შენს თავს? – მოურიდებლად გააწყვეტინა.

– არა. ეგრეა. მართლა ეგრეა. და თან მერე მომბეზრდებოდა და მაინც მივატოვებდი.

– იმიტომ მიატოვებდი, რომ მარტო დარჩენილიყავი და რაღაცები გაგეგო შენი თავის. კარგად იცი და ახლა ყველა სულელივით იქცევი, უაზრო მიზეზების ძებნას რომ იწყებ, თითქოს არ იცნობდე საკუთარ თავს.

– რა ჯანდაბამ გააფუჭა ფირსაკრავი?! – მომიტრიალდა მე ის მეორე.

– არ ვიცი, – მივუგე, – ალბათ სიძველისგან.

– არადა, კარგი იქნებოდა ახლა მუსიკისთვის მოგვესმინა და ამას აღარ ელაპარაკა, – ჰო, მე მიყურებდა და მასზე მანიშნებდა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ადანაშაულებდა, თითქოს სწორედ მას სდებდა ბრალს, ასეთი რომ იყო და მე მგონი იმ ქალის მიტოვებასაც მას აბრალებდა.

– შენ არ გაგაჩნია დუმილის საჭიროება, – შეხედა ბოლოს და ბოლოს, – გინდა, რომ სულ ილაპარაკო და ყველას ყველაფერი მოუყვე. ვერ იტოვებ შენთვის. მოგწონს, როცა სხვებიც განიცდიან იმას, რაც შენ განიცადე. მერე რა, რომ ზუსტად ვერ იგებენ, რაღაცას ხომ მაინც გრძნობენ. ეს მოგწონს. თითქოს გინდა, რომ სხვებიც შენნაირად იყონ, რომ ყველამ განიცადოს ეს უაზრობა... რა უბედურებაა, რაღა მაინცდამაინც ახლა გაფუჭდა ეს ფირსაკრავი?!

– ახლა არა, – ვუთხარი, – დიდი ხანია გაფუჭებულია.

ორი ღამე გვესმოდა, როგორ უჩხიკინებდა ფირსაკრავს. ესეც უაზრობა იყო, რომ აიჩემა, მაინცდამაინც ღამე ეკეთებინა ის მონჯღრეული ფირსაკრავი. არაფერს ვეუბნებოდით. ან კი რა უნდა გვეთქვა, როცა ვიცოდით, – ასე იმიტომ იქცეოდა, იმ ქალზე რომ აღარ ეფიქრა... მერე, ერთ დილასაც,

დაგვიძახა და როცა მივედით, გვანიშნა, ჩუმად იყავითო. ფირ-ფიტა დადო და ელოდა. მაგრამ მხოლოდ ჩხაკუნი ისმოდა და ნერვებმოშლილმა დაახეთქა ფირფიტა იატაკზე.

– წამოდი, გავისეირნოთ, – მე მგონი იმიტომ მოინდომა, რომ მიხვდა, სჯობდა ის მეორე მარტო დაგვეტოვებინა. თავი დავუქნიე და საძინებელში შევედი ქურთუკის ასაღებად. თვითონ სვიტერის ამარა იდგა და ვუთხარი, ჩაიცვი, ეგრე გაცივდები-მეთქი. არაფერიაო.

სახლიდან გამოვედით. ჩუმად მივდიოდით. მიკვირდა, ხმას რომ არ იღებდა და ჩავთვალე, რომ რაღაც მნიშვნელოვანის სათქმელად ემზადებოდა. მაგრამ შევცდი. ისე დავბრუნდით სახლში, სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ის ისევ იქ დაგვხვდა. კარიც კი არ დაეკეტა.

– ეგრე შეიძლება ვინმე შემოძვრეს ბინაში, – ამან უთხრა, იმან კი ხელი აუქნია, თითქოს იშორებსო და სულ სხვა რაღაც მიუგო:

– ამდენს ვწვალობ და მაინც ვერ ვაკეთებ.

– რას გადაეკიდე ამ ფირსაკრავს?

– არაფერია. უბრალოდ, მინდა, რომ მუსიკას მოვუსმინო.

– ჯობია დაიძინო, – მე მომიტრიალდა. მივხვდი, რაღაც უნ-დოდა იმისგან და გამოვედი. მთელი ღამე მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ. ოღონდ სიტყვებს ვერ ვარჩევდი, ჩემამდე მხოლოდ ხმა აღწევდა. მერე გავიგონე, რომ წამოდგა. ჩემი ოთახის კარი შემოაღო და თავზე დამადგა.

– ადექი. მივდივართ.

– რა? სად? – წამოვჯექი დაბნეული.

– გარეთ. ადექი.

– სად გარეთ? ჯერ არც კი გათენებულა.

– ადექი! – ტანსაცმლის კარადას ეცა და გამოხსნა. რაღაცე-ბი გამოიღო და ლოგინზე დაყარა.

– ჩაიცვი.

წამოვდექი. თვითონ ლოგინზე ჩამოჯდა და მიყურებდა, როგორ ვიცვამდი. მერე ხელი დამტაცა და კიბეზე ჩამარბე-

ნინა. მტკივა-მეთქი, – ვუთხარი, მაგრამ სანამ ქუჩაში არ გავედით, ხელი მანამდე არ გამიშვა.

– იარე და უყურე, – მითხრა. უშნო სახეში მივაცქერდი და ვიფიქრე, გაგიჟდა-მეთქი.

– მე ნუ მიყურებ. იარე და იმათ უყურე.

თავიდან ჩქარა მივდიოდით. მერე ნაბიჯი შეანელა. თენდებოდა. აქა-იქ პირველი ავტობუსები გამოჩნდნენ, რომლებიც გაჩერებებზე კი არ ჩერდებოდნენ, არამედ იმ ადამიანების ხელების დაქნევაზე, რომლებიც დილის ხუთ საათზე გამოსულიყვნენ სახლებიდან, რათა ავტობუსებს წაჰყოლოდნენ სამსახურებში და მთელი დღე მონურად ემუშავათ საჭმლის და წყლის მოსაპოვებლად. ძონძროხა ქალებს და სიგამხდრისგან ლოყებჩაცვენილ კაცებს კი თავები დაეხარათ და ქუჩებს გვიდნენ.

უცებ გაჩერდა და მომიბრუნდა:

– ხედავ ამ ადამიანებს?

თავი დავუქნიე. სახე დამშვიდებოდა.

– არა. მე ვგულისხმობ, თუ ხედავ ამ ადამიანების ცხოვრებებს?

– როცა მარტოობა იწყება, მე ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ვათვლებ ხოლმე ღამეებს, – მე მგონი, აღარ ახსოვდა, – ვიცი, რაც გინდა.

– ჰო, მართალია. მე მინდოდა მეჩვენებინა. ის უკვე ჭკუიდან გადაიყვანა იმ ფირსაკრავმა... მე უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ თუ ამათი ცხოვრება არ გესმის, არც არაფერი გესმის ცხოვრების. აი, შეხედე, – ვიღაც ქალისკენ გაიშვირა ხელი, – მაგათ ეს ჭუჭყი, რასაც ჩვენ ვტოვებთ ყოველდღიურად, თავისთან მიაქვთ, სანამ გათენდება, რომ მაგ ჭუჭყს და სიბინძურეს აღარ ვხედავდეთ. იცი, რატომ მიაქვთ თავისთან? უფრო სწორად, რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ თავისთან მიაქვთ? მაგათ იციან, რომ არ გაუმართლათ და ნაგვის ხვეტა ერთადერთ გამოსავლად დარჩენიათ არსებობისთვის და არ ჩივიან, რომ მაინცდამაინც მათ შეხვდათ ასეთი ბედი, რომ

ღმერთმა სხვა ვერაფერი გაიმეტა მათთვის ნაგვის მოგროვების გარდა. იმიტომ არ ჩივიან, რომ უკვე გაიგეს, მიხვდნენ, რომ საბოლოოდ მაინც ერთი და იგივეა ყველას ცხოვრება, ოღონდ მაგათი იმით განსხვავდება, რომ ნებისმიერ წამს შეიძლება გადააწყდნენ ნაგვის ურნასთან ჩაძინებულ ღმერთს, გათენებამდე წასვლა რომ დააგვიანდა... გესმის, რას ვამბობ? მაგათ იციან სიმართლე და არც ცაში ტახტრევანზე წამომჯდარი ღმერთის სწამთ და არც ეკლესიებში იტყავებენ მუხლებს იატაკზე ხოხვით. მაგათ ყველაზე მეტი ნახეს და გაიგეს და არასოდეს დაადანაშაულებენ სხვას რამეში, იმიტომ, რომ ესმით მათი ადამიანურობა. ისინი კი, ვინც მუხლებგადატყავებულები იწერენ პირჯვარს ყალბი თანაგრძნობის სახეებით, იმწუთასვე სასიკვდილოდ გაგიმეტებენ, როგორც კი გაიგებენ, რომ რაღაც შეგეშალა, რაღაც, რაც შენი მარტოობის მოსაშორებლად და მათთან დასაბრუნებლად გჭირდებოდა.

ფეხის წვერებზე ავიწიე და სახე უშნო სახეზე მივადე. თვალები დახუჭა და, დავბრუნდეთო, – მითხრა.

უკან გამოვუყევით ქუჩას. მთელი გზა ვფიქრობდი, რატომ მოხდა ასე, რატომ ჩამოდიოდა საერთოდ, რატომ მაჩვენებდა ამ ყველაფერს, ან რატომ ჩამოიყვანა ის კაცი, გაუთავებლად რომ ეკამათებოდა.

გადავწყვიტე, როცა სახლში მივალთ, ფირსაკრავს გადავაგდებ და მერე ვეტყვი, რომ წავიდნენ-მეთქი. მაგრამ იმას ფირსაკრავი საწოლთან მიეთრია და მასზე ხელებმოხვეულს ეძინა. სკამი მივიდგი და ეგრე ველოდი, როდის გაიღვიძებდა...

– დიდი ხანია დაბრუნდით? – მკითხა, როგორც კი თვალები გაახილა.

თავი დავუქნიე.

– მე სულ ცოტაღა დამრჩა, მალე გავაკეთებ და მუსიკა გვექნება.

– თქვენ უნდა წახვიდეთ, – ვუთხარი პირდაპირ.

– რატომ? – გულწრფელად გაუკვირდა.

– დავიღალე.

– არ მინდა წასვლა. თუ გინდა, ის წავიდეს, მე დავრჩები. ფირსაკრავს გავაკეთებ. სხვა რაღაცებსაც გავაკეთებ, რაც გაფუჭებულია.

– ძალიან დავიღალე.

– მე კარგად მესმის. მაგას ჰგონია, რომ გეხმარება, როცა მარტო ხარ, სინამდვილეში კი ხელს გიშლის. ხო ეგრეა? – შეიძლება მართალიც იყო, არ ვიცი, – სჯერა, რომ ყველაფერი იცის შენზე, მაგრამ ხომ არაა ასე? მე ვიცი, რომ არაა.

– მაგას არ აქვს მნიშვნელობა.

– ის წავა.

– ვიცი.

– და შენ ვერ გადაიტან, უკან რომ აღარ დაბრუნდეს.

– ვიცი.

– და მე ვერ ვიგებ, რატომ.

– იმიტომ, რომ იმან ეს ყველაფერი უკვე გაიარა და რომ აღარ დაბრუნდეს, ეს იმის აღიარება იქნება, რომ სხვები მართლები იყვნენ და შეუძლებელია, დროს მოუგო.

– ვიცი, რატომაც ვეღარ წერ. ოღონდ მაგას ფინჯნების მტვრევა ვერაფერს უშველის.

– მაინც?

– იმიტომ, რომ საკმარისად ვერ განიცადე სიყვარული, მასზე რომ დაგეწერა.

– აუცილებელი არაა, მაინცდამაინც სიყვარულზე წერო.

– არა. ორი რაღაცაა, ორი თემა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ღმერთის შექმნილ ცხოვრებაშიც და შენ მიერ შექმნილ ცხოვრებაშიც: სიყვარული და სიკვდილი. შენ არასოდეს დაგიწერია სიყვარულზე.

– მაგას იმიტომ ამბობ, რომ ის ქალი გენატრება.

– მე მაინც გავაკეთებ ფირსაკრავს. მერე რა, რომ ამის მარტო მე მჯერა.

– შეიძლება მეც მივატოვე ვიღაც და ახლა სწორედ მაგიტომ ხართ აქ თქვენ ორნი. ფირსაკრავსაც მაგიტომ უჩხიკინებ მთელი ღამეები.

– მაშინ დავუბრუნდეთ ჩვენ-ჩვენ ადგილებს და შევეშვათ ამ მარადიულ გაქცევებს მარტოობაში.

– ჰო, მაგრამ, – უცებ ვიგრძენი, რომ კართან იჯდა და ყველაფერს ისმენდა, რასაც ამ კაცს ველაპარაკებოდი და მაინც ვთქვი, – მე ისე შემიყვარდა ვილაც, რომ შემეშინდა მარტოობის.

– შეუძლებელია, – როგორც იქნა, ფირსაკრავს ხელი გაუშვა და საწოლზე წამოჯდა.

– არა, ეგრეა. თუ გინდა გეტყვი, რატომაც. იმიტომ, რომ იმასაც ეგრე ჭირდა. იმასაც ეშინოდა, რომ მის მარტოობაში ჩავერეოდი. მე კიდე სულ ვცდილობდი, ისეთი სახე მიმეღო, თითქოს ვერაფერს ვხვდებოდი... მერე კიდე იმდენი რამე მოხდა. ზოგჯერ, როცა ერთმანეთის გვერდით ვიწექით და რაღაც უაზრობებზე ვლაპარაკობდით, ისეთი ბედნიერი ვიყავი ხოლმე, რომ ღმერთი მძულდებოდა, რადგან არ შემეძლო ეს ბედნიერების ერთი წამი გამეჩერებინა ან გამეხანგრძლივებინა...: შევეშვათ. დავიღალე.

– ჰო. თანაც იმას უკვე აღარ ესმის.

– რატომ?

– წავიდა. ვერ გრძნობ?

გავჩუმდით. მივაყურადე. მერე წამოვდექი და კარი გამოვხსენი. არ დამხვდა. ოთახები დავიარე. არსად იყო.

– სად წავიდა? – ვკითხე მეორეს. ისევ ფირსაკრავისკენ დაეხარა თავი. შემომხედა.

– აბა, რა გეგონა, როცა ამბობდი, რომ სხვა რაღაც უფრო მნიშვნელოვანი გახდა შენთვის?

* * *

სანამ გათენდებოდა, ლოგინიდან წამოვდგებოდი ხოლმე და დიდხანს დავდიოდი ქუჩებში. ვუყურებდი პირველ ადამიანებს და პირველ ავტობუსებს; სახლებს, სადაც შუქებს ანთებდნენ ან მანამდე ეძინათ, სანამ ოთახებში დღის სინათლე არ შეაღ-

წევდა. მერე კი დაღლილი და ძალაგამოცლილი ვბრუნდებოდი სახლში და ვუსმენდი, როგორ აკეთებდა კაცი ფირსაკრავს. ზოგჯერ მასთანაც შევიდოდი ხოლმე და ველაპარაკებოდი, იმისთვის, რომ რწმენა არ დაეკარგა. ვიცოდი, რომ მისთვის ფირსაკრავის გაკეთება იმ ქალთან დაბრუნებას ნიშნავდა, რადგანაც სჯეროდა, რომ თუ მუსიკა დაუკრავდა, ამით აღადგენდა კავშირს. მე კი რა მინდოდა, ველარ გამეგო. იქნებ ისე ვაკეთებდი არჩევანს, რომ თავადაც ვერ ვაცნობიერებდი. ან იქნებ ეს არჩევანი უკვე გაკეთებული იყო იმით, რომ ის წავიდა და ამ წასვლით მიმანიშნა, როგორ გამეგრძელებინა ცხოვრება. „ნებისმიერ სადარბაზოში იპოვი კატას და ღმერთს იმისთვის, რომ მარტოობა გაუნაწილო“, – მითხრა ადრე. მაგრამ რა საჭირო იყო მარტოობის განაწილება? ან ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ერთი ადამიანის განდეგილობას, როცა სხვები მუდმივად რაღაცებს დაეძებდნენ, ერთად იკრიბებოდნენ, ერთმანეთს კოცნიდნენ, ერთად დადიოდნენ კინოში და კაფეებში.

– იცი, რა მახსოვს ყველაზე კარგად? – ველარ მოვითმინე და ვუთხარი ერთხელ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ფირსაკრავის გარდა არაფერი აინტერესებდა.

– რა? – არც შემოუხედავს.

– ერთხელ რაღაც შეხვედრა იყო, სიტყვით გამოვდიოდი. ხოდა ლაპარაკი რომ დავიწყე, უცებ მოვკარი თვალი, როგორ იდგა ხალხში და მიყურებდა... სანამ შეხვედრა დაიწყებოდა, ვაწყენინე. კი არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ძალიან ეწყინა. ჰოდა ეგრე იყო. რაღაცას ვყვებოდი, ხალხი მისმენდა, მე კიდე იმას ვუყურებდი და დანაშაულს კი არ ვგრძნობდი, უბრალოდ, ვგრძნობდი, რომ ამაზე მეტი სიყვარული შეუძლებელი იყო...

– შენ არჩევანს სიყვარულსა და მარტოობას, ანუ ღმერთსა და ღმერთს შორის აკეთებ და მაგიტომაა ასეთი რთული, – როგორც იქნა, შეეშვა ფირსაკრავს და ყურადღება ჩემზე გადმოიტანა.

– მართალი თქვი მაშინ. ოდესმე აუცილებლად დავწერ სიყვარულზე.

– ეგ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ ღმერთზე შეაჩერებ არჩევანს, მაგრამ ჯერ საკუთარი ღმერთი უნდა იპოვო.

– იცი, როგორაა? – წარმოდგენა არ მაქვს, რა ჯანდაბამ მაფიქრებინა მისთვის ამის თქმა, როცა ვიცოდი, რომ იმას მაინც ყველაფერს მოუყვებოდა, – როცა მე მარტო ვზივარ ფანჯარასთან და შუქჩამქრალ ბინებს გავცქერი, მაგ დროს ვგრძნობ ხოლმე, რომ გვერდით ვიღაც მიჯდება, ვისაც ვერასოდეს ვხედავ, ვინც არასოდეს იღებს ხმას და ჩემთან ერთად უყურებს შუქჩამქრალ ბინებს, სანამ ოდნავ ინათებს და იმ ბინებიდან პირველი ადამიანები გამოვლენ, რომლებმაც პირველ ავტობუსებს უნდა დაუქნიონ ხელი და ეზოები დაასუფთაონ... მე მივეჩვიე სხვებთან ცხოვრებას, ვიცი სიყვარული და სიკვდილიც გავიგე, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენ, როგორი უცნაურია ეს მომენტი, როცა ის გვერდით მიჯდება და მაგ დროს ისე ვივსები, რომ სხვა რაღაცის განცდა ან დანახვა შეუძლებელი ხდება. იმიტომ, რომ იგი არის ის პირველად გამოსული ადამიანებიც და პირველი ავტობუსებიც, ჩემი სიყვარულიც და სიკვდილიც, ყველა ომი და ყველა გადარჩენა, არა, ამას მართლა ვერ მოყვები ადამიანი. იმას, რასაც ეგეთ მომენტებში გრძნობ, ვერასოდეს აღწერ იმავე სიზუსტით, რადგან ამის მხოლოდ განცდა შეიძლება... მაგიტომ მინდება ხოლმე მარტოობა, ხვდები?

თავი დამიქნია.

– რომ ის მათხოვარი ღმერთი ისე არასოდეს მოვა, თუ ყველაზე უფრო მარტო არ იქნები, თუ ისე არ გამოგღრღნის მარტოობა, რომ სიკვდილზე ოცნება დაიწყო... როგორ შეგიძლია, ერთი და იგივე აკეთო, როცა იცი, რომ არაფერი გამოვა?

– და ვინ გითხრა, რომ არ გამოვა?

– შენ რა, მართლა გჯერა, რომ ფირსაკრავს აამუშავებ?

– მჯერა, – იატაკს ჩასჩერებოდა.

– ტყუილად გჯერა.

ხმა არ გაუცია.

– ჰო, ტყუილად გჯერა. აღარ ვარგა ეგ ფირსაკრავი, აღარ იმუშავებს, მუსიკაც არ გვექნება, გადააგდე! – წამოვდექი და ფანჯარა გამოვხსენი, – მიდი, გადააგდე!

ხელები ისე შემოხვია, თითქოს წართმევას ვუპირებდი და ამაზე გამეცინა.

ცოტა ხანს ეგრე იდგა, მერე კი ის მოიმოქმედა, რასაც ყველაზე ნაკლებ ველოდი: ფანჯარას მიუახლოვდა და ფირსაკრავი მოისროლა.

– რა გააკეთე? – ვკითხე დაბნეულმა და ინსტინქტურად ფირფიტების შეკვრა ავიღე.

– ხომ მითხარი, გადააგდეო, ხოდა გადავადგე, – რაფას მიეყრდნო.

– მაგრამ შენ ხომ გწამდა, რომ გააკეთებდი?

– არ მწამდა.

– ვერაფერი გავიგე, – საწოლზე დავეშვი. გვერდით მომიჯდა. თმაზე ხელი ჩამომისვა.

– შენთვის ვაკეთებდი ამას, იმისთვის, რომ თავი დაგეღწია მაგ მარტოობისგან, მაგრამ ეტყობა, შენ უკვე გადაგიწყვეტია ყველაფერი...

გაჩუმდა. ერთმანეთს მივაჩერდით. ცოტა ხანს ეგრე ვისხედით. ვუყურებდი და მიკვირდა მისი რეალურობა. ვფიქრობდი, რატომაა, რომ მაინცდამაინც თავად გვიწევს იმის არჩევა, რომელი გზით უნდა წავიდეთ დასასრულამდე-მეთქი, ან თუ ასეა, რაღა მაინცდამაინც ის გზა ავირჩიეთ, რომელიც ნაგვის ურნებსა და უძილობაზე, ჩამოძონძილ ღმერთსა და გაფუჭებულ ფირსაკრავებზე გადიოდა. იქნებ ეს იმის გამო მოხდა ასე, რომ არც ერთს არ გვინდოდა ცხოვრების თავისთავად მიღება და სამივენი ვცდილობდით, „კლასობანაში" მეათე ნომერზე მოგვეხვედრებინა კენჭები. ვხვდებოდი, კარგად მესმოდა, რომ უაზრო ოცნებებს ვებღაუჭებოდით, მაგრამ სხვანაირად არ შეგვეძლო, იმიტომ, რომ თუ ამ რწმენას დავკარგავდით,

იმის აღიარებაც მოგვიწევდა, რომ თავად გამოვიგონეთ და საერთოდ არ არსებობდა ის, ვინც უძილო ღამეებში გვერდით გვიჯდებოდა, რათა ჩვენთან ერთად ეცქირა შუქჩამქრალ ბინებში მშვიდად მძინარე ადამიანებისთვის.

– ვილაც აკაკუნებს, – გამაწყვეტინა ფიქრი კაცმა. არ განძრეულა.

ცოტა ხანში მეც გავიგონე და წამოვდექი. კართან მივედი. კაკუნი არ წყდებოდა. მივაყურადე – ხმა დაბლიდან მოდიოდა. არ გამიხედავს და არც კარი გამიღია. მივხვდი, ვინც იყო. კართან იჯდა და ისე აკაკუნებდა. შემოვტრიალდი და ისევ ოთახში შევედი. კაცი ფირფიტების დასტას ატრიალებდა და თვალებში სიმშვიდე ედგა. ჩავიმუხლე და მისი სახე ხელებში მოვიქციე.

– ორასიო, – ვუთხარი.

– ორასიო, – გავიმეორე.

ორასიო ოლივეირა ისე მიყურებდა, რომ მივხვდი, უკვე იცოდა, რის თქმასაც ვაპირებდი:

– ხულიო დაბრუნდა.

www.lib.ge

ლაშა ბუღაძე

მგლის ცოდვა

– ძლივს ვიშოვე თქვენი ტელეფონის ნომერი... ორი დღეა, გირეკავთ...

– გისმენთ.

(პაუზა)

– აუფ... მერიდება რაღაც...

– რისი გერიდებათ? გისმენთ.

– არ მომერიდოს?

– არა.

(პაუზა)

– ტელეფონში სხვანაირი ხმა გქონიათ...

– ვიცნობთ ერთმანეთს?

– (ეცინება) თქვენ – არა... მე გიცნობთ. ტელევიზორში გნახეთ.

– (უკვე ვიღლები) აჰა... გასაგებია...

(პაუზა)

– ძალიან მომეწონა თქვენი წიგნი.

– მადლობა... რომელი?

(იბნევა – სათაური დააავიწყდა?)

– „მგლის ცოდვა". მეორეჯერ წავიკითხე უკვე...

– მადლობა, გენაცვალე...

– ვის ელაპარაკები? – მეკითხება ცოლი.

– ძალიან ცხოვრებისეულია, ძალიან...

პატარა გოგოს ხმა აქვს. ვერ ვხვდები, რა უნდა: ჩემი გაცნობა? თავისი ნაწერების გამოგზავნა? ასე რეკვა პოეტ გოგოებს ჩვევიათ.

– მადლობა...

(ვფიქრობ, ხომ არ გავუთიშო? ვითომ შემთხვევით)

– მერიდება ამის თხოვნა... ბოდიშს გიხდით წინასწარ...

(გადავრჩით! საქმე ზე გადავიდა!)

– გისმენთ.

– თქვენ არც შეგაწუხებდით, მაგრამ სხვა გზა ვერ ვნახე...

– ვინაა? – ცოლი მიმიკით მეკითხება.

– ბრძანეთ, გისმენთ.

(პაუზა)

– ბაქარ თუხარელის ნახვა მჭირდება ძალიან. იქნებ დამაკავშიროთ რამენაირად, ან ტელეფონი მომცეთ...

(მომესმა?)

– ბოდიში, ვერ გავიგე, ვისი ტელეფონი?

– ბაქარ თუხარელის... გლდანსკის.

(მაშაყირებს)

– ხუმრობთ?

(პაუზა)

– რას ვშვები?

– ხუმრობით ამბობთ?

– არა... რატომ?

– აბა, მე როგორ უნდა გაგაცნოთ ბაქარ თუხარელი? – ცოლს ღიმილით გავყურებ, თუმცა უკვე გაბრაზებული ვარ.

– რა, არ იცნობთ თქვენ ბაქარს?

– გავიცინე, გენაცვალე, მომწონს...

– არა, ბატო...

– უკაცრავად, – ვპასუხობ მკაცრად და ტელეფონს ვკიდებ.

– ვინ იყო?

– ბავშვი ვიღაც. გლდანსკი გამაცანიო.

– რომელი გლდანსკი?

– ჩემი.

– ვა.

(იცინის)

იმ დღეებში ტრილოგიის მესამე ნაწილზე ვმუშაობდი. რაც

შეიძლება სწრაფად უნდა მომეკლა ბოშათა ბარონი და მთავარი გმირები მშვიდობიანად ჩამეყვანა ვალემდე. ამჯერად ერთი მიცვალებული უნდა მეკმარა. მეორე ნაწილმა („მგლის ცოდვამ") რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია გვამების სიჭარბით. დავითვალე კიდეც: ხუთასგვერდიან რომანში 134 გვამია. ჩემს გამომცემელს კი პირიქით, სულ ეცოტავება – ფაქტობრივად ყველა გვერდზე მიცვალებულს მთხოვს. ნამდვილი სისხლისმსმელია. მისი საყვარელი ლოზუნგია: „თითო გვამი ყოველ გვერდზე". როცა „მგლის ცოდვის" ხელნაწერი მივუტანე, არ ვტყუი, ასე მკითხა:

– რამდენია?

ვითომ ხუმრობდა, ამ დროს, მართლა აინტერესებდა.

– რა?

– რა რა, გვამი.

– ბევრი...

– მაინც? – არ მომეშვა.

მისგანვე ვიცოდი: „ღორის ტყავში" – ტრილოგიის I ნაწილში – 86 მიცვალებული მყავდა, ამჯერად მეტი უნდოდა.

– კიდევ ათიც მიამატე, შემთხვევითები, – მთხოვა ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ.

ისევ მიღიმოდა – ეშინოდა, არ დამეცინა. თუმცა მაინც ვიკამათეთ (ესეც თითქოს ხუმრობით), აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ „ღორის ტყავი" სწორედ ამ ოთხმოცდაექვსმა მიცვალებულმა აქცია ბესტსელერად. რა უნდა მეთქვა? იქნებ არ ცდებოდა.

ამჯერად საშინელ სიურპრიზს ვუმზადებდი – „მზის შვილები" (III ნაწილი) პირველი ორი ნაწილისგან სრულიად განსხვავებული იქნებოდა. მეგის თავისი წერილით უნდა გამოესყიდა დანაშაული – სიყვარული უნდა აეხსნა...

იმ დღეებში ორი საზრუნავი მქონდა: მეგის წერილის ტექსტი უნდა დამეწერა და ტყუპები პირველად მიმეყვანა გიტარის მასწავლებელთან (ჩემი ცოლის ახირება).

სადარბაზოსთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. ეცვა ბიჭივით

(ჯინსის შარვალი, ჯინსის ქურთუკი), ქურთუკის ქვეშ – შავი მაისური (მაისურზე – ჩაპლინი). ცერა თითზე – ვერცხლისფერი ბეჭედი.

გამოვედით თუ არა, მაშინვე მომაძახა:

– უკაცრავად!

და ჩვენკენ წამოვიდა. ბრაზიან ლესბოსელს ჰგავდა. თავიდან, საერთოდ, ბიჭი მეგონა. რაღაც უცნაურად დააბიჯებდა, გორილასავით. მხრებშიც მოხრილიყო სიცივისგან მობუზული ქუჩის ბიჭივით.

– ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის, – მითხრა, – მე ის ვარ, ბაქარის თაობაზე რომ დაგირეკეთ გუშინწინ...

მივხვდი, ვინც იყო, მაგრამ მაინც ვკითხე, ინსტინქტურად:

– რომელი ბაქარის?

– გლდანსკის. ტელეფონი გთხოვეთ მაგისი...

– შენი ჭირიმე, რა, – ჩავილაპარაკე გაბრაზებულმა და მანქანისკენ ვუბიძგე ტყუპებს, – სხვა აშაყირე...

– ძმის სულს ვფიცავარ, არაა მასე, – გადამიდგა წინ ხელებგაშლილი, – მაშინაც ეგ მითხარით... უცებ გათიშეთ ტელეფონი, ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარი...

რა ხდება, ფარული კამერა ხომ არაა სადმე? მივიხედ-მოვიხედე.

ტყუპები გაკვირვებულები შემომყურებდნენ.

– რა გინდა, გოგონი? ნაძლევი გაქვს ვინმესთან დადებული? – ცოტაც და უკვე შეურაცხყოფას მივაყენებდი.

– ხომ გაუშვა ბარონმა? მალვაში აღარ არის და... ეგრე გიწერიათ...

გიჟი იყო. უცებ ვიეჭვე. სახეზე ფერი არ ედო, ნერვიულად უთრთოდა ტუჩები. კი არ ღადაობდა – აფრენდა.

ბრაზიც გამიქრა. ჯერ შემეშინდა (ტყუპებს ჩავავლე ხელი), მერე შემეცოდა...

– რა მიწერია? – ვკითხე თითქმის თანაგრძნობით.

მას კი გაეცინა:

– არა, სადმე რო იმალებოდეს-თქო, ძმის სულს ვფიცავარ,

კითხვას არ დავსვამდი, ამას ვამბობ, მაგდენი კი მესმის...

რა უნდა მექნა?

სამოთხრობე ამბავი ჩანდა. სამწუხაროდ, მისი განბილება მომიწევდა.

ტაქტიანად, მეტიც, საკმაოდ თბილად, მამაშვილურად მივუგე:

– მომისმინე, ჩემო კარგო: არ არსებობს ბაქარ თუხარელი. ჩემი მოგონილია ეგ ბიჭი. არც მგლებთან უცხოვრია ოდესმე და არც ქურდად უკურთხებია ბარონს. ბარონიც ჩემი გამოგონილია, სინამდვილეში არც ეგ არ არსებობს.

(პაუზა)

– ბოდიში.

იცით, რატომ მოვუხადე ბოდიში? სახის გამო. ეს ფერმკრთალი სახე კიდევ უფრო გაუთეთრდა. უკან გაიწია (თითქოს შეეშინდა თუ ცუდი სუნი ეცა ჩემგან). უცნაური იყო, მაგრამ როგორც გიჟს, ისე მიყურებდა – შიშით, ირონიითა და სიბრალულით. ანუ ზუსტად ისეთი სახით, როგორიც მე მქონდა ცოტა ხნის წინ, მისი არანორმალურობის აღმოჩენისას.

ასევე დავცილდით. უსიტყვოდ. უფრო სწორად, მე წამოვედი. ის ადგილიდან არ განძრეულა.

მაშინ ვიფიქრე, რომ ეტყობა ორნაირი კატეგორიის გიჟები არსებობენ: ბრძენი გიჟები და მოსულელო გიჟები. ეს, ალბათ, მეორე კატეგორიას განეკუთვნებოდა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ აღარასდროს შემხვდებოდა, თუმცა შევცდი: მეორე დღესაც იმავე ადგილას, ჩემი სახლის სადარბაზოსთან დამხვდა.

– თქვენ მე არანორმალური გგონივართ, – მითხრა, – შპიონივით დაგდევთ. ვინც ცოცხალი და მკვდარი მყავს გარშემო, ყველას დავიფიცებ თუ გინდათ: მართლა სერიოზული საქმე მაქვს მაგ ბიჭთან... წინაზე რომ მითხარით, არ არსებობს მაგიო, მივხვდი, რატომაც, დებილი არ ვარ, პირველი არ მოვსულვარ ეტყობა ბაქარის ტელეფონის საძებნელად... გააგიჟეს, ალბათ... მაგრამ... აუ... არ ვარ ეგ ტიპი... არ მიცნო-

ბს უბრალოდ... როგორ აგიხსნათ...

(გესმით, ხომ?)

ამჯერად რაღა უნდა მექნა? ესღა მოვიფიქრე:

– „სამი მუშკეტერი“ წაკითხული გაქვს?

– რა შუაშია? – თითქოს ეწყინა.

– არა, მიპასუხე, წაკითხული გაქვს?

– კი, მგონი... არ ვიცი...

– „ოთარაანთ ქვრივი?“

– რა?

– სკოლაში არ გაგივლია?

– რატომ მეკაიფებით? – უფრო გამებუტა.

– არ გეკაიფები, გეკითხები...

– რა შუაშია, აბა...

– გისწავლია, საერთოდ, სკოლაში?

– რა, ცოდვაა?

– არა, პირიქით.

– კი, რა მერე?

– ხოდა „ოთარანთ ქვრივი“ არ გაგივლიათ? ან... რა ვიცი... „ოტელო“?

– ...

– ნამდვილი ადამიანები გგონია ეგენი? გგონია, გიორგი მართლა არსებობდა?

– რომელი „გიორგი“?

– შვილი...

– ვისი?

– ოთარის...

– რა?

– ოთარის ქვრივის შვილი...

ღიმილით მიყურებდა, ეჭვი მაქვს, უფრო მეტად და მეტად რწმუნდებოდა ჩემს სიგიჟეში.

იცით, მეწყინა კიდეც, როცა ამას მივხვდი... თუმცა მაინც მოვახერხე და გავიცინე.

– რამდენი წლის ხარ? – ვკითხე.

– ოცის.

(მომატყუა, უფრო პატარას ჰგავდა)

– იცი, საერთოდ, მწერალი რას შვება?

– რას?

– რას და იგონებს. ხომ წაიკითხე „მგლის ცოდვა"?

– კი.

– ჩემი მოფიქრებულია. თავიდან ბოლომდე. მანდ ვინცაა, სინამდვილეში არც ერთი არ არსებობს.

– აბა, რატო წერთ დასაწყისში, ნამდვილი ამბავიაო?

– ტყუილად, ნუ...

(როგორ ამეხსნა?)

ისევ გაეღიმა. სიბრალულით. თანაგრძნობით.

მე კი, ბოლოს და ბოლოს, ფეხებზე დავიკიდე, ბაბუად თუ არა, მამად მაინც რომ ვერგებოდი და ხმადაბლა, მისთვის გასაგები მიმიკითა და დამაჯერებლობით შევაგინე საკუთარ თავს: ასე და ასე მომივიდეს, თუკი ვტყუოდე და ბაქარ თუხარელი რეალურად არსებული ადამიანი ყოფილიყოს-მეთქი.

არ მომჩვენებია, შეკრთა. ენა ჩაუვარდა. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით... უცებ ისევ ეჭვიანად მოწკურა თვალები:

– ტუზი უნდა დაერტყა, დამალვა აღარ მოუწევდა...

(ავტოგინებამ არ გაჭრა!)

მაშინვე მივხვდი – მეჩვიდმეტე თავის „კაზინოს ეპიზოდს" გულისხმობდა: ბაქარი ჯოკრით უკლავს ნერონ ფილფანს ჯვრის ვალეტს, მის ტუზს კი მეორე ჯოკრით კლავს ბარონი.

ამ გოგომ თავი შემაზიზღა: ნეტა მართლა დავეცინე! რა საშინელება ყოფილა „ბრმად მორწმუნე მკითხველი"! რაც უნდა მომებოდა ჩემს წიგნში, ყველაფერს დაიჯერებდა.

არ ჯერა და ნუ ჯერა. რა ვქნა!

გადარწმუნება ვერ მოვახერხე, მაგრამ როგორმე ხომ უნდა მომეშორებინა? სხვა გზა არ მქონდა – ჩემი პერსონაჟის რეალურობა უნდა მეღიარებინა.

წერტილის დასმა იყო საჭირო. მშვიდად, აუღელვებლად, ირონიის გარეშე...

აი, ასე:

– კარგი. რა გაეწყობა... გეტყვი...

(პაუზა)

– არ ვიცი, სად არის. თვეზე მეტია, არ შემხმიანებია.

ღმერთო, როგორ ამოისუნთქა, როგორი შვებით... ეს წამები არასდროს დამავიწყდება.

– გაყიდა ის ოპელ-ვექტრა? – მკითხა საქმიანად, დაღლილი შეთქმულივით.

მე თავი დავუქნიე.

– მეგიმ დაურეკა?

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა – ჩემი ბაქარ თუხარელი, ჩემი ბაქარ გლდანსკი უყვარდა. ყველაზე მეტად ამ შეკითხვის დასმის ეშინოდა, მაგრამ მაინც მკითხა.

ალბათ, როგორ უცემდა საწყალს გული!

არც კი ვიცი, რანაირად ვთქვა – უაღრესად კრეტინული სასწაულის მოწმე გახლდით: ჩემ წინაშე მდგომი, სავსებით ცოცხალი თინეიჯერი ჩემი რომანის მთავარი გმირის შეყვარებულზე ეჭვიანობდა.

ესეც სარომანე ამბავი იყო, მე მოვკვდე.

შემეცოდა. ვიფიქრე, დავზოგავ.

– არა, არ დაურეკავს, ედიშერა ჩავიდა ზუგდიდში.

ვერ ვიტყვი, ამ ცნობამ გაახარა-მეთქი – ედიშერა ჩემს მეგიზე ნაკლებ სახიფათო როდი იყო („ღორის ტყავში“ სწორედ მან ესროლა „გლდანელს“ სამი ტყვია, რადგან სანამ ბაქარი ცოცხალი იქნებოდა, მანამდე ედიშერას ქურდად ნათლობა არ შედგებოდა), მაგრამ შევატყე, მაინც დამშვიდდა.

მხოლოდ ეს მკითხა:

– აბა, ორი წუთის წინ რომ დაიგინეთ, არ არსებობსო?

მართალი იყო: ჩემს ავტოგინებას დაებნია – არც ეგ და არც ჩემი ბაქარ გლდანელი არავითარ შემთხვევაში არ წარმოთქვამდნენ ამ მომაკვდინებელ „ფიცს“, თუკი დარწმუნებულები არ იქნებოდნენ თავიანთ სიმართლეში. მე კი რა ვქენი? უპატიებელი ცოდვა ჩავიდინე (ბოშათა ბარონი სილასაც გამაწნ-

ავდა ამის გამო): ავტოგინება შევბღალე, გავაუფასურე, ეჭვქვეშ დავაყენე...

ალბათ, ვერ აეხსნა, როგორ მენდო ბაქარი ასეთ მერყევ, არათანმიმდევრულ და მატყუარა კაცს? ჩემნაირს როგორ ჩააწერინა, როგორ მოუყვა თავისი ამბები?

არ ვიცი, ამ თუ სხვა მიზეზით, მაგრამ რაღაცნაირი ზიზღით შემომხედა – თითქოს ისევ ცუდი სუნი ეცა ჩემგან.

დავაეჭვე და ნერვები აეშალა.

თან ხომ არ გადავყვებოდი ამ ბავშვს!

ხმა არ ამომიღია, სრულიად იდიოტურად გავუღიმე და ჩემს გზაზე წავედი. ისევ დარწმუნებული ვიყავი, რომ ვეღარასდროს ვნახავდი.

ეს ამბავი – თუ როგორ ირწმუნა ერთმა გოგომ ჩემი რომანის გმირის არსებობა – კარგა ხნის მერე, ლიტერატურულ რადიოგადაცემაში სტუმრობისას მოვყევი.

– არა მგონია, ასეთი გულუბრყვილო ყოფილიყო, – ეჭვობდა გადაცემის წამყვანი (სხვათა შორის, თავადაც რომანისტი), – არანორმალური იქნებოდა... გიჟი...

– თავიდან მეც ასე მეგონა, თუმცა მერე მე თვითონ არ დამაკმაყოფილა ამ ვერსიამ, განსაკუთრებული ექსპონატი გახლდათ, ასეთი მიამიტი მკითხველი არასდროს მინახავს... თოთო ბავშვივით მიმნდობი იყო...

თითქმის მთელი გადაცემის დრო ჩემი თინეიჯერი-მკითხველის გულუბრყვილობის დამტკიცებაში გავხარჯე. მართალია, ვიცინოდი, მაგრამ გამოგიტყდებით, გავბრაზდი კიდეც: იმას ჩემი ბაქარის არარსებულობის არ სჯეროდა, ამას კი – გულუბრყვილო მკითხველების არსებობის...

არ მესმის, ან პირველის არდაჯერებას რა დიდი შრომა სჭირდებოდა, ან მეორეში ეჭვის შეტანას?

– ასეთი რაღაც მარტო უწიგნურს მოუვა, – მოგვახსენა ერთ-ერთმა მსმენელმა (გადაცემაში სატელეფონო ზარებსაც უშვებდნენ), – როგორც ჩანს, პირველი წიგნი, რომელიც თავის ცხოვრებაში წაიკითხა, თქვენი რომანი იყო.

კი ბატონო, არც ესაა გამორიცხული. მერე რა?

– ან იქნებ სწორედ ესაა იდეალური მკითხველი? – მსჯელობას მოჰყვა ვიღაც ქალბატონი, – იქნებ ოდესღაც სწორედ ასე კითხულობდნენ სამყაროს პირველ წიგნებს? და აჰა, გამოჩნდა უმანკო მკითხველი, ერთგვარი მკითხველი-ქალწული, ჩვენ კი, სკეპტიკოსებს, ინტელექტით გარყვნილ მწიგნობრებს ის ფსიქიურად შეშლილი გვგონია...

მოკლედ, ამ კონკრეტულმა შემთხვევამ, ზოგადად, ჩვენი საზოგადოების განათლებისა თუ გაუნათლებლობის თემამდე მიგვიყვანა. როგორი გულუბრყვილოც ან არანორმალურიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი ბაქარის თაყვანისმცემელი, ერთ რამეზე ყველანი ვთანხმდებოდით: ეს გოგო ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებოდა სრულფასოვან მკითხველად – სრულიად შეუძლებლად მივიჩნიეთ, რომ წიგნს ამდენად დიდი გავლენა მოეხდინა წიგნიერ ადამიანზე.

– ეს ეპიზოდი რომანში უნდა ჩასვათ, – მითხრა წამყვანმა გადაცემის დასასრულს.

რომანის? არა მგონია.

ვფიქრობ, უფრო სამოთხრობე თემაა.

ყოველ შემთხვევაში, თუ დავწერ, ასე დავასრულებ:

ამ გოგოს ისევ ვნახულობ (სადღაც, ხალხმრავალ ადგილას – სადგურში, დემონსტრაციაზე, აეროპორტში, სტადიონზე), ოღონდ ამჯერად მე ვუთვალთვალებ, თვითონ ვერ მხედავს. გვერდით ახალგაზრდა კაცი უდგას (თუ უზის?). კაცს შავი თმა აქვს, მტევანზე – ტატუ, სახეზე ყვითელი ფერი ადევს (C ჰეპატიტითაა ინფიცირებული). მე შოკში ვარ: ეს ბაქარ თუხარელია. იგივე გლდანსკი. ჩემს რომანში ასე მყავს აღწერილი.

კრებული „ერთზე მეტი ორზე ნაკლები“

თეონა დოლენჯაშვილი

პერსონალური ქრისტე

Your own personal Jesus
Someone to hear your prayers
Someone who cares
Someone who's there...

Depeche Mode, „Personal Jesus"

დაესიზმრა – თითქოს უზარმაზარი თავი ება და ამის გამო ვერც მანქანაში ჯდებოდა და ვერც თავისი ახალი ბინის სადარბაზოში შედიოდა. საკუთარი ოფისის მაღალი, ელექტრონული კარის ოთხივე მინა სევდიანად ირეკლავდა მის წარმოუდგენელი სისწრაფით მზარდ თავს, რომელიც ამიერიდან არსად, არცერთ შენობაში არ შეეტეოდა და ამგვარად უსახლკარობისა და სამუდამო მარტოობისთვის იყო განწირული.

რომ გაიღვიძა, ცხადშიც ისევე იგრძნო ნაბახუსევისგან ატკივებული და თითქოს მართლა გაზრდილი თავის მასშტაბები. ახლაღა აღმოაჩინა, რომ გვერდით ბიზნესფორუმის წვეულებიდან გამოყოლილ ქალს ეძინა, რომელსაც წარმატებით შეეთავსებინა როგორც საქმიანი, ისე სექსუალური პარტნიორის ფუნქცია. როგორ და როდის შეთანხმდნენ ამ მეორეზე, არ ახსოვს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა და მისი სუნთქვა რომ არა, ოთახშიც ისეთივე სიჩუმე იდგებოდა, როგორც სიზმრის უცნობი არქიტექტორების მიერ დაპროექტებულ ქუჩებში. საათზე დილის ცხრა იყო, კალენდარზე – კვირა

დღე, გარეთ – უცხო ქალაქი. თოვდა და თოვლის პატარა დაკრისტალებული ფანტელები გულგრილად ეხლებოდა სასტუმროს ფართოშუშიან ფანჯრებს.

ქალის გაღვიძება და მისი ძალადვნებიანი კვნესის გაგონება არ სურდა. ამიტომ თითქმის ფეხაკრეფით წამოდგა და შხაპის ორთქლში გაბუნდოვნებული და აბაზანის სარკიდან დანახული საკუთარი ნამძინარევი, ნაკვთებმოშვებული ორეული ლამის ზიზღით შეათვალიერა. აბაზანიდან გამოსულმა სწრაფად ჩაიცვა და იმ იმედით, რომ საღამოს ნომერში დაბრუნებულს ქალი აღარ დახვდებოდა, კარი ქურდივით ჩუმად გაიხურა. სასტუმროს რესტორანში შესულმა შვებით ამოისუნთქა, სიგარეტს მოუკიდა და რადგან ირლანდიელებსა და შოტლანდიელებს შორის გამართულ ვისკის მრავალწლოვან ომებში გამარჯვებული მისთვის შოტლანდიური დალმორი იყო, სწორედ ის შეუკვეთა. ნამდვილი მარტოობის დროს არასდროს შველოდნენ ქალები. სასმელი! აი, რა ხდიდა ყველაზე კარგად.

თვითმფრინავის ბილეთი თანაშემწეს შემდეგი დღისთვის დაეჯავშნა. მთელი დღე ნინ ჰქონდა და საქმე – თითქმის არაფერი. სვამდა და ძარღვებში ნელ-ნელა სასიამოვნო სითბო უჯდებოდა. ბოთლი უკვე სანახევროდ დაეცალა, ტელეფონმა რომ დარეკა. ყოფილი ცოლი რეკავდა, როგორ ხარო. იქვე ბავშვების ხმა ისმოდა. უმცროსი გოგო ტელეფონს დასწვდა და უცნაური რამ უთხრა:

– მალე ჩამოდი რა, მამა. აპოკალიფსია გამოცხადებული.

– რას ამბობ? რა არის?

– რა და აპოკალიფსი! სამყაროს დასასრული...

– რა სისულელეა, საყვარელო. ეგ ვინ გითხრა?

– ვინ და ტელევიზორში თქვეს. 21 დეკემბერს არის გამოცხადებული. ზეგ!

ცოლზე გაბრაზდა. ეს რა სისულელეებს ასმენინებს ბავშვებს.

– მომისმინე, ნინი. რასაც ტელევიზორში ამბობენ, ყველაფერი სიმართლე არ არის.

– არა, ეს არის. სკოლაშიც თქვეს მასწავლებლებმა.

ცოლზე ბრაზმა უმატა. ეს მისი იდეა იყო ბავშვები იმ სირეებით სავსე სკოლაში შეეყვანა.

– ჩემი ხომ გჯერა? არავითარი აპოკალიფსი არ იქნება!

– მჯერა. ჰოდა, მალე ჩამოდი. უშენოდ სამყაროს დასასრულის ნახვა არ მინდა.

ტელეფონი გათიშა და კიდევ ერთი ჭიქა დაისხა. მოუსვენრობამ შეიპყრო. გულდამძიმებულს მოეჩვენა, რომ უამრავი საქმე ჰქონდა და ის კიდევ ძვირფას დროს ტყუილად ფლანგავდა. „საქმის გარდა მართლა აღარაფერი მახსოვს. და ძალიანაც კარგი. თავისუფალი დრო არ უნდა მქონდეს, არაფერში მჭირდება ეს საკუთარ თავთან დარჩენის აუტანელი წუთები", – გაიფიქრა და კიდევ ერთი ჭიქა გადაკრა. მერე პალტო მოიცვა და ქუჩაში გამოსულმა სახე ცივ ნიავს შეუშვირა.

გარეთ ფიფქის ცვენას ემატა. საშობაოდ მორთული ქალაქის ქუჩებში მიაბიჯებდა და რამდენჯერმე ისიც კი მოეჩვენა, რომ ხალხი შობის ნაცვლად წარღვნისთვის უფრო ემზადებოდა, ისე გაცხარებული და დაძაბული შესეოდა შოპინგ ცენტრებსა და ჰიპერმარკეტებს. რიჩმონდის პარკის შესასვლელთან გაჩერდა. თბილ პლედებში გახვეული სიმებიანი კვარტეტი საშობაო მელოდიებს უკრავდა. სარეკლამო ბილბორდებზე არმაგედონის თემაზე შექმნილი სახუმარო კალენდარი ტრიალებდა: 12 თვე – 12 აპოკალიპტური მოვლენა – გლობალური გამყინვარება, გლობალური დათბობა, ინფექციები, მიწისძვრები, უცხოპლანეტელთა შემოსევა, ბირთვული ომი, მეტეორების წვიმა...

პარკში შევიდა. ნელა მიაბიჯებდა. მოსწონდა ფეხქვეშ რბილად ცვალებადი მიწა, ნისლიდან ამოზრდილი მოულოდნელი ხეები. „ამ ორ დღეში მართლა რომ დასრულდეს ყველაფერი, – გაიფიქრა, – რამდენი საქმე დამრჩება დაუმთავრებელი..." გაახსენდა მშობლები, რომლებთანაც ასე ცოტა დროს ატარებდა, შვილები, რომელთაც მისი მოუცლელობის გამო მუდმივად აკლდათ მამა... ქალი, რომელიც დაკარგა და ახლა მხო-

ლოდ სიზმარში თუ იხსენებდა მისი თვალის ფერს და სხეულის სითბოს. ფიფქები უკანასკნელი რომანტიკული წერილებივით ცვიოდა და ადნებოდა სახეზე, მისი სადღაც ზემოთ ასული, შენახული და ახლა ასე სწრაფად მდნარი სიტყვები, რომლებიც უნდა ეთქვა და ვერ თქვა.

„ორი ადამიანის ურთიერთობა ძალადობაა, – გაიფიქრა, – სიყვარული ძალადობაა, სისასტიკეა, შიშია. სხვა ადამიანთან გახსნილად ყოფნის შიში“.

პალტოს ჯიბეში ისევ ტელეფონი აწკრიალდა. ამჯერად კომპანიის აქციონერთა საბჭოს წევრი და ძველი მეგობარი ურეკავდა. რაღაცნაირად დაძაბული ხმა ჰქონდა.

– როდის ჩამოდიხარ?

– ხვალ საღამოს მოვფრინავ. რა ხდება?

– ისეთი არაფერი... გავკოტრდით, – ამ სიტყვებს არაადეკვატური სიცილი მოჰყვა. რატომღაც უკბილოდ ხუმრობდა.

– წუხელ ბევრი დალიე?

– დავლიე კი არადა... მართლა გავკოტრდით.

– ვერ გავიგე.

– ჰო... ცოტა ძნელი გასაგებია. აქციონერთა ნახევარზე მეტმა აქციები გაიტანა. ყველას გააქვს. ნამდვილი ისტერიაა.

– რაა? ხუმრობ?!

– არა. არ ვხუმრობ. შენ მანდ ჭურში ხარ, არა? შეიშალა სამყარო.

– რა ხდება? – მოსმენილის გააზრებას ცილობდა.

– აპოკალიფსი! – ისევ სიცილი და ცუდად დაფარული შიში.

– რა აპოკალიფსი?! ვერ არიან? ყველა ერთად როგორ გაგიჟდა...

– ჯერ მაიას ტომის კალენდარი, მერე რამდენიმე შეშლილი მეცნიერი, ასტროლოგები, შარლატანები, სატელევიზიო ისტერია... და აი... შედეგიც მივიღეთ. მანდ არაფერი იგრძნობა?

– რა უნდა იგრძნობოდეს? არმაგედონის მოლოდინი?

– ალბათ... არ ვიცი..

– რა აბსურდია! გაივლის ორი დღე და უკან მოგვაწყდებიან.

– ჰო... – პარტნიორის თანხმობას თავდაჯერება აკლდა.

პარკიდან გამოსულმა ქალაქს სხვა თვალით შეხედა. სწრაფად მოძრავ ქუჩებში ხალხი ირეოდა. ახლაღა შეამჩნია მათი თვალებგაფართოებული სახეები, შიში და, ამავე დროს, უცნაური სიმსუბუქე. სამყაროში მართლაც შეცვლილიყო რაღაც. როგორც ჩანს, კაცობრიობას მიზეზი მიეცა, მხრებიდან მოეხსნა მარადიულობის ტვირთი. დასასრულის სიახლოვე მომავლისგან გვათავისუფლებს. ჩვენ ხომ ისე ვცხოვრობთ, რომ გვგონია, არასდროს მოვკვდებით და ამიტომ საერთოდ არ ვცხოვრობთ. ახლა კიდევ აპოკალიფსის მოლოდინით შეცვლილი ადამიანები მთელი ცხოვრების ჩატევას ორ დღეში ცდილობდნენ.

ბანალურია, მაგრამ სასტუმროსკენ მიმავალს რამდენჯერმე შემოესმა ტაძრებიდან ზარის რეკის ხმა. ეკლესიური არასდროს ყოფილა და მით უმეტეს ახლა ტაძარში შესვლა ნამდვილ ფარისევლობად მიიჩნია.

სასტუმროში აბრუნდა. ნომერში, რა თქმა უნდა, აღარავინ იყო. მხოლოდ ორი მარტივი წინადადებისგან შემდგარი ტრადიციული წერილი დახვდა. პირველი წინადადება ნაწყენ და მიტოვებულ ქალს ეკუთვნოდა: „ლაჩარი ხარ!“, მეორე – აპოკალიფსს: „უფალმა შეგინდოს.“

ამოიოხრა და მინიბარი გამოაღო, საიდანაც ვისკის ახალი ბოთლი ამოაძვრინა. ტელევიზორი ჩართო. ალბათ უფრო მძიმე შეგრძნებების გასაფანტად. „ბიბისის“ საინფორმაციო გამოშვებაში ათასობით უმსხვილეს გაკოტრებულ კომპანიაზე საუბრობდნენ. პირდაპირ არავინ ამბობდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ მათი მმართველობის ეპოქა დასრულდა, სამყაროს კორპორაციები აღარ მართავდნენ. ძალაუფლება მთლიანად ეკლესიისა და სამღვდელოების ხელში გადასულიყო. „და რა განსხვავებაა ჩვენ შორის? – სევდიანად გაიფიქრა, – რა თქმა უნდა, არავითარი. სამყაროში მთავარი ფულია და ვის ხელშიც გადავა, მმართველიც ის ხდება. მაგრად ტექნიკურად კი ააგორეს ანაფორიანებმა... რა თქმა უნდა, ამ „აპოკალიფსის“ შემდეგაც კარგა ხანი ასე დარჩება“.

სასმელი დაიმატა, რომელიც სწრაფად მოეკიდა. მოითენთა... ასე სჯობდა... ოდესმე ხომ უნდა დაევიწყებინა ეს ინფორმაციულად მოწამლული სამყარო... ცოტაც და, ჩათვლემდა. ამიტომ ჯერ ვერ მიხვდა, კარზე კაკუნის ხმა მისი არეული სიზმრიდან იყო, თუ ცხადიდან. წესით, სიზმრიდან უნდა ყოფილიყო, რადგან არავის ელოდა, მაგრამ ხმა არ შემწყდარა და ისიც თანდათან გამოფხიზლდა...

ზღურბლზე დაახლოებით მისი ასაკის კაცი იდგა. გრძელი, უკან შეკრული თმით, მოშვებული წვერითა და მუხლზე გადახეული ჯინსებით ვუდსტოკიდან გადმომხტარ მომღერალს წააგავდა. გაკვირვებულმა შეამჩნია, რომ ამ ყინვასა და სიცივეში კაცი ფეხშიშველა იყო. და რომ.. რაც ყველაზე უცნაურია... ზურგზე უზარმაზარი ხის ჯვარი ეკიდა. და მაინც როგორ მოხვდა ეს შეშლილი მაწანწალა ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, სადაც უკითხავად ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა და კლიენტთა სიმშვიდეზე სანიმუშოდ ზრუნავდა სასტუმროს დაცვა.

იდგა და გაკვირვებული უცქერდა. კაცმა კი, ვითომ არაფერრიაო, გაუღიმა და ოთახში უკითხავად შემოაბიჯა. შესასვლელთან ჯვარი მხრებიდან მოიხსნა, იქვე კედელთან ფრთხილად მიაყუდა, მაგიდასთან დაჯდა და თავისი ღრმა ცისფერი თვალებით ახედა.

– გამარჯობა, ნიკოლოზ. როგორ ხარ?

– გამარჯობა. ვიცნობთ ერთმანეთს?

– მე გიცნობ.

– მე არ გიცნობ. ვინ ხარ?

– შენი პერსონალური ქრისტე.

– ქრისტე?

– ჰო.

– ვინ?!... და ახლა უნდა დაგიჯერო?

– მტკიცებულებები გინდა? აი...

კაცმა ხელისგულები ამოატრალა და ნიკომ სამსჭვალისგან დატოვებული ორი სისხლიანი ღრმული და იქიდან გამომზირალი გულისმომწველი სიცარიელე დაინახა.

– ეს რაა..? – ძალა მოიკრიბა. საუბრის უნარიც კი წართმეოდა

– ჭრილობებია. შენთვის.

ნიკოს იმავე ჭრილობების დასანახად შიშველი ტერფებისკენ თვალის გაპარება მოერიდა, რადგან იგრძნო, რომ კაცი მართალს ამბობდა.

– და რა გინდა? – გულზე რაღაცამ მძლავრად მოუჭირა.

– არაფერი. ვიფიქრე, რომ მარტო ხარ და ხმის გამცემი გჭირდება. ასე არ არის?

– არ ვიცი... – ერთიანად ძალაგამოცლილი მაგიდასთან დაეშვა. მოეჩვენა, რომ დიდ, განათებულ სცენაზე მოამწყვდიეს, სადაც ყველა გასასვლელი ჩაკეტილია. რაღაც მნიშვნელოვანი როლი დააკისრეს და იმის შიში, რომ არაფერი შეეშალოს...

– ნურაფრის გეშინია... დასახმარებლად მოვედი. შეგიძლია მელაპარაკო, როგორც მეგობარს.

ნიკო შეეცადა გაეხსენებინა, როდის ელაპარაკა ბოლოს მეგობარს. სამწუხაროდ, ვერ გაიხსენა. ვერც საუბარი და ვერც მეგობარი.

– თუ გინდა მე გაგახსენებ: ბოლოს ალექსანდრე იყო ასეთი. და ახლა სად არის?

– ალექსანდრე მკვდარია...

– თქვენი ბოლო საუბარი გახსოვს?

– რაღაცები მახსოვს, რაღაცები არა...

– კომპანიიდან რა მიზეზით გაუშვით, ის ხომ გახსოვს?

– რა თქმა უნდა. ძალიან მნიშვნელოვანი გარიგება ჩაშალა.

– ჩაშალა თუ ჩაეშალა?

– გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭომ მიიღო..

– და ეს წერილი? – სტუმარმა ჯინსის ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ნიკომ მეგობრის მიერ შვიდი წლის წინ დაწერილი წერილი იცნო.

– მაშინ კარგად არ მოუსმინე. არც წერილი წაგიკითხავს დიდი გულისყურით. უკვე სხვა პროექტს იწყებდი და არ გეცალა...

– წავიკითხე. ეგ თვითმკვლელობის წინ დაწერილი წერილია. მე აღარაფერი შემეძლო...

სტუმარი მოულოდნელად მაგიდაზე დადებულ მის ციფრულ პლანშეტს დასწვდა, სადაც დატვირთული დღის გრაფიკს და საქმიან შეხვედრებს იწერდა. და ვიდრე ნიკო რამის თქმას მოასწრებდა, შიგ რაღაცების მონიშვნა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ თავი აიღო და უთხრა:

– სამწუხაროდ, ნამდვილი კრიზისი გაქვს.

– კომპანიაში აქამდე ყველაფერი წესრიგში იყო. თუმცა დღეს...

– არა. ეგზისტენციურ კრიზისს ვგულისხმობ. იქნება საკუთარი სულის კრიზის-მენეჯმენტზეც გეზრუნა?

– და კონკრეტულად რაზე? – გაღიზიანდა.

– კონკრეტულად? კარგი... ვთქვათ... აი, ეს პატარა... იცნობ?

სტუმარმა პლანშეტს დააწკაპუნა და ნიკოს ბავშვის ფოტო დაანახა. ნიკო ფოტოს პირველად ხედავდა და ვერ გაეგო, როგორ მოხვდა მის სამუშაო ფოლდერებს შორის. სურათზე ქერათმიანი და სიფრიფანა სამიოდე წლის ბავშვი იდგა და ოდნავ დაელმებული ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ობიექტივს.

– არა. რატომ უნდა ვიცნობდე?

– იმიტომ, რომ შენი შვილია.

– ჩემი???

– ჰო. 2008 წლის აპრილის ბოლო გახსოვს?

ნიკოს კარგად ახსოვდა 2008 წლის აპრილიც, მაისიც და ივნისიც. განსაკუთრებით ივნისი, რადგან ივნისის დასაწყისში ის და ანა ერთმანეთს დაშორდნენ. ანამ უთხრა, რომ მისგან ბავშვს ელოდებოდა. ღია კაფეში ისხდნენ. ნიკოს თავზარი დაეცა და შესაბამისად, სულ რაღაც თხუთმეტ წუთში გადაწყვიტეს, რომ ანა ბავშვს მოიშორებდა. შემდეგ ნიკო საქმიან შეხვედრაზე წავიდა, ანა – გინეკოლოგთან. მას შემდეგ ანა აღარ უნახავს. მხოლოდ ერთადერთი წერილი მიიღო ელექტრონულ ფოსტაზე. სადაც ორიოდე წინადადება ეწერა:

„ბავშვი აღარ არსებობს. ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა". ნიკოლოზი ანასთან შეხვედრას რამდენჯერმე ეცადა, მაგრამ ამაოდ. მას არც მის სატელეფონო ზარებზე უპასუხია, არც წერილებზე...

– ანა? – იკითხა ფერდაკარგულმა

– კი...

– და რატომ მომატყუა?

– იმიტომ, რომ ასე გინდოდა...

თავი ხელებში ჩარგო. ეს სიზმარს ჰგავდა. სიზმარს ცხადში. მისი გონება გამოსავალს ეძებდა და უცებ განათდა! ეს კაცი ხატად ღვთისა თუ ძე ღვთისა... მოკლედ, როგორც უწოდებდნენ, ეკლესიამ გამოუგზავნა. ისევე, როგორც მისი კომპანია უგზავნიდა კლიენტებს კერძო აუდიტს.

სტუმარი ისევ მის წარსულში იქექებოდა და ნიკო თავისი ცხოვრების სხვა ცნობილი თუ უცნობი ამბის მოსასმენად მოემზადა.

– და ეს?

მონიტორზე ამჯერად კორპორაციის კადრების განყოფილების რეპორტი ჩანდა. ნიკოს ბრძანებით, ბოლო წელს თანამშრომელთა რაოდენობა 30 პროცენტით შეამცირეს. ეს ხალხი მისთვის უბრალო სტატისტიკა იყო. მაგრამ სტუმარს ახლა ამ გვარების გასწვრივ მათი ადამიანური ისტორიები მიეწერა. ბედის შემდგომი განვითარება – აქ იყო ულუკმაპუროდ დარჩენილი ოჯახები, დაშორებული წყვილები, განათლებას და საჭმელს მოკლებული ბავშვები, მოკლედ, ერთობ სევდიანი ამბები...

– ეს ბიზნესია. სხვა გზა არ მქონდა? რა უნდა გამეკეთებინა?! – აღშფოთდა ნიკო, – გამოდის, რომ რადგან მმართველი ვარ, ამიტომ ამ ყველაფერში ბრალდებული და დამნაშავეც მე ვარ?

– არა. ეს მხოლოდ იმისთვის, რომ იცოდე, რას ნიშნავს იყო მმართველი და პირველი. და რომ არაფერი იკარგება და ყველა სიტყვას მოყვება თავისი ექო, ყველა საქმეს – შედეგი. შენ ძა-

ლიან მოუცლელი ხარ იმისთვის, რომ ამ შედეგებზე იფიქრო... ისინი კი უამრავია და დროთა განმავლობაში იმდენი დაგროვდა, რომ უკვე უმართავიც გახდა.

– და ამ ხალხს... ამდენ მშიერს როგორ ვუშველო? მით უმეტეს, რომ თურმე გავკოტრდით..

– ჯიბის ფული ხომ დაგრჩა? იმდენი, ხუთ პურს და ორ თევზს რომ იყიდის. ჰოდა, ეცადე, ყველა მშიერზე გაანაწილო..

ნიკომ ამ სიტყვების აზრი კარგად ვერ გაიგო, მაგრამ ახლა ფიქრის დრო არ ჰქონდა, რადგან სტუმარმა კიდევ ერთხელ დააწკაპუნა და მონიტორზე საპრეზენტაციო სქემებად, ანგარიშებად, საქმიან რეპორტებად გამოთვლილი ნიკოს ყოველდღიური და საქმიანი ცხოვრება გამოისახა, სადაც აქამდე უმნიშვნელო მოვლენებს, დეტალებსა და ათასგვარ წვრილმანსაც კი ახლა უდიდესი მნიშვნელობა შეეძინა. ნიკოლოზის გასაკვირად, განსაკუთრებით მძიმე შედეგები მის გულგრილობას, კონფორმიზმს, სიჩუმეს, თუ უბრალოდ, უყურადღებობასა და თვალის არიდებას გამოეწვია.

სტუმარი თავის უფსკრულივით უძირო და ფართოდ გახელილ თვალებს არ აშორებდა. ნიკო კი დაძაბული ცდილობდა, ერთი ახლობელი ადამიანი მაინც გაეხსენებინა, რომელიც მას ახლა დაეხმარებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ამ სამყაროში თანამგრძნობი არ ჰყავდა. რომ ყველანი მისნაირები იყვნენ. უმალ საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტებოდნენ, მასავით მოუცლელობას მოიმიზეზებდნენ და გასამხნევებლად ბეჭზე ხელს უგულოდ დაუტყაპუნებდნენ. აქამდე უცნობმა ძრწოლამ შეიპყრო, რადგან მთელი სიცხადით იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში კარგა ხნის წინ დამდგარიყო მისი პირადი, პერსონალური აპოკალიფსი – სრული და აბსოლუტური მარტოობა.

– მარტო არ ხარ, – გაუღიმა სტუმარმა და ნიკო უცებ დაიხუჭა, რადგან მისგან წამოსულმა სინათლემ თვალი მოსჭრა, – მარტო არ ხარ... იცოდე, რომ ვისაც უყვარდი, ისევ გელოდება.

ნიკო კარგად ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა სტუმარი. ანას, მის ცხოვრებაში კვალდატოვებულ რომელიმე, ახლა

ასე რთულად გასახსენებელ ადამიანს თუ საკუთარ თავს, მაგრამ ვერც ამჯერად ჩაეკითხა, რადგან სტუმარი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. თავისი ჯვარი მოიკიდა, რომლის სიმძიმემ ცალი მხარი ფრთამოტეხილი ფრინველივით ჩამოუგდო. ოთახიდან გასვლისას კიდევ ერთხელ გამოხედა. მისმა გამჭოლმა მზერამ კვლავ ნიკოს მიღმა გაიარა და ახლა მან უცნაური სტუმრის თვალით სასტუმროს ძვირფასი ლუქსი, საკუთარი თავი და თავისივე მძინარე ორეული დაინახა.

„სიზმარი ყოფილა“, – დაასკვნა ერთდროულად სევდითა და სიხარულით და თვალები მოიფშვნიტა. ოთახში მარტო იყო. ყველაფერი ისე უძრავი და გაყინული ჩანდა, როგორც უცნობი არქიტექტორებისგან დაპროექტებულ სიზმარში. სანოლზე ვისკის დაცლილი ბოთლი ეგდო, მაგიდაზე – საქმიანი წერილებით სავსე პლანშეტი. კედელზე მონოტონურად ზუზუნებდა პლაზმა. გარეთ ისევ თოვდა და თოვლის წვრილად დაკრისტალებული ფანტელები გულგრილად ეხლებოდა სასტუმროს ფართოშუშიან ფანჯრებს. ნიკო წამოდგა, გამოსაფხიზლებლად პირზე წყალი შეისხა და ფანჯრიდან გადაიხედა. გაშეშდა – ვრცელ და დათოვლილ ქუჩებში ფეხშიშველა მიაბიჯებდა ზურგზე ჯვრებმოკიდებული მილიონობით პერსონალური ქრისტე.

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“

თამუნა ერგემლიძე

ნამსხვრევი

დილით აღარ მოთოვს. ქუჩებში თოვლი კოჭს ასცდება და ნაძვის ხის ტოტებს შეეყინება. აბაზანის პატარა ფანჯრიდან ლამპიონებჩამორიგებული შავ-თეთრი ხიდი გამოჩნდება, რომელსაც ფანჯრის მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებული მოგრძო სარკე დაორთქვლამდე აირეკლავს. ოხშივარიან აბაზანაში ჩაწოლამდე სიცივისგან ახორკლილი შიშველი ტანით სარკესთან დავდგები და სარკის ზედაპირს მარჯვენა ხელისგულის ერთი მოსმით ჩავწმენდ.

მომინდება, ვიბანაო ისე, როგორ ფილმებში – სურნელოვანი წყლით სავსე თეთრი აბაზანა, თაროებსა და მარმარილოს იატაკზე – სანთლები, ბროლის ჭიქაში – ღვინო, საკიდზე – გახამებული ხალათი. აბაზანა იქნება ძირისძირობამდე გახეხილი, მაგრამ არა – ქათქათა, თაროებზე – ჰიგიენის აუცილებელი საშუალებები, იატაკზე – აცვენილი კაფელი და საკიდზე – ორნამენტებგაცრეცილი ჩემი ლურჯი პირსახოცი.

იქნება კვირა დღე და ჩემი აწრიალებული გონება გამალებით იფიქრებს შენზე, რადგან ეს შენი ჩემთან არყოფნის ერთადერთი დღე იქნება. ამ ხარკს – კვირა დღეს – ისევ ტუჩებდაკვნეტილი მორჩილებით გადავუხდი შენს ოჯახს და თავს ისევ პირობას მივცემ, რომ პირველივე შემთხვევისას ბოლოს მოვუღებ ამ ყოფას.

ყავის პირველიდან ბოლო ყლუპამდე ვიფიქრებ ქალზე, რომელიც ლამაზია; რომელსაც არ სჭირდება შენთან ყოფნისთვის მიზეზები და სულაც არ გიჟდება შენთან ყოფნის

ბედნიერებით; რომელსაც შეუძლია შენგან გამყოფ კედელს მიღმა ბულიონის მზადებაში, ჭურჭლის რეცხვაში, ფანჯრების წმენდაში უდრტვინველად გაატაროს საათები და სულაც არ ახსოვდეს შენი ორი ირიბი ნაოჭი ტუჩის კუთხესთან, ამობურცული ძარღვი ყელთან, ხალების მთელი მელანეზია მარჯვენა ბეჭზე... ან თუ ეხსომება, ასე: „პურია მოსატანი", „ბავშვია გამოსაყვანი", „ფულია მისაცემი", „ამანათია ასაღები"...

– მთელი ღამე მესიზმრებოდი.

– როგორ?

– ვითომ წინსაფარი გეკეთა, ფანჯრებს წმენდდი და მთხოვდი, კიბე დამეჭირა.

– მერე?

– მე ვიჯექი, ვეწეოდი და ნერვები მეშლებოდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ფანჯრებს წმენდდი.

– ამაზე გეშლებოდა ნერვები?

– ჰო. არ მინდოდა, მე მჭეროდა კიბე და შენ გეწმინდა ფანჯრები.

– ეს ხომ სიზმარია?

– მაინც.

თბილად ჩავიცვამ და გარეთ გავალ. არ მეყვარება მარტო ყოფნა იმ სახლში, სადაც შენი მხოლოდ სანთებელა და კბილის ჯაგრისია. ყავის დალევის მერე ორივეს დავმალავ. კოჭებს აცდენილი თოვლი იხრაშუნებს და ნაფეხურებს დაითვლის – ერთი, ორი, სამი. ვერაზე, თექის მქსოველ დებთან შევივლი, ფერად ხელთათმანებს შევუკვეთავ. ჩიხრაძეს ქუჩაში გამომავალ ფანჯარაზე მივუკაკუნებ, შევალ, უსიტყვოდ მოვისმენ მის პრაგმატულ შეგონებებს ცხოვრების ამაოებაზე, ერთი-ორ ღერს მოვწევ, ვერ მოვისვენებ და მალე წამოვალ. სადილისთვის თევზს ვიყიდი, ფოლგაში შევწვავ, ლიმონს და პილპილის მარცვლებს ჩავაყოლებ. გარნირად მსხვილად დაჭრილ გვერდებშებრაწულ კარტოფილებს შემოვუწყობ. თინას და აჩის დავურეკავ. ერთი ბოთლი ღვინო მექნება. თუ თამარაც

შემოგვიერთდება, პრეფერანსს ვითამაშებთ ან კინოში წავალთ. კინო იქნება მხიარული და დაწოლამდე არ გამახსენდება ლამპიონებით განათებული ხიდი, სააბაზანოს პატარა ფანჯრიდან რომ გამოჩნდება.

* * *

უყვარს ძილი და რა ვქნა? დილითაც ეძინა მამა-შვილს, ჩახუტებულებს. მოყინული იყო, მაგრამ გავრისკე და გამოვიყვანე. რა გავიდოდა ღუდუშაურში ტაქსით! დედამთილის დაა მაინც. გაუხარდა ნორაას, რა გაუხარდა! სახე გაებადრა, დილაადრიან რომ მივადექი პალატაში თბილი ბულიონით და მანვნის ქილებით. ჩემი ბიჭის ცოლიაო, ამაყად განუცხადა გვერდითა საწოლზე ხელებდაბინტულ ჭაღარა ქალს და საქმიანად ამოუგო საბანი ფეხმოტეხილ დას. რა ვქნა, არ გამოდის სხვანაირად, უყვარს ამ ქალს პატივისცემა – სხვისიც და საკუთარი თავისაც, თორემ გაიღვიძებდა და წავიდოდით ერთად საღამოს. იღლება, ისე იღლება, კვირას ტელეფონსაც კი არ რთავს. სძინავს შუადღემდე. ანასაც ენატრება. შეუგორდება საწოლში და არიან გუგულებივით. ვერაზეც ვიყავი შესავლელი. ანას პალტო მქონდა წამოსაღები. ყველანი მატყუარები არიან ეს მკერავები, გამორიცხულია დათქმულ დროზე დაგახვედრონ. ერთი ბეწო პალტოა, რა გახდა, მაგის გადაკეთება! მეორე კვირაა მატარებს. როგორ ყავთ ამდენი კლიენტი? რომ ჩამოვდიოდი, კიბეზე ჭრელი ხელთათმანი ვიპოვე, რომელიმეს ამოუვარდა ალბათ. დამეზარა შებრუნება, ავუტანე ხვალ მაგასაც. უხდება ანას წითელი. პრაღიდან ჩამოუტანა. როგორ მინდოდა მეც. სტუდენტობისას ორჯერ ვიყავით. ვიტუსის ტაძარში, საკურთხეველთან ყურში ჩამჩურჩულა, ძალიან ლამაზი ხარო. ორ თვეში ჯვარი დავიწერეთ. მერე ანა გვეყოლა. კარგი მამაა, როცა სცალია, ყურადღებას არ აკლებს. დღესასწაულებზე საჩუქრები მოაქვს. წინა კვირას ბეთანიაში ავედით, გული იჯერეს გუნდაობით. ერთმანეთისთ-

ვის ველარ ვიცლით, მაგრამ რა ვქნათ, ახლა ბავშვია მთავარი. კიდევ კარგი, პრეტენზიული არ არის, იმ პერანგს იცვამს, რომელიც გაუთოებულია და იმ ვახშამს ჭამს, რაც მოვუმზადე. ერთი ეგ არი, თევზი უყვარს განსაკუთრებით. ვცდილობ, კვირას გავუკეთო. მე კიდევ არ მიყვარს, მისი ხათრითაც ვერ ვჭამ. მერე – კოსმეტოლოგთან კრემისთვის და „შენი სახის კანს რა კრემი და გაწმენდა უნდა, კრიალი გაუდის, შემოგევლე", – ამის მოსასმენად... სასიამოვნოა მაინც. კანი ანასაც კარგი ექნება, თვალებით და იერით მამას გავს, თმის ფერით და სახის მოყვანილობით – მე. მომავალი წლიდან ფრანგულს დავაწყებინებ, სიმღერაზე ივლის. ზაფხულში რემონტს თუ არ შევუდექი, იქნებ ინგლისურის ორკვირიან კურსებზე წავიყვანო ლონდონში. ფულს შეპირდა ბაბუამისი. მაიმუნია, აგიჟებს ანზორის. 18 წლიდან წავა სასწავლებლად, თუ ყველაფერი კარგად იქნა, გავყვები მეც. დაგროვდება მანამდე, სამი კაცი ვუვსებთ ანაბარს. უნდა ისწავლოს, კარგად უნდა ისწავლოს ანამ. რა დროა? ნეტა გაღვიძებამდე მივუსწრო, თორემ ამოატანინებდა ჰამბურგერებს და გაიჭყიპება კოკა-კოლით. არადა, რა ბულიონი დავტოვე?!

* * *

– მისმა ქმარმა უნდა თქვას, ცოლი მყავსო..

– ცოლიც ყავს და...

– კაი რა...

– გეუბნები. იცი შენც, აი ხუჭუჭა, ფართხუნა კაბებით რო მოდის ხოლმე. ბოლოს ჭრელი ხელთათმანები შეგვიკვეთა...

– თექის?

– ჰო, თექის.

http://www.facebook.com/tamar.ergemlidze

თეა თოფურია

დილა მთაში

დილით ისევ იგრძნო თავის ტკივილი. ამ ბოლო დროს ახალგაღვიძებულზე თავბრუ ესხმოდა ხოლმე. ცოტა ხანს ჭერს უყურა. ხანდახან წვიმა ჩამოდიოდა ამ ჭერიდან. ერთხელ თოვლიც კი ჩამოვიდა. ყოველთვის ეღიმებოდა ამის გახსენებაზე. ნელა წამოდგა და შარვლისკენ ხელი წაიღო. მერე ორი ჯემპრი ერთად ჩაიცვა. ამ ორ ჯემპრს ყოველთვის ასე იცმევდა და იხდიდა, ერთმანეთისგან გაუცალკევებლად.

დილით ჭამა არ უყვარდა. პირდაპირ აივანზე გავიდა და გზას გახედა. იანვრიდან გზები ჩაკეტილი იყო, მარტო ამინდს თუ გაიგებდი ამ გზით. ნისლი მაგ მხრიდან მოდიოდა ხოლმე. კარგი დღე ჩანდა. ძროხა ბოსლიდან გამოუშვა და სათავსოში ფქვილის ტომარას ჩახედა. ნახევარზე მეტი იყო. ზამთრის ბოლომდე ეყოფოდა, დარჩებოდა კიდეც. ადრე ყოველთვის უდროო დროს უთავდებოდა მარაგი. რაც მიხა მოკვდა, მას შემდეგ კიდევ ერთ ტომარას ყიდულობდა. „მიხას ფქვილი“ ერქვა ამ ტომარას. სანამ მიხა იყო, ორნი რჩებოდნენ მთაში. არც მას ჰქონდა დიდი ჭირნახული, მაგრამ მაინც იმედი იყო. შარშანდელი ზამთრიდან მოყოლებული ხელუხლებელი იდო „მიხას ფქვილი“. შეიძლება მატლიც დაეხვაო, გაიფიქრა.

სახლში შებრუნდა. ასანთი აიღო და ღუმელთან მივიდა. გაახსენდა, შეშა ჰქონდა შემოსატანი. სამოცდათექვსმეტი წლის იყო. ხშირად ავიწყდებოდა, რა რის შემდეგ უნდა გაეკეთებინა. აივანზე დაწყობილი შეშიდან რამდენიმე აიღო და შემობრუნდა. გამურული ჩაიდანი დაადგა ცეცხლზე. ყვე-

ლი დაჭრა და წინა დღეს გამომცხვარ პურს მიაყოლა. ციოდა, კიდევ შეუკეთა შეშა. ტანსაცმელზე დაიხედა, ორი ჯემპრი და ტყაპუჭი ეცვა. სხვა რაღა ჩავიცვაო, გაიფიქრა. ცეცხლი ანთებული დატოვა და ლოგინში ჩაწვა. ახლოს ედგა ღუმელთან. სექტემბრიდან მოყოლებული, თითქოს კაცი დაჯდა და თავი მუხლებში ჩარგოო, ისე შეიკუმშებოდა ხოლმე ოთახი. შუაგულშიც არა, ერთ კუთხეში, ღუმელთან მოიკრიბებოდა ხოლმე ყველაფერი: საწოლი, სკამი, მაგიდა, ორიოდე გაზეთი, წიგნი. მარტამდე ასე იყო. საწოლის უკან ჩაჩოჩებით იწყებოდა გაზაფხული. საბანი ყოველთვის თბილი ეფარა, მხოლოდ ღუმელს სცილდებოდა ნელ-ნელა. ერთი სხვა ფერით შეღებილი ფიცარი ჰქონდა იატაკს. მას რომ გაცდებოდა საწოლი, უკვე კარგი ამინდები იყო. უყვარდა ის ფიცარი. კაი თხუთმეტი წლის წინ, იატაკი რომ შეღება, საღებავი არ ეყო და ეს ფიცარი წყალწყალა შინდისფერი გამოუვიდა, ყველაზე ადრე სწორედ მას გადაეცალა ფერი.

* * *

დილით სიცივემ გააღვიძა. ცეცხლი ჩამქრალიყო. „ადექი, გოგი" თავს შეუძახა, მაგრამ ჯემპრები რომ ჩაიცვა, ისევ ჩაწვა. ლოგინიდან უყურებდა ფანჯარას. მაღლა მთაზე სალოცავი ჩანდა. ერთმანეთზე დადებული ორი ქვა და ჯვარი. ძველებისგან ჰქონდა გაგონილი, ერთხელ მაგ მთაზე ქრისტე ნახეს და სალოცავიც მას მერე დაადგინესო. სულ სხვადასხვანაირად ჰყვებოდნენ ქრისტეს ნახვის ამბავს. თურმე ერთ უშვილო დედაბერს ზურგით შეშა ჩამოჰქონდა. ვიღაც კაცი დაუნახავს მთაზე ამომავალი. მასავით მოხრილი, ზურგზე აკიდებული ჯვრით. ოფლი და სისხლი სახეზე ღვარად ჩამოსდიოდაო.

მიხა ასე ჰყვებოდა ამ ამბავს: „შაშიას თურმე ზურგით შეშა მოჰქონდა და გზაში ქრისტე შეხვდა". გოგი ყოველთვის ჩაეკითხებოდა:

– რა იცი, რომ ქრისტე იყო?

– ჯვარწამოკიდებული კაცი, მთის აღმართზე მიმავალი სხვა ვინ იქნებოდა.

– რა იცი, რომ შაშია იყო, სხვა ცოტაა დედაბერი?

– შაშიასთანა საწყალი და უპატრონო – არც ერთი.

ამ ამბის მერე ყოველთვის თაო ახსენდებოდა. ახლაც ის გაახსენდა. შეიყარა ერთხელ მთელი სოფელი, ბავშვი დავკარგეთო. თაოს ეძებდნენ. მერე მთიდან ჩამოიყვანეს ღამისპერანგა. შუა ტყეში იდგა წყლის დოქით. ის დაღლილი კაცი თუ კიდევ ჩამოივლის, დავალევინებო. მთელი სოფელი სიცილით კვდებოდა.

სიბერეში ისევ ტყეში სიარული დასჩემდა თაოს. ყოველ წითელ პარასკევს ჭიქა წყლით გავიდოდა ტყეში და შუა დღის სამ საათამდე იქ იდგა.

* * *

ეზარებოდა ადგომა.

„გათენდა გოგი, შენ თუ არ ადგები, სხვა არავინ ადგება ამ სოფელში", – თავს შეუძახა ჩვეულებისამებრ. ფეხები გადმოყო საწოლიდან და შარვალს მისწვდა. ჩვეულ ადგილას არ დახვდა. ძაღლს იატაკზე ჩამოეთრია და ზედ მოკალათებულიყო. ჩუსტი გაკრა, ფეხზე წამოაგდო წკავწკავით. ღუმლის ქვეშ გასაშრობად შეწყობილი წვრილი შეშა გამოიღო. ცეცხლს შეუჩხიკინა. მერე აივანზე დაფერთხა ბურტყლიანი შარვალი. ჩასაცმელად ფეხი გაუყარა. ძლივს შეიკავა თავი, რომ არ წაქცეულიყო. მიხას უთხრა ერთხელ: „ქალი რომ გვერდით გიწევს და არ გინდა, ეგ უკვე სიბერეა" „არა, ეგ სიბერე არ არის, – არ დაეთანხმა მიხა, – სიბერე ისაა, ფეხზე დამდგარი შარვალს რომ ვერ ჩაიცმევ".

ფართხუნით შევიდა ოთახში და საწოლზე ჩამომჯდარმა ჩაიცვა. მერე ისევ გარეთ გამოვიდა. ძროხა გამოუშვა ბოსლიდან. სათავსოში შეიარა და მიხას ტომარას ხელით ამოურია.

მატლი ამოჰყვა ფქვილს. სახლში შევიტანდ და გავცრიო, ვერ დაძრა. ჯამში გადმოყარა ფქვილი და ასე წამოიღო. შუადღემდე ცრიდა. ღუმლის კარი გამოღებული ჰქონდა და საცერში ჩარჩენილ მატლებს შიგ ჩაუძახებდა ხოლმე. მერე კუთხეში დადო ჯამი. რომ დაიხარა, შეამჩნია, იატაკის ფიცარი დამპალი იყო. ჩაიმუხლა. ოდნავ ამოწია. ეგონა, ვერ მოვერევიო, მაგრამ ისე იყო მოყანყალებული, ხელში შერჩა. ორმოცფეხამ გაირბინა ფიცრის მეორე მხარეს, რამდენიმე ჭიაც მიკრობოდა. „გამოსაცვლელია იატაკი. გაზაფხულდება და ავყრი", – გაიფიქრა. ისევ დააფარა მიწას.

ფქვილიანი ჯამი ოთახის მეორე ბოლოსკენ წაიღო. მძიმე იყო. წელთან უცებ რაღაც ეტკინა. ჯამი ხელიდან გაუვარდა, ზრიალით დაენარცხა იატაკს და თვითონაც შიგ ჩაემხო ფქვილში. უცებვე ადგა და აქეთ-იქით მიმოიხედა შეშინებულმა, ხომ არავინ დამინახაო. მერე გაახსენდა, უკვე ორი წელი გახდებოდა, მარტო იყო მთელ სოფელში.

* * *

დილით ტანსაცმლის ჩასაცმელად რომ გაიწოდა ხელი, მაშინღა ნახა, მთლიანად ფქვილში იყო ამოგანგლული. შარვალი აღარ აუღია. ორი ჯემპრი გააცალკევა და ქვედა ჩაიცვა. ფეხსაცმელებში ფეხები გაუყარა და თბილი საცვლებით გამოვიდა აივანზე. გაეცინა საკუთარი ეზოს დანახვაზე. გუშინ მთელი დღე ტანსაცმლიდან ფქვილი ცვიოდა და მიწაზე რამდენიმე თეთრი ბილიკი ჩანდა – სახლიდან სათავსოსკენ, სათავსოდან ბოსლისკენ და ბოსლიდან სახლამდე. ერთგან წრესავით ეყარა ფქვილი. ახლაღა გაიაზრა, ჩვევად ჰქონდა – ამ ადგილას შედგებოდა და დაფიქრდებოდა ხოლმე, რამე ხომ არ მავიწყდებაო. ბავშვობიდან აწუხებდა ეს გრძნობა. ერთხელ ასე ჯორივით რომ გაიხირა და აღარ დაიძრა, მიხამ უთხრა კიდეც: „რაღას ფიქრობ?! მივიდეთ, სადაც მივდივართ და თუ რამე დაგავიწყდა, იქ მოგაგონდება". ქალაქში მიდიოდნენ.

ეზოში ჩავიდა. არ ციოდა, მაგრამ უჩვეულოდ გრძნობდა თავს უშარვლოდ მოსიარულე. ვერავინ დაინახავდა, მაგრამ მაინც. სახლში რომ შებრუნდა, ძველი კარადა გამოაღო, იქნებ სხვა შარვალი ვიპოვოო. ვერაფერს მიაგნო. მეორე ოთახის კარადაში იქნებოდა შეჩურთული, მაგრამ იქ ძებნა დაეზარა. საკუთარ თავზე ბრაზდებოდა, ვინ მხედავს, ვისი მრცხვენიაო. მიხურა კარადა და ჩანვა ლოგინში. ჩაი დაულეველი დარჩა მაგიდაზე, აღარ მოუნდა რატომღაც.

* * *

დილით რომ გამოფხიზლდა, ტანსაცმლისკენ კი გაიხედა, მაგრამ ისევ მარტო ჯემპრი ჩაიცვა. თბილოდა, გამოსულა ამინდიო. აივანზე გავიდა და გზას გახედა. ნისლი მოდიოდა გზაზე. გაუკვირდა, მაგრამ მაინც არ აიღო ტყაპუჭი. ჩექმებში ფეხები ჩაყო და ეზოს ბოლოს გორაკზე ავიდა. სანამ ნისლი ჩამოწოლილა, მინდორში დარჩენილ შეშას შემოვიტანო. თეთრი საცვლების დასვრაც არ უნდოდა. შეშა ძველ შალში გაახვია და ასე, ბავშვივით გულზე მიკრული წამოიღო.

– ცოტა ხანს დაჯე, გოგი.

მიხა გორაკზე იჯდა და სოფელს დაჰყურებდა. გოგიც დაჯდა და გახედა. თოვდა. საკვამურები აქა-იქ ბოლავდა. ვიღაცამ ბავშვს დაუძახა. გზაზე რამდენიმე კაცი თავ-თავის საქმეზე მიდიოდა.

– შენ ხომ მოკვდი, მიხა?

მიხას არ უპასუხია, მუხლზე ხელი დაარტყა და გაიცინა.

– ნიფხვით რად დადიხარ, ბიჭო?

– მარტო ვარ და რა მენაღვლება. ეს ხალხი აქ არ იყო.

– კაცი რომ შარვალს ვერც დამდგარი ჩაიცმევს, ვერც დამჯდარი, ეგ უკვე სიბერე აღარაა – სიკვდილია.

– მოვკვდი, მიხა?

მიხა იცინოდა.

დაბნეული ადგა. ფუთა გულზე ჰქონდა მიკრული. სოფელი

სწორედ ისეთი იყო, როგორიც ადრე ახსოვდა, სანამ ახალგაზრდები ქალაქში, მოხუცები – საიქიოს გაიკრიფებოდნენ. თვალით საკუთარი სახლი მოძებნა. სახურავი ერთ ადგილას ჩანგრეული იყო. „ახლაც თოვლი თუ ჩამომდის"... ყოველთვის ეღიმებოდა ამის გახსენებაზე, ახლაც გაეღიმა. „ნეტავ, ისევ ლოგინში ვწევარ? ალბათ ვწევარ და მათოვს". რატომღაც შეეცოდა საკუთარი თავი. შეშას მაგრად მოუჭირა ხელი და ქვევითკენ დაიძრა.

– სად მიდიხარ? – დაუძახა მიხამ.

– შეშა მაქვს ჩასატანი.

– შენც ახლა ქრისტე არ შეგხვდეს გზაზე შაშიასავით.

– აქაც არ არის?

– მე არ მინახავს. ამბობენ, ამის იქით კიდევ ერთი საიქიოა და იქ არისო.

– ის საიქიო ვიღამ ნახა?

– არავინ, მაგრამ ასე ამბობენ. ზოგი ჩვენი მეზობელი აქ არ არის. აგერ დავითა და მე ერთ დღეს არ დავიხოცეთ, მაგრამ აქ არ მინახავს. ალბათ პირდაპირ იქ მოხვდა. ჩვენ ცოტა გვიან მოვხვდებით.

– როდის გვიან?

– ალბათ აქაც რომ მოვკვდებით მერე.

გოგიმ ხელი ჩაიქნია და ნისლში დაეშვა. კარგა ხანს მიდიოდა. ვერაფრით მიაგნო სახლს. სადღაც ხეებს შორის ამოჰყო თავი. რამდენჯერმე დაეცა კიდეც. მუხლებგადატყავებული და გაოფლილი იყურებოდა აქეთ-იქით. ქოშინებდა. ერთ ხესთან გოგო დაინახა.

– წყალი გექნება, თაო.

გოგომ წყალი დაალევინა.

– მაგ ჯემპრს დაშლა უნდა. ძველია და ძაფი გაწყალდა, არ გაგათბობს. ძაფი ორად უნდა გაიკეცოს და მჭიდროდ მოიქსოვოს.

– არ მცივა, თაო. ეგაა, სახლი ვერ მიპოვია.

– აი, ნაძვთან მიდი. იქიდან რომ გადაიხედავ, დაინახავ.

ეზოში შევიდა. მიწას ჯერ კიდევ ემჩნეოდა ფქვილისგან დატოვებული სამკუთხედი – სახლს, ბოსელსა და სათავსოს შორის რომ გაავლო თავისდაუნებურად. გაიაზრა, რომ მთელი ცხოვრება ამ სამკუთხედზე დადიოდა. იმ მრგვალ ლაქასაც დახედა, სადაც წინა დღეს იხსენებდა, ამჯერად რა დამავიწყდაო. რა შეიძლება დაგავიწყდეს სახლსა და სათავსოს შორის: ლურსმანი, პური, ფეხსაცმლის გამოცვლა, ონკანის გადაკეტვა, კარის დახურვა... თითქოს ისეთი არაფერი, მაგრამ მთელი ცხოვრება მაინც განცდა ჰქონდა, რომ რაღაც ძალიან საჭირო არ ახსოვდა.

აივანზე ავიდა. ჩამონგრეული ჭერიდან თოვლი ჩამოდიოდა ოთახში. ღუმელთან შეშა დააწყო და საწოლს გახედა.

– გათენდა, გოგი.

ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“

ზურაბ ლეჟავა

კუს სუპი ინდაურის ბულიონის ნაცვლად

ეს ამბავი ერთ უცნაურ, მთელ სამყაროზე განაწყენებულ, ინდაურისდარ და წყლის კუსებრ არსებაზე, ჩერეპახა-პიდრილაზეა. ჩერეპახა კუა, პიდრილაც ძნელი მისახვედრი არაა რაც არის. ასე მას ერთი საბავშვო ფილმის პერსონაჟის სახელის მიხედვით შეარქვეს. იმ ფილმში კუს ტარტილა ერქვა და ძალიანაც კარგი კუ იყო. აი პიდრილა კი ვერ იყო კარგი კუ, უფრო სწორად, ის არც იყო კუ, არამედ უბრალოდ გავდა ამ ქვეწარმავალს. თუმცაღა მთავარი ამბის მოყოლამდე, ჯერ ორი „ქვე" ამბის მოყოლაა საჭირო.

* * *

ერთხელ ბავშვობაში, სოფელში სტუმრობისას, ბებიამ ინდაურის დაჭერა დამავალა. არ მახსოვს, მაშინ რამდენის ვიყავი, არც ის მახსოვს, რომელი თვე იყო. თუმცა კარგად მახსოვს, მოკლე ლურჯი შარვალი მეცვა, შარვლის ქვეშ კი თხელი რეიტუზი. ანუ ამით იმისი თქმა მსურს, რომ მაშინ არ უნდა ვყოფილიყავი დიდი, რადგან ჩვენს დროს, ჩვენში, მოჩიტულ ბიჭებს ჯერ კიდევ ერცხვინებოდათ მოკლე შარვლების ჩაცმა.

ინდაური იყო საკმაოდ დიდი და მეც პატარა „მოუჩიტავ" ბიჭს (მოკლეშარვლიანს და რეიტუზიანს) არ გამიჭირდა მისი დაჭერა, მაგრამ დაჭერილის ხელში შენარჩუნება, მახსოვს, გამიძნელდა. ინდაური ქოთქოთებდა, გასხლტომას ლამობდა და სისინებდა გველივით. მე კი წვალებით ვიკავებდი ზორბა

ინდაურს და მის მიერ მოყენებულ ტკივილსაც ძლივს ვითმენდი – მან ხომ ფრჩხილებით რეიტუზი გამიხია და ბარძაყიდან სისხლიც მადინა. სწორედ ამ დროს მომაჩეჩეს ბებიამ და მამიდამ გრძელტარიანი, კარგად გალესილი და საკმაოდ მძიმე წალდი. არ ვიცი, რა საჭიროება იყო ასეთი, რომ მაინცდამაინც ჩემთვის დაეკვლევინებინათ ეს ინდაური – მგონი სტუმრებს ელოდებოდნენ, ჩქარობდნენ თუ რაღაცა იყო ასეთი... ან იქნებ, როგორც ძველებს სჩვეოდათ, ცდილობდნენ, სისხლისთვის პატარაობიდანვე შევეჩვიე, რადგან ბიჭი ვიყავი. მახსოვს, ინდაური მარცხენა ხელსა და იღლიაში როგორღაც მოვიგდე, ღონიერი კისერი კუნძზე დავადებინე, მერე კი წალდი მოვუქნიე და ჩავცხე. წალდი ბასრი იყო და გრძელტარიანი, მე კი ის მოკლეზე მეჭირა და დიდი შიში მქონდა, ინდაურის კისერთან ერთად უცაბედად არ წამეჭრა საკუთარი საჩვენებელი თითიც. არ ვიცი იმის ბრალი იყო, რომ წალდი მოკლეზე მეჭირა, ან იმისი, რომ წალდს მტაცებელი ფრინველივით წინ წამახული და ოდნავ მოკაუჭებული წვერი ჰქონდა... მე ინდაური მოუხერხებლად დავკალი: მისი კისერი კუნძის ზედაპირსა და წალდის წინწამახულ პირს შორის მოექცა და მხოლოდ სანახევროდ გადაიჭრა. დარტყმა ძლიერი გამომივიდა და წალდიც თავისი წამახული წვერითა და რიგიანად გალესილი პირის ბოლო ნაწილით მტაცებლურად ჩაერჭო კუნძში. ამრიგად ინდაური მყარად დამაგრებული აღმოჩნდა კუნძზე, სტეპლერით რომ ტილოს ამაგრებენ მხატვრები ქვეჩარჩოზე, დაახლოებით ისე. ინდაური თავიდან არ აფართხალებულა დაკლული ფრინველივით. ის მხოლოდ ერთგვარად შეწუხდა, თავი მიატრიალ-მოატრიალა და ერთი ამომხედა თავისი დიდი, სრულიად შავი, გიშრისმძივისებური წყლიანი თვალით. ძარღვებ და სანახევროდ კისრის მალებგადაჭრილი, ის ჯერ ცოცხალი იყო, მაგრამ თითქმის არ ინძრეოდა და მხოლოდ იმზირებოდა გიშრისმძივისებური თვალით. რა იკითხებოდა ამ მზერაში? არაფერი – ტკივილი, წუხილი, დაღლილობა და... რაღაცნაირი, შემცბარი გაკვირვება მომხდარის გამო.

მე ინდაურს ფეხებში წავატანე ხელი, წალდი კუნძიდან ამოვაძრე და ის იყო ერთხელ კიდევ უნდა დამეკრა, რათა თავი მთლიანად წამეცალა, რომ ინდაური შეფართხალდა, ღონიერი ფეხები ხელიდან გამომტაცა და კუნძიდან ძირს გადმოვარდა, ცოტა ხანს კიდევ ისავსავა და გახევდა. მე მას, ძველებური წესისამებრ, წალდით წრე შემოვუხაზე გარშემო, და ის იყო, კიდევ ერთხელ უნდა დამედო კუნძზე თავის წასაცლელად, რომ დაკლული ფრინველი ისევ შეფრთხიალდა და იმდენად მძლავრად, რომ ამ შეფრთხიალებისას ფეხსაცმელებიც კი დამისვარა სისხლით. შემეშინდა. ინდაურს ფეხებში ხელი მაგრად მოვუჭირე და სანახევროდ თავწაჭრილი ფრინველი ბებოსკენ გავაქციე. ბებო ეზოში დადგმულ დიდ და გამურულ ქვაბთან ფუსფუსებდა, რომლის ქვეშაც ცეცხლი ენთო და რომელშიაც მდუღარე წყალი ქაფქაფებდა. ბებომ არც კი დახედა ინდაურს. მას ის თავწაცლილი ეგონა. გამომართვა და ადვილად რომ გაეპუტა, მდუღარეში უკრა თავი, თან ერთიორჯერ ამოავლო კიდევაც კარგად. და ამ ამოვლებისასაც ცოცხალ-მკვდარმა ინდაურმა კიდევ ერთხელ ამომხედა ცალი თვალით. თითქოს მხოლოდ მე შემომხედა, ოღონდ ამჯერად მის მზერაში აღარ იყო ტკივილი და წუხილი, არამედ მხოლოდ რაღაცნაირი დაღლილობა და შემცბარი გაკვირვება მომხდარის გამო.

* * *

აი მეორე „ქვე“ ამბავიც:

იმ ადგილების შორიახლო, სადაც ბავშვობა გავატარე, რამდენიმე კილომეტრში იყო ტბა. ახლა არა, მაგრამ მაშინ ის, შეიძლება ითქვას, თევზით იყო სავსე, თუმცა თევზი იქ სულ სამი სახეობისა იცოდა – საზანი, ამური და ხამსა. საზანისა და ამურის დაჭერას კარგი ანკესი და ლელქაშებში გამოჭრილ „ლუნკებში“ წელამდე წყალში დგომა უნდოდა. ეს თევზი ზომითაც დიდია და ღრმა წყალში ბინადრობს. აი, პატარა ხამსა

კი ნაპირებთან დაცურავს ახლოში, თანაც მაშინ იმდენი იყო, რომ წყალში შესვლისას ფეხებზე ეხვეოდა ადამიანს. ბავშვისთვისაც ადვილი იყო ხამსაზე თევზაობა ნებისმიერი წვრილუჯრიანი თვითნაკეთი ბადითაც კი.

ერთხელ ბიჭები წავედით სათევზაოდ – ანკესებით, ბადეებით, თევზის მოსახარში ტურისტული ქვაბით. თან გვქონდა, რა თქმა უნდა, საგზალი და სიგარეტებიც, რომლებსაც მშობლების უჩუმრად ვეწეოდით. მოკლედ, ავედით დილით ადრე ტბაზე, შევარჩიეთ სათევზაო ადგილი და ურიამულით დავეცით ბანაკი – ვთევზაობდით, ვღლაბუცობდით, ვუყვებოდით ერთმანეთს ათას რამეს, ვეწეოდით სიგარეტებს, ვბანაობდით, ვირუჯებოდით და ვიგინებოდით, როგორც ბიჭებმა იციან ხოლმე, ისე. ორ ორკაპა, მიწაში ჩარჭობილ ტოტზე გადებული გვქონდა მესამე ტოტი, რომელზედაც ეკიდა ტურისტული ქვაბი, ქვაბში კი თევზის მოსახარში წყალი თუხთუხებდა. მოლაპარაკების თანახმად, საზანსა და ამურს სახლში წასაღებად ყველა თავისთვის იჭერდა, იქ კი ტბაზე, პატარა თვითნაკეთი ბადით დაჭერილი ხამსა უნდა მოგვეხარშა და ის უნდა გვეჭამა თან წამოღებულ საგზალთან – პურთან, ყველთან, კიტრთან და პამიდორთან ერთად.

ჩვენ შორის იყო რუს-სომეხი არტო, ჩემზე ორი წლით უფროსი, რომელიც, ასე ვთქვათ, გვხელმძღვანელობდა მაშინ, იმ ეტაპზე. როცა ქვაბში წყალი ადუღდა, არტომ დამიძახა, თევზი წამოიღეო, და მეც ლელქაშზე კანაფით მიბმულ კაპრონის ბადეს წავეტანე. ეს ბადე სანახევროდ წყალში იყო ჩაძირული და მასში ჩვენ მიერ დაჭერილი ცოცხალი ხამსები დაცურავდნენ. ბადე როგორღაც მძიმედ წამოვიდა და როცა ის წყლიდან ამოვიღე, შევამჩნიე, რომ რაღაც ქვასავით მძიმე და მკვრივი მოჰყვა თან. ასევე შევნიშნე, რომ ამოღებისას ბადის ქვედა ნაწილიდან რამდენიმე ხამსა გადმოვარდა. მაშინვე წავატანე ბადეს ხელი ძირში, რათა კიდევ უფრო მეტი თევზი არ დაკარგულიყო. ამ დროს რაღაც მაგარი, რქოვან-ძვლოვანი, არასასიამოვნოდ სლიპინა და უაღრესად მოძრავი მომხ-

ვდა ხელში. ეს იყო გრძელი, გრძელკუდა და გრძელკისერა, მომწვანო ფერის წყლის კუ. კუს კაპრონის ბადე გაელრღნა და სანახევროდ შიგ შემძვრალიყო, რათა ბადეში დამწყვდეული პატარა თევზები შეეჭამა. თუმცა თავადვე გახლართულიყო ამ ბადეში თათებით და ვეღარ ახერხებდა უკან გამოსვლას. მე, რომ იტყვიან, გულგახეთქილმა გამოვგლიჯე ის ბადიდან და ნაპირისკენ მოვისროლე ქვასავით, თან ბიჭებს დავუძახე, დაიჭირეთ, წყლის კუა-მეთქი და ბადის გამოჭმულ ადგილს მოვუჭირე მაგრად ხელი, რათა იქიდან თქრიალით წამოსული წყალში ჩაცვენილი პატარა თევზები შემეჩერებინა; თუმცა მაინც ბევრი თევზი დავკარგე. კუ საკმაოდ შორს დაეცა ნაპირიდან და თანაც ზურგით, მაგრამ არ დაბნეულა. ფეხების ფხაკუნით სხარტად ამოტრიალდა და თავის გადასარჩენად სწრაფად გაიქცა წყლისკენ. თუმცა ერთ-ერთმა ბიჭმა, თითქმის უკვე წყალთან მისულს, მაინც მიუსწრო და ფეხით გამოაბურთავა. ბიჭებმა ის დაიჭირეს და მეც გამოვედი წყლიდან კუს მიერ გვერდგამოჭმული თევზებიანი ბადით, რომელსაც უკვე შიგთავსის ლამის ორი მესამედი აკლდა.

დატყვევებული კუ არტოს ეჭირა ახლა ხელში ავად და მძლეთამძლედ. ის მას ბადის გაფუჭებისა და თევზის შეჭმის გამო თათხავდა უშვერი სიტყვებით, თან დროდადრო ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, თითქოს მის დახეთქებას აპირებდა ქვაზე. ტბის კუ კი ხმელეთის ჩვეულებრივი ზანტი და უწყინარი კუებისგან განსხვავებით, სწრაფად ფაფხურობდა მის ხელში და მონდომებით ლამობდა გასხლტომას, თან ბოროტად იმზირებოდა თავისი შავი, გიშრისმძივისებური თვალებით და ისე მეჩვენებოდა, თითქოს ცდილობდა, ეკბინა არტოსთვის ხელზე. ტბის შემოგარენში მრავლად იყო ჩვეულებრივი ტრამალის კუები – დიდები, პატარები, საშუალოები, მაგრამ ასეთი არასდროს გვენახა. ის იყო მომწვანო-მოყავისფრო, მოყვითალოც, რაღაცნაირი სამხედრო-დამცავი ფერისა – ხაკისფერი. წაგრძელებულბაკნიანი, გრძელკუდა და გრძელკისერა რაღაცით ჩამოჰგავდა პატარა დაჯავშნულ სამხედრო მანქანას.

– უუუ შენი... რამდენი თევზი შეჭამე! – უყვიროდა არტო ახვანცალებულ კუს და მოზრდილ ლოდს უმიზნებდა ზედ დასახეთქებლად, – რა ვქნა, დავახეთქო? – გვეკითხებოდა ჩვენ.

მაგრამ კუ, როგორც უკვე ვთქვი, სხვანაირი იყო – წყლისა; და ჩვენ ყველას – არტოსაც, ცოცხალი და საღსალამათი გვაინტერესებდა ის, და არა მოკლული და დამსხვრეული. ამიტომ არტომ დასვა კუ მიწაზე, ჩვენ კი ალყაში მოვაქციეთ ის. კუ ოსტატურად ცდილობდა ალყის გარღვევას და წყლისკენ მიილტვოდა, მაგრამ ჩვენ მას ფეხებით ვაბრუნებდით უკან წრეში – ვაბურთავებდით. ამასობაში კუ დაიღალა, არსებობისთვის ბრძოლა საგრძნობლად შეანელა და მის შავ, გიშრისმძივისებრ თვალში, ისევე, როგორც სანახევროდ დაკლულ ინდაურისაში, იკითხებოდა ტკივილი, წუხილი, რაღაცნაირი დაღლილობა და გაკვირვება მომხდარის გამო. ბოლოს არტომ გამოგვიცხადა ასე:

– ეგ სხვანაირი კუა და მე მაგისგან პეპელნიცა უნდა გავაკეთო!

ამის შემდეგ არტომ კუ დაიჭირა. როგორც აგვიხსნა, ის კუს მდუღარე ქვაბში უპირებდა ჩაგდებას. მისი თქმით, კუ მოიხარშებოდა და ხორცი ბაკანს მოსცილდებოდა; სწორედ ეს ბაკანი იქნებოდა საფერფლე და მწეველები, სადაც კუს თავი და ფეხები ჰქონდა გამოყოფილი, სიგარეტს ჩააფერფლიდნენ. მე, დათოს, კოტეს, გარიკას და კიდევ რამდენიმეს ეს აზრი არ მოგვეწონა, რადგან ამ ქვაბში, როგორც უკვე ვთქვი, ხამსას მოხარშვას ვაპირებდით და მასში უკვე იხარშებოდა დაფნის ფოთოლიც, სხვათა შორის. მაგრამ არტო თავკაცობდა და მან ჩვენს პროტესტს ყური არ ათხოვა, კუს დასწვდა და ჩაუძახა ქვაბში. კუ ქაფქაფა წყალმა ამოატრიალა. თავიდან თითქოს ბაკანში შეიმალა, მაგრამ შემდეგ მორბილდა და თავ-ფეხი გარეთ გამოყო. და მაშინაც, როცა ბებიამ გაფუფქა სანახევროდ თავწაჭრილი ინდაური, რომელმაც რაღაც უცნაურად ამომხედა, ახლაც ჯერ კიდევ ცოცხალმა კუმ სწორედ ისე, ინდაურისებრ, ამომხედა ცალი თვალით და მის მზერაშიც, ისევე რო-

გორც მდუღარე ქვაბში მოფუფქულ ინდაურისაში – აღარ იყო ტკივილი და წუხილი, არამედ მხოლოდ რაღაცნაირი... თითქო დაღლილობა და შემცბარი გაკვირვება მომხდარის გამო.

* * *

ჩერეპახა-პიდრილა იყო გრძელი, წონოლა, თუმც არასუსტი აღნაგობისა – ძარღვიანი. ზამთარ-ზაფხულ ეცვა მილუსტინის გაზინთული მყრალი რობა, რობაზე კი განუყრელი სახელოებმორღვეული ასეთივე გაზინთული, კუს ბაკნისმაგვარი ზოლიანი ბუშლატი – იმდენად გაზინთული, რომ თითქმის აღარც კი ეტყობოდა რეციდივისტებისთვის განკუთვნილი სამოსისთვის დამახასიათებელი ზოლები. ოდესღაც ზოლიანი, კუს ბაკნის მაგვარი, სახელოებმორღვეული ბუშლატი ზედ გაჩენილი მაზუთის ლაქების წყალობით ახლა კუბოკრულს უფრო ჰგავდა. ეს ჩაცმულობაც, სხვათა შორის, ამსგავსებდა მას კუს. ის თითქოს კუ იყო, ხოლო მისი უსახლებო ბუშლატი – მისი ბაკანი. არც გაღიმებული და არც დამწუხრებული ის არასოდეს არავის უნახავს; შავ-ყვითელსა და ფერმკრთალს სახე ნიღაბს მიუგავდა და მხოლოდ თვალები ჰქონდა სხარტი, ყურადღებიანი და გარყვნილი – შავი, პრაქტიკულად უგუგო, ზეთიანი თვალები.

კუ (სიმოკლისთვის ასე მოვიხსენიებ) აბიჟენნიკების (განაწყენებულების) პახანი იყო და ასანიზატორთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა. ასეთი პახანები, როგორც წესი, არ ჟიმაობენ და ზოგჯერ საკმაოდ ყოყოჩადაც უჭირავთ თავები. „არჟიმაობაში" კი იგულისხმება ის, რომ ჟიმაობისას არ განასახიერებენ მდედრებს, თორემ ისე ჟიმაობენ კი არა და... ეს ჟიმაობდა ყველანაირად, ანუ სექსისას ერთდროულად მდედრიც შეიძლებოდა ყოფილიყო და მამრიც; თანაც, როგორც მისი ბრიგადის წევრები ამბობდნენ, ანიჭებდა უპირატესობას სქესობრივი კავშირის დამყარების უკიდურესად გარყვნილ ფორმებს; იყო უზომოდ ხურუშიანი და აიძულებდა თავის

თანაკამერელებს, ეჟიმავათ მასთან გაუთავებლად, მთელი ღამის განმავლობაში. ამბობდნენ იმასაც, რომ მასთან ნებით სექსი აბიჟენნიკთაგანს არავის სურდა, რადგან ის ამ დროს, თურმე ჰკბენდა და სცემდა პარტნიორებს.

ერთხელ დაუჯერებელი ამბავი მოხდა და კუ კარცერშიც კი ჩასვეს იმისთვის, რომ ორ გამოსირებულს – თავის თანაკამერელებს – ღრანჭები ჩაუმტვრია. ისინიც მისი მასტისანი იყვნენ, ოღონდ შეწყვილებულები. ასეთები ზოგჯერ წყვილდებიან, ერთგვარად ქორწინდებიან – ცოლ-ქმრობას უწევენ ერთურთს – უყვართ ერთმანეთი, ღალატობენ, ეჭვიანობენ... ჰოდა სწორედ ასეთ „ცოლ-ქმარს" შორის მოინდომა ჩაწოლა კუმ ღამით და როცა უარი მიიღო, ორივეს ღრანჭები ჩაუმტვრია. ამის შემდეგ მაინც მიაღწია საწადელს და მაინც ჩაუწვა „ცოლ-ქმარს" შუაში და ისინი (ღრანჭებჩამტვრეულები) საკუთარი სხეულით გადააბა ერთმანეთს.

გაურკვეველი ეროვნებისა და ასაკისა, წარმოშობით მგონი იყო სამხრეთ უკრაინიდან – სადღაც ხერსონის ოლქიდან, თუ არ ვცდები. ოღონდ უკრაინელი ის არ უნდა ყოფილიყო; და არა მხოლოდ მისი კანის სიმუქის გამო, რადგან მუქკანიანი უკრაინელებიც მრავლად არიან ქვეყნად. ის უფრო ალბათ ჩამოჰგავდა კარაიმს, აშკენაზს, თათარს, ტავრს, ან ბოშას, რომელსაც ერია, ვინძლო, სლავური სისხლიც. ასეთებს მრავლად შეხვდებით უკრაინაში და მით უმეტეს – მის სამხრეთში.

კუს მისჯილი ჰქონდა მაქსიმუმი, ანუ მაქსიმუმი საბჭოთა კავშირის მაშინდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასასჯელი ვადისა – განსაკუთრებული რეჟიმის 15 წელი; თანაც (ეს იშვიათი განაჩენი იყო) თხუთმეტივეს საპყრობილეში გატარებით. მანამდე კი მას ჰქონდა მისჯილი სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რომელიც უკრაინის სსრ-ს უმაღლესმა საბჭომ დაუტოვა ძალაში, მაგრამ სსრკ-ს უმაღლესმა საბჭომ შეუცვალა დახვრეტა სასჯელის მოხდის თხუთმეტწლიანი ვადით. ასე რომ, სიკვდილმისჯილთა საკანშიც მოუწია დაახლოებით ორწელიწად-ნახევარს ჯდომა. ალ-

ბათ არც შეუცვლიდნენ და დახვრეტდნენ, მაგრამ ჩანს იმათ, ვინც წყვეტდა მის ბედს სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში, მიიჩნიეს, რომ მისთვის ჯერ ადრე იყო სიკვდილი – ის ჯერ აქ, ამქვეყნად უნდა გატანჯულიყო.

კუს მოკლე ბიოგრაფია კი დაახლოებით იყო ასეთი: მოუწესრიგებელი, ლოთი და არაერთგზის ნასამართლევი მშობლების შვილს პატარაობიდანვე არ ჰქონია დალხენილი ცხოვრება. დედა და მამა, რომლებიც ხან მორიგეობით, ხანაც ერთად ისხდნენ ციხეში, ავიწროვებდნენ მას და მის და-ძმას. როცა წამოიჩიტა, რაღაც მოიპარა. ქურდობისთვის არასრულწლოვან კუს მიუსაჯეს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით, რაც, პირველად გასამართლებული არასრულწლოვანისთვის, მართლაც მეტად ბევრი იყო. თან პირველივე „სროკისას" რაღაც შეემთხვა – მგონი, პატიმრობის პირველივე დღეებში აჰხადეს ნამუსი. ის მეორე დანაშაული კი, რომლისთვისაც იმჯერად იხდიდა სასჯელს, იყო ულმობელი და არაადამიანური. მოკლედ, როცა მას პირველად ხუთი წელი მიუსაჯეს, ეტყობა ძლიერ ემწვავა თუ რაღაცა ასეთი და შურისძიება გადაწყვიტა. შური კი „მეტისმეტად მტარვალ" პროკურორზე სურდა ეძია. ისე, პროკურორები მართლა, ცოტა არ იყოს, შარიანი ხალხია; საბჭოთა პროკურორები ხომ მით უმეტეს იყვნენ ასეთები. და ალბათ არ გამოირჩეოდა ლმობიერებითა და გულისხმიერებით არც ის პროკურორი, რომელიც კუს სასამართლო პროცესში იღებდა მონაწილეობას. ალბათ კი არა და, ნამდვილად იქნებოდა ვიღაც გაიძვერა, მაგრამ იმას, რაც ჩაიფიქრა და გააკეთა კუმ, შურისძიებასაც ვერ დაარქმევ, რადგან ეს იყო – ჰომოფობად ნუ ჩამთვლით და, დიახაც – „პიდარასტის" შურისძიება.

კუმ გაიგო, სადაც ცხოვრობდა „მისი" პროკურორი. ეს იყო პროკურორების საცხოვრებელი კორპუსი, თუ არ ვცდები, ხერსონში.

კომუნისტების დროს საბჭოთა სახელმწიფო ბინებს

ზოგჯერ პროფესიების მიხედვით არიგებდა. იყო მსახიობთა სახლები, სადაც თითქმის ყველა მოსახლე მსახიობი იყო. იყო მეტალურგთა კორპუსები; სამხედროების სახლებიც იყო და პროკურორებისაც ყოფილა. კუ დიდი ბასრი დანით მივიდა ამ კორპუსთან და იქ მოთამაშე ორი პატარა გოგონა – რვა და ათი წლის დები – დახოცა. მან ისინი საშინლად დაასახიჩრა. გოგონები პროკურორის შვილები კი აღმოჩნდნენ, მაგრამ არა იმისი, ვისი ჯინიც კუს სჭირდა, არამედ სულ სხვა, ახალგაზრდა პროკურორისა, რომელსაც სხვა შვილი არც ჰყავდა ამ ორი გოგონას გარდა, და რომლის ცოლიც ამ შემთხვევის შემდეგ, ამბობდნენ, ცოტათი გაგიჟდაო. კუ დაიჭირეს...

...ის შეგნებულად არ მოკლეს მენტებმა მაშინვე, რადგან სწრაფი სიკვდილი, მათი აზრით, ყველაზე იოლი გამოსავალი იქნებოდა მისთვის. გასამართლებამდე და გასამართლების შემდეგაც, სანამ იყო ციხეზე, ის საკნიდან საკანში გადაჰყავდათ, სადაც მას პატიმრები უმოწყალოდ სცემდნენ და აუპატიურებდნენ (რასაკვირველია მენტების პადნატირკით და უიმისოდაც) ძაღლივით. არადა კუ სულ სხვას იმედოვნებდა: მას რატომღაც ეგონა, რომ დამნაშავეთა სამყარო პროკურორის წინააღმდეგ ჩადენილი ულმობელი დანაშაულისთვის მას გმირად გამოაცხადებდა, ვინაიდან მან პროკურორს შვილები დაუხოცა, მაგრამ ამ სამყარომ მას, მისი თქმით, „სულში ჩააფურთხა, მიწასთან გაასწორა და იხმარა ყველა ხვრელიდან ძაღლივით“.

ეს იყო დაუჯერებლად ცუდი არსება. ხომ არსებობს უარყოფითი ადამიანების შესამკობი ეპითეტები – ვიგინდარა, გაიძვერა, მავნე, ფლიდი, მუხანათი, მოღალატე, უჯიათი... ეს ყოველივე არ იყო საკმარისი მისთვის და ალბათ არც შეესაბამებოდა, რადგან ყოველივე ამ თვისებების მატარებელი ის, რასაკვირველია, იყო, თუმცა იმენად ჭარბად, რომ ეს ეპითეტები აღარ იყო საკმარისი მის შესამკობად. ალბათ საჭირო იყო პრეფიქსები „არქი“ ან „სუპერ“ ან კიდევ რაიმე ასეთი. მაგალითად: არქიფლიდი ან სუპერგაიძვერა; თუმცაღა

არც ეს კმაროდა. და ალბათ კარგად უთხრა მას ერთხელ ზონის ოთხკუთხათავიანმა პიდარასტმა მიკიტასმა სიტყვიერი შელაპარაკებისას, მე ხომ პიდარასტი ვარ და ვარ, მაგრამ შენ ნამდვილი პიდარასტი ხარ ცხოვრებაშიო. შემდეგ კი უწყინარზე უწყინარმა მიკიტასმა ასანიზატორული სადგაფუნოც მოულერა კუს და ატირდა... წარმოგიდგენიათ ატირებული ზონის „სუპერპიდარასტი" მოღერებული ასანიზატორული სადგაფუნოთი ხელში და წარმოიდგინეთ ისიც, ვინც იგი აატირა, ვისაც მან ეს სადგაფუნო მოულერა და ვისაც მან „ნამდვილი პიდარასტი" უწოდა ცხოვრებაში.

მეორე შემთხვევის გახსენებაც შეიძლება ამ არსების წარმოსადგენად: საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს ნება დაერთოთ, მოენახულებინათ ტუსაღები; ესაუბრათ მათთან თავიანთ სარწმუნოებაზე, ხოლო ტუსაღის დაინტერესების შემთხვევაში მოენათლათ კიდევაც თავიანთ ყაიდაზე, ანუ მიეღოთ თავიანთ ორგანიზაციაში. ვიღას არ ნახავდით „მისიონერეთა" შორის მაშინ: ბაპტისტებს, ორმოცდაათიანელებს, იაღოველებს, კრიშნაიდებს, მაგრამ მათ თავიანთი წიგნების გარდა თითქმის არაფერი მიჰქონდათ პიტიმრებისთვის. ჰა, ჰა – რომელიმეს ხანდახან რვეულები, კონვერტები და საწერი პასტები გაემეტებინა. სამაგიეროდ გაწევრიანებისა და გაშინაურების შემდეგ უმეტესი მათგანი ითხოვდა პატიმრებისგან შემოწირულობას ანუ ამ უკანასკნელთ ფულები უნდა გადაერიცხათ საკუთარი პირადი ანგარიშებიდან რელიგიური ორგანიზაციების ანგარიშებზე – ბევრი თუ ცოტა, მაგრამ უნდა გადაერიცხათ. და მხოლოდ მართლმადიდებელი მღვდელი იყო ხელგაშლილი. ის არ უკითხავდა ტუსაღებს სხვებივით ერთსაათიან ლექციებს, მაგრამ რელიგიური დღესასწაულებისას წიგნების ნაცვლად მიჰქონდა საკვები პროდუქტები. და ის არ ითხოვდა, ზოგიერთ რელიგიურ მოღვაწეთაგან განსხვავებით, ფულის გადარიცხვას პატიმრების პირადი ანგარიშებიდან საკუთარი ეკლესიის ანგარიშზე. განსაკუთრებით ხელგაშლილი

კი ბაწიუშკა (მამაო) იყო ხოლმე შობასა და აღდგომას. ერთ-ხელ, აღდგომის მეორე დღეს გაიღო საკნის კარი და შემ-ოვარდა საზეიმო ანაფორაში გამოწყობილი ბაწიუშკა, კისერ-ზე ჩამოკიდებული ჯვრით. ქვის იატაკს ფეხი მაგრად დაჰკრა და დაიძახა: „ქრისტე აღსდგა!" ხუთნი ვისხედით საკანში და მოულოდნელობისგან ერთმანეთს გადავხედეთ. მაგრამ ის-ეთი მჭექარე და ომახიანი იყო ბაწიუშკას შეძახილი, ისეთი გულწრფელი, რომ ყველამ სიხარულით მივაგებეთ: „ჭეშმარ-იტად!" მუსლიმიც გვერია, უზბეკი აბდურახმონი – იმანაც მიაგება: „ჭეშმარიტად!"

ბაწიუშკასთან ერთად იყვნენ: ახალგაზრდა ჟღალწვერა ძიაჩოკი (დიაკვანი), ვიღაცეები კიდევ სამოქალაქოში (მათ შორის ქალიც) და ჩვენი ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სამჯერ იატაკზე ფეხის დაკვრისა და სამჯერ „ქრისტე აღს-დგას" დაძახების შემდეგ ბაწიუშკამ ყველანი, ქრისტიანული ტრადიციისამებრ – ხან ერთ ლოყაზე, ხან მეორეზე – სამ-სამჯერ გადაგვკოცნა და სათითაოდ ყველას გადმოგვცა საა-ღდგომო საჩუქარი: მკვრივი პოლიეთილენის ლამაზი პაკეტი, რომელშიაც იდო პასკა, წითლად შეღებილი საადგომო კვერ-ცხები, ნაირ-ნაირი კანფეტები და ერთი დიდი ფორთოხალი. ასე საჩუქრებითა და მილოცვებით შემოიარა თითქმის მთელი ციხე ბაწიუშკამ.

კუ აბიჟენნიკების (განაწყენებულების) პახანი იყო და შესა-ბამის კამერაში იჯდა. ასეთი კამერა რამდენიმე იყო საპყრობ-ილეში. მაგრამ „ბაწიუშკა" განურჩევლად „მასტისა" ყველას-თან შედიოდა და ყველას პირზე კოცნით ულოცავდა. პიდა-რასტობის ხანგრძლივი სტაჟის მქონე კუმ კი ბაწიუშკას კოც-ნა, მოულოდნელად, იუკადრისა. მან ის შემდეგი სიტყვებით სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყო: „წადი, გამეცალე, წვერები-ანო საფრთხობელავ, მთელი საპყრობილის პიდარასტები გა-დაკოცნე, ღრძილები ჩაუწუწნე და ახლა მე გინდა მაკოცო?! ან ეგ შენი პროდუქტები ვის რაში სჭირდება, წადი და ვისაც კოც-ნიდი, იმათ დაურიგე! მე კი არაფერი მინდა არც შენგან და არც

იმ შენი ღმერთისგან!“ ბაწიუშკა თურმე დადუმდა, საჩუქარი მაგიდაზე დადო, აღგზნებულ კუს მხარზე ხელი მოუთათუნა და საკნიდან გავიდა. მან ის გონებაარეულად მიიჩნია და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სთხოვა, არ დაესაჯათ ამ საქციელისთვის. შემდეგ ციხის უფროსის მორიგე დამხმარე ოფიცერს დარჩენილი საჩუქრების საკნებში დარიგება სთხოვა, ყველანი დალოცა და ციხის ტერიტორია დატოვა. ამის შემდეგ ეკლესიიდან კვლავაც აგზავნიდნენ სააღდგომოდ და საშობაოდ საჩუქრებს პროდუქტების სახით, მაგრამ ბაწიუშკა საპყრობილეში, მას მერე, მგონი, აღარ მოსულა. არადა კუ თითქმის ყველა კონფესიის წარმომადგენლებთან დადიოდა და რაღაცეებს სცინცლავდა პრესვიტერიანელებსა თუ გურუებს. მაშ მართლმადიდებელ ბაწიუშკას რაღას ემართლებოდა? ალბათ იმას, რომ პრესვიტერები და გურუები მხოლოდ თავისიანებს ეხმარებოდნენ და ისიც თავიდან – გაცნობის პირველ ეტაპზე. ბაწიუშკამ კი ყველას მიუტანა საჩუქრები და ალბათ ეს ვერ აიტანა კუმ. მან ვერ აიტანა ის, რომ მის გარდა სხვასაც ერგო პასკა და წითელი კვერცხები. გარდა ამისა თუ ის აქამდე სცინცლავდა პრესვიტერებსა და გურუებს რამეს, ეს, რომ იტყვიან, თაღლითობით იყო მოპოვებული, მაშასადამე – „შრომით გამომუშავებული“, ხოლო ახლა სამადლოდ მოცემულის აღება უწევდა – ჰო ალბათ ესეც იყო, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც იყო ის, რომ გაკეთდა კეთილი საქმე. აი რა ვერ აიტანა კუმ.

კუ იყო ოპერ გურჩენკოს ერთგული მუშაკი. გურჩენკოს ნებართვებითა და მფარველობით აღჭურვილს უბატონოდ არათუ პატიმრები, დაბალი რანგის თანამშრომლებიც კი ვერ სცემდნენ ხმას. კუ მთელი საპყრობილის ყველა შიდა ეზოში დაძვრებოდა და იჭერდა კონებს. კონებია წვრილი ძაფები, რომლებითაც პატიმრები ერთმანეთს უკავშირდებიან საკნიდან საკანში. ამ ძაფებზე აბამენ ქსივებს, პროდუქტებს, ტანსაცმელს, შირპატრებს, ფულს, ნარკოტიკებს და ათას რამეს. კუ სპეციალური პრიჩანდალებით წყვეტდა ან ჭრიდა

კონებს და არამარტო წყვეტდა და ჭრიდა, არამედ იმასაც ეუფლებოდა, რის გადაგზავნასაც პატიმრები კონებით ცდილობდნენ.

კამერა, რომელიც მეორე სართულზეა, იძახებს მეოთხე სართულზე განთავსებულ კამერას და სთხოვს კონს. მაგრამ მეორე სართულზე განთავსებული კამერა არაა მეოთხის ქვეშ და პირდაპირ ჩამოშვებული კონი არ მივა ადრესატამდე. საჭიროა, რომ მეორე სართულმა რეშკიდან გამოყოს პრიჩალი (წვრილი ჯოხი, რომელიც შეიძლება, უბრალოდ, დახვეული გაზეთიც იყოს), მეოთხე სართულმა კი მეორე პრიჩალით უნდა გამოყოს კანაფი, რომელზედაც სიმძიმეა მიბმული და მარჯვედ გადააგდოს, ეს ტვირთი მეორე სართულის რეშკიდან გამოყოფილ „პრიჩალს" უნდა გადასცდეს და კონის კანაფი ზედ უნდა გადაეკიდოს, რომელსაც, სხვათა შორის, ვერც კი ხედავს. როცა ეს მოხდება და მეორე სართული კონს ფანჯრიდან საკანში შეითრევს, ეს უკვე ნიშნავს, რომ „გზა" ორ კამერას შორის გაყვანილია. მაგრამ გარეთ ჩასაფრებულია კუ თავისი პრიჩანდალებით და მოთმინებით ელის, თუ როდის წამოვა ქსივები და გრევები. პრიჩანდალები კი სხვადასხვა ზომის გრძელი ჯოხებია, რომლებზეც კუს ნამგლისებური თვითნაკეთი მჭრელი დანები მიუმაგრებია. კონი ხომ მან ორ ადგილას უნდა გადაჭრას, რათა ტვირთს დაეუფლოს. თუ ვერ მიასწრო და ორი მხრიდან ვერ გადაჭრა, მაშინ პატიმრები ტვირთს ისევ უკან, საკანში შეითრევენ. თუ ზევიდან გადაჭრის, ქვევითა შეითრევს, თუ ქვევიდან გადაჭრის, მაშინ ზევითა შეითრევს. პატიმრები დაოსტატებულები არიან და ზოგჯერ ყალბ ტვირთს აგზავნიან კონით, და კუმაც უნდა როგორღაც გამოიცნოს, თუ რომელი ტვირთია ყალბი და რომელი – ნაღდი. ხანაც პრიჩალზე პატარა სარკის ნატეხს ამაგრებენ და ამ სარკით მთელ პერიმეტრს ალივერებენ. კონების დაგზავნა მთელი ხელოვნებაა, მათი დაჭერა კი ნამდვილი მეცნიერება. კუ კი ნამდვილი ვირტუოზი იყო კონების დაჭერის საქმისა. განა ეს ადვილია? არა, ეს ადვილი სულაც არ არის.

აი, გადაადგილდება კასიაკი: მიჰყავთ ორმოცდაათი, ასი ან ას ორმოცდაათი პატიმარი – სამუშაოდ მიდიან. ისინი თითქმის ყველანი მკვლელები არიან. ათიდან ცხრა ანუ ოთხმოცდაათი პროცენტი მკვლელობისთვის იხდის სასჯელს, ახლა კი სამუშაოზე მიიჩქარიან და სტახანოველებივით გაცხარებით მუშაობენ, ზოგჯერ ჩხუბობენ კიდეც ერთმანეთში სამუშაოს გამო. შენც მათ შორის! აი, ჩაუვლის კასიაკი უტყვად ციხის საცხოვრებელი კორპუსის კედელთან გარინდულ კუს. მას ერთი პრიჩანდალი კედელზე აუყუდებია, მეორე ხელში მოუმარჯვებია და ჩასაფრებული მონადირესავით შეჰყურებს საკნიდან საკანში გაბმულ კონს. უკლებლივ ყველა საკანი ბაიანებითაა დაბურული და იქ მსხდომნი კუს ვერ ხედავენ, არადა მათი კონი ზედ ჩამოკიდებული ტვირთიანად განწირულია დასაწვავად. მაგრამ რომელი გაბედავს და გააფრთხილებს, ტვირთი არ გამოუშვათო. ეს რომ ვინმემ გაბედოს ოპერი გურჩენკო მას სამუშაოზე აღარ გამოუშვებს და მეორე დღესვე „პადვალზე" გადაიყვანს. არადა როგორი საყურებელი და ასატანია კუს საქციელი – ის ხომ გაუგონარ საქმეს სჩადის, ყოველი ამის შემყურე კი უნებურად თანამონაწილე ხდება ამ გაუგონარი საქმის. ამას ბევრი მენტიც კი არ კადრულობს. შენ კი უყურებ და უნებურად თანამონაწილე ხდები ყველაფერ ამის.

საპყრობილე დიდი იყო და ერთმანეთზე აჩონჩხლილ შენობათა მთელ კომპლექსს წარმოადგენდა. რაც შეეხება საწარმოო ზონას, ის თავის მხრივ ოთხი ერთმანეთზე გადაბმული კორპუსი იყო და ზევიდან რომ დაგეხედათ, წარმოადგენდა მართკუთხედს, რომლის შუაშიც ეზო იყო საწარმოსი. სამუშაოზე მიმავალი და სამუშაოდან უკან მომავალი პატიმრები ჯერ ამ ეზოში გაჰყავდათ და პატარა რაზვოდის შემდეგ ანაწილებდნენ თავ-თავიანთ საამქროებში. საწარმოო კორპუსების სახურავები იყო ბრტყელი, ბეტონისა, რომლებიც ტოლითა და გუდრონით იყო გადახურული. ამ ტოლითა და გუდრონით გადახურული კორპუსებიდან ერთ-ერთზე კი

დაეშენებინათ კიდევ ერთი პატარა შენობა, ისიც ბეტონის ბრტყელსახურავიანი და ისიც დახურული ტოლითა და გუდრონით. აი, ამ ტოლითა და გუდრონით დახურულ სახურავზე დაშენებულ „დაშენებაზე", გასაოცარია, მაგრამ ამოსულიყო კაკლის ხე. საიდან მოხვდა იქ კაკალი, ან როგორ მოიკიდა ფესვი, არავინ უწყოდა. იმ მიდამოში ბევრი ჭილყვავი ბუდობდა და შეიძლება რომელიმე ჭილყვავს ჩამოუვარდა. ჰო, ალბათ ასე იყო – ჭილყვავს ჩამოუვარდა, მერე დასველდა, გალვივდა და ფესვები გაიდგა გუდრონსა და ტოლში. ბეტონის სინკარებს შორის კი ალბათ ცოტა მიწაც იყო ქარის მიერ შემოყრილი; და ციხის სახურავზე კაკალი ამოვიდა. კაკლის ხის ვარჯი ალბათ დაახლოებით ადამიანის მაჯის სიმსხო გამხდარიყო, სიმაღლით კი უკვე ორ მეტრზე მეტიც იქნებოდა. ციხის თავზე ამოსული ეს კაკლის ხე, რასაკვირველია, ყველას ძალიან გვიყვარდა, რადგან ის ტუსაღებისთვის რაღაც სიმბოლურს წარმოადგენდა – დროშისმაგვარს, შტანდარტისებურს. ამ ხის სახით სიცოცხლე თითქოს თავის სიცოცხლისუნარიანობას ავლენდა და პატიმრებს იმედს უნერგავდა.

ერთხელ კი, დილის რაზვოდისას, როცა თითქმის მთელი რაბოჩკა საწარმოო ეზოში ვიყავით გამწკრივებულნი, სახურავზე მოულოდნელად გამოჩნდა კუ თავის ერთ-ერთ ცოლ (ან იქნებ ქმარ), ჭკუათხელ და კაფანდარა თეთრყირმიზა ბელკასთან ერთად. მათ იღლიებში ხის კიბე ამოჩარათ, ხოლო კუ ცულსაც მოათამაშებდა, სხვათა შორის. კუმ და ბელკამ კიბე ძირს დადეს და სახურავზე რაღაცეების გადაადგილებას თუ დალაგებას შეუდგნენ. კუ სახურავის კიდესთან ახლოს დადიოდა და ბელკას უთითებდა, თუ სად რა დაედო და რა ეკეთებინა ამ უკანასკნელს. მერე კუმ ბელკას რაღაც უთხრა და მათ კიბე სახურავზე აშენებული ნაგებობის კედელს მიადგეს. კუმ კიბეს საქმიანად ახედა, ხელით მოსინჯა, ხომ არ გადმოვარდებაო, შემდეგ ბელკას რაღაც უთხრა და ხელში ცულმომარჯვებული ფრთხილად შეუდგა კიბეზე ასვლას. ის არ ჩქარობდა და აშკარად ცდილობდა, გაეწელა ის სიამოვნება, რა-

საც მას სახურავზე ამოსული კაკლის ხის ყველას დასანახად მოჭრა მიანიჭებდა. სახურავზე გაზრდილი კაკლის ხის მოჭრა კუს შეეძლო ნებისმიერ დროს და არ იყო აუცილებელი ამის გაკეთება მაინცდამაინც დილის რაზვოდისას, მაგრამ მას, როგორც ჩანს, აშკარად სურდა, რეციდივისტების გრძნობებზე ეთამაშა.

– ი-ეეე, კუ-ურვა�ა, მგონი ამას ჩვენი ხის მოჭრა უნდა! – აყვირდა ვილაც.

– რას აპირებ?! სად მიძვრები?! – აყვირდნენ სხვებიც. და მალე თითქმის ყველა პატიმარმა ერთხმად დაუწყო მას ლანძღვა. კუ კი ამ დროს ცულით ხელში მიიწევდა საწარმოო კორპუსის სახურავზე დაშენებული ნაგებობის სახურავისკენ. ავიდა, სული მოითქვა, მერე კი ბეტონზე ასულმა კაკლის ხე ცულის რამდენიმე დარტყმით მოჭრა.

წამით ყველა დადუმდა და საწარმოს ეზოში დაისადგურა სიჩუმემ. დუმდა კუც და არც კი იხედებოდა ჩვენკენ; და ისევ ის მშვიდი ნილაბი სახეზე – არც სიხარული, არც წუხილი, არც ნიშნის მოგება, არც ღვარძლი, არც სინანული – მშვიდი ნილაბი და ზეთიანი, გიშრის მძივივით შავი, გარყვნილი თვალები. კუმ მოჭრილ ხეს დახედა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და გადააგდო. მას რომ ეს ხე ნიშნის მოგების მიზნით, გამარჯვების აღსანიშნავად ჩვენთვის მოეღერებინა, ან ჩვენი ლანძღვის საპასუხოდ დაეძახა რაიმე უშვერი, მისი საქციელი იქნებოდა, რასაკვირველია, აღმაშფოთებელი, მაგრამ არა ასეთი ამაზრზენი. ის აინუნშიაც არ აგდებდა ჩვენს პროტესტს, ჩვენს რისხვას... ის სიტყვიერადაც კი არ გვეუბნებოდა რაიმე ასეთს, მაგალითად: „ილაპარაკეთ! იტლიკინეთ! მე კი ჩემსას ვაკეთებდი, ვაკეთებ და გავაკეთებ!" ის არც თავისი ქცევით აკეთებდა რაიმე გამომწვევს, საერთოდ არ გვაგდებდა არაფრად, თითქოს ჩვენ არც ვარსებობდით ქვეყნად.

შეიძლება ვილაცას გაუჩნდეს კითხვა, თუ რატომ და როგორ ბედავდა ეს ძაღლიშვილი ამდენს. რატომ არ ემუქრებოდნენ, არ სცემდნენ, არ ასახიჩრებდნენ ან არ კლავდნენ. ასეთებს

შეიძლება გაეცეს პასუხი: კუ ოპერრწმუნებულ გურჩენკოს საყვარელი მუშაკი იყო და მისი ცემა და დაშინება თავად გურჩენკოს ცემასა და დაშინებაზე მეტს უდრიდა. გურჩენკო კი იყო მხიარული და იმავდროულად ძალიან საშიში კაცი; ნამდვილი სადისტი, რომელსაც ყოვლად ალოგიკური რამ შეეძლო მოემოქმედა. ის ხან სოფლურ-უკრაინულად უქცევდა და საკუთარ თავს ერთგვარ ხეპრედ წარმოაჩენდა, ხანაც გამართული რუსულით მეტყველებდა და შეეძლო ყოფილიყო ძალიან დაუნდობელი. იცოდა თითქმის ყველაფერი, რაც კი ხდებოდა ციხეში და კოორდინირებას უწევდა თითქმის ყველა მოძრაობას. თუ ვინმეს ამოიჩემებდა, არ გაახარებდა – კამერიდან კამერაში ამოგზაურებდა და ამ მოგზაურობისას ათას ხიფათს გადაჰყრიდა.

* * *

ხის მოჭრის შემდეგ გავიდა სამი თუ ოთხი თვე. საღამოს შემოწმების შემდეგ ჩვენ ყველას ფლოქსში გვატარებდნენ და სანამ ყველას სათითაოდ გაგვატარებდნენ, სპეციალურ ატსტოინიკებში გვამწყვდევდნენ. ბოლოს რამდენიმე დაგვიანებულიც გაატარეს ფლოქსში და ატსტოინიკებიც გააღეს. კასიაკი იყო დაახლოებით ას ორმოცდაათკაციანი და ჩვენ წესით გვეკრძალებოდა დერეფანში გამწკრივებულ საკნებთან მისვლა, რეზინის ჯოხიანი ზედამხედველებიც მოგვდევდნენ და ზემდეგი ლიოხაც თავისი ძალიან ავი გერმანული ძუკნა ნაგაზით ნაიდათი, მაგრამ ვინ აქცევდა ამ ყველაფერს ყურადღებას! წარმოებიდან დაბრუნებული პატიმრები თაგვებივით მიმორბოდნენ დერეფანში და ტენიდნენ საკნების ღრიჭოებში ქსივებს, ჩაის ზავარკებს, სიგარეტებს ან იღებდნენ იქიდან რაღაცეებს; სხაპასხუპით ესაუბრებოდნენ თავიანთ ნაცნობებსა და მეგობრებს. დერეფნის ბოლოს კი იყო კიბე, რომლითაც უნდა ავსულიყავით ჩვენს სართულზე, სადაც თითქმის ყველა საკნის კარი იღებოდა და ახლა აქ იმართებოდა ერთი

ზედახორა. ყველა ცდილობდა წამით სხვა საკანში შესვლას და რაღაცის გადაცემას ან გამორთმევას. სამზარეულოდან უკვე მოეტანათ ვახშამი და დიდულვაშა მოხუცი ბალანდიორი, მეტსახელად ტარას შევჩენკო, ნიჩბისტოლა ჩამჩით თავს ადგა უკვე თავმოხდილ უშველებელ ქვაბ-თერმოსს.

ტარას შევჩენკო ტიპური უკრაინელი იყო. ის მოზრდილ, ძირს ჩამოკიდებულ ულვაშებს ატარებდა, ხოლო კეფა და საფეთქლები მუდამ მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. ასეთი იერით ის ძალიან ჩამოჰგავდა უკრაინული ლიტერატურისა და ფერწერის კლასიკოსს. ეს კაცი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოვებული და მოსწრებული სიტყვა-პასუხით გამოირჩეოდა. თუ შეეკითხებოდნენ, საჭმელი რა გაქვსო, ის, როგორც წესი, სიმართლეს არასოდეს ამბობდა. ან რა უნდა ეთქვა, როცა სულ სამნაირი იყო ციხეში საჭმელი: ფშენო, სეჩკა, იეჩკა და „ვასიოკ პაკურიმ". მაგრამ ტარას შევჩენკო კითხვაზე – „აბა, ტარას შევჩენკო, ამჯერად რაღა მოგვიტანეო?" – პასუხობდა: – „ოოო, ამჯერად, მაბუც (ვინძლო) შემწვარი კაკაბია, სერ!" ან „მოხარშული ზუთხი, ხიზილალა და თეთრი ღვინო, მუსიე!" ეს კაცი თავისუფლებაზე მზარეულად იყო ნამუშევარი და ამიტომაც „სთავაზობდა" ციხის ბინადართ ნაირნაირ საფირმო კერძებს; თანაც ზოგჯერ ხან „სერს" აყოლებდა თავის ნათქვამს, ხან „მუსიეს" და ხანაც „მილორდს". ოღონდ რადგანაც ის მეტყველებდა უკრაინულ-რუსულად, მისი ნათქვამი „პან" ზოგჯერ ჟღერდა როგორც „პანე", ხოლო „მილორდ" – როგორც „მილორდე". ეს კი კიდევ უფრო სახალისოს ხდიდა მის მეტყველებას. თუ დრო ჰქონდა და ხასიათზე იყო, იცოცხლეთ, ენამზეობდა და რას აღარ გვთავაზობდა. მაგრამ თუ დროში შეზღუდული იყო ან მენტი ლაზღანდაროობის საშუალებას არ აძლევდა, მაშინ ტარას შევჩენკო გვპასუხობდა ასე: „მაბუც, ფშონკა ინდაურის ბულიონის ნაცვლად, მილორდე!" ან „სიმინდის სუპი, ინდაურის ბულიონის ნაცვლად, პანოვე (ბატონებო)!" მისი საყვარელი კერძი კი, როგორც ჩანს, მაინც ინდაურის ბულიონი იყო, რადგან ყველაზე

ხშირად სწორედ ამ კერძით გვიმასპინძლდებოდა.

ქვაბ-თერმოსი იქნებოდა დაახლოებით ორასლიტრიანი და ის მდულარე შლიუმკით იყო სავსე. მყარ ოთხთვალა ურიკაზე შემოდგმული სუპით სავსე ეს ქვაბი სატვირთო ლიფტით ამოეტანათ და როგორც კი სამუშაოდან დაბრუნებულებს საკნებში ჩაკეტავდნენ, ქვაბ-თერმოსიან ურიკას ჩამოატარებდნენ.

ციხის დაუწერელი კანონების თანახმად, აბიჟენნიკებს უფლება არ აქვთ, მიეკარონ იმ საკვებს, რასაც ჭამს ობშიაკი – პურს, ჭურჭელს; მაგრამ დახურული თერმოსის ამოტანში ტარას შევჩენკოს ეხმარებოდნენ სწორედ რომ აბიჟენნიკები. მათ შორის იყო კუც. ის ქვაბის სიახლოვეს იდგა და რაღაცაზე ებაასებოდა ვიღაც თავისიანს, ჩვენკენ მხოლოდ დროდადრო გამოიხედავდა ხოლმე და მერე ისევ განაგრძობდა საუბარს.

გვოზდი (ლურსმანი) მეტსახელი იყო მისი. ჩვენ მას ყველანი ასე ვეძახდით, რადგან ამ კაცს ხეში ჩაჭედებული ნებისმიერი სიდიდის ლურსმნის ამოძრობა შეეძლო – ჩააჭედებდა ხის კუნძში ან კოჭში უშველებელ ლურსმანს, მხოლოდ თითების მოსაკიდს დაიტოვებდა, შემდეგ კი ამ ლურსმანს ნელ-ნელა აძრობდა თითებით ხიდან. ის არ იყო ტანმაღალი, უფრო დაბალი ეთქმოდა და მიეკუთვნებოდა ისეთთა არამრავალრიცხოვან კატეგორიას, ვისაც ფაქტიურად არ ჰყავთ მტრები. სხარტი, მხიარული, პირზე მუდამ ღიმილიანი... ყურადღებიანი. თუმცა ამბობდნენ, თუ გაბრაზდებოდა და ვინმეს დააკერებდა, ის „დაკერებული“ დასისხლიანებული დრუნჩით დაკერებისთანავე ენარცხებოდა ძირს და ძალიან დიდხანს ველარ დგებოდა შემდეგ ფეხზე. ხოლო თუ გვოზდი ვიღაცას მოიგდებდა ხელებში და თავისი „ლურსმნისმძრობი“ კლესჩის მაგვარი თითებით ჩააფრინდებოდა, მერე ვერავინ გამოგლეჯდა მას ხელიდან, სანამ არ გაუშვებდა თვითონ. არადა გვოზდი თავმდაბალი, გულისხმიერი, კეთილი ადამიანი იყო

და უმიზეზოდ არავის აკერებდა. ის არ სარგებლობდა ბოროტად თავისი ფიზიკური შესაძლებლობებით. პირიქით, ხშირად ბევრს უთმობდა თანდაყოლილი თავმდაბლობისა გამო. ის პრომზონაში შემდულებლად მუშაობდა, თავისუფალ დროს კი ორგმინისგან აკეთებდა ძალიან ლამაზ ობობებიან მუნდშტუკებს, რაც პატარა დამატებითი შემოსავლის წყარო იყო მისთვის.

ამ ადამიანზე სათანადო წარმოდგენის შესაქმნელად მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო: მე მას ერთხელ ორი მუნდშტუკი შევუკვეთე ნისიად. სანაცვლოდ მუნდშტუკებისა, ერთი კვირის თავზე ოთხი კოლოფი ჩაი უნდა მიმეცა მისთვის. ერთი კვირის თავზე გვოზდთან გასწორება ვერ შევძელი და თვის ბოლომდე ვთხოვე ვალის გადავადება. მან ხალისიანად შემომცინა და დამთანხმდა. მერე... დამავიწყდა, გვოზდის ვალი რომ მქონდა. დაახლოებით სამი თვის შემდეგ კი ისევ მე გავიხსენე, რომ ორი მუნდშტუკის საფასური ჯერაც გადაუხდელი მქონდა. შევწუხდი და ისიც კი ვიფიქრე, იქნებ მიცემული მაქვსმეთქი თავისი ჩაი. მივედი და ვკითხე. მან დაიმორცხვა და მითხრა როგორც იყო საქმე, ანუ ის, რომ ჩაის საფასური ჯერაც გადახდილი არ მქონდა. რა თქმა უნდა, შევწუხდი, მივეცი თავისი ჩაი და თან ცოტათი ვუსაყვედურე, რადგან მე თვითონ რომ არ გამხსენებოდა, ის ალბათ არც კი შემახსენებდა, რომ მე მქონდა მისი ვალი. გვოზდმა გაიღიმა და მითხრა, რომ ის აუცილებლად შემახსენებდა ვალს, მე რომ შეგნებულად ამერიდებინა თავი ვალის გადახდისთვის, მაგრამ მიხვდა, რომ მე უბრალოდ დამავიწყდა ეს ამბავი, მას კი შეხსენება მოერიდა.

გვოზდს მისჯილი ჰქონდა თხუთმეტი წელი, რომელთაგან მხოლოდ სამი მოეხადა. მაშინდელი კანონმდებლობა კი თხუთმეტ წელზე მეტს არ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას. რას მიუსჯიდნენ კუსთვის? არაფერსაც! დაუმატებდნენ იმ სამ წელიწადს და გაუხდიდნენ ისევ თხუთმეტს. განზრახ მკვლელობის მუხლი მაშინდელი კოდექსით ითვალისწინებდა დახვრეტასაც, მაგრამ მიუსჯიდნენ, განა გვოზდს ან ნების-

მიერს, დახვრეტას ამ უთვისტომო, უსულგულო, უბადრუკი არსებისთვის? – არა. კანონი ყველასთვის, რა თქმა უნდა, ერთია, მაგრამ როცა კლავენ დეპუტატს ან პრემიერ-მინისტრს, ის სხვაგვარად მოქმედებს – მკაცრი ხდება. ხოლო როცა ერთი დამნაშავე კლავს მეორე დამნაშავეს გასაგები მიზეზების გამო, ის ბევრად უფრო ლიბერალურია. ამ შემთხვევაში ხომ საზოგადოების ერთი ხორცმეტი კლავს მეორე ხორცმეტს. ჰოდა, კანონიც ეგუება ამას.

ჰოდა. გვოზდმაც ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, გადაუჩურჩულ-გადმოუჩურჩულა ვიღაცეებს, მათ შორის მეც, და ითხოვა, პატარა ატვოდი გაგვეკეთებინა. მერე კი გაცუნცულდა, მარდი გარბენ-გახტომ-გამოხტომებით რეციდივისტებს შორის გაძვრა, ქვაბ-თერმოსის სიახლოვეს მდგომ კუსთან მიირბინა, სწრაფად დაიხარა, უკნიდან ფეხებში სტაცა ხელი და ბევრი ფიქრის გარეშე თავით ჩააყუდა ცხელ ქვაბში.

ჰაი, გიდი! ვინ იფიქრებდა ამას? ვინ იფიქრებდა, რომ გვოზდი ასეთ რამეს იკისრებდა. მე პირადად მეგონა, რომ მას რომელიმე საკანთან მისვლა და რაღაც აკრძალულის აღება ან გადაცემა სურდა – ზატოჩკის, ქსივის, ათასი რამის... მან კი, არც აცია, არც აცხელა და კუ ორასლიტრიან შლიუმკით სავსე მდუღარე ქვაბში ჩააყუდა თავით. რაკი ატვოდი ითხოვა და მიზანმიმართულად გაიქცა, მეც ვიღაცას ვუჯიკე, სხვა მხარეს გავიქეცი, კიდევ ვუჯიკე და პატარა ჩოჩქოლის კერა შევქმენი, რათა მენტების ყურადღება ჩემკენ გადმომეტანა, ცალი თვალით კი გვოზდისკენ ვიჭერდი დროდადრო ლივერს. ხოლო მან... მან, აიღო და კუ მდუღარე შლიუმკაში ჩააყუდა პირდაპირ თავით. ჭყლუმპ!!!

ამ დროს ჩემი ღია საკნის წინ მდგომი ერთ-ერთი მენტი უკვე საკანში მტენიდა, მაგრამ მე მას დავუსხლტი და ქვაბ-თერმოსისკენ გავიქეცი. ეს ერთი მხრივ კარგიც იყო, რადგან საჭიროების შემთხვევაში ეს მენტიც დაადასტურებდა, რომ როცა კუ ქვაბში ჩავარდა, მე მაშინ ქვაბის სიახლოვეს არ ვიმყოფებოდი, არამედ ვიდექი ჩემი საკნის კართან და ჩოჩქოლი

რომ ატყდა, მაშინ გავიქეცი ქვაბისკენ. ეს ალიბი იყო და ამიტომ ჩავთვალე, რომ მქონდა საშუალება, რაიმე გამეკეთებინა ისეთი, რაც დაეხმარებოდა გვოზდს. კუ ქვაბში მძლავრად შეფართხალდა, თითქოს გააჟრჟოლა და ამოხტომაც კი სცადა და სწორედ ამ დროს მის თვალებში, როგორც სანახევროდ დაკლულ ინდაურისაში და ფეხებით ნაბურთავებ კუსაში, მე დავინახე ისევ ის ტკივილი, წუხილი, დაღლილობა და... რაღაცნაირი, შემცბარი გაკვირვება მომხდარის გამო. შეფართხალებამ კუს კიდევ უფრო ღრმად, თითქმის მთელი სხეულით, ჩააყვინთვინა ქვაბში. გვოზდმა იმავდროულად ყვირილი მორთო: – ჩახტა! დაინახეთ, ჩახტა! – მას კუ ფეხებით ეჭირა და ისე ირჯებოდა, თითქოს ქვაბში ჩამხტარის გადარჩენას ლამობდა, სინამდვილეში კი პირიქით, ამოძრომის საშუალებას არ აძლევდა. მალევე მოეგო გონს წამით დაბნეული და გაოგნებული ტარას შევჩენკოც და მანაც მხარი აუბა გვოზდს: – ჰო ჩახტა! ჩახტა! ადამიანი ქვაბში ჩახტა, კარაულ! პალუნდრა! პიზ-ძიეეც! – ამ ყვირილში გამამხნევებელი ღიმილით თვალიც კი ჩაუკრა გვოზდს (ესეც დავინახე). გვოზდმა ამასობაში (ჩემთვის აღვნიშნე კმაყოფილებით) ტარას შევჩენკოს სახით მთავარი და მეტად საჭირო მომხრე, მოკავშირე და ცრუ მოწმე შეიძინა. მე მივირბინე მდუღარე ქვაბთან და კუს ბრიგადის წევრ აბიჟენნიკებს მივუბრუნდი. გონება სხარტად მიმუშავებდა და გვოზდის გადასარჩენად შევეცადე მეკარნახა აბიჟენნიკებისათვის, თუ როგორი ჩვენება უნდა მიეცათ დაკითხვის დროს. ვიცოდი, რომ არც ერთ მათგანს არ ეხატებოდა გულზე კუ. მათ ის სძულდათ.

– თქვენც დაინახეთ, როგორ ჩახტა?! – მივუტრიალდი აბიჟენნიკებს.

– ჰო დავინახეთ! დავინახეთ! ვადალაზივით! მყვინთავივით ჩახტა! – აქოთქოთდნენ ისინიც ჯერ გაუბედავად და ცალცალკე, შემდეგ კი იმედის მომცემად და ერთხმად. არც იყო გასაკვირი – მათ ხომ სხვაზე ნაკლებ კი არა და, ალბათ სხვაზე მეტად სძულდათ კუ. კიდევ რამდენიმე ასეთი ცრუმოწმე და...

მე ტარას შევჩენკოს ნიჩაბივით დიდი ჩამჩა გამოვგლიჯე ხელიდან და იმ ჩამჩით ამოვურიე ქვაბს. ამ ამორევისას ამოტივტივდა ჩერეპახას თავი... და ამჯერადაც ჯერ კიდევ ცოცხალმა პიდრილამ სწორედ ისე, ქვაბში მოხვედრილ ინდაურისებრ თუ კუსებრ ამომხედა ცალი თვალით და მის მზერაშიც, როგორც დაფუფქულ ინდაურისაში და კუსაში – აღარ იყო ტკივილი და წუხილი, არამედ მხოლოდ, რაღაცნაირი... დაღლილობა და შემცბარი გაკვირვება მომხდარის გამო.

მე არ მეამა მისი ეს გამოხედვა და საგრძნობლად შევდრკი. გაფუფქული, მაგრამ სიცოცხლის ნიშნების მატარებელი თავი კი ჩამჩიდან მოსხლტა ამასობაში და კვლავ გაუჩინარდა სუპში, ამჯერად უკვე სამუდამოდ. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ ამოვურიე ჩამჩით და ახლა მხოლოდ ცალი ფეხი ამოჰყვა ჩამჩას კუსი – წუნწკლიანი ზოლებიანი შარვლის ტოტი თითქმის მუხლამდე ასწეოდა, დაფუფქული კანი კი მთელ წვივზე ასძრობოდა და კოჭთან დახვეოდა პრეზერვატივივით, ფეხზე ღორის ტყავისგან შეკერილი გაფუფქული და ამის გამო კიდევ უფრო მოღრეცილი პატიმრული, ცხიმიან-ლორნოვანი სითხით გაბერილი, ჩაძენძილი წინდა ეცვა.

მაშინვე მოცვივდნენ პატიმრები, მენტები. ატყდა ქოთქოთი. მე ამასობაში მოვასნარი და რამდენიმე საიმედოს თვალი ვუყავი, თან ხმამაღალი ლაპარაკით მივანიშნებდი, თუ როგორი უნდა მიეცათ ჩვენება გამოძიებისთვის, თუკი ჩვენების ასაღებად დაიბარებდნენ. „იდგა, ჩვეულებრივად ლაპარაკობდა, მერე კი ქვაბში ჩახტა!" იმეორებდა ერთსა და იმავეს ტარას შევჩენკო. „მეც დავინახე როგორ ჩახტა. გამოვექანე, რომ ამომეყვანა, მაგრამ უკვე გვიანი იყო; ვერც შევხედე, თუ რომელი იყო! ვინ იფიქრებდა, რომ კუ თავს მოიკლავდა!" – ვიმეორებდი ნიადაგ მეც. ჩემი, ტარას შევჩენკოსა და რამდენიმე აბიჟენნიკის გარდა მაშინვე აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც „დაინახეს", როგორ ჩახტა კუ ქვაბში თავისი ნებით. ის კი არა და, მგონი ერთმა ახალგაზრდა მენტმაც დაინახა, რომ კუ ქვაბში გვოზდმა ჩააგდო. ის გამომცდელად გვიმზერ-

და, მეც, გვოზდსაც, ტარას შევჩენკოსაც და სხვა ცრუმონმეებსაც, მაგრამ არ გაგვთქვა.

გვოზდი კი, ჩანს, დიდი ხანი გეგმავდა ჩერეპახა-პიდრილას მოკვლას, ან იქნებ არც გეგმავდა და ეს ყველაფერი, როგორღაც, სპონტანურად მოხდა. ასე იყო თუ ისე, ეს იყო დაუჯერებლად გონივრულად მოფიქრებული და უაღრესად მარჯვედ ჩატარებული, ვირტუოზული მკვლელობა. გვოზდმა – ამ თავმაბალმა, ცოტათი მორცხვმა, შეიძლება ითქვას, უწყინარმა კაცმა – ცოცხალი ადამიანი მდუღარე ქვაბში ჩააგდო და პირდაპირ, ყველას თვალწინ მოფუფქა. ამ ყველაში კი, მენტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრი იყო ისეთი, ვისაც ციხეში ბოზებს, პიდარასტებს, ნასედკებსა და კიდევ რაღაც ასეთებს ეძახიან. მათ თვალწინ ჩააგდო კუ გვოზდმა ქვაბში. ესეც არ იკმარა და პატარა ხანს ხელითაც ეჭირა ჩაგდებული მსხვერპლი ფეხებით, რათა იგი უკან არ ამომძვრალიყო. და ისეთი პირი უჩანდა, რომ მას ეს გამოუვიდა; ღიად ჩაიდინა მკვლელობა და შერჩა. პიდარასტებმა, ბოზებმა, ნასედკებმა და მენტებმა ის არ გათქვეს, რადგან მიუხედავად თავიანთი მენტობისა, ნასედკობისა, ბოზობისა და პიდარასტობისა, ისინი მაინც ადამიანები იყვნენ. ის კი, ვინც გვოზდმა ქვაბში ჩააყუდა, არათუ აღარ იყო, არამედ, მგონი, არც არასოდეს ყოფილა ადამიანი.

მოვიდა გურჩენკო, ცოტათი ნასვამი... გასაოცარია, მაგრამ ის არ იყო აღშფოთებული. მან ყურადღებით მოგვისმინა – ტარას შევჩენკოსაც, აბიჟენნიკებსაც, მეც, მენტებსაც, კიდევ ვიღაც-ვიღაცეებს და მოფუფქულ, ფაქტობრივად მოხარშულ კუს ქვაბიდან ამოშვერილ, ღორის ტყავისგან შეკერილ, მდუღარით დაფუფქულ ფეხსაცმელს მუშტით მიუკაკუნა ლანჩზე ზუსტად აი ასეთი სიტყვებით:

– ოიე, პიდარასსს, ეს რამდენი პროდუქტი გაგიფუჭებია? ვიღა შეჭამს ახლა ამ სუპს, ა? ვიღა ჩამომიხსნის რეშკებიდან გრევებს?! ვინ მომიტანს აწი ქსივებს! ქურდულ ქსივებს ვიღა მომიტანს, იიეხ! შენ ხომ სიცოცხლე ნაბრძანები გქონდა, პი-ი-

იდარ!!! შენ კი აიღე და, ნისტავო-ნისსივო, სუპში ჩახტი, ბლიად! ییییეხხხ, პიტუხ გამბურგსკი-ი-ი, რა გაკლდა ნეტავი! შენც ჩემსავით დღემუდამ ზეკებზე ზრუნავდი და სიკვდილის წინაც სუპში ჩახტი! შლიუმკა გააგემრიელე?! მეც ხომ არ ჩამოვხტე შენთან, კაზიოლლლ იებანნი! ჰოდა, ჭამონ ახლა კუს ბულიონი ამ ბოზებმა! ჩვენ ხომ სამაგალითო ციხე გვაქვს, პატიმრებზე ვზრუნავთ, ვზრდით! ისენი კი იმის მაგივრად, რომ აღიზარდონ, სუპში ხტებიან და იხარშებიან! რამდენიც გინდა აღზარდე – პიდარასტი მაინც პიდარასტია! – მისტიროდა ის თავის საყვარელ აღსაზრდელს და თან ციინიკურად იღიმებოდა. – თქვენ რაღას გაჩუმებულხართ, პეტუხებო?! – მიუბრუნდა ახლა აბიჟენნიკებს, – დაიტირეთ თქვენი საყვარელი ბრიგადირი! – ეს იყო უჩვეულო ადამიანი, რომელსაც შეეძლო ეხუმრა, ეხუმრა, მერე კი უეცრად გამკაცრებულიყო და გამკაცრებისას ასევე უეცრად მთელი ძალით ჩაერტყა პატიმრისთვის. დარტყმის შემდეგ კი გაეცინა და ბოდიში მოეხადა ან პირიქით, წიხლქვეშ გაეგდო და რამდენიმე წუთის განმავლობაში ფეხებით ებურთავებინა; შესაძლოა ის ცოტათი აფრენდა კიდევაც.

რაც შეეხება გვოზდს, ის კარცერშიც კი არ ჩაუსვამთ. რა თქმა უნდა, გურჩენკო იმისი ჩიტი არ იყო, რომ სიმართლე გამოჰპარვოდა. მაგრამ ციხის ადმინისტრაციას არაფრად აწყობდა ზედმეტი მკვლელობა მათ დაწესებულებაში. თვითმკვლელობა ბევრად ნაკლებ სახათაბალო იყო და რადგან ამდენი მოწმე ერთხმად ამტკიცებდა, რომ კუ თვითონ ჩახტა ქვაბში, საქმესაც ასეთი კვალიფიკაცია მისცეს – თვითმკვლელობა. რაც შეეხება კუს, როგორც უშტატო თანამშრომლის საჭიროებას და მის შეუცვლელობას, ესეც არ იყო პრობლემა, რადგან მისნაირები მრავლად იყვნენ საპყრობილეში და გურჩენკოს ერთი დასტვენისთანავე მაშინვე მიცუნცულდებოდნენ თავიანთ სანუკვარ შეფთან ჩექმების სალოკად.

„დატირების“ შემდეგ გურჩენკო დასერიოზულდა და განკარგულება გასცა, სწრაფად შევეყვანეთ ყველანი საკნებში. კუს ცხედარი უკვე უჩვენოდ ამოიღეს ქვაბიდან და სადღაც

წაიღეს. დერეფანი შნირს ტილოთი მოაწმენდინეს, მერე კი ჩვეულებრივ, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, დაიწყო ვახშამი. იღებოდა კარმუშკები და პატიმრები იღებდნენ მხოლოდ პურს; სუპზე კი უარს აცხადებდნენ, რადგან უკვე ყველამ გაიგო, რომ ამ სუპში მოიხარშა კუ, ანუ ასანიზატორთა ბრიგადის ბრიგადირი ჩერეპახა-პიდრილა.

ჩვენი საკნის კარმუშკაც გაიღო და ჩვენც მივიღეთ პური. ტარას შევჩენკომ კი წესი არ დაარღვია და ყოველ შემთხვევისათვის იკითხა, შლიუმკაც ხომ არავის უნდაო. არავის უთხოვია სუპი. რა თქმა უნდა, არც მე ვაპირებდი შლიუმკის მიღებას – პიდრილას ნახარშს აბა, რა შემაჭმევდა, მაგრამ მაინც მივეახლე ტარას შევჩენკოს და ვკითხე: – რა გაქვს, ტარას შევჩენკო, გემრიელი-მეთქი მაგ ქვაბში? მან ეშმაკურად გადმომხედა, თვალი ჩამიკრა და რუსულ-უკრაინულად მიპასუხა:

– კუს სუპი ინდაურის ბულიონის ნაცვლად, მილორდე!

Weekend, 2012

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

ბოლო კადრი

რაც უფრო მეტს ვფიქრობთ იმაზე, თუ რა ვიცით, საიდან მოვედით, რას ვაკეთებთ, მით მეტად ვრწმუნდებით, რომ გვატყუებენ. ჩვენ გვატყუებს ყველა საზოგადოებრივი სტრუქტურა. როგორ ფიქრობთ, რატომ არავინ ეხება რელიგიურ ორგანიზაციებს? რელიგიური იერარქიები დგანან ცოდვის სათავეებთან, ისინი ხომ იმავე ადამიანებისგანაა შექმნილი, რომლებიც ქმნიან მთავრობებს, მანკიერ საგანმანათლებლო სისტემებს, რომლებიც ქმნიან საბანკო კარტელებს... რადგანაც თქვენს ბატონ-პატრონებს სულ ფეხებზე ჰკიდიხართ თქვენ და თქვენი ოჯახები. მათ ადარდებთ, რაც ყოველთვის ადარდებდათ – ძალაუფლება და კონტროლი მთელ სამყაროზე. ჩვენ მიზანმიმართულად მოგვარიდეს სიმართლეს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს უმაღლესი ძალა სამყაროში, რომელსაც ადამიანები ღმერთს უწოდებენ. მე არ ვიცი, რა არის ღმერთი, მაგრამ მე ზუსტად ვიცი, რა არ არის ის. რაც მეტად ვითარდებით, უფრო ადვილად იგებთ საგანთა ბუნებას, მით უფრო ნათელი ხდება ყველაფერი და თქვენ იწყებთ სიცრუის დანახვას ყველგან. თქვენ უნდა იცოდეთ სიმართლე, ეძებოთ სიმართლე და შემდეგ ეს სიმართლე გაგათავისუფლებთ.

ხმა „ცაიტგაისტის“ დასაწყისში

რთული უნდა იყოს ცხოვრება მათთვის, ვინც ავტორიტეტს აღიქვამს სიმართლედ იმის მაგივრად, რომ სიმართლე აღიქვას ავტორიტეტად.

ჯერალდ მესი, ეგვიპტოლოგი

ერთმანეთს დილაადრიან ვხვდებით. ჯერ მზეც არ ამოსულა, სამაგიეროდ მალე მეეზოვეები ამოვლენ ნაცრისფერ ასფალტზე ნარინჯისფერი ტიტებივით. ამ დროს გაღვიძება არანაირ ლოგიკაში არ ეწერება, მით უმეტეს, თუ საერთოდ არ გიძინია ღამით. ანუ, არც გამიღვიძია. მოკუნტულმა ჩავიცვი ყველაფერი, რაც მეტ-ნაკლებად თბილი მაინც იყო ოთახში და გარეთ გავიძურწე, აივანზე.

ჰო, მართლა, ზურგჩანთა არ დამრჩეს. ვიღებ. გავდივარ. თოშავს. სადარბაზოსთან ვხვდები, ისე მხნედ გამოიყურება, თითქოს მთელი ორი დღე ეძინა. რა თქმა უნდა, სიგარეტს ეწევა. უსიტყვოდ ვესალმებით ერთმანეთს და კიბეებზე ძუნძულით ავდივართ. ისევ თოშავს. ბოლო სართულზე რომელიღაც ჯიბიდან გასაღებს იღებს და სხვენის სარქველს აღებს. სხვენში ჩამოკიდებულ პატარა ნათურას ანთებს. „ჯერ შენ ადი, – მეუბნება, – ამისმა კლაუსტროფობიამ ხო შეიყო, რა", – ვფიქრობ ჩემთვის და კიბეზე ვბობღდები. ორი-სამი ნაბიჯის შემდეგ სახურავზე ვარ. აქედან თბილისი ისე ჩანს, როგორც ტურისტულ ფოტოებზე მინახავს. „აეხლა მალე ამოვა მზე და გავთბებიით", – მამშვიდებს. კაი ორი საათი მზე არ ამოვა, ხომ ვიცი, მარა მეზარება ამის ახსნა და თავს ვუქნევ. ერთ-ერთ მოსახერხებელ ადგილზე ვსხდებით. მეორე ღერს უკიდებს. „ნუ გამბოლე, შეჩემა". აზრი არ აქვს. ზურგჩანთიდან ვიდეოკამერას ვიღებ, კორპუსის სახურავის მოაჯირზე ვამაგრებ და უკან ვთავსდები. „კაროჩე, დინამიკა გვინდა, რა", – ვეუბნები. ამბობს: „მზის ამოსვლას ისე დავამონტაჟებთ, რო თითებს ჩაიკვნეტ". სულ მიკვირს, კინოზე საუბრისას რა საჭიროა ეს გურმანული შედარებები, მარა ჯანდაბას. მზე ჯერ აგვიანებს ამოსვლას. უხერხული სიჩუმე. არღვევს:

– მესამე ცაიტგაისტი ნახე?

– ეგ რაღაა?

– ცაიტგაისტი როგორ არ იცი, კაცო. 2007 წელს გამოვიდა პირველი ფილმი.. ქრისტიანობაზე რაღაცებს ამბობდნენ და 11 სექტემბერზე, ვითომ ამერიკის მთავრობამ მოაწყოო და...

– ა, დოკუმენტურია?

– კი, დოკუმენტურია, ოღონდ სხვანაირი დოკუმენტურია, რა. 2007 წლის ფილმი განსაკუთრებით, რაღაც სხვანაირია რა. ნანახი გექნება აუცილებლად. ერთი ამბავი ატყდა მერე მაგაზე, რაღაც ისეთ რაღაცებს შეეხნენ...

– ეგეთს რას შეეხნენ?

– რელიგიას, ტო!

– მერე რა..

– ამერიკის მთავრობას!

– ჰო, მერე?

– რა მერე... ფედერალურ სარეზერვო ბანკს, მედიას, მოკლედ ყველას შეეხნენ, ვისაც...

– და რაო?...

მთელი ეს დრო ერთ წერტილს არ ვაშორებ თვალს. ჩვენ ახლა ერთი მაღალი შენობის სახურავზე ვართ. აი, იმის, ადრე ქორწინების სახლი რომ იყო, თუ რაღაც, უზნაძის დასაწყისში თუ ბოლოში. წინ მთელი თბილისი ჩანს, მარჯვენა სანაპირო. ერთ-ერთი სახლის აივანზე მოხუცი კაცი ზის და მზის ამოსვლას ელოდება. ალბათ. აბა რატომ უნდა იჯდეს ამ დროს და ამ სიცივეში აივანზე? მაგარი ტიპია. ეტყობა ტონზე დამეტყო, რომ არ ვუსმენ მაინცდამაინც, ხმას უწევს და ცდილობს, უფრო დამაჯერებელი იყოს:

– კაი, გეტყვი ახლავე. ესე იგი, პირველი ფილმი რაზე იყო... პირველი ფილმი იყო რელიგიაზე, მთავრობაზე და ფინანსურ სისტემებზე რა, როგორც საზოგადოების კონტროლის მექანიზმებზე. იმაზე, რო ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუცია გვატყუებს.

– ანუ მასონებზეა?

– ისეთ პონტში. ნუ, ბევრს დარჩა ეგეთი განცდა და ბევრი აკრიტიკებდა, რო ეგენი სოციალისტები და მასონები და ეს შეთქმულების თეორიები..

– ანუ მაგაზეა? დაიკიდე რა..

– ბიჭო, საქმე რაშია, შეიძლება გჯეროდეს, შეიძლება არა,

მარა ეს ადამიანები რაღაცეებს ამბობენ, რაც საინტერესოა თუნდაც უბრალოდ მოსასმენად, რა. ცაიტგაისტი ამბობს, რომ არსებობს რაღაც „სიმართლეები" საზოგადოებაში, რომლებიც სინამდვილეში სულაც არაა სიმართლე. გვატყუებენ, როცა ქრისტეზე ზღაპრებს გვიყვებიან, გვატყუებენ, როცა გვეუბნებიან, რო 11 სექტემბერი ბინ ლადენმა და ალ-ქაიდამ მოაწყვეს.

– არა, ტო, ვანიჩკამ მოაწყო.

– ვინ ვანიჩკამ?

– ვანიჩკამ რა, ჩემი მეზობელი როა, ვანიჩკა ბეზაბიდნი.

– ე, ნუ ღადაობ, რა! მართლა გეუბნები.

– ჰო, კაი, რამით ამტკიცებენ ამ ყველაფერს, თუ ასე, უბრალოდ, ამბობენ?

– კი, ბიჭო, არგუმენტები აქვთ. პირველი ფილმი საერთოდ ძალიან გააკრიტიკეს არგუმენტების სიმწირის გამო, თუმცა ვერ ვიტყოდი, რო არგუმენტები არ აქვთ. საერთოდ, ყველაზე ნიშანდობლივი ცაიტგაისტისთვის რაცაა, არის ის, რომ ის არ გვთავაზობს რაღაც თეორიებს განსახილველად. პიტერ ჯოზეფი, ამ ფილმების რეჟისორი ამბობს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სიმართლე, რომელსაც ჩვენ გეუბნებით, ყველა სხვა სიმართლე, რომელიც აქამდე იცოდით ამ საკითხებთან დაკავშირებით, არის არასწორი. აი, მაგალითად, ქრისტიანობასთან დაკავშირებით ჩვენ ვიცით, რომ ჯვარი, ჯვარცმა, 25 დეკემბერი, მესამე დღეს აღდგომა, ქალწული დედისგან შობა – ეს ყველაფერი დაკავშირებულია ქრისტიანობასთან ხო?

– ფაიზაღი.

– ცაიტგაისტი ამბობს, რომ ეს ასე არაა. ჯვარი სინამდვილეში ზოდიაქოს სიმბოლოა, ქრისტეს სხვა მახასიათებლებიც მანამდე დამახასიათებელი იყო მზის ღმერთებისთვის უამრავ სხვადასხვა კულტურაში. თუ ჩვენ ვიცით, რო არაა სიმართლე ამბები ჰორზე, კრიშნაზე, დიონისეზე და სხვა უამრავ ღმერთზე, მაშინ რატომ დავიჯეროთ იგივე ამბები ქრისტეზე? ჯვარცმა, მესამე დღეს აღდგომა, 25 დეკემბერს შობა, 12 მო-

ციქული და ქრისტეს სხვა უამრავი მახასიათებელი, რომლებიც უნიკალური გვგონია, სინამდვილეში სულაც არაა უნიკალური, ხო?

– ატრაკებენ. სულ ეგაა?

– ჰო, ესაა პირველი ნაწილი. პირველ ფილმში აიღეს და დადეს უამრავი კონსპირაციული თეორია და თქვეს, რო ესაოო სიმართლეო სინამდვილეშიო და არა ისო, რაც აქამდე გეგონათო...

თან ლაპარაკობს, თან კარაქიან პურს ჭამს. ჩაკბეჩს – ლაპარაკობს – ისევ ჩაკბეჩს – ისევ ლაპარაკობს. გარშემო ცოტა განათდა. კამერაში ვიხედები, ხედი სწორია, ფოკუსი – კარგი, ვსიო ოკ. მტკვრის გადალმა, ერთ-ერთ აივანზე მოხუცი ისევ გაუნძრევლად ზის და რაღაც დროს იმასაც ვუშვებ, რომ ისიც ჩვენ გვიყურებს. ეხლა ამან თუ დაიწყო „после вкусного обеда по закону архимеда"-ო, – აი, მერე დამერხა. სულ გამბოლავს. იქნებ ლაპარაკში დაავიწყდეს მოწევა. ვცდილობ, დაინტერესებული სახე მივიღო:

– ისე, ვინ აკეთებს ამ ფილმებს?

– რას, ცაიტგაისტს?

– არა, კინგ-კონგის ტრილოგიას.

– რა ტრილოგიას?

– ცაიტგაისტს, ხო, ცაიტგაისტს.

– ატრაკებ, რა. ტოჟე მნე, ლარი კინგ..

– ჰო, კაი, ვინ აკეთებს?

– პიტერ ჯოზეფი არის ის ადამიანი, რომელიც აკეთებს ცაიტგაისტს. პიტერ ჯოზეფმა ასე, ცარიელი ხელებით, გადაიღო 2007 წელს პირველი ფილმი, მერე გადაიღო მეორე, 2008-ში. მერე დააარსა ცაიტგაისტის მოძრაობა, წელს გადაიღო მესამე ფილმი და მომავალ წელს კიდე აპირებს მეოთხე ფილმის გამოშვებას. თუმცა მარტო არაა ეგ კაცი და ფილმების ეს სერია – ნუ, როგორც მთელი ცაიტგაისტის მოძრაობა, დაკავშირებულია ვენუსის პროექტთან და მეცნიერ ჟაკ ფრესკოს სახელთან. ჟაკ ფრესკო და ვენუსის პროექტში მასთან ერთად

მომუშავე ადამიანები გვთავაზობენ სამყაროს მოწყობის სრულიად ახლებურ მოდელს, რომელიც გარკვეულწილად არის იმ ყველაფრის ალტერნატივა, რასაც ასე ლანძღავენ ცაიტგაისტის ფილმებში რა.

– მისმინე, შენც ხედავ იმ მოხუცს?

– ვინ მოხუცს?

– კაი, არაფერი. ჰოდა, ეს ფილმები აღიარებულია? ვინმე უყურებს? თუ ანდერგრაუნდშიკები არიან შეზღუდული მაყურებლით?

– ბიჭო, როგორ გითხრა რა, მარტო მეორე ფილმი ნახა 50 მილიონზე მეტმა ადამიანმა. მესამე ფილმი 60-ზე მეტ ქვეყანაში იქნა ნაჩვენები, თარგმნილია 30-ზე მეტ ენაზე. Youtube-ზე დადებიდან პირველ 24 საათში 300000 ნახვა ჰქონდა, ორი თვის შემდეგ კი – 5 მილიონამდე. ცაიტგაისტის მოძრაობა მოიცავს 1000-ზე მეტ ლოკალურ ჯგუფს მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყნიდან. მთლიანობაში დაახლოებით 100 მილიონამდე ადამიანს მსოფლიოში ნანახი აქვს ეს ფილმები, ან რამე ფორმით დაკავშირებულია ცაიტგაისტის მოძრაობასთან. არ გამოდის საერთო ჯამში ანდერგრაუნდი, ხო? თუმცა, საქართველოში, რა თქმა უნდა, ასე არაა. მე რო დავალაიქე ცაიტგაისტის გვერდი facebook-ზე, ჩემი 1500-მდე მეგობრიდან მხოლოდ სამს ჰქონდა დალაიქებული. დახურული ჯგუფიც არსებობს facebook-ზე – „Zeitgeist – Georgia", სადაც 100-მდე წევრია.

– ვა, რევკომი და რამე?

– არ დაიჯერო. მთლიანობაში, ვერ ვიტყვი, რო ეხლა მაინცდამაინც დღეს მსოფლიოში მეინსტრიმია ცაიტგაისტის მოძრაობა და არსებობს მილიარდი ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს ჟაკ ფრესკოს მიერ შემოთავაზებულ სოციალური მოწყობის ახალ მოდელს, მარა ის ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რო საკმაოდ დიდი მოძრაობაა და მილიონობით ადამიანი ინტერესდება ამით, რა.

– ე. ი. რამდენიმე ფილმია, ხო? და პირველი არის რელიგიებზე...

– არა მარტო რელიგიებზე, პირველი ფილმი არის იმაზე, რო ჩვენ გვატყუებენ. გვატყუებენ რელიგიური ორგანიზაციები, რომლებსაც ფულის მეტი არაფერი არ ჭირდებათ ჩვენგან. გვატყუებს ამერიკის მთავრობა, რომელსაც ასევე ფულის მეტი არაფერი არ ჭირდება და მარტო იმიტომ უწყობს საკუთარ ხალხს 11 სექტემბრის ტრაგედიას, რომ შემდეგ ომი აწარმოოს ტერორიზმის წინააღმდეგ და ამით, ისევ და ისევ, იშოვოს ფული. ...და ასევე გვატყუებენ ფარდის უკან მდგომი მდიდარი ბიძიები, რომლებიც რეალურად მართავენ სამყაროს. ეს ადამიანები აწარმოებენ ომებს, რომ იშოვონ მეტი ფული. სამი მთავარი ომი, რომელიც ამერიკამ აწარმოა მეოცე საუკუნეში, ხორციელდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკას, კონკრეტულად კი ამ ადამიანებს, მიეღოთ ეკონომიკური მოგება, რა..

– ამერიკა არ ევასება მაგ შენ პიტერ ჯექსონს?

– პიტერ ჯექსონს კი არა, პიტერ ჯოზეფს. და არ ევასება რა, უბრალოდ არგუმენტირებულად ამხელს რაღაცეებში, რა...

– შენ გევასება იუესეი?

– გააჩნია რა.

– კოკა-კოლა ხო გევასება? მაკდონალდსი, რამე... კობი ბრაიანტი, ჯეკ კერუაკი, ოპრა უინფრი, ხო გევასება?

– რა შუაშია ეხლა...

– ატრაკებენ და იმ შუაშია.

– უნდა ნახო, რა... ეხლა შენც ატრაკებ, ეგრე ვერ მიხვდები, ნახე და ვიბაზროთ მერე.

მზე თანდათან ამოდის, სანაპიროზეც ორჯერ უფრო მეტი მანქანაა, ვიდრე ათიოდე წუთის წინ. კამერას კიდევ ერთხელ ვამოწმებ. ყველაფერი რიგზეა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს. მაინც ვერ გადავრჩი. ვუყურებ. ბოლო ღერია. მადლობა ღმერთს! მდინარის გადაღმა, უკვე არაერთხელ შენიშნულ აივანზე მოხუცი ისევ გაუნძრევლად ზის. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აქეთ იყურება. ამას ფსიქოლოგიაში რაღაცის ეფექტი ჰქვია, არ მახსოვს, როცა დაჟინებით უყ-

ურებ შორს მდგომ ადამიანს, ის საითაც უნდა იყურებოდეს, რალაც დროის შემდეგ გიჩნდება შეგრძნება, რომ შენ გიყურებს. ფიქრებიდან სიგარეტის ბოლი მარკვევს.

– ჩაკალი ეხლა მალე და მორჩი, რა, გამეზეპა მაგ ბოლით თმა.

– მოწევა დაიწყე და მოგეშვება.

– შენ შენწყვიტე, თუ კაია, მაგაზე არაა არაფერი ცაიტგაისტში? სიგარეტის მაწარმოებელი კომპანიები და რამე, ა? მაფია, განგსტა პარადაის?

– დავაი, რა. არ გაინტერესებს არაფერი.

– არა, არა, მართლა, დამაინტერესა. რაო, მეორე ფილმი რაზე იყო, თუფაქი ცოცხალია?

– მეორე ფილმი იყო მონეტარულ პოლიტიკაზე და ფინანსურ სისტემებზე და ვაფშე არ გაქვს იუმორის გრძნობა.

– კაი, კაი, მომიყევი, აბა რა ვაკეთოთ მთელი ერთი საათი, აგე იმ ჩუვაკ ვარსკვლავმაც ამოანათა... ჰოდა, რაო მეორე ფილმმა?

– ბიჭო... ამ ფილმის ძალიან დიდი ნაწილი მეც ვერ გავიგე რა. რთული გასაგებია საერთოდ ეს ცაიტგაისტი, ცოტა არ იყოს...

მიყურებს. მეცინება. თვითონაც იცინის. რამდენიმე წამის მერე ორივე მაგრად ვხარხარებთ. უაზროდ. სიგარეტს აქრობს. რამდენიმეწუთიანი პაუზის შემდეგ მაინც ვერ ითმენს:

– საერთოდ ამ ფილმების ერთ-ერთი მთავარი სათქმელი ისაა, რო ჩვენ, რიგით ადამიანებს, ყოველთვის გვასწავლიდნენ, რო არ უნდა დავსვათ კითხვები, არ უნდა ჩავეძიოთ და არ უნდა ვიფიქროთ ბევრი, რადგან შეუცნობელ არს გზანი უფლისანი. დაუე მეტიც, შეუცნობელ არს გზანი ამერიკის მთავრობის, ფედერალური სარეზერვო ბანკის, მასმედიის... და საერთოდაც, მაგ შეუცნობლის მიმართ შიში და რიდია მთავარი მიზეზი, რატომაც ვიღებთ საზოგადოებრივ ჭეშმარიტებებს ჭეშმარიტებად. ჩვენ ხო ექსპერტები არა ვართ, რო

ყველაფერი გავიგოთ, იქნება ეს მონეტარული პოლიტიკა, თუ რელიგიური საკითხები, რა. ამიტომ სხვა გზა არ გვაქვს, უნდა მივიღოთ ის ჭეშმარიტებები, რასაც გვაწვდიან. პიტერ ჯოზეფი ამბობს, რომ არ უნდა მივიღოთ. რაც არ უნდა რთული იყოს ამ ყველაფრის გაგება, მაინც უნდა შევძლოთ. აი, მე, რომელმაც რამდენჯერმე ვნახე ფილმები, კიდევ მიჭირს, გავიგო რაღაცეები ფინანსურ სისტემებთან დაკავშირებით. თუმცა მიდგომა აქ მარტივია, მეორედ ვერ გაიგე? მესამედ ნახე. მესამედაც ვერ გაიგე? მეოთხედ უნდა უყურო. მთავარია, რომ არსებობს სოციალური ვალდებულება, რომ ეს აუცილებლად უნდა გავიგოთ. სხვა ადამიანებმა, „რომელთა გზებიც შეუცნობელია", შენ შეგიქმნეს სამყარო, რომელიც განადგურებისკენ მიდის და თუ შენ და შენნაირმა შვიდმა მილიარდმა ვერ გაითავისა, რო ეს სისტემა მანკიერია, მაშინ არაფერი შეიცვლება.

– და თუ არ შეიცვლება?

– თუ არ შეიცვლება და 50 წელიწადში ამოწურვისკენ წავა ნავთობის მარაგი, არადა, დღევანდელი ეკონომიკა მთლიანად ნავთობზეა დაფუძნებული, რა. ერთ-ერთი მეცნიერი ცაიტგაისტში კითხულობს, რომ 50 წლის მერე, როდესაც ჩვენთან მოვლენ ჩვენი შვილიშვილები და გვკითხავენ, რატომ არაფერი შევცვალეთ, რა უნდა ვუპასუხოთ? ჩვენ ხო ვიცოდით, რო რესურსები, რაზეც ვაფუძნებდით ეკონომიკას, ამოწურვადია. ასევე ვიცოდით, რო კლიმატის ცვლილებებს კატასტროფამდე მიყავს დედამიწა. რას ვაკეთებდით? არაფერს! ორ-ნახევარ მილიარდ ადამიანს დღეს არ აქვს წვდომა სუფთა სასმელ წყალზე, რა. 2030 წელს იქნება ასეთი სამ მილიარდზე მეტი ადამიანი.

– ტეხავს. დისტოპიაა, რა.

– კი არ ტეხავს, ეს არის, საითაც მიექანება დღეს სამყარო. რეალობაა და უნდა გავიაზროთ...

მობილური რეკავს. დილის 6 საათზე. „დიახ... არა... აა, არა, არა.. სხვაგან მოხვდით.. არა, გენაცვალე, სხვაგან მოხვდით.

არა, რა ნიკოს მამა, ძმაო, 23 წლის ვარ, სხვაგან მოხვდი, რა. კაი, კაი... არა უშავს.. კაი არა უშავს. კი, ჩემი ნომერია. კი, სულ ჩემი იყო... კი... კარგად აბა... არა, მელვიძა, ძმაო, არა უშავს.. კაი". ახლაღა მივხვდი, რომ სახურავის მეორე კიდეში ვარ გასული. რა უცნაური თვისებაა ისე მობილური ტელეფონით საუბრისას სიარული. დაეტიე რა ადგილზე, რას დაბოდიალობ. ისევ საწყისი პუნქტისკენ მივდივარ. ადგილი ოდნავ შეუცვლია.

– რა იყო, მზე მოგადგა?

– ვინ გირეკავდა ამ დილაადრიან?

– შეეშალათ.

კამერაში ვიხედები. განათება შეცვლილია, კადრი ცოტა გაფუჭდა, კუთხეში გამოსახულება პრიალებს. მონტაჟისას მოევლება. მთავარია, კამერა არ გაინძრეს. ისევ ძველ ადგილას ვთავსდები. უკვე აღარ მცივა, ასეთ დროს მზის სხივებს თითქოს უფრო მეტი სითბო მოაქვთ. მტკვრის გადაღმა აივანი ცარიელია. ეტყობა მოხუცს შესცივდა. მოულოდნელად თემას ვუბრუნდები:

– რა არის ამის ალტერნატივა?

– რისი?

– ნუ, აი, ეს დისტოპია რო რეალობად არ იქცეს, რა.

– ბიჭო, აი, მაგაზეა მეორე ფილმის ნახევარი და მთელი მესამე ფილმი. ალტერნატივა არის რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკა, რომელიც შეიმუშავა ვენუსის პროექტმა და კონკრეტულად, მეცნიერმა ჟაკ ფრესკომ. ჯერ კიდევ 70-იანებში ეს ადამიანი ლაპარაკობდა იმაზე, რომ სამყარო მიდის ჩიხისკენ და ჩვენ რაღაც უნდა ვუშველოთ. ჟაკ ფრესკომ შეიმუშავა სამყაროს მოწყობის სრულიად ახლებური მოდელი, რა. საერთოდ, მაგ კაცის მიდგომები კიდევ უფრო ფუნდამენტურ ცვლილებებს მოიცავს, ვიდრე მარქსის კაპიტალი თავის დროზე. სამყაროს იმ ახალ მოწყობაში, რომელსაც ფრესკო გვთავაზობს, არ იქნება ფული. ცაიტგაისტის მოძრაობის და ვენუსის პროექტის ხედვით – სისტემა, რომელიც ფინანსებზეა დაფუძნებული, იმთავითვე მანკიერია, რა. არ ემსახურება ადამიანის

კეთილდღეობას და შესაბამისად, არ იქნება მთელი რიგი პროფესიები, რომელიც ფულთანაა დაკავშირებული..

ნახევრად ვუსმენ. ოღონდ ალაპარაკე და შეუძლია მთელი დღე არ გაჩერდეს. მით უმეტეს, თუ რაღაც ისეთი ნახა ან გაიგო, რამაც შთაბეჭდილება მოახდინა. თან სად პოულობს ამ ლექსიკონებშიც დავიწყებულ სიტყვებს. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ იზეპირებს ამ ტექსტებს. მარა, არა, ნაღდია.

– ის ახალი სამყარო, – აგრძელებს, – რასაც მეორე და მესამე ფილმში ნახავ, შეიძლება მოგეჩვენოს უტოპიად და შეუძლებლად. თუმცა, არ შეიძლება არ მოგეწონოს. სრულიად ფანტასტიკური და გენიალური სამყაროა, რა. ესაა ნრის ფორმის ქალაქები, სადაც რესურსები არის ცენტრში და ეს რესურსები თანაბრად ნაწილდება ქალაქის ყველა მაცხოვრებელზე. რაც ყველაზე მთავარია, მთელი ეს რესურსები, რომლებიც ადამიანური კეთილდღეობისთვის არის საჭირო, იქნება უფასო. აი, დღეს ჩვენ გვაქვს დედამიწის ოთხი უზარმაზარი ამოუწურვადი რესურსი, ხო, რომლებსაც არ ვიყენებთ: მზის, ქარის, ტალღების და მიქცევა-მოქცევის ენერგია. არ ვიყენებთ არა იმიტომ, რომ ტექნოლოგიურად მზად არ ვართ, არამედ იმიტომ, რომ ეს არ აწყობს რამდენიმე მდიდარ ადამიანს. რა თქმა უნდა, რომელ ნავთობის კომპანიას აწყობს, რომ ყველა ავტომობილი მზის ენერგიაზე მუშაობდეს? ან რომელ წყლის კომპანიას აწყობს, რომ სამყაროს ყველა ადამიანს ჰქონდეს წვდომა სასმელ წყალზე? ეგ პონტია, რა.

– ნუ, კაი, შეიქმნა ეს შენი ახალი სამყარო, სადაც არ არის ფული, დღევანდელი პროფესიების უდიდესი ნაწილის სამუშაოს ასრულებენ ტექნოლოგიური მანქანები და ა. შ. მარა რა მოტივაცია ექნებათ ადამიანებს, რომ იმუშაონ, ამ შემთხვევაში ხო საზოგადოებისთვის უწევთ მუშაობა? თვითონ რა ხეირი?

– ბიჭო, აეგარი, რა! ჟაკ ფრესკო ამ შემთხვევაში რიტორიკულ კითხვას სვამს: რა მოტივაცია ჰქონდა თომას ალვა ედისონს, ან ნიკოლა ტესლას, რა მოტივაცია ჰქონდა ვან გოგს

ხატვის დროს. ბავშვობაში, სანამ თავს მოგვახვევდნენ მთელ რიგ ვალდებულებებს ფულის გამომუშავების მიზნით, ჩვენ ხომ ვაკეთებდით რაღაცეებს, აბსოლუტურად გულწრფელად, ყოველგვარი ფინანსური დაინტერესების გარეშე. რეალურად რაც აზარმაცებს ადამიანებს და წარმოუდგენლად სახავს ანაზღაურების გარეშე მუშაობას, არის დღევანდელი მოდელი სამყაროს მოწყობისა. როდესაც გამუშავებენ დღე-ღამეში 12 საათს მიზერული ანაზღაურების ფასად, ძნელია წარმოიდგინო, რომ ოდესმე თუნდაც ერთ ნაბიჯს გადადგამ ფინანსური დაინტერესების გარეშე. ჩვენ ხომ არასოდეს წარმოგვიდგენია სამყარო, სადაც იმას გავაკეთებთ, რაც გვინდა და არა იმას, რაშიც მეტ ფულს გადაგვიხდიან... ხვდები?

– ისეთ პონტში...

– ჰოო, ვიცი, რო ძალიან ძნელი წარმოსადგენია სამყარო სადაც არ იქნება ფული. ნუ, აქამდე ხო მთელი ჩვენი ცხოვრების არსი ყოველთვის ფული იყო... ძნელი წარმოსადგენია სამყარო, სადაც ადამიანები იმუშავებენ არა პირადი მოგებისთვის, არამედ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის, რა. საქმე ისაა, რომ როდესაც გაქრება ფული, მაშინვე გაქრება ეს „პირადი მოგების" ცნებაც და აღარავითარი სხვა ინტერესი აღარ დარჩება, გარდა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა. ეხლა მიხვდი?

– ნუ რაღაც სოციალიზმის მსგავსია, რა.

– აი, საინტერესო მომენტია, ჟაკ ფრესკო ამ კითხვაზე პასუხობს, დაგვანებეთ თავიო, არც სოციალისტები ვართ, არც კაპიტალისტები, არც ქრისტიანები და არც სატანისტები, არც რესპუბლიკელები და არც დემოკრატებიო. სხვაა, სრულიად ახალია ეს ყველაფერი.

– კაი და რა ვუყოთ ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს, ფუფუნების საგნებს, ყველა ადამიანს ხო არ აქვს ერთნაირი მოთხოვნილება, არა?

– ეგ თავისთავად, მარა ფუფუნების საგნების უმრავლესობა მხოლოდ იმიტოა საინტერესო, რომ ძვირია. დღეს ჩვენ მხოლოდ ბრენდის გამო ვყიდულობთ 4000 დოლარად ჩან-

თას, რომლის თვითღირებულება 10 დოლარს არ აღემატება. რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში ეს ყველაფერი კარგავს აზრს. აზრს დაკარგავს ინდივიდუალური ავტომობილებიც, მაგალითად. საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადაიქცევა დიდ ქსელად, რომელიც მთლიანად ადამიანზე იქნება ორიენტირებული. ეს იქნება აბსოლუტურად ავტომატიზებული სისტემა, რომელიც მაგნიტური ველით იმართება. შესაძლებელია პირდაპირ შენი სამუშაო დაწესებულების ზუსტად იმ სართულზე მოხვედრა, სადაც მუშაობ. ნიუ-იორკიდან პეკინში ჩასვლა სამ საათში და ასე შემდეგ. აღარ იარსებებს ავტოსაგზაო კატასტროფის ცნება საერთოდ. რაც შეეხება ინდივიდუალობას, რაში გამოიხატება ჩვენი ინდივიდუალიზმი? რა გვაცვია, როგორ ვლაპარაკობთ, რას ვფიქრობთ და ასე შემდეგ, ხო? ამ ყველაფერს არავინ არ დაგიშლის. რომელიმე ბრენდის 4000-დოლარიანი ჩანთა კიდე ინდივიდუალიზმს ვეღარ გამოხატავს, რადგან ფასი უბრალოდ აღარ ექნება, რა.

– და რაო ფრესკომ, შესაძლებელია ეს ყველაფერი განხორციელდესო?

– კი, ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ჟაკ ფრესკო ჯიუტად იმეორებს, რო დღევანდელი ტექნოლოგიური მიღწევებით შესაძლებელია 10 წელიწადში სრულიად შეიცვალოს დედამიწის ზედაპირი, აშენდეს ახალი სამყარო, სადაც არ იქნება არც ერთი მშიერი ადამიანი.

– ტრუხაა.

– ეგრე თუ არავინ დაიჯერებს, არც იქნება განხორციელებადი.

– ე, კაი რა, დაჯერებაზე რო იყოს..

– არის-თქო, გეუბნები, მაგაზეა...

– კაი.

სინათლის დაცემის კუთხე ისევ შეცვლილია კამერაში. პრინციპში, ცოტაც და სადღაც 6-7 წამიანი კადრი გამოვა, დაჩქარებულზე. საკმარისია. ეს ბოლო კადრია, რაც ფილმის დასასრულებლად მჭირდება. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მთელი

ცხოვრებაა, ამ ფილმს ვიღებ. აი ეხლა, წკაპ, ერთი თითის დაჭერა ღილაკზე და დასრულდება. ცოტასაც ვაცლი. მოულოდნელად ისევ აივანი და მოხუცი მახსენდება. იქით ვიხედები. ისევ იქ ზის. გამოსულა... თუ... არა, მეშლება, ეს უფრო ახალგაზრდაა, შვილია ალბათ. ჰგავს. მოაჯირზეა გადმოყუდებული და მანქანების მოძრაობას აკვირდება. რა უცნაურია ხანდახან ფიქრი უცხო სახლზე, უცხო ოჯახზე, სადაც სხვანაირი სუნი ტრიალებს, სხვანაირ ხაჭაპურებს აცხობენ, უფრო სქელკანიანს, ან მეტი ყველით. ნეტა ახლა მოხუცი რას აკეთებს...

– რა მაინტერესებს, იცი? როგორია ეს ფილმები, აეს ტრილოგია რა, ცაიტგაისტის, როგორც ფილმები. რამე მხატვრული ღირებულება გააჩნიათ?

– აი, ძმაო, ორი ხელი ამიწევია, – ორივე ხელს მაღლა სწევს, – და ვაღიარებ. განსაკუთრებით პირველ ფილმს, რა, სადაც პიტერ ჯოზეფს, ფილმის რეჟისორს, არ გადაუღია არც ერთი კადრი, უბრალოდ აიღო უკვე არსებული კადრები და დაამონტაჟა. დაამონტაჟა გენიალურად, – ახლა ვხვდები რატომ გაჭედა ამ ფილმებზე. ფილმში ყველაფერი ემსახურება იმ სიმართლის სწორად მიწოდებას, რასაც ცაიტგაისტი ღაღადებს. მარტივი მაგალითი რო ავიღოთ, ფილმი იწყება 6-წუთიანი საშინლად დაძაბული კადრებით დაძაბული მუსიკის ფონზე: ომები, კატასტროფები, ნგრევა, მკვლელობები, სისხლი, ცრემლი, ბიბლია, ამერიკის დროშა... 6 წუთის მანძილზე ამდენი საშინელების შემხედვარე თვალი საშინლად იღლება, თან გიჩნდება კითხვა: რატომ ბიბლია და რატომ ამერიკის დროშა? შემდეგ ეკრანი შავდება და ისმის მხოლოდ ხმა, თვალები ისვენებს და ამ დასვენების ფონზე მთლიანად ისრუტავ იმ ინფორმაციას, რასაც შავი ფონის დროს გაწვდიან. მოკლედ, ასეთი მაგალითები შემიძლია გითხრა უამრავი. მთლიანობაში, ეს არაა ჩვეულებრივი დოკუმენტური ფილმები, რა, ნუ რაღაცით ჰგავს კარგ პროპაგანდისტულ კინოს, როცა ყველა დეტალი გათვლილია სათქმელის მიწოდების ეფექტურობაზე, სხვა ყველაფერი უბრალოდ იგნორირებულია.

– იცი, რა მაინტერესებს... პრინციპში, ყველაზე მეტად ეს მაინტერესებს... აი, ეგენი ხო ამბობენ, რო ჩვენ უნდა ავაშენოთ ახალი, თანასწორი და პაციფისტური სამყარო. როგორ შევინარჩუნებთ მშვიდობას ამ სამყაროში? თუ არ იარსებებს ომები, შესაბამისად არ იარსებებენ ჯარისკაცები, ხო? ვინ დაიცავს მშვიდობას?

– ოპაა, ეგ არის ძალიან მნიშვნელოვანი. პაციფისტური მიდგომა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზისია, რაზეც დაფუძნებული უნდა იყოს ახალი სამყარო და მთავარი მიზეზია, რატომაც მე მაინტერესებს ცაიტგაისტის მოძრაობა. აი, რას ვაკეთებთ დღეს? ადამიანი, რომელიც დანაშაულს ჩადის, მაგალითად მკვლელობას, ხო, ჩვენ მას გამოვკეტავთ ციხეში, რა თქმა უნდა, საზოგადოების კეთილდღეობისთვის. თუმცა, არ ვფიქრობთ მიზეზებზე და მოტივაციებზე, რასაც ადამიანი დანაშაულამდე მიჰყავს. დანაშაულების უმრავლესობაში, სადღაც მაინც, ფინანსური მოტივაცია ფიგურირებს. ფინანსური ფაქტორის არარსებობის პირობებში დანაშაულებების რიცხვი აუცილებლად მოიკლებს... ნუ, მეორე მომენტია, რო ჩვენ ვცხოვრობთ ომების სამყაროში, საზოგადოებაში, სადაც ნახალისებულია სამხედრო საქმე და მამრობითი სქესის წარმომადგენლების უმრავლესობას პოტენციურ ჯარისკაცებად გვზრდიან, რა. ერთი მხრივ, ვსჯით ადამიანს, რომელმაც ერთი კაცი მოკლა და, მეორე მხრივ, ვაქებთ და ვადიდებთ ჯარისკაცებს, რომლებიც უამრავ ადამიანს ხოცავენ. ჩვენ არ ვფიქრობთ იმაზე, რო აღზრდის ეს მოდელი შეიძლება მაგ დამნაშავეების გაჩენის მთავარი მიზეზი იყოს. კაროჩე, მიზეზებზე გაცილებით ნაკლებს ვფიქრობთ, ვიდრე შედეგებზე. ფრესკო არ ამბობს, რო რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში არ უნდა იყვნენ სამართალდამცველები, თუმცა იმ პირობებში, როცა ძალადობა წახალისებული არ იქნება საზოგადოებისგან, მათი საჭიროება ავტომატურად დავა მინი-მუ-მამ-დე-ე-ე!

– აზრზე ხარ, ჩვენი შვილები რო მოესწრონ მაგას!

– ჰოდა, ჩვენზეა, რა.

– გჯერა შენ?

– გააჩნია, რამდენ ხანში აპირებ მაგას...

– რას, ტო?

– შვილს, რა

– მე რა ვიცი.

– ჰოდა სანამ დააპირებ, იჩალიჩე, რო შეიცვალოს ეს სამყარო.

„ჩემზე რომ იყოს სამყაროს შეცვლა", – ვფიქრობ. კამერას ბოლოჯერ ვაკვირდები. მგონი, საკმარისია. ვერ ვიჯერებ. ღილაკს თითს ვაჭერ. სტოპ. გადაღებულია. სამაგრიდან ვხსნი. კასეტას ვიღებ. ასე უფრო უსაფრთხოა. კამერას ისევ ზურგ-ჩანთაში ვდებ. მზე ანათებს. სრულად. უცებ ვუბრუნდები:

– ბიჭო, გლობალისტურია ეგ მიდგომა ხო?

– გლობალისტურიცაა, პაციფისტურიც და ათეისტურიც. რამდენი საშინელება ვთქვი, ხო? საზოგადოებისთვის სრული კატასტროფაა ალბათ სამყარო, სადაც არ არსებობს საზღვრები, რელიგია და ომები. ჩვენ ხო ყველამ ვიცით, რომ ომი ცუდია, თუმცა მაინც ვომობთ. სიმართლე კიდე ისაა, რო ომები ფინანსური მოგების მიზნით იწარმოება. იქ სადაც არ იარსებებს ფული, ომებიც საჭირო აღარ იქნება.

ვფიქრობ. ისევ იმ აივანს ვუყურებ. მტკვრის გადაღმა. თვალი გამიშტერდა. მანქანების ხმაური თანდათან მატულობს. წასვლის დროა. მამაკაცი, რომელიც ჩემი გათვლებით მოხუცის შვილი უნდა იყოს, მოაჯირიდან იწევა. იზმორება. თავს უკან სწევს. მერე მოულოდნელად ადგილიდან წყდება, კარს უხეშად აღებს და შიგნით შედის. ალბათ ვინმემ დაუძახა. ან რამე გაახსენდა. ან... ღმერთმა იცის.

– ნახე, რა საკაიფო სახლია, რაღაც ლამაზი აივანი აქვს.. – ჩემი დაკვირვების ობიექტისკენ ვანიშნებ.

– სად, შეჩემა?

– აი, პირდაპირ, მტკვრის გადაღმა, რა, ზედ ტრასას რო გადმოყურებს..

– აივანს სადღა ხედავ...

– ეე, სუ დაბრმავდი, რა.

– შენ დაბრმავდი, მგონი. აუ, ბიჭო, მაგარი ლამაზია თბილისი. დავხატავდი ეხლა. ნეტა ფიროსმანის ნიჭი მომცა.

– კაი, რა. ეხლა მხატვრობა დაიწყე კიდე... თან რამე მაინც გენატრა, დალი, მანე, ბოსხი, რამე...

– აუ არა, ნახე. ძალიან მაგარია. ამ ყველაფერს ფიროსმანი უხდება... მისმინე, შვილი რო გეყოლება, რა უნდა დაარქვა?

– რავი მე... რა იყო რო?

– ნიკო დაარქვი, ფიროსმანის პონტში.

– ჰა?..

„ნიკო დაარქვი“. „ნიკო“. „ნი...“. ფიქრი ერთ ადგილზე მიშეშდება. იმ აივანს ვუყურებ. ცარიელია. მთლიანად. აგრძელებს, ნახევარი არ მესმის, რას მეუბნება.

– აუ არა, რა, უნდა ნახო ცაიტგაისტი, რა. შენ უნდა ნახო, რა სამყაროა ის, რასაც ფრესკო გვთავაზობს. წარმოუდგენელია, იქ ცხოვრების სურვილი არ გაგიჩნდეს. ძალიან მაგარია. სუპერ!

– წავედით.

ზურგჩანთას ვიკიდებ და უკან არც ვიხედები. სხვენის სარქველში ვძვრები. სრული სიბნელეა. ჩავდივარ.

გარეთ ხმაური იმატებს. აივანზე დათბა. ოთახში ვბრუნდები. ამ დროს დაძინება არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, მით უმეტეს, თუ ღამით საერთოდ არ გიძინია. ერთმანეთს დილაადრიან შევხვდით. მე და მზე. ამდენი წლის მანძილზე, არასოდეს დაუგვიანია. სამაგიეროდ მეეზოვეები აგვიანებენ ნაცრისფერ ასფალტზე ნარინჯისფერი ტიტებივით ამოსვლას. რამდენი რამის შეცვლა შეიძლებოდა – ვფიქრობ. ოთახში შესვლისთანავე მხრებში ვიშლები. ნიკო აივანზე გადის. ბავშვებს სძინავთ...

გული...

www. xviara.blogspot.com

თამთა მელაშვილი

ის დღე

ისეთი იყო: თითქოს მეხი დამცემოდეს. რა დაგიშავე-მეთქი, დედიკო, რა დაგიშავე, ესღა ვუთხარი. ასე, უკან-უკან წავედი. ან ეს კარი როდის გამოვაღე, ან კიბე როდის ჩავიარე, ან ქუჩაში როდის გავვარდი. ერთი კი მახსოვს, იმას ვფიქრობდი, ახლა არავინ უნდა დამინახოს, არავინ უნდა დამინახოს-მეთქი. დავდექი გაჩერებაზე და გამიმართლა, არავინ შემხვედრია. მოვიდა რაღაც ავტობუსი და ავვარდი ეგრევე, არც ნომრისთვის შემიხედავს, არც ხალხისთვის. დავჯექი ასე მოკუტული. მერეღა აღმოვაჩინე, ჩანთა მქონდა ხელში. მოვუჭირე ამ ჩანთას ხელები და აგერ, დავინახე, მძღოლს თავზე ღვთისმშობლის ხატი ჰქონდა გაკრული. ნეტა-მეთქი, ღმერთო, ნეტა რამე ლოცვა ვიცოდე, ხო შეგთხოვდი, მარიამ ღვთისმშობელო, ხო გთხოვდი, შეგავედრებდი, ტყუილი იყოს ეს ყველაფერი, სიზმარი იყოს, ცუდი სიზმარი იყოს, არ იყოს, მეჩვენებოდეს. ლოცვა მინდოდა და ვერ ვილოცე. სიტყვა ვერ გავიხსენე. არადა, ადრე დავდიოდი ხოლმე ეკლესიაში, ლოცვებიც კი წამიკითხავს. ხანდახან ჩემითაც მილოცია, ასე, ჩემი სიტყვებით. მაშინ გამომდიოდა ხოლმე. ახლა ენა ვერ მოვიბრუნე. რაც შევძელი, პირჯვარი გადავიწერე რამდენჯერმე, ეგ იყო. მახსოვს, ამ დროს მითხრა ვიღაც გოგომ, გვერდით მეჯდა, ცუდად ხომ არ ხარ ქალბატონოო, ეტყობა რაღაცეები ხმამაღლა ვთქვი კიდეც, და მეთქი არა, კარგად ვარ. კარგად ვარ, დიდი მადლობა. გაჩერდა ეს ავტობუსი კიდევ ერთხელ და მერე მივხვდი, რომელსაც გავყევი. მაინცდამაინც ის

იყო, სასაფლაოზე გამვლელი. ვიღაც ცოცხიანი და ყვავილებიანი ქალი ჩადიოდა და იმას გავეკიდე. იმას კი ჩავყევი, მაგრამ იმას არ გავყოლილვარ. ის მარჯვნივ წავიდა, ახალი სასაფლაოებისკენ, მე მარცხნივ წავედი. ბევრი არც მივლია, ვერ შევძელი. რომელიღაც საფლავზე შევნიშნე, ძელი იყო რაღაც გადებული, სკამივით, შევედი შიგნით და ჩამოვჯექი. ჩამოვჯექი და ამივარდა ტირილი. თავი აღარც შემიკავებია, აღარც დამიშლია საკუთარი თავისთვის. მარტოდ ვიგრძენი თავი და ამოვუშვი. თუ ვინმე დამინახავდა შორიდან, ჭირისუფალი ვეგონებოდი, ახლოს კიდე ვინ მოვიდოდა ნახევარი საუკუნის მკვდართან. არც აღდგომა ყოფილა რამე, არც სხვა დღესასწაული. ვიტირე და ვიტირე, სულ დავისივე თვალები. თავიდან ისე ვიტირე, არა ვფიქრობდი. მერე თან ვტიროდი, თან ფიქრი დავიწყე. ფიქრი დავიწყე და თან იმას ველაპარაკებოდი. ასე ვიცოდი, სულ იმას ველაპარაკებოდი, რაც დაიბადა, იმის მერე. სანამ დამებადებოდა, მანამდეც. მაინც იმის მეტი მე არასოდეს არავინ მყოლია. რა დაგაკელი, დედიკო-მეთქი, ვფიქრობდი, და იქნება და ჩემი ბრალი იყო ყველაფერი? სიღარიბეში და ამობრუნებულ ტაბურეტში რომ გავზარდე, მაგიტომ? უმამოდ რომ გავზარდე, მაგიტომ? კაცი მისი დამლაპარაკებელი რომ არ იყო ოჯახში, მაგიტომ? იქნება და მამამისი რომ მირტყამდა ფეხმძიმობაზე, მაგიტომ? იქნება და არ იყო ჩემი ბრალი? იქნება და სულ ის ეშმაკის მანქანა იყო ყველაფერი? რაც ის მოიტანა, დღე აერია და ღამე, ოთახიდან აღარ გამოდიოდა. იქნება და მართლა კომპიუტერმა დამართა რამე? არადა, შვილო, რა სახე ჰქონდა, რომ მოიტანა. ასე ბედნიერი მე ეგ ბავშვობის მერე არ მინახავს. იქნება და იმ თავის ნაგორვებ სტიპენდიაზე არ უნდა წამემატებინა ჩემი საცხობის ქალების ლატარიის ფული? მაგრამ როგორ არ მექნა ეგ, მითხარი? მერე მისი სახე დამიდგა თვალწინ, ის სიტყვები რომ მითხრა. აქამდე ვერაფერს ვხედავდი და უცებ დამიდგა თვალწინ. მითხრა ის სიტყვები და იქვე მოკვდა. მითხრა და იქვე მომიკვდა, თვალი ვერ გამისწორა. ღმერთო, მე კიდე ასე

გამოვვარდი დამთხვეული ქალივით, მივატოვე, მარტო დავტოვე. ჩემი მარტოობაში და სიმწარეში გაზრდილი შვილი სულ მივატოვე. რამე რო უქნას თავის თავს? არაფერი უქნას თავის თავს – გამკრა და წამოვვარდი ფეხზე ეგრევე. გიჟივით დავიწყე ჩანთაში ხელების ფათური, ტელეფონს დავუწყე ძებნა. არ მქონდა. ეტყობა მაგიდაზე მივატოვე იქვე, როცა გამოვიქეცი. აბა, ტელეფონი ვისლა გაახსენდებოდა. საათიც არ მქონდა, არაფერი. არადა, ის მანქანა სამზე უნდა მოსულიყო და წაეყვანა. გამოვიქეცი თავპირისმტვრევით, მაგრამ სანამ იმ საფლავიდან გამოვიდოდი, ერთი კი შევავლე მზერა ქვას. ქალი იყო, ჭაღარა. ნეტა-მეთქი, შენ როგორი დედა იყავი, როგორი შვილი გყავდა?

ავტობუსი დავინახე შორიდან, მოდიოდა და გავეკიდე. მივუსწარი გაჩერებაზე. გიჟივით ავირბინე კიბეები, ახლა უკვე სულერთი იყო, ვინ დამინახავდა, ვინ არა. ვის რას გამოაპარებ, მარინა გადმომიდგა აივანზე და რა იყო ქალო, რა გიჟივით დარბიხარ წინ და უკან ეს მთელი დღეო და ჩემი სანდრიკა მიყავთ-მეთქი, რეზერვში, მარინა, მაგიტომ დავრბივარ, – ქოშინით ავძახე და წაიყვანეს შენი სანდრიკა უკვეო და არ მოვუსმინე მაინც, შევვარდი ოთახში და აღარსად იყო ჩემი ბიჭი. ვერ მივუსწარი. მივვარდი მაგიდაზე ტელეფონს. ერთადერთი უპასუხო ზარი იყო – ეგეც მაგისი. მაშინვე ლენას დავურეკე. ქალო, სადა ხარ, ნორმალური ხარ შენო? და მეთქი ლენა, შენი ჭირიმე, შენ მითხარი სადა ხარ, წაიყვანეს ბიჭები, მეთქი? და არა, სადგურზე ვართ და ჩქარა მოდი, სანამ წაუყვანიათ, აქაა შენი ბიჭიცო. დავტაცე ჩანთას და ტელეფონს ხელი, მარინა მეძახდა კიბეებზე კიდე რაღაცას, მაგრამ აღარც გამიგია. დავიჭირე პირველივე ტაქსი და ჩქარა სადგურზე წამიყვანე-მეთქი, შენი ჭირიმე, ოღონდ ჩქარა წამიყვანე-მეთქი. იმან, რა იყო, ქალო, ფერი არ გადევს სახეზეო, იმ ტაქსის მძღოლმა და რეზერვში მიყავთ ჩემი ერთადერთი ბიჭი-მეთქი და მერე რეზერვში მიყავთ, ომში ხო არ მიყავთო და შენი ჭირიმე, ჩქარა

მიმიყვანე-მეთქი და დააჭირა ამანაც გაზს ფეხი. წამებში იქ ვიყავი. ჯერ ის დიდი მანქანა დავინახე, რაღაცა სამხედრო, მერე ლენა და მერე ბიჭები. ისიც დავინახე, კუთხეში იდგა სადღაც, მთლად პატარა ჩანდა იმ სხვა ბიჭებთან, სულ დაპატარავებული. სად დადიხარ გოგო, ლენამ და დამაგვიანდა-მეთქი, სამსახურიდან მოვიდვარ და მივვარდი ამას. დამინახა და კიდევ უფრო დაპატრავდა. მივუახლოვდი და მაინც მოხვედი, დეო? ჩუმად თქვა. მოვედი, აბა, რას ვიზამდი-მეთქი, დედიკო. და მაპატიე დეო, და შენ მაპატიე-მეთქი, შვილო. ასე ვიდექით, ერთმანეთის წინ, ვერც ვუახლოვდებოდი, ვერც ხმამაღლა ვამბობდი ვერაფერს, ყურადღება არ მივიქციო-მეთქი. მეო, ისევ ჩუმად თქვა, ძლივს გასაგონად, იმიტო გითხარი, ტანსაცმელი რო ვნახე არეული, იქ ნაწერები მედო და მეგონა ის წაიკითხეო. არა მეთქი დე, ტანსაცმელს რომ გილაგებდი ჯარისთვის, იმიტო იყო არეული, მე შენ რამეს ხელს როგორ ვახლებდი უკითხავად, ან შენი როდის რა წამიკითხავს-მეთქი. მე კიდევ მეგონა წაიკითხე და მაგიტომ გითხარი, თორე არ გეტყოდი, არაფრით არ გეტყოდიო. რას ამბობ-მეთქი, დედიკო, უნდა გეთქვა, ადრე თუ გვიან ხო უნდა გეთქვა, ერთმანეთის მეტი არავინ გვყავს, არც არავინ გვყოლია-მეთქი და აქ შემომხედა პირველად თვალებში. მე კიდე მანდ მიმიწყდა ხმა... არ იტირო დეო, ისევ ჩუმად მითხრა, თვალები იმასაც ცრემლებით ჰქონდა სავსე და არა-მეთქი, თავი გავუქნიე. რა ვქნა დე, მიყვარს მე ის ბიჭიო და ჰე, ჰეე გავდივართ უკვეო, ვილაცა ფორმიანმა დაგვძახა მთელი ხმით თავზე და ასე ხელი გავუწვდინე და იმანაც ჩამავლო, ბავშვობაში რომ იცოდა, ისე, და გიყვარდეს-მეთქი შვილო, ხო გიყვარს, ხო არ გძულს-მეთქი და ჰეოოო გავედითო, ისევ დაიღრიალეს იქედან და ჩემი შვილი ხარ-მეთქი დე, როგორიც არ უნდა იყო, ჩემი ხარ-მეთქი და აგერ თითქოს ჩემთან ვიგრძენი მისი პულსის ცემა და სანამ ხელს გავუშვებდი, ერთხანს კიდევ მყავდა გულში ჩაკრული.

http://identoba.ge/8467

ლაშა მილორავა

ხვალიდან მე კონფორმისტი ვიქნები

– ოთხის ნახევარზე უნდა ავდგე, გამოძინება მჭირდება, მაცადე, რა!

– გადაბრუნდი და დაიძინე.

ვიცი, მისი გადარწმუნება გამიჭირდება, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ბრალია, საქმე აქამდე რომ მივიდა. ალბათ თავის დროზე არ უნდა გამომეჩინა ინიციატივა, კომპიუტერის ოთახად ჩემი ოთახი გვექცია.

– რეალი-ბარსელონასთვის რომ არ მოგცე გამოძინების საშუალება და მეოცე წუთზე ამოვუშვა ხვრინვა, მგონი არ იქნება საუკეთესო ვარიანტი, არა?

ალმაცერად მიყურებს, ტუჩის ცალი კუთხით მიღიმის. მგონი მიზანში მოვარტყი და თანაგრძნობის ბუშტი გავუხეთქე. აცნობიერებს, რა გამოუვალ სიტუაციაში ვარ. ძილი მჭირდება.

– ათი წუთიც და გავალ...

ამ „ათი წუთის" დანიშნულებას დაუფიქრებლად ვაცნობიერებ, მეორე მხარეს ვტრიალდები, საბნის ქვეშ ვექცევი და ვცდილობ, მსუბუქი ტყაპუნის ხმები არ გავიგო. არ ვიცი ათ წუთში რას ასწრებს, როგორც ჩანს, ყველაფერი წინასწარ აქვს მზად. ყოველთვის ჩემზე წინდახედული და ფრთხილი იყო. შეიძლება ბედის ირონიაა, მაგრამ ოჯახში მეორე ბავშვი ყოველთვის პირველზე უკეთესია.

ათ წუთში ხმის ამოუღებლად გადის ოთახიდან.

საათს ვუყურებ: 01:37.

ჯერ კიდევ მაქვს დრო, დაბალ ხმაზე იანაჩეკი ჩავრთო და რამდენიმე საათით მაინც წავუძინო.

ტუმბოდან სველ, სურნელოვან ხელსახოცს ვიღებ და ყოველი შემთხვევისთვის თაგუნას და კლავიატურას ვწმენდ. ოთახში გამოუშვები სპერმის სუნია. ყველაფერს გულდასმით ვწმენდ. მაგიდის ქვეშ ფეხით ნაგვის ყუთს ვეძებ და უკვე გამშრალ ხელსახოცს დემონსტრაციულად ორმოცი სანტიმეტრის მანძილიდან ვისვრი... თეთრი გორგალი მაგიდის ფეხს ხვდება და ძირს უსუსურად ეცემა...

...მაღვიძარა ოთხის ნახევარზე რეკავს. მთქნარებით ვიღვიძებ, პირველი ორი წუთი მთლიანად გარემოსთან ადაპტაციას ეთმობა. ვაცნობიერებ, რომ ოთხი ხდება, „ოსკარს" ველოდები და მღვიძავს. ცოტა ხანში „რედ ქარფეთ ლაივიც" დაიწყება.

ფლოსტებში ფეხებს ვყოფ და ოთახიდან გასული ტუალეტისკენ ბანცალით მივბოდიალობ. ღამით შუქს ანთებულს ვერ დატოვებ, ბევრს წვავს. „ღამურობანას" შეჩვეული ჩამრთველს მალევე ვპოულობ და თითის ერთი აკვრით სახლში სინათლის დროებითი წყარო ჩნდება...

...ცივ წყალს სახეზე ხარბად ვისხამ, სანამ ნესტოებში არ შემივა და არ დავაცემინებ. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მაკფარლეინის ხუმრობების ან მუსიკალური ნომრების დროს არ ჩამეძინება...

...ოთახში ვბრუნდები და საბნის ქვეშ გემრიელად ვიზმორები. ტუმბოდან პულტს ვიღებ, ტელევიზორს ვრთავ და ხმას 50-ზე ვაყენებ. სქელი კედლების გამო ბგერები რთულად თუ აღწევს ერთი ოთახიდან მეორეში. „აკრძალული არხებიც" რომ ჩავრთო და ბოლო ხმაზე ავუწიო, საეჭვოა, მეზობელ ოთახში ღრმა ძილში მყოფმა მშობლებმა რამე გაიგონ. მით უმეტეს, რომ აკრძალული არხები ჩვენს სახლში არც არის. ალბათ ერთადერთი უცნაური მოვლენა ამ ოჯახში უფროსი ძმის გარემოცვაში ონანირებადი უმცროსი ძმაა.

მამაჩემი რომელიღაც ქარხანაში მუშაობს ჩემთვის გაურკვეველ თანამდებობაზე, დედაჩემი ლაბორანტია ბავშვთა

საავადმყოფოში. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, ჩემს ოთახში Samsung 3D პლაზმა დაგვედგა 1024 x 768 რეზოლუციით და იუ-ეს-ბის შესაერთებლით... მამა ტექნოლოგიებში ვერ ერკვევა, კურსორი „ოპერის" ნიშნამდეც კი ვერ მიჰყავს, რასაც დედაზე ვერ იტყვით – თავისუფლად შედის „ვიტონის" და „დიორის" საიტებზე და უტოპიურ განცდებში ეშვება...

კითხვა ალბათ მამამ შემაყვარა, ან მამის ცქერით თვითონ შევიყვარე, რაც ფაქტობრივად ერთი და იგივეა. რვა წლის ვიყავი პირველი სერიოზული წიგნი რომ წავიკითხე – მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი". მახსოვს, რამდენიმე კვირა პატარა ჯაყვით დავდიოდი. ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ ცხოვრება მხოლოდ მაშინ მიხაროდა. პირველ სერიოზულ წიგნს ზაფხული, სამთვიანი არდადეგები დაემთხვა და მეც მზიან დღეს, ბავშვებთან ერთად თამაშისას გონებაში ათას თავგადასავალს ვხატავდი, რომელშიც მთავარი გმირი აუცილებლად მე ვიყავი. „ტომ სოიერის" შემდეგ უკვე სერიოზულად გადავწყვიტე, სახლიდან წავსულიყავი და ხიფათი მეძებნა. ჩემს მაშინდელ განუყრელ ძმაკაცს – რატის – შევუთანხმდი კიდეც, ხვალ ხუთ საათზე ხიდთან რომ ტყეა, იქ შევიკრიბოთ-მეთქი და ისიც დაუფიქრებლად დამთანხმდა. სამი საათი უგზო-უკვლოდ ვიბოდიალეთ, მერე რატის ფეხზე ხვლიკმა გადაურბინა და შეშინებულები სახლებში დავბრუნდით...

შემდეგ წელს, ოც თებერვალს, ჩემი ძმა ხუთი წლის გახდა. ნათლიამ, როგორც მაშინ მომეჩვენა, „უზარმაზარი" სათამაშო მანქანა მოუტანა, თავისი პატარა გასაღებით, პედლებით, შიგნით მიხატული ტელევიზორით და ვარდისფერი ჩაფხუტით. მე „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი" მერგო. როგორც კი სტუმრები წავიდნენ, ოთახში ჩავიკეტე და კითხვა დავიწყე. პირველი ასი გვერდი ერთ ამოსუნთქვაში მოვათავე. უკვე დაღამებულიყო, თვალები მეწვოდა, მიცრემლიანდებოდა. მამა, შეიძლება ითქვას, უცხოურს ვერაფერს იტანდა (და ვერ იტანს!). თანამედროვე ევროპელ და ამერიკელ მწერლებს

„კოსმოპოლიტურ ნაგავს“ ეძახდა და სურდა, მეც თანდათან ქართულზე გადმოვრთულიყავი. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ „ჰარი პოტერის“ პირველი ნაწილი ვაყიდინე, მაინტერესებდა, ეს ყველაფერი როგორ დაინყო. ხელში შემოჩეჩებული „ოთარაანთ ქვრივი“ და „ხევისბერი გოჩა“ მაგიდის უჯრაში დავმალე და უცნაურნაიარევიანი, ჯადოქარი „აჩკარიკის“ ისტორიას ხარბად დავეწაფე. თითოეულ სიტყვას ვისისხლხორცებდი და ალბათ გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, რომ ერთხელ „ეს სანატრელი წერილი“ მეც მომივიდოდა და აქაურობას თავს დავაღწევდი. ბავშვობას თუ დააკვირდები, აღმოაჩენ, რომ ფრუსტრაცია დაბადებიდან ადამიანის თანმხლები მოვლენაა. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი სწორედ ბავშვობაა – როცა ფანტაზიის უნარი პიკს აღწევს, როცა გგონია, რომ ყველაფერი ხელგეწიფება, როცა მონაგონიც რეალობად წარმოგიდგება, სინამდვილეში კი ვერაფერს აკეთებ. ბავშვი მთელი თავისი ბუნებით ცდილობს, ყველაფერ სტანდარტულს, დაშტამპულს გამოეყოს, ემანსიპაციას მისცეს თავი, თუმცა ჩამოუყალიბებლობა ხელს უშლის, ეს ყველაფერი რადიკალური ხერხებით განახორციელოს, ამიტომ ხშირ ტირილს, აუტანელ ჯიუტობას, ათას მამაძაღლობას სჯერდება. მამაჩემს არ ესმოდა, რომ ყველაფერს მართლაც თავისი ასაკი აქვს. მე რომ მაშინ „ოთარაანთ ქვრივი“ ნამეკითხა, დარწმუნებული ვარ, ცრემლი არ გადმომვარდებოდა, რბილად რომ ვთქვათ, „სათაურის გარდა ყველაფერი ბუნდოვანი მომეჩვენებოდა“. „ხევისბერი გოჩადან“ გამომდინარე კი, ასევე დარწმუნებული ვარ, მამის შიში დამეუფლებოდა, რეჩიტატივად მსუბუქი ზიზღის გრძნობით. როგორც ჩანს, ყველა მამის პირველი დანიშნულება „პალაჟენიის დაყენებაა“, რომ შვილს აჩვენო – აი, მეტი არ მინდა, არ დამიჯერო, თავს მოგაცლი! ეს შემართება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქართველებში ოდითგანვე ზის. რას წარმოიდგენდა მაშინ ჩემზე გაბრაზებული მამა, რომ გავიდოდა რამდენიმე წელი და „ხევისბერ გოჩაზე“ დაწერილი თემით (რომელსაც რატომღაც მხოლოდ მე

მივიჩნევდი რეცენზიად) ადგილობრივ კონკურსში გავიმარ-ჯვებდი. კონფორმისტობა არც ისე წამგებიანია, თუ კონსერ-ვატორიც არ ხარ. სამწუხაროდ, მამა ორივე იყო (და ალბათ არის, არ ვიცი), მაგრამ რატომღაც ჩემ მიმართ განხორციელე-ბული ღონისძიებები ჩემი ძმის მიმართ არ განხორციელე-ბულა (როგორც ჩანს, პირველობა ყოველთვის სახარბიელო არ არის!). მაგალითად: მამა ნიკუშას არ აძალებდა ქართული ლიტერატურის შეყვარებას, რათა სისხლში ერითროციტებთ-ან, ლეიკოციტებთან და თრომბოციტებთან ერთად პატრიოც-იტებსაც ეპოვათ თავიანთი დანიშნულება. პირველი სერიო-ზული წიგნი ნიკუშამ თერთმეტი წლის ასაკში წაიკითხა. ჟიულ ვერნმა ნამდვილად მოხიბლა, თუმცა ვერანაირ ნიჰილისტურ სულისკვეთებას ვერ ვამჩნევდი. როგორც ჩანს, ზოგი წიგნ-ში ცხოვრობს, ზოგი კი – წიგნით. ნიკუშა მეორე კატეგორი-ას მიეკუთვნება. სამაგიეროდ, ჩემი მინუსები მასში აშკარად გამოკვეთილ პლუსებად წარმოჩნდა. აღნაგობით გაცილებით ათლეტური – განიერი მხრები, გამხდარი, ასაკის მიუხედავად პატარ-პატარა კუბიკებით მუცელზე – და ფაქტიურად ესთე-ტიკურად სრულყოფილი სახით – ლამაზი თაფლისფერი თვა-ლები, ქართული ცხვირი და ზედმეტად არაქართული შუბლის ჭრილი და ყვრიმალები – მომავალში მსოფლიოს სექსუალური მამაკაცის განსახიერებად მოევლინება. მაგრამ მასში არ არის ის ნაპერწკალი, რომელიც აგრერიგად მიამსგავსებდა დორიან გრეის. ნიკუშას ხელოვანისთვის დამახასიათებელი თავისე-ბური გამოხედვა აკლია. ამას ყოველდღიურად ვაცნობიერებ და უცნაური დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჩემი ძმის სრულყოფილებით მეც ერთი საფეხურით ზემოთ წავიწევდი.

„რუსთავი 2"-მა „ოსკარის" პირდაპირი ტრანსლაცია ზუს-ტად ოთხზე დაიწყო. წითელ ხალიჩაზე ფესვებგადგმული ხე-სავით აღმართული ჟურნალისტები ყალბი ღიმილით და მსუბ-უქი ნერვიულობით ჩქარ-ჩქარა საუბრობდნენ კამერებში. „სელებრითების" პირველი ნაკადი კალაპოტიდან გადმოსული

ტალღასავით წამოვიდა და მედიის კაშხლისგან დამშვიდებულებმა ასევე მსუბუქი ღიმილით განაგრძეს ინტერვიუების მიცემა.

უცებ მობილური აწკრიალდა. გადავიხარე, ტუმბოზე გადავწვდი და ეკრანს დავხედე: თიკა. გონებაში თიკასთან დაკავშირებული „საიდუმლო დიალოგები" ამოტივტივდა, თავისი პიკანტურობით, შიშითა და შფოთვით, რომ ამ ყველაფერს ვინმე გაიგებს... facebook-ზე გაცვლილი ფოტოებით და მომავალი შეხვედრით.

თიკა მეცხრე კლასამდე ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული გოგო იყო, უკან კუდით და იღლიიდან ოფლის სუნით. გარდატეხის ასაკმა მასზე, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად იმოქმედა – სახის ნაკვთები შესამჩნევად გაულამაზდა, საჭირო ადგილები მოუმრგვალდა, წამოებურცა. წარბები გაიპუტა, დეზოდორატორის ხმარებაც ისწავლა, ელასტიკებსაც შეეჩვია. მოკლედ, გოგოდ ჩამოყალიბდა. ზედმეტად მორცხვი, გოიმურად კეკლუცი და საშუალოზე ლამაზი, გენმოდიფიცირებული ადამიანური თვისებების საცავს წარმოადგენდა. რამდენჯერ მიფიქრია, რაიმე არაორდინალური შემეთავაზებინა, თუმცა ვერც ერთხელ ვერ გავბედე. არ ვიცოდი, რის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი. ვაითუ, კალმით თვალი გამოეთხარა, ან აკრძალულ ადგილას მუხლი ამოერტყა, ან სულაც, შეთავაზებაზე დამთანხმებოდა... არაერთხელ დამინძრევია სოციალური ქსელიდან ჩამოტვირთულ მის ფოტოებზე. რას წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე წელიწადში, როცა უკვე სრულყოფილ „ნაშად" ჩამოყალიბდებოდა, გონებისდამბინდავი მკერდით და რაღაცნაირი ლათინოამერიკული გარეგნობით, თვითონ მანდობდა თავისი შიშველი ფოტოების შეფასებას.

„ელიტ მოდელ ლუქის" ყოველწლიური შემოვლა, როგორც ერთხელ კომუნისტმა ქართულის მასწავლებელმა აღნიშნა, თიკასთვის ფაქტიურად „უზრუნველყოფილი მომავლის" საწინდრად იქცა. რა თქმა უნდა, სამოდელო საა-

გენტოს წარმომადგენლებს ეს განსხვავებული გარეგნობის გოგო თვალთახედვიდან არ გამორჩენიათ და „პრობებზე" მისვლა შესთავაზეს. თიკა მშობლების დაუკითხავად გავიდა კასტინგზე და 35 გოგოდან არჩეულ ათეულში თავისუფლად მოხვდა. დედამ მხოლოდ მეორე ტურზე გაიგო შვილის ასეთი „დაუკითხავი საქციელი" და კარგა გემრიელადაც მილანძღა (მეორე დღეს გაბრაზებულმა გამიმხილა), თუმცა რაღაც დოკუმენტებს ხელი მაინც მოაწერა, რითაც შვილს ნებართვა მისცა, პირველი ადგილისთვის ბრძოლა გაეგრძელებინა და თვითონ, მოგებული ათი ათასი ლარით დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული ევრორემონტი წამოეწყო. ასეა თუ ისე, თიკა წინ და წინ მიიწევდა, თუმცა კითხვაზე, „გაიხდიდა თუ არა, საჭირო რომ გამხდარიყო", კატეგორიულ უარს აცხადებდა და თავს ხის თოჯინასავით აქნევდა... არ ვიცი, რით დავიმსახურე მისი ყურადღება – გარეგნულად სხვებისგან არაფრით გამოვირჩევი და საერთოდაც „ერთი მელანქოლიური ტიპის" იარლიყი მაქვს მიწებებული, როგორებიც, წესით, გოგოებს არანაირად არ იზიდავენ, თუმცა არც მაიკლ არნდტი იმსახურებდა 2007 წელს ოსკარს...

დილიდან ნათელი გახდა, რომ რვა იანვარი საშინელი დღე უნდა ყოფილიყო. თოვლმა დნობა დაიწყო, ეზო ერთ დიდ გუბედ იქცა, ტყლაპოებში მოხტუნავე დებილი ბავშვებით და მათი საქციელით შეწუხებული ქოლგიანი დედებით (თითქოს ამდენი სიკეთე საკმარისი არ იყო, ათი საათიდან კოკისპირულად გაწვიმდა). საშობაო არდადეგების დასრულებამდე ორი კვირაღა რჩებოდა, რაც პრინციპში იმედს იძლეოდა, რომ ამ პერიოდში ტალახიანობას ბოლო მოეღებოდა. დილით ადრე გამეღვიძა. კომპიუტერი ჩავრთე და პირველ რიგში facebook-ი შევამოწმე. ის იყო, გამოსვლას ვაპირებდი, ახალი გრაფა გაიხსნა – თიკა მწერდა. მოვლენების ამგვარ განვითარებას არანაირად არ ველოდი, თან – დილაადრიან. ნახევარი საათი ათას იდიოტობაზე მწერდა, აშკარად ეტყობოდა, რაღაცის თქმა სურდა და ვერ გაებედა. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე

დღის წინ გარდაცვლილ ქიმიის მასწავლებელზე გაცვლილ, როგორც შემდეგ მომეჩვენა, საკმაოდ პრაგმატულ და ერთი შეხედვით უშინაარსო ორიოდე სიტყვის და სკოლის ჭორების მიმოხილვის შემდეგ უცებ თავისი სურათი გამომიგზავნა – წელს ზემოთ შიშველი, ვარდისფერი ბიუსტჰალტერით ნათლად წარმოჩენილი მკერდით და ზედმეტად გრძელი, თითქმის პეტუნიას მსგავსი კისრით. არც რაიმე კომენტარი, არც სმაილი. მხოლოდ სურათი. ვგრძნობდი – პენისი თანდათან მკვრივდებოდა. პრეორგაზმულ ეიფორიაში მყოფს რაიმე „კეთილი სისულელე" რომ არ მიმეწერა, რაც მომავალში, ვინ იცის სერიოზული ურთიერთობის საწინდარი გამხდარიყო (რატომღაც სურვილი არ მქონდა, თიკასთან სერიოზული ურთიერთობა გამება!), სასქესო ორგანო ამოვიღე და მასტურბაცია დავიწყე. მალევე გავათავე, თავისუფალი ხელით ოთახის კარი გავაღე და ტუალეტისკენ გავიქეცი. დაბრუნებულს თიკას კომენტარი დამხვდა: „ვიცი, რო პატარა მკერდი მაქვს, არ დამცინო :)". დაცინვას ნამდვილად არ ვაპირებდი, მით უმეტეს, არც პატარა მკერდი ჰქონდა. მივწერე ძალიან ლამაზი ფიგურა გაქვს და ვარდისფერი ბიუსტჰალტერიც გიხდება-მეთქი. თიკა: „:***". მას შემდეგ ყოველ კვირა ახალ-ახალ ფოტოებს მიგზავნიდა. ბოლოს ისე გაიხსნა, საცვლებზეც უარი თქვა, – აღფრთოვანებით ვათვალიერებდი დალის ულვაშივით წინ წამოწეულ ძუძუსთავებს. ვცდილობდი, მასტურბაციამდე არ მიმეწერა, თუმცა ერთხელ თავი ვერ შევიკავე და შევთავაზე: „მგონი უკვე დროა live-რეჟიმზე გადავიდეთ". თიკა: „:)". ზოგადად ეს სმაილი ყველაზე ძლევამოსილ ნიშნად ითვლება ვირტუალური მიმოწერისას და მოიაზრებს: 1) ქართულ შრიფტზე გყავს გადაყვანილი და გეზარება ჩათის კუთხიდან ნორმალურის – :D – გაგზავნა; 2) „მორჩა, აქ ლაპარაკი დამთავრებულია!" – რამე სისულელე წამოროშე, ან ჩათის პარტნიორს უბრალოდ გულზე არ ეხატები და შენს ზრდილობიანად მოშორებას ცდილობს; და 3) „ფიქრობს!" და შესავალში შუალედურ პოზიციას იკავებს – გაჩვენებს, რომ

„არც კი და არც არა", ახლა დაფიქრდება, ყველაფერს გააანალიზებს და გიპასუხებს. ჩვენს შემთხვევაში ეს უკანასკნელი აღმოჩნდა, თუმცა მეორეს ვფიქრობდი. ეს ყველაფერი გუშინ (ოთხს კარგა ხანია გადაცდა, „რედ ქარფეთ ლაივიც" დასასრულს უახლოვდება), საღამოს ათზე გადაწყდა. თიკა თანახმა იყო, სკოლაში ადრე მოსულიყო და მკერდი და უკანალი მოეშიშვლებინა. შეხედავდა, „იქნებ ხელის მოკიდების ნებაც კი დაერთო". სექსი აქამდეც მქონია, თუმცა ღამით განსაკუთრებით ვნერვიულობდი, მით უმეტეს, დარწმუნებული ვარ, საქმე სექსამდე არ მივა. ძილის წინ ერთი სული მქონდა როდის გათენდებოდა, ოღონდ არ ვიცი, რა უფრო მინდოდა – თიკას მოფერება თუ ამ ყველაფრის, ბოლოს და ბოლოს, დასრულება. რა თქმა უნდა, თიკა დამესიზმრა, თუმცა სიზმარი საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა (მაღვიძარამ ოთხის ნახევარზე დარეკა) და ვერ გავიხსენე, კონკრეტულად რა მესიზმრებოდა. „ოსკარის" ლოდინში მომავალი შეხვედრა დროებით გადამავიწყდა, ახლა კი, თიკას მესიჯმა ისევ შფოთვის ბადეში გამაბა.

თიკა: daiwko oskari?

მე: ahaa... shen rato ar gdzinavs? Ar mitkhra mec magas velodebodio, ar dagijereb :DD

თიკა: araa... ar medzineba. khvalindel dgeze vfikrob... :)))

ასეც ვიცოდი. მგონი აჯობებს, თუ ხვალ არაფერი მოხდება. ასეც ვუთხარი:

მე: tu ginda gavauqmot khvalindeli dge... :D cancel and clear!

თიკა: ar ginda?

მე: ra?

თიკა: ooo, lashaa...

მე: ar vici... ki, albat... mgoni shen ar ginda.

თიკა: me eg ar mitvkams :P

მე: mitumetes arc me...

თიკა: vin gaimarjva pirvel nominaciashi?

მე: jer ar dauwkiat... momismine, me vici rom... darwmunebuli ar var, minda tu ara... cudad ar gamigo.

თიკა: saertod ver gavige. Anu ar ginda? :))

მე: :) - gekhvewebi es daikide ra... minda, ki, minda... vso.

თიკა: ooo, lashaaa :DD

მე: khvalidan me konformisti viknebi... da saertod, awi konformistobas vapireb. Mamachemisavit. ogond ara kosnervatorobas, bleah :D mgoni kvelastvis ase ajobebs.

თიკა: eg ragas nishnavs?

მე: ra?

თიკა: konformisti.

მე: vaaa, mamakacis sauketeso meorekhariskhovan rolshi Christoph Waltzma gaimarjvaa, yoohoo :D

თიკა: eg romelia?

მე: ai, inglourious basterdsidan... Colonel Hans Landa, gaxsovs?

თიკა: araa... ar makvs nanakhi.

თუ XXI საუკუნეში ახალი ღმერთი გახდება საჭირო, კრისტოფ ვოლცი საუკეთესო კანდიდატია. საშუალო სიმაღლის, სიმპათიური (ასევე გასათვალისწინებელია მოშვებული წვერის სიკოხტავე), სულის სიღრმეში ჩამწვდომი თავხედი გამოხედვით. თითქოს თვალებით გეუბნება: „შენ ჩემი მონა იქნები". მისგან უდავოდ უმაღლესი ხარისხის ღმერთი გამოვიდოდა, პირადად მე ნამდვილად ვიწამებდი.

თიკა: ar gedzineba?

მე: araa... shen?

თიკა: me ki :((:DD

მე: wadi da daidzine, dilas isedac adre khar asadgomi.

თიკა: :DD

მე: dzilinebisa :* :D

არ ვიცი, რომელი ნომინაციის შემდეგ ჩამეძინა, დილას კი კარზე კაკუნმა გამაღვიძა. დედა იყო. საათს გავხედე: 07:27. სწრაფად წამოვდექი და ტუალეტში სახეზე ცივი წყალი შევისხი. ოთახში დაბრუნებულმა ჩართულ ტელევიზორს თვალი შევავლე – დაჯილდოების ცერემონიალი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. გადაღლილი სეტ მაკფარლეინი თავდაუზოგავად

ცდილობდა მთქნარებით პირგახეული შარლიზ ტერონის გამხიარულებას. სეტის ხუმრობები არ მოგეწონება, თუ სეტი არ მოგწონს, თუ სეტი მოგწონს და შანსი არაა, მისი ხუმრობები არ მოგეწონოს.

რვა ხდებოდა სახლიდან რომ გავედი. სკოლის ეზოში გავაცნობიერე, რომ ქუდის დაფარება დამავიწყდა. ყურები მეწვოდა. ნეონის ნათურებმა თავი ამატკივა, მეორე სართულზე სწრაფად ავირბინე და კლასის კარს ვეცი. დაკეტილი აღმოჩნდა. დიდხანს ვეჯაჯგურე იმ იმედით, რომ უბრალოდ გაჭედილი იყო და აი, ახლა გაიხსნებოდა, თუმცა არაფერი გამომივიდა. დავიბენი და ფიქრი დავიწყე, რისი გაკეთება შემეძლო. ფაქტიურად არაფრის. უცებ გამახსენდა, რომ გასაღების ასლი სამასწავლებლოში ინახებოდა. კარზე დავაკაკუნე. არავინ მიპასუხა. ისევ დავაკაკუნე. სიჩუმე. სახელური გადავატრიალე და კარიც გაიღო. შიგნით არავინ აღმოჩნდა. ლოდინის დრო არ იყო, თიკა წუთიწუთზე მოვიდოდა. გრძელი მაგიდის ბოლოში უჯრა გამოვხსენი, ეიფელის კოშკის ალაგ-ალაგ ფერგადასულ ბრელოკიანი გასაღები ავიღე და კლასისკენ გავვარდი. ვნერვიულობდი, ხელები მიკანკალებდა, გასაღები კინაღამ საკეტში ჩავტეხე. სამასწავლებლოში შევვარდი, უჯრამდე აღარ მივსულვარ, მოუქნელად მოვისროლე... გასაღები მაგიდაზე ჟღარუნით გასრიალდა. კლასში დავბრუნდი, ქურთუკი საკიდზე ჩამოვკიდე და თიკას მოლოდინში მურაკამის „1Q84" გადავფურცლე. ბნელოდა, სიტყვებს ძლივს ვარჩევდი, შუქის ანთება კი არ მინდოდა – ყურადღებას მიიქცევდა. თენგო ფუკაერის მკერდს მისჩერებოდა. ცდილობდა, მზერა გოგონას სახეზე გადაეტანა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. „ფუკაერის ზედმეტად მიმზიდველი მკერდი აქვს", – გავიფიქრე და კარიც გაიღო. თიკამ მორცხვად გამიღიმა და საკიდებისკენ გაემართა. ხმა არცერთს არ ამოგვიღია. პირი გავაღე, რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე და ისევ მურაკამის დავაშტერდი. თიკას გამომცდელ მზერას ვგრძნობდი. პირველ ნაბიჯს აშკარად ჩემგან ელოდა. მე კი სულელივით ვდუმდი.

– აბა... – ბოლოს და ბოლოს წარმოთქვა თითქმის ჩურჩულით. ვიგრძენი, როგორ გავწითლდი. თითქოს ეს ყველაფერი პირველად ხდებოდა. შევეცადე, ადრინდელი პარტნიორები გამეხსენებინა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. წიგნი დავხურე და პასუხად გავულიმე. მინდოდა რამე მეთქვა, თუნდაც სუსტი ხმა გამომეცა...

– შენ დაიწყებ? – ისევ გამიღიმა თიკამ.

– რას? – დავიბენი.

– გამხდი შარვალს?

უხერხულად გამიღიმა და მზერა კედლის საათზე გადაიტანა. უნებურად მეც საათს მივაჩერდი: ცხრის თხუთმეტი წუთი. ათ წუთში კლასი გაივსება.

– მგონი აჯობებს, შენ... – როგორც იქნა, შევძელი პირის გაღება.

გამიცინა, მომიახლოვდა, ჩემკენ ზურგით დადგა და ჯინსს კუთხეებში თითები ჩაავლო. ამიდგა. ფეხი ფეხზე გადავიდე და თიკას შარვალს დიდი ინტერესით მივაშტერდი. მოქნილად ჩაიხადა და ვარდისფერი, სიცივისგან ან ნერვიულობისგან ათრთოლებული, ფაფუკი უკანალი მომიშვირა. ვგრძნობდი, ცოტაც და, გავათავებდი. წამოვდექი და მივუახლოვდი.

– შეიძლება? – ხელებზე ვანიშნე.

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. ტრუსში ხელი ჩავუცურე. გაჩუმდა. თითქოს აღარც კი სუნთქავდა. ხელი წელის გარშემო შემოვატარე, უკანალი მსუბუქად დავუზილე და წინ გადავინაცვლე.

– გასაპარსი მაქვს... – ჩამჩურჩულა თავდახრილმა.

მართლაც გასაპარსი ჰქონდა. ახალ ამოსულ თმაზე ხელი გადავუსვი. დამბურძგლა, ტრუსიდან ხელი ამოვიღე და მაისურის ქვეშ დავუწყე ფერება. ბიუსტჰალტერი უსიტყვოდ აიწია, მკვრივი ძუძუსთავები უცხოპლანეტელის თვალებივით მიყურებდნენ. იმაზე მსხვილი აღმოჩნდა, ვიდრე სურათზე ჩანდა. დავიხარე და ენა ავუსვი. გავიგონე, მსუბუქად როგორ დაიკვნესა. მარცხენა ხელი შარვალზე ჩაატარა და ფეხებს შუა

მომიჭირა. მიზანში ნამდვილად პენისი ჰქონდა, თუმცა ხელში საკვერცხეები შერჩა. ისე ძლიერად მომიჭირა, თვალებიდან კინაღამ ნაპერწკლები გავყარე. შარვლის ქვეშ სასქესო ორგანო მოძებნა და ცერა და საჩვენებელი თითებით მასირება დაუწყო. თავი ველარ შევიკავე და ტრუსშივე გავასხი. მომენტალური ეაკულაცია. ეშმაკურად გამილიმა. მაისურიდან ხელი გამოვიღე და შარვალი გავისწორე. თიკამაც ბიუსტჰალტერი ჩამოიწია და სკამზე ჩამოჯდა. ხმის ამოღებას ვერცერთი ვერ ვბედავდით. საათს გავხედე: ცხრის ნახევარი.

მალე კლასი გაივსება.

Pocketbook-ის გარეკანიდან მურაკამი მიღიმის.

მარიამ ტაბაღუა

მეშვიდე რესპონდენტი

ვერა და ვერ დავწერე ისეთი სტატია, როგორიც მინდა. ამის ზუსტად ექვსი მცდელობა მქონდა, მაგრამ ხან რესპონდენტი იყო უინტერესო, ხან – გარემო. არადა არაფერ განსაკუთრებულს არ ვითხოვ. უბრალოდ, უშუალო და გულწრფელი საუბარი მინდა ჩემი შავგვრემანი რედაქტორის მიერ არჩეულ ადამიანებთან, მაგრამ ისინი ხან წინასწარ მთხოვენ კითხვებს და სხვა შეკითხვის დასმა აღიზიანებთ, ხან კი შეხვედრასაც არ კადრულობენ და მეილზე მიგზავნიან პასუხებს. ძირითადად საქმიანი ხალხისგან მიწევს ინტერვიუების აღება და, როგორც მეუბნებიან, მათაც უნდა გავუგო. ჩემსავით მთელი დღე სახლში კი არ სხედან და ნება-ნება კი არ წრუპავენ ხან ყავას, ხან ჩაის. ყველას უნდა , თითოეული სიტყვა აკონტროლოს, რასაც მათზე დავწერ, ამიტომ მოუმზადებელ შეხვედრას არავინ თანხმდება. მე კი უამრავი პირადი დეტალით და ჩემი შთაბეჭდილებებით სავსე სტატიის დაწერა მინდა. ისეთის, ცნობილ ჟურნალებში რომ წამიკითხავს. ვფიქრობ, მეც კარგად გამომივა. ის ჟურნალისტები მთელ დღეს რესპონდენტებთან ერთად ატარებენ, თან დაჰყვებიან, აკვირდებიან, ბევრს ესაუბრებიან და მერე მშვენიერ სტატიებსაც აცხობენ. მე კი მსგავსს ვერაფერს ვაკეთებ. მიუხედავად ამისა, მეუბნებიან, რომ კარგად ვწერ. ეს ძალიან მიხარია. დიდი ხანი არაა, რაც ჟურნალისტად ვმუშაობ. ერთ მზიან დღეს ძველმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, ჟურნალისტი გვჭირდება და ხომ არ გინდა სცადო. მე მაშინ იშვიათად გავდიოდი სახ-

ლიდან, მთელ დღეს ჩემს ნოუთბუქთან ვატარებდი და თავს საშინლად ვგრძნობდი იმის გამო, რომ უკვე რამდენიმე თვე იყო, უნივერსიტეტი დავამთავრე, სამსახური კი არ მქონდა. ამ უკანასკნელის გარდა ბევრი არც არაფერი შეცვლილა მას მერე, რაც ვმუშაობ, ისევ სახლი და ნოუთბუქის ეკრანი. ჩემი რედაქტორი სულ ორჯერ მყავს ნანახი. ორივეჯერ ცდილობდა, ერთდროულად აეკრიფა ტექსტი კომპიუტერში, ელაპარაკა მობილურზე და ყავა მოესვა ჟურნალის საფირმო ჭიქიდან. გამოსდიოდა კიდეც.

ნოემბრის ნომრისთვის ვინმე ნინა კ.-ზე უნდა დავწერო სტატია. ერთადერთი, რაც მის შესახებ ვიცი ისაა, რომ ერთ-ერთი იმ კაფეს მეპატრონეა, რომლის ვერანდებზეც საღამოობით ქალაქის ბურჟუაზია იკრიბება და მთქნარებით საუბრობს ქვეყნის ავ-კარგზე. როგორც მითხრეს, 65 წელზე მეტის უნდა იყოს. Google-ში მის შესახებ რამდენიმე მოკლე, საქმიანი ინტერვიუს გარდა არაფერია.

გუშინ რედაქტორისგან მეილი მივიღე, სადაც მეუბნებოდა, რომ ნინა რამდენიმე დღით ქვეყნიდან წავიდა და საუკეთესო ვარიანტი ინტერვიუს წერილობით აღება იყო.

„shegidzlia mailze gaugzavno kitxvebi, facebooksac aqtiurad iyenebs. miwere saertod facebookze da sheutanxmdi. nina k. – ase modzebne."

მშვენიერია. ვერც ამჯერად გამოვა ისეთი, როგორიც მინდა – მაშინვე გავიფიქრე დარწმუნებულმა და საძიებო ველში ლათინური შრიფტით მისი სახელი და გვარი ავკრიფე. აი ისიც. ძალიან კარგი – არაფერი აქვს ჩაკეტილი. დაბადების წელიც კი ჩვეულებრივ მიუწერია – 1945 წ. არც ერთი საერთო მეგობარი. არც მიკვირს. რატომ უნდა არსებობდეს ადამიანი, რომელიც მეც მიცნობს და მასაც? მიზეზი არ არსებობს, ამიტომ – არც საერთო მეგობარი. ეკრანიდან მისი გარუჯული სახე მიყურებს. ნაოჭები მგონი უხდება კიდეც. მუქი ფერის თმა მხრებამდეც არ სწვდება. უჩარჩოო, ლამაზ სათვალეს ატარებს და ღია ფერის შარვალი და პერანგი აცვია. გამხდარია, ვერცხლის-

ფერი საყურეები და რამდენიმე დიდი ბეჭედი უკეთია თითქმის ყველა თითზე. მაკიაჟიც ზომიერად აქვს. იცინის და შესანიშნავად გამოიყურება. ფოტოების თვალიერება დავიწყე. უამრავი ფოტო აქვს – სამსახურში, სახლში, სხვადასხვა ქალაქში გადაღებული. ყველა ფოტოზე იცინის. არასდროს მინახავს ასეთი ბედნიერი 67 წლის ადამიანი. კარგად გამოიყურება. ალბათ ბევრი ფული აქვს, საკუთარი საქმე, ოჯახი ჰყავს, მაგრამ ნუთუ ყველაფერი წესრიგშია? რომ უყურებ, გეგონება პრობლემები არც აქვს და არც არასდროს ჰქონიაო. ერთი სული მქონდა, როდის დაველაპარაკებოდი. ვფიქრობდი რა მიმეწერა: „გამარჯობა, ქალბატონო ნინა. მე ამა და ამ ჟურნალიდან გაწუხებთ. როდის შეიძლება თქვენგან ინტერვიუ ავიღო?" თუ ასე – „სალამი ქალბატონო ნინა, მე ჟურნალისტი ვარ, ჩემი რედაქტორი უკვე გელაპარაკათ. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, აქ გავისაუბროთ თქვენთვის სასურველ დროს?" ან კიდე... მოკლედ, ძლივს მივწერე სამი წინადადება. თვითონ ამდენი ნამდვილად არ დასჭირვებია. ორ წუთში მომივიდა პასუხი:

„ხვალ საღამოს, 6 საათზე აქ დაგელოდებით))".

გამეღიმა და მივწერე, ვიქნები-მეთქი. მოკლედ ასე – ექვსზე ვირტუალური შეხვედრა მაქვს დანიშნული.

ვერაფრით მივეჩვიე ადრე გაღვიძებას. გადაუდებელი საქმე უნდა მქონდეს, რომ დილით თავი ავწიო. როგორც არ უნდა ვეცადო, სხვანაირად არ გამომდის. დღესაც პირველზე ძლივს ავდექი, ჯერ სააბაზანოს მივაშურე, მერე თბილი ჟაკეტი მოვიცვი, ნოუთბუქი ჩავრთე და სამზარეულოში გავედი. არ მითქვამს, რომ მშობლებთან და უმცროს ძმასთან ერთად ვცხოვრობ. კიდევ კარგი, საკუთარი ოთახი მაქვს და იქიდან ძირითადად მხოლოდ საჭმელად გამოვდივარ. დილაც ასე იწყება. დედა ჩემს დანახვაზე უცნაურ კითხვას სვამს – „ადექი?" და მაგიდის გადმოწმენდას ამთავრებს. მერე ყავით სავსე ფინჯანს იღებს და ისევ მაგიდასთან ჯდება.

– მეც მინდა ყავა. წყალი ცხელია? – ვეკითხები და თაროდან ჩემს ჭიქას ვიღებ.

– კი, ახალი ადუღებულია.

უშაქრო ყავას ვისხამ. მეც მიკვირს, როგორ შევეჩვიე ასეთის დალევას.

– არაფერს შეჭამ? ტოსტებს გაგიკეთებ, – მეუბნება დედა.

– არა, არ მინდა, – ვეუბნები, ალბათ ჩემი ძმის დატოვებულ, გაციებულ ყიყლიყოს ნაჭერს ვიღებ და გასასვლელად ვემზადები.

– დაჯექი აქ და ისაუზმე ადამიანურად, – მეუბნება.

– მეილი უნდა შევამოწმო სასწრაფოდ და საქმეები მაქვს. – ტრადიციულად ვპასუხობ მე და ოთახში ვბრუნდები. დედა მარტო რჩება ფინჯან ყავასთან ერთად.

ნოუთბუქი ჩართულია. დესკტოპზე მაგიდა მოჩანს, რომელზეც ბლოკნოტები და სხვა ნოუთბუქი დევს. იმ ნოუთბუქის დესკტოპზე კი რაღაც საქმიანი დოკუმენტია გახსნილი. ფოტოს აწერია, რომ დროა, მეტი ვიმუშაო. მოტივაციისთვის მშვენიერი ფოტოა. მე რამდენიმე საიტს ერთად ვხსნი. მეილზე ძველი კლასელის წერილი მხვდება. ტრადიციულად ორ კვირაში ერთხელ მაინც მომდის მისი მეილი. ეს გოგო სკოლიდანვე შეყვარებული იყო გეოგრაფიასა და ლიტერატურაზე.

„ძვირფასო ელენ,

დიდი ხანი გავიდა ჩვენი ბოლო მიმოწერის შემდეგ. ძალიან მომენატრე. მე ისევ შევიცვალე ადგილი დედამიწაზე და მინდოდა ეს შენთვისაც მეცნობებინა. სადაც ახლა ვარ, ანუ გაიანაში, კერძოდ კი ქალაქ ჯორჯთაუნში, როგორც ყოველთვის, მშვენიერი ამინდია. ქალაქი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს და წელიწადში აქ 450 000 ტურისტი ჩამოდის. ახლა სახლის (ჩვენებურად, ქოხის) სხვენზე ვარ, აქ შედარებით გრილა, მოსაღამოებულია და ცხენების ჭიხვინი ისმის. იცი, დღეს პირველად გამოვაცხვე ხაჭაპური. ვიზუალურად საშინელი გამოვიდა, მაგრამ მე მეგემრიელა, მამაჩემმაც მითხრა, ძალიან კარგი იყოო, ჯორჯთაუნში ყველაზე გემრიელ ხაჭაპურს აცხობო. მგონი მომატყუა. ქათამიც შევწვი. ძა-

ლიან ვიხალისე შეტრუსვის დროს, ვაცეკვებდი ცეცხლზე.

აქ თავს კარგად ვგრძნობ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ასეთ ქალაქში ცხოვრება მომინდებოდა, მაგრამ თურმე მომწონს. საღამოობით მე და მამა სანაპიროზე ვსეირნობთ ხოლმე და ადგილობრივ კერძებს მივირთმევთ. ნეტა შენც აქ იყო, მაგრამ სულ ჩვეულებრივი ქალაქია და სიმართლე თუ გინდა, ალბათ არც მოგეწონებოდა. აქ ჩანჩქერია ერთადერთი ულამაზესი და იმის წყალს მაინც ჩამოგიტან, სხვა თუ არაფერი.

დედა ავადაა და მთელი საქმე მე მაწევს მხრებზე. მთელი დღე ვალაგებ, საჭმელს ვაკეთებ და მხოლოდ საღამოს ვიცლი დასვენებისთვის. ალბათ მოკლე წერილი გამომივა, ისევ ქვემოთ უნდა ჩავიდე და დედას მივხედო. მომწერე შენი ამბები. მომიყევი, რა ხდება სამსახურეობრივ და პირად ფრონტზე.

მიყვარხარ და გკოცნი მაგ მოიისფრო და ცისფერ თვალებში.

P.S. სმაილები განზრახ არ დავურთე. ეს ხომ ნამდვილი წერილია!"

მიყვარს მისი ნამდვილი წერილები და მიკვირს, რომ არ ბეზრდება. ყოველთვის სხვადასხვა ქალაქიდან მწერს და გეგონება, მართლა მოგზაურობსო. სინამდვილეში საზღვარი ცხოვრებაში არ გადაუკვეთავს. ზის სახლში და რუკებს ათვალიერებს მთელი დღე. ვირტუალურად დამოგზაურობს და მგონი ამითაც ბედნიერია.

Facebook-ზე შესვლისთანავე ჩატი ვარდება, სადაც ჩემი მეგობრები საუბრობენ.

mari m. აი მგონი წვიმს კიდეც. არის ჩემსა და სამყაროს შორის უხილავი კავშირი. დაე, იწვიმოს, დაიქუხოს, დასჭექოს!

lela t. ჩვენ რაღას გვერჩი? არ მინდა, ასე მალე აცივდეს. აღარც ეს წვიმა შემიძლია.

salo u. სხვათა შორის, გუშინ ბ-ნი ლაშა შემხვდა შემთხვევით მეტროში.

elen t. ჩვენი მსოფლიო ხელოვნების ლექტორის ასისტენტი????

სასწრაფოდ ვერთვები საუბარში.

mari m. ოჰ, დილა მშვიდობისა.)) არ თქვა, კიდე მომწონს ეგ ბიჭიო.

salo u. ჰო ეგ, ბოლო გამოცდის ამბები გამომკითხა, წარმატებები მისურვა და ეგ იყო.

elen t. დიახ, მომწონს! მაგრამ რა აზრი აქვს, ვერსად ვერ ვნახავ მაინც. ((

lela t. ახლა უცებ ვინანე, გიოსთან ის გოგო რო გავლანძღე. ვინ მეკითხებოდა, სულაც არაა ცუდი გოგო.

nati g. კაი რა, დაიკიდე. ვლანძღავთ, მერე გვიყვარს. მერე ისევ ვლანძღავთ – ადამიანური რამეა.))

lela t. ნუ მეხუმრები, მართლა განვიცდი.

nati g. რაღაც იდიოტურ ფილმს ვუყურებ და კოცნის სცენას ველოდები საათ-ნახევარია და არ აღირსეს!

salo u. ნათია))))

mari m. უეჭველი ფინალური სცენისთვის ინახავენ.))

nati g. ალბათ. ნინო რო მოსუქებულა, შეატყვეთ?

mari m. არა, არ დავკვირვებივარ. მომენატრეთ, იცი?

elen t. და რაში გაინტერესებს საერთოდ?? მეც კი მომენატრეთ.

მოვიტყუე. ადამიანები, რომლებთანაც ხშირი კონტაქტი მაქვს ინტერნეტით, საერთოდ აღარ მენატრებიან.

nati g. ისე აღვნიშნე.

elen t. და შენ როგორ ხარ მართლა? გამოკეთდი?

nati g. არა, ისევ ჩაიზე და სუხარზე ვარ მთელი დღეა. მაგრამ უკეთ ვარ ცოტა. ახლაც შენი ნაჩუქარი ჭიქით ვსვამ დედაჩემის მოტანილ რაღაც არომატულ ჩაის.

elen t. დღეს-ხვალ მოითმინე და გაგივლის ყველაფერი. ჩემი ლამაზი ჭიქა.))

nati g. აჰა. მართლა ლამაზია. მიყვარს.

lela t. თუ სისუსტეს, დაღლილობას, გონებრივი მუშაობის

შენელებას გრძნობთ, ჩავარდნები გაქვთ მეხსიერებაში, ადვილად ღიზიანდებით, უჩივით დეპრესიას, მოტივაციისა და აქტიურობის დაქვეითებას, დაკარგული გაქვთ ინტერესი, ის დროა, ძილს მეტი სერიოზულობით მოეკიდოთ. გესმით?

elen t. მე ძალიან სერიოზულად ვეკიდები!))

mari m.. ლელა, ნუ გვაშინებ. ისედაც ვიცი, საშინლად მოქმედებს ჩემზე ეს უძილობა.

nati g. გირეკავდი მართლა დღეს, რატომ არ იღებდი?

elen t. მე მეუბნები? ოჰ, რავი. სად მიგდია მობილური, აღარც მახსოვს. ხომ იცი, რამე თუ გინდა, აქ უნდა მომწერო.

nati g. უცილობლად გავითვალისწინებ ამ რჩევას. გამოდიხარ საერთოდ მაგ ოთახიდან?

elen t. კი, საჭმელად.)) შენ მაინც ნუ მეჩხუბები ახლა.

nati g. არ გეჩხუბები, კაი.

elen t. მოკლედ მე საქმე მაქვს, მეილები გასაგზავნ-გამოსაგზავნი, კითხვები მოსაფიქრებელი. ველარ მოგწერთ და არ გაბრაზდეთ.))

salo u. არ გავბრაზდებით, ჩვენც საქმეებს მივხედოთ ჯობია. ფოტოები ასატვირთია, სტატუსები დასაწერია, ათასი რამე კიდე დასალაიქებელი.

lela t. ჩემს მთავარ ფოტოზე იას კომენტარი ნახე? ფოთოლცვენადი ფოტოაო. ფოთოლცვენადიო!))) რას მერჩის, რა უნდა?)) საიდან მოაქვს ეს სიტყვები???

mari m.))))

გავთიშე, აღარ ვკითხულობ.

ცოტა მუშაობის მერე ოთახიდან შემდეგი გასვლა სადილზე შედგა. ძალიან მიყვარს მაკარონი ტომატის სოუსით.

– არ გბეზრდება მაინც იქ? – მეკითხება დედაჩემი.

– ხო იცი, რო საქმე მაქვს.

– მთელი დღე?

– ჰო, მთელი დღე.

– ტელევიზორის საყურებლად მაინც გამოდი.

– და რას ვუყურო? სულელურ გადაცემებს?

– ქვეყანაში რა ხდება, არ უნდა იცოდე? – გაბრაზებით მეკითხება.

– თუ გამანადგურებელი კომეტა დაგვეცემა ან სხვა ამგვარი კატასტროფა მოხდება, ინტერნეტშიც გავიგებ. დანარჩენი დიდად არ მაინტერესებს.

– მშვენიერია, ყოჩაღ.

– გიო სადაა?

– მეგობართან წავიდა, – ამბობს დედა და ჩვენი საუბარიც ამით მთავრდება.

ნინა ზუსტად დათქმულ დროს შემოვიდა, მაგრამ მომწერა, სასწრაფო საქმე გამომიჩნდა და ცოტა უნდა დამელოდოო. მე, რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ არსად მეჩქარება და დაველოდები. მანამდე ჩანთის შიდა ჯიბეში ჩაჩურთული სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი ამოვაძვრინე და ფანჯარა გავაღე. საშინელი სუსხი შემოვარდა. ჟაკეტი მაგრად შემოვიხვიე. არ მინდა, სუნი დადგეს და სახლში გაიგონ, რომ ვეწევი ხოლმე. ჰო, უკვე დიდი გოგო ვარ და თუ მინდა, ვერ ამიკრძალავენ, მაგრამ ჩხუბის, ლექციების და რჩევა-დარიგებების მოსმენის თავი არ მაქვს. ამიტომ ასე მალულად ვეწევი, ძირითადად საღამოობით. ნამწვი შორს, ეზოში მოვისროლე, ფანჯარა შემოვკეტე და ჩემს ნოუთბუქთან დავბრუნდი. არაფერი დამხვდა მოწერილი. სამაგიეროდ წვიმის წამოსვლის გამო ბლომად აუტვირთავს მავანს ლამაზ-ლამაზი ფოტოები, რომლებზეც წვეთები, ქალაქის ხედები, ზედ წარწერები და სხვა ათასი რამ ჩანს. სამზარეულოში გავედი და ჩაი დავისხი. თან დედა ყოველი შემთხვევისთვის გავაფრთხილე, ინტერვიუ უნდა მქონდეს და სიწყნარე არ დამირღვიოთ-მეთქი. დავბრუნდი და მაშინვე მომწერა:

nina k. მოვედი, მოვკალათდი ფინჯან ჩაისთან ერთად და შენს განკარგულებაში ვარ.

ლაპარაკიც სხვანაირი აქვს. ახალგაზრდული. ჩაი მოვსვი და კლავიატურას თითები დავადე:

elen t. მეც სწორედ ახლა დავისხი ჩაი.)) დავიწყოთ?

nina k. დავიწყოთ.

elen t. ჩემი პირველი რესპონდენტი ხართ, რომელმაც კითხვები წინასწარ არ მთხოვა.

nina k.)) ეგ ხომ უინტერესოა. შედეგი კარგია, მაგრამ პროცესი უფრო საინტერესო.

elen t. მშვენიერია. მეც სწორედ ასე ვფიქრობ. შედეგსაც არ გადახედავთ მერე?

nina k. საბოლოო სტატიას? გადახედვაში თუ შესწორებას გულისხმობ – არა, რა თქმა უნდა. ჟურნალისტი შენ ხარ და ისე დაწერე, როგორც მოგინდება. ნაკითხვით აუცილებლად წავიკითხავ. მაინტერესებს, როგორ დაწერ.

მგონი ეს ქალი ისაა, ვისაც ველოდი. გამოდის, რომ ყველაფრის დაწერა შემიძლია. ჩემი რედაქტორი მშვენიერი გოგოა, სრულ თავისუფლებას გვაძლევს. თავად რესპონდენტები მზღუდავენ ხოლმე, ისე ვწერო, როგორც მინდა. და აი, პირველი შესაძლებლობა, რომ ისეთი სტატია გავაკეთო, როგორიც მომეწონება.

elen t. ძალიან კარგი. მინდა, რაც შეიძლება უშუალო ლაპარაკი გამოგვივიდეს.

nina k. მე არ ვარ წინააღმდეგი.))

elen t. კარგი, მაშინ დავიწყოთ. ჯერ მითხარით, სად ხართ? გარემოსაც თუ აღმიწერთ შესანიშნავი იქნება. აი, მე მაგალითად, ჩემს ოთახში ვზივარ. იმას, რაც აქ ხდება, დედაჩემი არეულობას ეძახის, მე ასე არ ვფიქრობ. უბრალოდ ბევრი ნივთია აქა-იქ მიმოყრილი, არა – მიმოწყობილი. ყველა თავის ადგილზე. მშვენიერ განწყობაზე ვარ, მომწონს, რომ ორივე ჩაის ვსვამთ.

nina k. ჯერ ეს ფლეილისთი ნახე. მოდი ჩვენი ინტერვიუს საუნდტრეკი იყოს. Eddie Higgins Trio – ძალიან კარგი მუსიკაა. ვფიქრობ, ჩემს განწყობას და ამ საღამოს შეეფერება.

მუსიკას ვრთავ და ძალიან ლამაზი მელოდია მესმის. მომწონს და ეს ქალი კიდე უფრო მეტად.

nina k. მე ლონდონში ვარ. შვილიშვილი სწავლობს აქ და

მას ჩამოვაკითხე. ახლა სასტუმროს ნომერში ვზივარ. ოთახი ძალიან მოწესრიგებულია. ზედმეტადაც კი, მაღიზიანებს ძალიან დალაგებული ოთახები, მეც მიყვარს მიმოყრილი ნივთები. ნოუთბუქი პირდაპირ ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე მიდევს. ფანჯრიდან გრძელი ქუჩა მოჩანს, ცოტა ხალხი მოძრაობს. არ წვიმს, მაგრამ ღრუბლიანი ამინდია. არ მომწონს აქაური ამინდი, მე მზე მიყვარს, მაგრამ ეს მოჟამული ქუჩა რაღაც ლამაზად გამოიყურება. ფილმის კადრს გავს.

მე ჩემი ფანჯრიდან გავიხედე.

elen t. ჩემგან მაღალი ნაძვები მოჩანს, ერთი – მრავალსართულიანი სახლი და ამათ შორის ჩამავალი მზე. თანაც წვიმს. ეს ხედიც ლამაზია. ამდენი ხანია აქ ვცხოვრობ და თითქოს პირველად ვხედავო.

nina k. მეც მხოლოდ ახლა დავაკვირდი ქუჩას. ხანდახან თურმე ცუდი არაა, ჩვენი ნოუთბუქებიდან თავი ავწიოთ და ნამდვილ სამყაროს შევხედოთ.))

elen t. არასდროს მინახავს, თქვენი ასაკის ადამიანი ასე ჩართული იყოს სოციალურ ქსელებში და კარგად ფლობდეს კომპიუტერს. არ გაგიჭირდათ ათვისება?

ვკითხე და მაშინვე ვინანე. რამდენჯერ უნდა დამემართოს ასე. ინტერნეტში ნაკლებს ფიქრობ. აკრეფ სისულელეს და პირდაპირ „ენთერ". უტაქტოდ გამომივიდა. რატო გავამახვილე ყურადღება ასაკზე ან რატო ვთვლი, რომ ვერ აითვისებდა. ნეტა წაშლა შეიძლებოდეს.

nina k. ახალი რამის სწავლა ყოველთვის რთულია, მაგრამ არა – შეუძლებელი. ყველაფერს ვაკეთებ, რომ თანამედროვე ცხოვრებას არ ჩამოვრჩე და ვიღაცას სულელი ბებრუხანა არ ვეგონო. ამას არც ვმალავ.

ამ დროს ჩატი იხსნება და მარი წერს:

mari m. არის აქ ვინმე?

elen t. დავუშვათ, არის.

mari m. რას შვები?

elen t. ინტერვიუს ვიღებ.)) შენ?

mari m. აბა გამოიცანი.

elen t. ?

mari m. მუსიკას ვუსმენ და ვცდილობ გავიგო, როგორ მოვიდა უკვე რვის ნახევარი. ვისგან იღებ ინტერვიუს?

elen t. ნინა კ.-სგან. 67 წლისაა და ნახე როგორ ფორმაშია. მგონი ყველაზე კარგი რესპონდენტია, ვინც კი მყოლია.

ფოტოს ვაკოპირებ.

natia g. ჰაჰა. აი, ეს ქალი უყვარდა ბაბუაჩემს.

elen t. რომელ ბაბუას? გურამს???

natia g. ჰო!!! ამაზე გვიყვებოდა მაშინ, ფოტო რომ გვანახა.

elen t. ის გოგო ნინა იყო?

natia g. კი, ის.))

elen t. ფოტო კიდევ გაქვთ? აუ, დამისკანერე, გთხოვ! რა მაგარია!))

natia g. დაიცა, მოვძებნი, ვიცი, სადაც იქნება.

ნათიას ბაბუა გაზეთის გამომცემლობაში მუშაობდა. ისეთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული კაცი იყო, გაკვირვებული ვარ, რომ გოგო, რომელზეც ერთხელ მოგვიყვა, ნინაა. ნათიასთან მზესუმზირას ვჭამდით და ათას სისულელეზე ვლაპარაკობდით, როცა რატომღაც ძველი ფოტოთი ხელში მოვიდა და გვითხრა, როგორ უყვარდა ვიღაც გოგო ახალგაზრდობისას. კაცმა რომ თქვას, ბევრი არც არაფერი მოუყოლია. მხოლოდ ის თქვა, ძალიან მიყვარდაო და ეს ერთადერთი ფოტოა, რომელიც შემომრჩაო. ნათიას ბებია თურმე რამდენჯერმე ეჩხუბა კიდეც ამის გამო, მაგრამ ფოტოს საგულდაგულოდ ინახავდა. ჩვენც მეტი არ გამოგვიკითხავს. ჩემმა მეგობარმა, მაცადე ბავშვებთან ლაპარაკიო და ისიც ჩუმად გავიდა. ნათიას ბაბუა რამდენიმე კვირის წინ გარდაიცვალა.

elen t. ოჯახზე მომიყევით.

nina k. დიდი ოჯახი გვყავს. ნინის გარდა (ვისთანაც ახლა ვარ ჩამოსული) კიდევ ოთხი შვილიშვილი მყავს, ბიჭები. ნინი ლამაზი და ჭკვიანი გოგოა. მგონია, რომ ძალიან მგავს. მინდა ხუთივემ კარგი განათლება მიიღოს და მშვიდად იცხოვროს. მე

არ მქონია ასეთი ახალგაზრდობა. ბავშვობა ყველაზე ცუდად მახსენდება. რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უკეთ ვცხოვრობდი და ამისთვის მე თვითონ ვშრომობდი ბევრს. შვილიშვილები ჩემი მთავარი სიხარულია. მათთვის ჩვეულებრივი ბებია ვარ, უბრალოდ ჯინსები მაცვია ხოლმე და facebook-ი მაქვს.)) ორი შვილი მყავს და ქმარი, რომელიც დღემდე ძალიან მიყვარს. ძირითადად თბილისში ვართ ყველანი ერთად, ნინი და გიო უცხოეთში სწავლობენ და ხან ისინი ჩამოდიან ხოლმე არდადეგებზე, ხან ჩვენ ვაკითხავთ. აი, ასე ვართ და კიდევ ვიცხოვრებთ დიდხანს და ბედნიერად.))

მერე რამდენიმე სტანდარტული და აუცილებელი კითხვა დავუსვი. ანუ კითხვები კარიერასა და სამსახურზე, რაც ჩვენი ჟურნალის მთავარი თემებია. მანაც განსაკუთრებული ხალისის გარეშე მიამბო, რა განათლება მიიღო, სად მუშაობდა, რა მისია აქვს მის კომპანიას, მთავარი მესიჯი მომხმარებლებთან და სხვა ამგვარი. მოკლედ, არა მგონია დაგაინტერესოთ. თუ მაინც გაინტერესებთ, ჩვენი ჟურნალის ნოემბრის ნომერში შეძლებთ ყველაფრის ამოკითხვას.

elen t. დადგა დრო, თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე ამიწეროთ.)) ჩემი ჩაი დამთავრდა.

nina k. აღარც ჩემს ფინჯანშია რამე დარჩენილი.)) ჩემი ჩვეულებრივი დღე ადრე იწყება. 6-7 საათზე ვიღვიძებ. დილა თუ გაცდა, მთელი დღე დაკარგულია.

წამით თითქოს იმ ათასობით დღემ თვალწინ ჩამიქროლა, როცა შუადღეს გაღვიძებასაც ძლივს ვახერხებდი.

nina k. თუ თბილისში ვარ და ძირითადად ასე ხდება, აუზზე მივდივარ. ცოტას ვჭყუმპალაობ.)) თუ საზღვარგარეთ – იქვე მდებარე ერთ-ორ პატარა ქუჩას შემოვუვლი. ესაა ჩემი დილის ვარჯიში. მერე სახლში ვბრუნდები, საუზმის მომზადება მიყვარს, მაგიდის ლამაზად გაწყობა. მთელი ოჯახი იღვიძებს ნელ-ნელა და მსიამოვნებს ეს პროცესი. მერე სამსახური იწყება, რომელიც, სიმართლე გითხრა, და ეს ჟურნალში არ დაწერო – მომბეზრდა.)) რამდენი წელი უნდა იმუშაოს ადა-

მიანმა?! მაგრამ როგორც კი თავს დავანებებ, დარწმუნებული ვარ ყველა ჩათვლის, რომ დავბერდი და აღარაფერი შემიძლია, ამიტომ მეც ვმუშაობ და კაფეს ყველა საკითხს დეტალურად ვაკონტროლებ. საღამოს ისევ სახლი და ოჯახური სადილი. ძალიან იშვიათად მეგობრებსაც ვნახულობ. ადრე ვიძინებ. საზღვარგარეთ სიარული იმიტომ მიყვარს, რომ ამ რუტინიდან გადახვევა შემიძლია.

ნათიამ ფოტო დაასკანერა და ჩემს ეკრანზე შავ-თეთრი სურათი გამოჩნდა. სიცილი ზუსტად ისეთივე აქვს, თურმე არ შეცვლია. აქაც ბედნიერია და რატომღაც მგონია, რომ სხვანაირად – უფრო თავისუფლად და ახალგაზრდულად ბედნიერი. ინტერესი მკლავს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებით. არც ვიცი, როგორ ვკითხო. წარმოდგენა არ მაქვს, რა სიტყვებით მივწერო.

elen t. მომიყევით რამე, რაც უცებ, პირველივე გაგახსენდებათ.

nina k. უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, ძალიან მსუქანი ვიყავი. ერთხელ ზღვაზე ყოფნისას მეგობარმა ჩუმად გადამიღო ფოტოები. ძალიან სასაცილო გამოვიდა. მერე შუა ლექციაზე მომცა კონვერტით. მაშინ გავბრაზდი და მისი დანახვაც არ მინდოდა. მერე გამიარა, მეც მეცინებოდა. თითქოს საუკუნეების წინ იყო. არ ვიცი, რატომ გამახსენდა ახლა, ალბათ იმიტომ, რომ ქუჩაში ზუსტად ჩემი მაშინდელი წონის ქალბატონი მიიზლაზნება.))

elen t. ვერ გავექცევით კითხვას – რისი კეთება გიყვართ თავისუფალ დროს?))

nina k. ნამცხვრებს ვაცხობ.)) ბევრს უკვირს, მაგრამ მამშვიდებს ეს პროცესი, ძალიან მსიამოვნებს. საღამოობით ხშირად ვაკეთებ კექსებს, კრემიან ნამცხვრებს, ტორტებს. სხვადასხვა რეცეპტს ვცდი. მეუბნებიან, ძალიან გემრიელი და ლამაზი გამოგდისო და მეც პატარა ბავშვივით მიხარია. მიყვარს, საღამოობით მთელი ოჯახი ჩემს ნამცხვრებს რომ მირთმევს ჩაისთან ერთად. მოკლედ, საუზმე და ტკბილეული

ჩემზეა ხოლმე.)) დანარჩენს ლუბა გვიმზადებს. იმდენი წელია ჩვენთანაა, უკვე ისიც ოჯახის წევრია. ძალიან გემრიელი კერძებით გვანებივრებს ყოველდღე.

დიდი ფიქრის მერე, თავს ვერ ვიკავებ, შავ-თეთრ ფოტოს ნინასთან ვაგდებ და ვეკითხები, უნდა თუ არა ამ ფოტოს ისტორიის მოყოლა.

აქ პაუზაა. ყველაზე გრძელი პაუზა ჩვენი ლაპარაკის განმავლობაში. ვცდილობ წარმოვიდგინო, რას ფიქრობს ახლა. ალბათ გაუკვირდა, საიდან მაქვს ფოტო. იმედია, თავხედი ჟურნალისტი არ ვგონივარ, რომელმაც მისი წარსულის მივიწყებული და უცნობი დეტალი ამოქექა. არა, არ მინდა ჩემზე ასე იფიქროს. იქნებ ვუთხრა, ჟურნალში ამაზე დაწერას არც ვაპირებ, უბრალოდ ძალიან მაინტერესებს თქვენი ისტორია-მეთქი.

nina k. არა.

მწერს მოკლედ, ისე, როგორც არ სჩვევია. ველარაფერს ვეუბნები. მინდა ვიცოდე რას გრძნობს, მაგრამ ალბათ ვერასდროს გავიგებ. ისევ პაუზა. მერე კიდევ ერთ-ორ ფორმალურ კითხვას ვუსვამ და ერთმანეთს ვემშვიდობებით.

საღამო Eddie Higgins Trio-ს მოსმენაში გადის. მე ვიცი, რომ ხვალ მშვენიერ სტატიას დავწერ და ვიტყვი, რომ ნინა განსაკუთრებული ადამიანია. რომ მე მას არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ მთელი საღამო ერთად გავატარეთ მუსიკის მოსმენაში, ჩაის სმასა და საუბარში.

ისევ ჩატი:

salo u. ჩემმა ძმამ ყველაფერი შესანსლა, რაც კი მაცივარში იყო დარჩენილი, ამიტომ ყველაფერი მაღიზიანებს, რაც კი მოძრაობს!

natia g. ეს რა აგრესიული ხდება საღამოს, თუ მშიერი დარჩა.))

mari m. ვერც გაამტყუნებ.))

salo u. ამას ჯობია ნინოს ახალი relationship status ნახოთ. თვეში ნეტა რამდენჯერ უნდა შეცვალოს??))

* * *

გარეთ ისევ გაწვიმდა. ზამთარი გვიახლოვდება და ამასთან დაკავშირებით მთელი ჩემი სამეგობრო წუწუნებს. მე თურმე 488 მეგობარი მყავს.

ჯეოსელი კი გადატვირთული სამუშაო დღის შემდეგ ყველას სასიამოვნო შაბათ-კვირას გვისურვებს და ეს 201 ადამიანს მოსწონს.

ლიტერატურული პროექტი „15 გ ზავნილი"

ანინა ტეფნაძე

STD

სამსახურიდან ძლივს გამოვედი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ როგორც კი ავდექი, ჩემს მაგიდაზე დაწყობილი დასამთავრებელი პროექტები აყვირდნენ. უფროსმა კი გასვლისას ცუდად გამომაყოლა თვალი. კარგად ვიცი ეს მზერა, რადგან დაახლოებით ორი წელია, ასე მიყურებს. ეს არაა ფლირტი ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილ ადამიანებს შორის. არა, ფლირტი სხვა რამეა. ეს არის დეკლარირებული სურვილი, რომ ჩვენ სექსი გვქონდეს, უფრო სწორად კი – მას ჰქონდეს სექსი ჩემთან. არანაირი ტაქტიკა ჩემს უფროსს არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ მუდმივად მაგრძნობინებს თავს ქვეშევრდომად. იმასაც არ თვლის აუცილებლად, რომ თავი მომაწონოს. მან, ისევე როგორც მე, კარგად იცის, რომ სექსისთვის სულაც არაა აუცილებელი, ადამიანი მოგწონდეს. სხვა უამრავი მიზეზი არსებობს.

უფროსი სენდვიჩს ჭამს და ნამცეცები კლავიატურაზე ეყრება. მისი აზრით, ლანჩისთვის გამოყოფილი ერთი საათი ძალიან ბევრია. ამ თეორიის თანახმად, ყველა, ვისაც ნორმალურად ჭამა უნდა, უბრალოდ უსაქმურია და მიზეზს ეძებს, რომ სამუშაოს თავი დააღწიოს. მე ამ ყველაში შევდივარ. ჩემი უფროსი კი ადამიანებში შედის, რომლებიც თხუთმეტი წლის შემდეგ მაღალი ქოლესტერინის გამო დაიხოცებიან.

ჩემი კაცი გარეთაა და „ჰარი პოტერს“ კითხულობს. მეორე ტომს. აი, ჰარი პოტერი საიდუმლო ოთახს რომ ხსნის და იქ უზარმაზარი ბასილისკო ხვდება. ოღონდ მან ეს ამბავი ჯერ

არ იცის. სულ ახლახან გადავიდა მეორე წიგნზე, ისიც – ჩემი დაჟინებული მოთხოვნით.

– აი, შენც მოხვედი, – მეუბნება ისე, რომ ფურცლებს თვალს არც კი აშორებს.

მე კითხვითვე ვპასუხობ:

– აფთიაქში გაიარე?

– კი.

– სად წავიდეთ?

– კაფეში აქვე.

– საშინლად მეჩქარება.

– მეც.

მივდივართ კაფეში აქვე. ამ კაფეს ერთი მინუსი აქვს – გოგოების და ბიჭების ტუალეტი გაყოფილია. ასეთ დროს ბიჭების ტუალეტში შესვლა სჯობს. საბედნიეროდ, იქ არავინაა, ვისაც გოგოს შემოსვლა გაუკვირდება. კაბინაში ვიკეტებით. სივიწროვეა და თან უნიტაზი დასვრილია. მე თავბრუ მეხვევა და გული მერევა.

– წაიკუზე, – მეუბნება ჩუმად.

ვიკუზები და ხელებით უნიტაზის თავს ვეყრდნობი. გარშემო ყველაფერი ჭუჭყიანია და უცებ ყოვლისმომცველი ზიზღი მეუფლება. მოდუნება შეუძლებელია.

ხმაზე ვხვდები, რომ ჩემი კაცი ჩანთიდან პატარა პარკს იღებს. შიგნით ორი შპრიცი, სპირტი, ბამბა და მინის ოთხი ამპულა უნდა იდოს: წამლები და გამხსნელები.

ახლა გამხსნელს და ანტიბიოტიკს ერთმანეთში ურევს. შპრიცს ავსებს.

– შარვალი ჩაიწიე, – მეუბნება და მე მახსენდება ჩვენი სექსი კაფეების ტუალეტებში, ჩემი უნივერსიტეტის ტუალეტებში, მისი სამსახურის ტუალეტებში.

ოდნავ ვიხრები და ჯინსს დაბლა ვიწევ.

– მარჯვენაზე გამიკეთე. მარცხენა საშინლად მტკივა, – ვეუბნები საქმიანად.

წამალი ძალიან მწარეა. კანში როცა გადის, ტუჩს ვიკვნეტ. ჩემი კაცი ნანემსარს სპირტიანი ბამბით მიზელს.

– ფუ, რა საშინელებაა, – ვეუბნები ჩურჩულით, – არასდროს არ გაპატიებ.

ყოველ ჯერზე ასეა, როცა ნემსს მიკეთებს. მინდა, რომ ვცემო. მაგრამ მერე მახსენდება, რომ მის გარდა ვერავინ გამიკეთებს ნემსებს.

ახლა მეორე შპრიცს ავსებს, მერე მაწვდის და მეუბნება.

– ჰა, მიდი, – შარვალი უკვე ჩაწეული აქვს.

ვცდილობ, ძალიან ვატკინო, თუმცა წამალი ისედაც მწარეა. გმირულად უძლებს.

– შენ თვითონ დაიზილე, – ვაწვდი სპირტიან ბამბას, —მე სამსახურში მაგვიანდება.

სანამ ის თავის მოვლითაა დაკავებული, მე კაბინიდან გამოვდივარ და კართან დაბნეულ ბიჭს ვეჩეხები.

– შეგეშალა, ეს გოგოების ტუალეტია, – ვუღიმი მე.

– ბოდიში, – ბრუნდება ბიჭი უკან და გაკვირვებული უყურებს ჩიბუხს კარზე.

მე მგონია, რომ ნიშნები ტუალეტის კარზე აშკარად გამოსაცვლელია. სჯობს, პირდაპირ გენიტალიები ეხატოს, რადგან ჩიბუხს ქალებიც ეწევიან, ხოლო ქოლგას კაცებიც ატარებენ.

ჩემი კაცი ქუჩაში გასვლისას მეწევა.

– მოდი ჩემთან, შე შტერო, – მეუბნება და მაგრად მიხუტებს. მე გაშეშებული ვარ. ვცდილობ, დავაფიქსირო, რომ არ მომწონს მასთან ჩახუტება. მე გაბრაზებული ვარ და როცა გაბრაზებული ვარ, აღარ ვუღიმი, ქუჩაში მისგან მოშორებით დავდივარ და გრძელ კითხვებზე მოკლედ ვპასუხობ. ვიცი, რომ ეს ყველაფერი სასაცილოა, მაგრამ განაწყენების საჩვენებლად უკეთესი გზები ჯერ არ მომიგონია.

ცოტა ხნის შემდეგ ხელებს ვაშვებინებ. სამსახურში უნდა დავბრუნდე, სანამ ბოსი საბოლოოდ გაველურებულა.

ჩემს ოთახში შევდივარ, კომპიუტერთან ვჯდები და ექსელის ფაილს ვხსნი. პირში ლითონის გემო მაქვს. ესეც წამლების ბრალია.

„ჩემთან შემოდი", – მწერს სკაიპში უფროსი.

„მონოგამია მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ სენსიტიურ ადამიანებს გული არ ეტკინოთ", – მითხრა მან პირველ შეხვედრაზე და მე დავეთანხმე. შევატყვე, რომ არ ესიამოვნა. კაცების სრულ უმრავლესობას ურჩევნია, რომ ქალები ამ გამონათქვამს არ ეთანხმებოდნენ.

– გქონია ერთსა და იმავე პერიოდში ორ ადამიანთან სექსი? – მეკითხება, რომ შემამოწმოს.

– კი, მქონია.

– და რა უპირატესობა აქვს ორ კაცთან წოლას?

– და ვინ გითხრა, რომ ორ კაცთან...

– უცნაური გოგო ხარ. აი, ხუთ წუთში შევთანხმდით იმაზე, რაზეც ჩემი ცოლი რვა წელი ვერ ჩამოყალიბდა.

– შენი ცოლი? – ვუღიმი მე. არ უთქვამს, რომ ცოლი ჰყავს.

– ყოფილი ცოლი.

ეს პირველი პაემანი იყო. ახლა ხშირად ვუბრუნდები ხოლმე ამ საუბარს. ნუთუ სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ მას უფლება აქვს, ვისთანაც უნდა იმასთან იყიმაოს? სიმართლე რომ ვთქვათ, თამაშის წესებზე ჩვენი ერთად ყოფნის პერიოდში საერთოდ არ შევთანხმებულვართ. დასაწყისში ორივე ვამბობდით, რომ ზედმეტი პასუხისმგებლობები არ გვინდოდა. ერთი წლის მერე კი რამეზე შეთანხმება საერთოდ უადგილო ჩანდა. მე მიყვარდა, მას ვუყვარდი, შესანიშნავი სექსი გვქონდა და თან ყოველდღე. ჩემი აზრით, ასეთ დროს სხვა პარტნიორი ზედმეტია. მისი აზრით კი, ეს სულაც არაა საკმარისი.

გინეკოლოგთან ვიზიტების დროს ყოველთვის ჩემ გვერდით არის, უფრო სწორად – მოსაცდელში. თავს დამნაშავედ გრძნობს, სწორედ ამიტომ, მკურნალობის ხარჯებსაც თავიდან ბოლომდე თვითონ ფარავს. ვიცი, რომ მასაც აწუხებს ლითონის გემო პირში, თავბრუსხვევა და სისუსტე, რომ არაფერი ვთქვათ ნანემსრებზე. ჩვენ დაახლოებით ერთსა და იმავე მდგომარეობაში ვართ, ოღონდ მე უფრო უარესში.

გინეკოლოგი მეკითხება, პირველად როდის ვიგრძენი წვა და ქავილი.

– დაახლოებით სამი დღის წინ, – ვპასუხობ მე.

– დაუცველი სექსი როდის გქონდათ?

– წინა დღეს.

– ხომ იცით, რომ თქვენმა პარტნიორმაც უნდა იმკურნალოს?

არ მომწონს ეს სიტყვა, პარტნიორი. არსებობს უფრო მარტივი სიტყვებიც, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას არც ერთი მათგანი არ უხდება. მეუღლეები არ ვართ, შეყვარებულები – პათეტიკურია. რაც შეეხება მეგობრებს... მეგობრები ერთმანეთს დაავადებებს არ სდებენ.

– დიახ, ვიცი.

– მკურნალობის პერიოდში დალევა არ შეიძლება, ისევე, როგორც სექსი თქვენს პარტნიორთან.

– ამაზე შეგიძლიათ არც იღელვოთ, მკურნალობის მერეც არ ვაპირებ, – ვუღიმი მთელი გულით. გინეკოლოგი საკმაოდ მომხიბვლელი ქალია და ვცდილობ, ცოტა დავათბო ატმოსფერო, სანამ ფეხებს გადავუშლი.

სათვალეს ისწორებს, თვალს თვალში მიყრის და მეუბნება: – მესმის თქვენი, მაგრამ ასე ძალიანაც ნუ გაბრაზდებით. კაცები მაინც კაცები არიან. თქვენ ერთადერთი არ ხართ, ვისაც ეს შეემთხვა.

ყოველგვარი კეთილგანწყობა მიქრება და მოუხერხებელ სკამზე ავდივარ.

მისი ყოფილი ცოლი უმწეო ქალია. ყოველ შემთხვევაში ასე მგონია, რადგან როცა ჩემს კაცს ურეკავს, ყოველთვის დახმარებას სთხოვს. ხან ფული სჭირდება, ხან ბაზარში წაყოლა, ხან გაზი ეთიშება სახლში და არ იცის, რა ქნას, ხანაც ტოსტერი უფუჭდება და დილით გემრიელად ველარ საუზმობს. წვრილმანებსაც ვერ უმკლავდება თავად, ან უბრალოდ თავს არ იწუხებს. თავის შეწუხება ზოგადად რა საჭირო,

როცა ყოფილი მეუღლე გყავს?! ცოტაოდენი მანიპულაცია ბავშვებით და ყველაფერი თავისით უბრუნდება ადგილს.

ერთხელ ვეხუმრე ჩემს კაცს, რომ დარეკოს და გთხოვოს, ძალიან მინდა სექსი, თორემ ბავშვებთან უკვე ნერვიული ვხდებიო, აუცილებლად წახვალ და დაეხმარები, რადგან „ესეც ბავშვებს სჭირდებათ"-მეთქი.

მიპასუხა, ბოდავო. ამ საუბრიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ კი მივხვდი, რომ ჩემმა კაცმა მიღალატა. ღალატი ზოგადად მტკივნეული რამეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მტკივნეულზე მეტიც კი იყო. გულისტკივილი სუბიექტური რამაა. მასზე ყველა ადამიანი სხვადასხვანაირად რეაგირებს, ხოლო ქავილი და წვა ყველასთვის ერთნაირად შემაწუხებელია.

სამსახურის მერე შევხვდით. მისალმების ნაცვლად პირდაპირ ვკითხე:

– ვინმესთან სექსი გქონდა?

– საიდან მოიტანე? – მკითხა და ძალიან გაკვირვებულმა შემომხედა.

– იმიტომ, რომ რაღაც გადამდე. მთელი დღეა ყველაფერი მექავება.

– მგონი, გეშლება.

– არ მეშლება. მართლა მექავება. მირჩევნია, შენ მიპასუხო სიმართლე, ვიდრე ექიმმა.

– დავუშვათ, მქონდა. მერე რა, ჩვენ ხომ არაფერზე შევთანხმებულვართ, – ბრაზდება და თავდასხმაზე გადმოდის.

– ვისთან გქონდა?

– სოფოსთან.

სოფო მისი ყოფილი ცოლია. ალბათ, ეს მორიგი საღამოს გამოძახების დროს მოხდა.

– მე კიდევ მეგონა, რომ გეკიდა.

– ეგ არაფერ შუაშია. უბრალოდ სიტუაცია იყო უცნაური. გუშინწინ იყო, ფულის ასატანად რომ ავედი. ყავა დავლიეთ, ვილაპარაკეთ ძალიან თბილად და ჩვეულებრივად მოხდა

ყველაფერი. არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა, დამიჯერე.

თავბრუ მეხვევა. ვცდილობ, რომ აღელვება არ დამეტყოს.

– ხოდა, რაღაც გადაგდო სოფომ.

– შეუძლებელია, ასე მითხრა, შენ მერე კაცი არ მყოლიაო.

– მოგატყუა, ისევე როგორც შენ მომატყუე. საერთოდ, მგონი, ყველა ყველას ატყუებს, ჩემ გარდა.

ცრემლები მომდის. ვგრძნობ, რომ მთავარი, რაც ამ სიტუაციაში მაღიზიანებს, უსამართლობაა. უსამართლობაა, რომ მე დავავადდი იმის გამო, რომ სოფოს ვიღაცასთან სექსი ჰქონდა. იმის გაფიქრებაც გულს მირევს, რომ ახლა ჩემი და სოფოს ვაგინალური ფლორა დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაშია, რადგან ერთსა და იმავე კაცთან გვქონდა სექსი.

– დამშვიდდი. ვიმკურნალებთ. გეხვეწები, არ გინდა რა ეს დრამა.

– და თავი რატომ არ დაიცავით? – ვეკითხები მე.

– იმიტომ რომ... რა ვიცი, ჩემი ცოლია მაინც...

– ყოფილი ცოლი, – ვუსწორებ მე.

– ალბათ უნდა დავურეკო და ვუთხრა არა? იმკურნალოს, თავს მიხედოს.

– დაელოდე, თვითონ დაგირეკავს და გინეკოლოგთან წაყოლას გთხოვს, – ვუღიმი მე.

ამით საუბარი დამთავრებულია.

სამსახურში გაძლება უფრო და უფრო მიჭირს. ბოსი ძალიან ბევრ დავალებას მაძლევს. ალბათ ამით იმის თქმა უნდა, რომ რაც უფრო დიდხანს ვალოდინებ, მით უფრო აუტანელი გახდება ჩემთვის აქ მუშაობა. ხშირად მიბარებს კაბინეტში და მიმტკიცებს, რომ ჩემი ბედი ბენვზე კიდია და უფრო მეტი უნდა ვიმუშაო. თან ხშირად მიმეორებს, ჩემზე არაა დამოკიდებული, ვის გავუშვებ და ვის – არა, მაგრამ შენ ნამდვილად შეგიძლია სიტუაციის შეცვლაო.

სამსახურში გვიანობამდე მტოვებს, სანამ მხოლოდ ჩვენ არ

დავრჩებით. მერე კი ჩემს კაბინეტში შემოდის, მაგიდასთან ახლოს ჯდება და უტიფრად მიყურებს. ხან ვახშამზე მეპატიჟება, ხანაც მეუბნება, რომ ჩემგან ნათელ ნიშანს ელოდება. სექსის მეტაფორები არასდროს ელევა. ამას წინათ ისიც კი მითხრა, რომ მე დიდი გოგო ვარ და უნდა ვხვდებოდე, რა სჭირდება ჩემგან მას.

ლანჩის დროს ისევ ნემსების გასაკეთებლად ვიყენებ. რუტინად გადაიქცა სხვადასხვა კაფეს ტუალეტში შეკეტვა და ტაკოების აწითლება ერთმანეთისათვის. ერთმანეთს მხოლოდ მკურნალობასთან დაკავშირებულ პროცედურებზე ვნახულობთ. ვუთხარი, რომ მკურნალობის დასრულებისთანავე შეუძლია გაქრეს ჩემი ცხოვრებიდან, მაგრამ ჯერჯერობით მისი თანადგომა მჭირდება. სხვას ვერავის ვუყვები, რა ცუდად ვგრძნობ თავს ფიზიკურად. ამ მთელ აურზაურზე ის არის პასუხისმგებელი.

უფროსი გვერდით მიზის, როცა გრძელ ესემესს ვღებულობ ჩემი კაცისაგან.

„ბოდიში, რომ შენს ცხოვრებაში ასეთი სისულელე შემოვიტანე. სხვა ქალი ნამდვილად არ მჭირდებოდა, უბრალოდ წამიერ ემოციას ავყევი და საყვარელ ადამიანს გული ვატკინე. იმედი მაქვს, მაპატიებ, თუ შეგპირდები, რომ ამიერიდან არავისზე აღარ ვიფიქრებ შენ გარდა. მოდი, ვეცადოთ, რომ ყველაფერი დავივიწყოთ და როგორმე გავაგრძელოთ ერთად ყოფნა. ძალიან მიყვარხარ“.

– შენი ბოიფრენდია? – მეკითხება ბოსი.

– რა იცით? – მიკვირს მე.

– უბრალოდ სახე გაგინათდა, როცა მობილურს დახედე.

– არა მგონია, – ვეწინააღმდეგები მე, – პრობლემები გვაქვს.

– დაშორდი მაშინ. დარწმუნებული ვარ, ახალი კაცის პოვნა არ გაგიჭირდება. შემიძლია კონკრეტული ვარიანტიც შემოგთავაზო.

მისი პირდაპირობა შოკში მაგდებს.

ვდგები და ტუალეტში გავდივარ.

ჩემს კაცს საპასუხო მესიჯს ვწერ: „თანახმა ვარ, შეგიძლია ახლა ჩემთან ამოხვიდე სამსახურში? ნორმალურად დავილაპარაკებდით. პირდაპირ ოთახში შემოდი“.

მერე გინეკოლოგს ვურეკავ:

– ქალბატონო ლელა, გამარჯობა. ერთი უხერხული კითხვა მაქვს თქვენთან. მკურნალობის ბოლო დღეა დღეს. მაინც არ შეიძლება სექსი?

– არა, ძალიან დიდი შანსია, რომ ხელახლა დაინფიცირდეთ ან პარტნიორი დააინფიციროთ. ასე რომ, თავი შეიკავეთ. მკურნალობის მერე ორი კვირა მაინც უნდა გავიდეს, რომ აბსოლუტურად დარწმუნებულები ვიყოთ.

– დიდი მადლობა, პრინციპში ასეც ვიცოდი.

– მე კიდევ ვიცოდი, რომ აპატიებდით, – ამბობს თბილი ხმით ექიმი.

– ნახვამდის.

ჩემს ოთახში ვბრუნდები. უფროსი ჩემს კომპიუტერთან ზის და სურათებს ათვალიერებს. მობილური ინთება. აი, მისი ესემესიც: აქვე ვარ. 2 წუთში მოვალ.

– აბა, არ უნდა მოამთავრო საქმეები? – მეკითხება ბოსი, – გვიანია უკვე. შემიძლია მანქანით გაგიყვანო.

გულისრევის შეგრძნება ისევ მიტევს.

– სამუშაო უნდა დავასრულო, მაგრამ ძალიან მეზარება. არ შეიძლება რამე უფრო საინტერესო ვაკეთოთ?

ვუყურებ და ვიღიმი.

აი, ნათელი ნიშანიც.

უფროსი ქამარს იხსნის. მე კი კომპიუტერის მაგიდაზე ვიხრები.

სწრაფად მიწევს შარვალს და ყოველგვარი პრელუდიის გარეშე მიდებს.

პრეზერვატივი, რა თქმა უნდა, არ ახსენდება.

კიბეზე ფეხის ხმა ისმის. მის ნაბიჯებს ადვილად ვცნობ. ოთახისკენ მოდის.

ბოსი ნეტარების ზენიტშია. მე კი ცრემლები მომდის. ძალიან მტკივა.

ცოტაც. რამდენიმე წამიც... და შემოვა.

ვხვდები, რომ დაგვინახა. კართან შეშდება და ოთახიდან გარბის. მერე შენობიდან გარბის. ალბათ, ქუჩაშიც არ წყვეტს სირბილს. არ ვიცი.

დაბნეული ბოსი სასწრაფოდ იწევს შარვალს.

მე გული მართლა მერევა.

– ეს ვინ იყო? – ამბობს გაოცებული უფროსი.

– ჩემი ყოფილი ბოიფრენდი.

– აქ რას დაგადგა? გავაგრძელოთ? – იმედს არ კარგავს.

– ბოდიში, ძალიან ცუდად გავხდი უცებ, სხვა დროს იყოს, – ვპასუხობ მე და კომპიუტერს ვთიშავ.

– მოიცა, გაგიყვან, – მაწევს გზაში უფროსი.

– ჩემით წავალ, – ვპასუხობ მე.

P.S. სამსახური მჭირდება. წამოვედი, სანამ უფროსი გაიგებდა, რომ რაღაც საზიზღრობა გადავდე. ჩემი კაცი ჩემი კაცი აღარაა. ახლა სხვა გოგოს ელაპარაკება ალბათ პოლიგამიის სიკეთეებზე. ხვალ ვხვდები... „ჰარი პოტერის" მეორე ტომი უნდა დამიბრუნოს.

http://aninaland.wordpress.com/

ეკატერინე ტოგონიძე

მე ვარ

კარზე კაკუნია. ბრახუნი.

– რომელი ხარ? – ხალათს ვიკრავ და საჭვრეტში გახედვამდე, ვიმეორებ: – რომელი ხარ?

პასუხი არ არის. ვიყურები. თავდახრილი გოგო დგას. ვერ ვცნობ.

– ვინ არის? – ვკითხულობ ისევ. უცებ ვხედავ სახეს და შიშისგან მელვიძება.

ეს სიზმარი ხშირად მიმეორდება. ვერაფერს ვუხერხებ. ზოგჯერ სიზმარშიც ვიცი, რომ სიზმარია, მაგრამ მაინც მეშინია. ძილის წამლებმა თავიდან მიშველა, მერე ისევ გაისმა კარზე კაკუნი, ისევ და ისევ...

კამერების მიღმა უზარმაზარი განათებებია. შემთხვევით თუ გაუსწორე თვალი, ცოტა ხნით გაბრმავებს. გადაცემას ჰქვია „Show must go on". წამყვანი ლამაზი ქალია. თუმცა მე უკვე მიჭირს ამის გარჩევა, დამეკარგა ესთეტიკის, მშვენიერების, ზომიერების საზღვრები. მისი სხეულის იდეალური სილუეტი, ვარცხნილობა და ბოლო მოდის ჩაცმულობა შეფასების უნარს მართმევს, პირდაპირ და აგრესიულად მაჩეჩებს დასკვნას: სრულყოფილია – ისეთი, როგორიც უნდა იყოს ქალი.

გარშემო ხალხია. გამხდრები, მსუქნები, საშუალოები, მაღლები, დაბლები... სხედან ამფითეატრში და ტაშს უკრავენ. თუ არ უკრავენ, რეჟისორი გადაღებას წყვეტს და აუდიტორიას გაღიზიანებული ახსენებს, რომ აპლოდისმენტები აუცილე-

ბელია, რომ ისინი ამისთვის არიან იქ. შუაში პატარა სცენაა, რომელზეც რამდენიმე სტუმარი ზის. წამყვანი იმსიმაღლე ქუსლებზე დგას, იატაკს მხოლოდ თითის წვერებით ეხება, როგორც ბალერინა – პუანტებით. მე განცალკევებით ვზივარ, არანაკლები სიმაღლის ქუსლები ერთმანეთზე მაქვს მიტყუპებული. ვიცი, ასე უფრო ლამაზად ჩანს კადრში ფეხი. მეჩვენება, რომ ყველაზე მეტი სანათი ჩემკენაა მომართული. თვალები არ უნდა მოვჭუტო, შუბლი არ შევჭმუხნო... თუმცა, რომც მომინდეს, ვეღარც შევჭმუხნი, კუნთი ატროფირებულია... პაუზებისას გრიმიორი მორბის ჩემთან და წამყვანთან, პუდრს გვიმატებს – არ უნდა ვიპრიალოთ. ფუნჯით ღრმა დეკოლტეში მიძვრება. არ მერიდება. სირცხვილის გრძნობა დიდი ხანია დავკარგე. თითქოს ეს სხეული აღარცაა ჩემი...

ბავშვობაში მწყინდა, როცა დედას ჩემზე ეუბნებოდნენ, სულ არა გგავსო. დედა ლამაზი მეგონა. გავიზარდე და მეწყინა, როცა უთხრეს, როგორ დაგემსგავსაო. გარდატეხის ასაკში მართლაც დამიგრძელდა ცხვირი, გამიხშირდა წარბები.

უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე და დედაქალაქში გადმოვედი, აქ არავინ იცნობდა დედას და ვერც ჩვენს ნაკვთებს შეადარებდა ერთმანეთს. ეს მომწონდა, მაგრამ მარტო ცხოვრება გამიჭირდა, ხალხში ყოფნა – კიდევ უფრო. საღამოობით კედელს მიშტერებული ბუხარზე ვფიქრობდი და ყელში სევდა მაწვებოდა. სოფლიდან გამოგზავნილ ნობათსაც მოუთმენლად ველოდი. ხარბად შევექცეოდი დედაჩემის გაკეთებულ ტყემალს, ქათამსა და ჭყინტ ყველს. პირველ არდადეგებზეც სიხარულით გავიქეცი მანდაეთში. იქაურ ხილს განსაკუთრებული გემო ჰქონდა, ჰაერს – სულ სხვა არომატი...

ერთხელ ლექციების მერე ჩემი თბილისელი ჯგუფელი წამოვიდა ჩემთან სამეცადინოდ. ყველა კონსპექტი მომარაგებული მქონდა, ყველა საჭირო წიგნი – ბიბლიოთეკიდან გამოტანილი. ამიტომ კურსელებს გამოცდების მოახლოებისას ვახსენდებოდი. სახლის პატრონმა კალათა დამახვედრა,

სოფლიდან გამოგიგზავნეს და ჩემთან დატოვესო. საიდან ხარო, იმ გოგომ მკითხა. უცებ ენა დამება. მივხვდი, რომ მანდაეთის თქმას ჭიათურა მერჩივნა. პირველად გამიჭირდა ჩემი სოფლის დასახელება. მეცადინეობა რომ დავიწყეთ, ამ გოგომ კიდევ მკითხა, საჭმელებს გიგზავნიან ხოლმე სოფლიდანო (ჭიათურა მოიხსენია ასე)? კისერი წაიგრძელა და ნაჭერგადაფარებულ კალათას დახედა. გინდა, ვისადილოთ-მეთქი, წამოვხტი. მიმოიხედა, ყავა არა გაქვსო, – მკითხა და სიგარეტი გააბოლა. მერე შეყვარებულმა დაუმესიჯა. ველარ დავრჩები, ესენი გამატანე, გადავაქსეროქსებო. წაიღო კონსპექტები და წიგნები, დატოვა სუნამოში გაზავებული თამბაქოს ბუღი. კალათას დავხედე, მადა დამეკარგა.

– აბა, ყურადღება! ყველანი ადგილებზე! – დაიყვირა რეჟისორმა.

დარბაზში უმეტესობა ახალგაზრდა იყო – მოხალისე სტუდენტები. მეც ვიყავი ადრე ასეთი... აი, ისეთი, შავგვრემანი გოგო რომ ზის სკამზე მოუხერხებლად და ქვედაბოლოს დაბლა იქაჩავს. ან ისეთი, თმით რომ დაუფარავს ნახევარი სახე და შარფით – მოზრდილი მკერდი... გამახსენდა, რამდენჯერ დავრჩენილვარ იმედგაცრუებული სახლში მისვლისას სტიპენდიით ნაყიდი ფასდაკლებული კაბებითა თუ შარვლებით. გვიან მივხვდი, რომ გასახდელებში მატყუარა სარკეებია – ათხელებს. მაშინ არ ვიცოდი სიტყვა „მარკეტინგი"... არ ვიცოდი, რამდენნაირი ტყუილით შეიძლება ასიამოვნო ადამიანი, რამდენჯერ აყიდინო თავდაჯერება. გახადო გაუმაძღარი, დამოკიდებული მყიდველი...

– მე-5 კამერა! ѧნა მომეცით მსხვილი ხედით!

დედამ იამზე დამარქვა, მე გადავირქვი ია. ჩემმა მეგობარმა კაცმა იანად გადამაკეთა. ბოლო რამდენიმე წელია ѧ-ნა ვარ და არა ი-ა-ნა.

– ჯნაჩკა, მზადა ხარ? – დამიტკბა რეჟისორი.

მე სულ მზადა ვარ... ღიმილით, ცირკონის კბილებით, აქაჩული თვალებით, უნაოჭო სახითა და უდარდელი გამომეტყველებით... მე ყვრიმალებიც კი ტენდენციური მაქვს, ანუ ჩვეულებრივზე გამობურცული (ეს მოდა ახლახან შემოვიდა ბრიტანეთიდან)...

იამზედ ცოტას თუ ვახსოვარ, ძირითადად თანასოფლელებს. ზოგი აღარც კია ცოცხალი. ერთხელ ქუჩაში შემომესმა, იამზეო. მანუჩარი იყო. სასწრაფოდ ხალხს შევერიე, ვითომ ვერ გავიგე. ავტობუსში კი ნოდარას და კოჭოს გადავაწყდი. აზრზე არა ვარ, რა უნდოდათ თბილისში, ალბათ სამსახურის საშოვნელად ჩამოვიდნენ. დავიმალე შემდეგ გაჩერებამდე.

უნივერსიტეტში ჯგუფხელობა უფრო იმიტომ მოვინდომე, რომ ჩემი ხელით შემევსო ჟურნალი. საკუთარი გვარის გასწვრივ ია ჩავწერე. ჯგუფელები ზოგჯერ მაინც იამზეს მეძახდნენ... იამზეს კი არა და მზექალასაც, მგონი, მზევინარსაც...

ქუჩის კუთხეში საცხობი იყო, პატარა კაფეტერიით. მუდამ გაბუღული და სტუდენტებით გაძეძგილი. ადგილი არასდროს იყო ჩემთვის. ბიჭები დილიდან საღამომდე სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ, ჩემს ჯგუფელ გოგოებს ადგილს უთმობდნენ. მე ვყიდულობდი ფენოვანს, პლასტმასის ჭიქიდან დაჭრილ მონაცრისფრო თაბახის ფურცელს ვიღებდი და იმით ვკიდებდი ხელს მაკარონისგემოიან ცხელ ხაჭაპურს. ჩქარ-ჩქარა ვჭამდი ფეხზე მდგარი. ბიჭებს ერთი ხაშურელი გოგო ამოეჩემებინათ. ჩუპა-ჩუპსას ეძახდნენ, ჩაიში მარილს უყრიდნენ და ზურგზე წარწერებს აწებებდნენ. ერთხელ დღიური წაართვეს და ლექსების საჯარო კითხვა მოაწყვეს: „უძილო ღამე, ყრუ ფიქრები და ფანტაზია, ცხოვრების რბენა, მარტოობა აუწერელი...“ ხელიდან ხელში გადადიოდა გულებიანი ბლოკნოტი. ამ გოგოს სახელი დღემდე არ ვიცი. ვერც ატირებულის დამშვიდება გავბედე... პირიქით, მეც სხვებს ავყევი სიცილში...

წარბების ამოქნა რომ ვცადე, ვერ მოვზომე და ლამის აღარაფერი დავიტოვე. უკიდურესად გაოცებული იერი მივიღე. სარკეში დიდხანს ყურება ისედაც არ მიყვარდა, გუნებას მიფუჭებდა და ამ გამომეტყველებით საერთოდ შევიძულე თავი. მერე თვალის ფანქრით ვცადე გამქრალი წარბის მიხატვა. ზოგჯერ მავიწყდებოდა და ერთი ხელის მოსმით მეთხაპნებოდა სახე შავად.

– გრიმიორი გამოვიდეს სცენიდან! წავიდა სურათები ეკრანზე! – დინამიკებში გაისმა რეჟისორის ხმა ოდნავი ექოთი. თვითონ აღარსად ჩანდა. ყველამ მექანიკურად ზემოთ აიხედა.

უზარმაზარ მონიტორზე ექვსი გოგოს სურათი და წლების წინანდელი მე ვენაცვლებოდით ერთმანეთს... ეს ფოტო ცხვირის ოპერაციამდე კლინიკაში გადამიღეს. სხვა არც მქონდა. უნივერსიტეტის ბაღში გადაღებული ერთადერთი სურათი ჯერ კიდევ რინოპლასტიკამდე დავხიე. კადრში ჩემი ორი ჯგუფელი, ვიღაც უცხო ბიჭი, თემო და მე ვჩანდით. თმა მქონდა უცნაურფრად შეღებილი – გალამაზების ერთ-ერთი პირველი მცდელობა, შეკოწიწებული ფულით ნაყიდი საღებავი და სახლის პირობებში ჩატარებული წარუმატებელი ექსპერიმენტი... ქერას ნაცვლად ჟანგისფერი, ალაგ-ალაგ წითური კიკინა...

პირველად რომ პომადა წავისვი, ავტობუსშივე მოვიშორე ცხვირსახოცით. რამდენჯერმე ასე წავიშალე წითელი ტუჩები ტრანსპორტის ფანჯარაში არეკლილი სახიდან. ბოლოს გავბედე და კაფეტერიაში ადგილიც დამითმეს. მარტო ცხოვრობო, პირველი ეს მკითხა. რამდენჯერმე ერთად ვჭამეთ ფენოვანი. ვღელავდი, ყელში ლუკმა ძლივს გადამდიოდა. სალაპარაკო დიდი არაფერი გვქონდა. მერე სახლში საკუთარ თავს დავაკვირდი ჭამის დროს. აღმოვაჩინე, რომ ღეჭვისას ყბებთან ერთად ცხვირიც მიმოძრავებდა. შევშფოთდი. თემო ძირითადად მკერდზე დამჩერებოდა, მაგრამ ხაჭაპურზე მაინც უარი ვთქვი, ჩაიზე გადავედი. სახლში კარტოფილს ვი-

წვავდი, თუ ტაფასთან დგომა მეზარებოდა, ვიხარშავდი და ასე გამქონდა თავი. საჭმლის გამოგზავნა დედაჩემს სასტიკად ავუკრძალე...

თემოს ეშხით ეპილაციისთვისაც შევაგროვე ფული. ზედა ტუჩი და ბაკები გავიკეთე. მწარე იყო... სინითლის ჩაცხრობას ორი დღე დასჭირდა, ლექციების გაცდენა მომიხდა. სამაგიეროდ მერე უფრო თამამად შევაბიჯე კაფეტერიაში. თემო სხვა გოგოსთან ერთად დამხვდა, ჩაის სვამდნენ და იცინოდნენ.

ნამტირალევს უკანა ეზოში გადამაწყდა, ხელი გადამხვია... არები არ დამინერო, ჯიგრულადო, მთხოვა. სიხარულით დავუქნიე თავი. სახლში კონსპექტების მიზეზით წამომყვა. ხო მარტო ხარო, დააზუსტა და სანამ მაკოცებდა, პირდაპირ მკერდზე მეცა, ისე უხეშად, თითქოს მეჭიდავებოდა. თვალები დახუჭა და სველი ტუჩები მომადო. ტირილი დავიწყე და გავიქეცი. სადარბაზოში დავიმალე. უცებ საოცარმა ჟრუანტელმა დამიარა, დაბრუნება მომინდა... აღარ დამხვდა.

მას მერე აღარც მესალმებოდა. ისევ იმ გოგოს დაეწვია ჩაიზე და მე ფიზიკური ტკივილი ვიგრძენი. ის ერთადერთი სურათიც გავანადგურე... „არებს“ მაინც არ ვუწერდი. ინფორმატიკაში „არგამოცხადებაც“ „ჩათვლით“ შევუცვალე... ყოველ დანახვაზე ვწითლდებოდი, გული მიჩქარდებოდა... მარტო მის გამოჩენაზე კი არა, მისი ძმაკაცებისაც...

სტუდიაში გადაცემის მონაწილენი სურათებს ყურადღებით აკვირდებოდნენ. ისმოდა რიტმული, დამძაბველი მელოდია. რატომღაც ვიფიქრე, რომ ვინმე მიცნობდა, გამოიცნობდა მაინც... კამათი ორ ფოტოზე გაიმართა – არც ერთზე არ ვიყავი მე... ვერც ვიტყვი, სინამდვილეში რა მერჩივნა... იმაში კი დავრწმუნდი, რომ იამზეს კვალიც აღარსად იყო...

– ფანტასტიკურია! ბრავო პლასტიკურ ქირურგიას! – აყვირდა წამყვანი, – თქვენ წინაშეა ესთეტიკური ქირურგიის შედეგრი, – ხელი ჩემკენ გამოიშვირა, – რომელსაც თავის წარ-

სულთან საერთო აღარაფერი აქვს! აი, უკვე თქვენი თვალით ხედავთ, რომ შეუძლებელი არაფერია!

დარბაზში ტაშმა იქუხა. გაოგნებული გოგო-ბიჭები ეკრანზე გადიდებულ იამზეს შესქცეროდნენ. რეჟისორის ასისტენტმა ხელით მანიშნა, ადექიო. სცენაზე დამაყენეს. შუქი მომანათეს, მუსიკა სადღესასწაულო მელოდიით შეცვალეს, ხმას აუწიეს... ქერა, დაგრძელებული თმა მხრებზე გადავიყარე. როგორ ვერ ვიტანდი საკუთარ შავ ძირებს. მეჩვენებოდა, რომ საოცარი სისწრაფით მეზრდებოდა, თითქოს ახალშეღებილზეც შეუჩერებლად მოცოცავდნენ კუპრივით ღერები, რომლებსაც ლინზებით ფერშეცვლილი თვალებისა არ იყოს, „ფანტასტიკური" ქირურგიაც კი ვერაფერს უხერხებდა.

რა შავი გაქვსო თვალები, მითხრა თემოს ძმაკაცმა. უარესად დამაბნია... მე მეგონა მარტო ლექსებში ჰქონდათ ქალებს თვალები გიშრისო, გაიცინა. პოეზიაზე ვილაპარაკეთ ზედაპირულად... სახლში რომ წამომყვა, ისე მიხაროდა, თითქოს თემოს შევურიგდი... ან უფრო მეტიც, თემოს ვაჯობე, დავამარცხე. ერთიანად აცეტებული ავრბოდი კიბეზე, ლიფტი არც გამოგვიძახია. მხრებზე და წელზე მკიდებდა ხელებს. გული ამომივარდა... ძლივს მოვძებნე გასაღები ჩანთაში. კარი ღია დამხვდა. ცარიელ ოთახში მიმოვიხედე. გაკვირვებულმა თემოს ძმაკაცს შევხედე. უცებ აივნიდან ხმაური შემომესმა. სამზარეულოში კალათას მოვკარი თვალი და გავხევდი. რაც დედას საჭმლის გამოგზავნა ავუკრძალე, ისე ხშირად აღარც ტელეფონზე ვურეკავდი და არც წერილებს ვატანდი ნათესავ მძღოლს... აბა რა მეგონა?.. სოფლის ხილითა და ციტრუსით სავსე ჩანთებს გულმოდგინედ ალაგებდა აივნის კარადაში. თავწაკრული და მგზავრობით დაღლილი საშინლად დაბერებული მეჩვენა, სამარცხვინოდ დაბერებული... ახლაც მახსოვს ის განცდა... ვიდექი და მძულდა.

– არავინ... დამლაგებელია, – კარიდან გავაბრუნე თემოს ძმაკაცი და მთელი ღამე გაუჩერებლად ვიტირე.

გადაცემაში სპონსორი მეათედ მაინც ახსენეს – ალკოჰოლური სასმელების კომპანია მონაწილეებს სიურპრიზს სთავაზობდა! ყველას ღვინით უნდა გაგვმასპინძლებოდნენ. თამაში აქაც გაგრძელდა. სტუდიაში წითელკაბიანი გოგონები შემოფრიალდნენ ლანგრებით ხელში. თითო მონაწილეს სასმელი ხუთი სხვადასხვაგვარი ჭურჭლით მოგვართვეს: ბროლის მაღალფეხიანი ჭიქა, შუშის წელში გამოყვანილი სასმისი, თიხის ფიალა, პაწაწინა ყანნი და მინიატურული დოქი წითელი ღვინით იყო სავსე. ჩვენ ყველა მათგანი უნდა გაგვესინჯა და საუკეთესო გამოგვევლინა. პირი ოდნავ შევახე. ანტიდეპრესანტების ფონზე დალევა არ შეიძლებოდა.

– ლელა, კამერისკენ ზურგით ნუ დგები! მილიონჯერ გითხრა?! – დაიქუხა რეჟისორმა.

წამყვანი შეხტა.

მონაწილეთაგან ზოგი თავდაჯერებული ატრიალებდა ღვინოს ჭიქაში, პირში იგუბებდა გადაყლაპვამდე. ზოგი ხარბად ცლიდა სასმისს ერთი მეორის მიყოლებით. წითელკაბიანები დეგუსტაციის წესისამებრ პურის პატარა ნაჭრებსაც გვთავაზობდნენ, გემოს გასანეიტრალებლად. მონაწილეები ისე ახმაურდნენ, თითქოს იმ რამდენიმე ყლუპით ერთბაშად შეზარხოშდნენ. წამყვანი ღელავდა, მხიარულება ყაყანში არ გადაზრდილიყო. დროდადრო ხელით ყურსასმენს ისწორებდა, რომლითაც პროდიუსერი ელაპარაკებოდა. ცდილობდა ზუსტად მიჰყოლოდა მითითებებს.

ექთანს ვუსმენ, ვემორჩილები. ბორბლებიან სკამში ვჯდები ცისფერ ხალათში გამოწყობილი. წესია ასეთი – პალატაში ეტლით გაკითხავენ. უკვე მერამდენედ მიმაგორებენ ამ კორიდორში. კედლებზე ნახატებია, ზეპირად ვიცი. რეპროდუქციებია, ძირითადად ქალები. ისინი ოპერაციაზე მიმაცილებენ... მიყურებენ, მიმაცილებენ და თანდათან უფრო მელამაზებიან, უფრო და უფრო...

შედევრები მშვიდი განწყობისთვისაა კლინიკაში გამოფენილი...

მარკეტინგული შეცდომა: არც ერთი პორტრეტი თუ ნატურა არაა სრულყოფილი ესთეტიკური მედიცინის თვალსაზრისით.

ტანზე მახატია ზედმეტი ან პირიქით, დასამატებელი ფორმების გეგმა. ეს ნახატი ქირურგის მიერ ლურჯი ფლომასტრითაა შესრულებული, ზედ ბრილიანტის მწვანე აქვს გადასმული. რამდენიმე წუთში ექიმის გასტერილებულ თხელ მტევნებზე ექთნის დახმარებით რეზინის ხელთათმანები გაიტკაცუნებს... რომ გამოვალ, ქალებს ვეღარ დავინახავ, პირდაპირ პალატაში გამეღვიძება.

ვცდილობ, მოვიშორო ფიქრები: რა უსაზღვროა სილამაზე მათ ასიმეტრიულ სახეებში, თხელ, სახასიათო ტუჩებსა და ცხვირის მოგრძო შტრიხებში. რამდენი სურვილი და ვნებაა მომცრო მკერდში, სავსე ბარძაყებსა თუ მრგვალ მუცლებში... რაოდენ უნიკალურია ღიმილი ნაოჭებშეპარულ თვალებში... ეს გადაბმული წარბებიც მშვენიერია, ის სიქერავისგან გახუნებული წამწამებიც...

საოპერაციოსთან ბოლო სურათი პეიზაჟია. არ მიყვარს, სოფელს მაგონებს...

– მიყვარხარ, მამი! აბა მოვდუნდით... – ასე იწყება და მე, იოდისფერ ხსნარში ამოვლებული, გასტერილებულ ზეწარზე ვეშვები.

მონიტორზე დათვლილი მაჯისცემა თუ 90-ს გადააჭარბებს, მამი ანესთეზიოლოგს გადახედავს. წვეთოვანში უმალ ერევა ჯადოსნური სითხე, რომელსაც მაშინვე ვცნობ – თავბრუს მახვევს. წამით მეჩვენება, რომ გადმოვვარდები... მერე მოდიან ქალები, განუმეორებელი, გადაუკეთებელი ქალები... ერთხელ დახატული და ათასჯერ ცვალებადი გამოხედვით – სევდიანი, ჭკვიანი, შეყვარებული, გამტყდარი, ნაწყენი, მშვიდი, დაფიქრებული, მომლოდინე... მოდის ჩემი ეზო სოფლის სახლით... კალათები სავსე საჭმლით... ირევიან პირბადესა და ქუდს შორის მომზირალი გაფაციცებული თვალები.

– დაუმატე. – ანესთეზიოლოგი სწრაფად მოქმედებს... და მოდის სხვა.

კარზე კაკუნია... მე ვდგები, იმ ცისფერ, ფარღალალა ხალათს ვიცვამ და ვკითხულობ, ვინ არის? ვინ არის? ვინ?..

ცხვირის შეცვლა მაშინვე გადავწყვიტე, როგორც კი ამის საშუალება გამომიჩნდა. სამსახური უნივერსიტეტის ბოლო კურსზე დავიწყე და რინოპლასტიკის იდეით შეპყრობილი საუკეთესო თანამშრომელი გამოვდექი. მალევე დამაწინაურეს. ოპერაციის დღეს სარკეში რომ ჩავიხედე, უცნაური რამ მოხდა: მომეწონა საკუთარი პროფილი. ცხვირი სასწაულებრივად დაპატარავებულიყო, სახეს კოხტად მორგებოდა. ექიმების თქმით, ეს ნორმალური ფსიქოლოგიური მომენტია, პრეოპერაციული...

რინოპლასტიკაზე დედას არ გავაგებინე. სოფელში ზაფხულობითაც აღარ ჩავდიოდი. გაუცხოებამ რაღაცნაირად უმტკივნეულოდ ჩაიარა, ჩავჭერი და მორჩა! როგორც ქირურგმა ანესთეზირებულ ხორცი... იყუჩებ, ივიწყებ!

ნარკოზიდან გამოსულმა თეთრებში გამოწყობილი ქირურგის გაცისკროვნებულ ღიმილს ვერ მოვწყვიტე თვალი. საოცრად მზრუნველი მეჩვენა... (ახლა ვიცი, რომ ესეც პოსტოპერაციული კანონზომიერებიდანაა). სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ, როცა ყველა ტკივილი და შეშუპება ჩაცხრა, იქამდე გამოუცდელი განცდა დამეუფლა – გული გადამევსო მადლიერებით. მიხაროდა შემოწმებაზე მისვლა, აღარ მინდოდა კლინიკიდან წამოსვლა. მომყვებოდა ექიმის ოდეკოლონის სუნი, ალერსიანი მზერა და ის ციური ღიმილი... ჩივილები გამოვიგონე დამატებითი ვიზიტისთვის. მადლიერება აღარ დამეტია სიტყვებში, თვალებში, ხელებში, სხეულში... დაუჯერებელი იყო – შეხვედრა შემომთავაზა. ვფიქრობდი, რატომ ამირჩია. რატომ მე? ასეთ მამაკაცზე ალბათ არც მიოცნებია...

ცხვირი უნაკლოდ გამიკეთა, მაგრამ მაშინ ბოლომდე მაინც ვერ დავაფასე მისი პროფესიონალიზმი – ესთეტიკური

ქირურგის უტყუარი ყნოსვა – ეს პაციენტი ჩემია... ადამიანი – პლასტილინი... ქალი – მასალა... ნამდვილი ქირურგი მას ალბათ პირველსავე კონსულტაციაზე ამოიცნობს, არასდროს გაუშვებს ხელიდან... გარდაქმნის... უფრო ზუსტად კი შექმნის ხელახლა, ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ, გაყუჩებით... გამოთლის, გამოძერწავს, გამოცლის და აავსებს. შევა მის სხეულში, შევა მის სიზმრებში... ლანცეტის ნაცვლად ჯადოსნურ ჯოხს დაიჭერს. იდირიჟორებს, ირეჟისორებს... გახდება შემოქმედი, ავტორი... პირდაპირ ვიტყვი: ღმერთი.

ჩაწერა უნდა დასრულებულიყო. მაგრამ მამაკაცები კამათს აღარ ამთავრებდნენ. ქალებს სიტყვა არ ჩააგდებინეს, მეღვინეობა დაიჩემეს და განსხვავებული აზრის გამო ერთმანეთზე ლამის გაბრაზდნენ. წამყვანმა წესები პროდიუსერის კარნახით გზადაგზა შეცვალა და მონაწილეებს სამი საუკეთესო სასმელის გამოვლენის უფლება მისცა.

ყველა სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა სცენაზე კომპანიის წარმომადგენელი გამოვიდა და გამოაცხადა, რომ სასმისებში ერთი და იგივე ღვინო ესხა. უხერხული სიჩუმე ჯერ საზეიმო მუსიკამ დაარღვია და მერე კაცების დაეჭვებულმა, შეურაცხყოფილმა, შემტევმა კომენტარებმა.

– Show must go on! – უმწეოდ ყვიროდა წამყვანი და უშედეგოდ ცდილობდა ხმაური გადაეფარა.

ბოლოს სტუდიაში ისევ ხელდამშვენებული წითელკაბიანები გამოჩნდნენ და გაბრაზებულ მონაწილეებს საჩუქრად სასმელით დატვირთული ყუთები შეაჩეჩეს.

– ხომ ხედავთ, რამხელა მნიშვნელობა აქვს, რითი მოგართმევენ ღვინოს! თქვენ არჩევანი სასმისით გააკეთეთ – ხელახლა ააჯანყა წამყვანმა წინასწარ დაწერილი ტექსტით მამაკაცები, – მთავარია, რომ მოგეწონათ! რა კარგია, რომ ასე მოგეწონათ! – იქვე უკან დაიხია პროდიუსერის კარნახით.

არ სვამს. ჭამისას კი ითვლის. აქამდე როგორ ვერ ვამჩნევ-

დი? ითვლის, რამდენჯერ ღეჭავს ლუკმას... ალბათ ლუკ-მებსაც ითვლის... საოცარია! თუმცა საოცარი არაფერია... არასდროს გაუჭრია პიჯაკებისა და პალტოებისთვის ჯიბეე-ბი. პირველად რომ მისი ფეხსაცმელები ვნახე, ყველა ახალი მეგონა, ჩაუცმელი. ძირებზე დავხედე და ნახმარი აღმოჩნდა. მაშინ მივხვდი, რატომ დადის ასე ნელა და უცნაურად – ფეხ-საცმელს ცხვირი არ უნდა ჩაუტყდეს, ნაოჭიც კი არ უნდა გაუჩნდეს, არც ერთი.

ამ სახლში რომ გადმოვედი, გამაფრთხილა, მთავარი წესრი-გიაო. მისი ენა მაშინ არ ვიცოდი... ეს ნიშნავდა: ჩემს ნივთებს არ შეეხო! იქ კი ყველაფერი მისი იყო... ახალ, პრესტიჟულ უბანში ვცხოვრობდით. ბოლომდე არც იყო დამთავრებული მშენებლობა. სახლიც მალევე იმტვერებოდა. ფანჯრებს ნუ აღებო, ბრაზობდა. მზის შუქს ჟალუზებით ფარავდა. დიდ ოთახებს ცივი ელექტროგანათება აჩახჩახებდა. მეზობ-ლის რემონტს შაბათ-კვირას კლასიკური მუსიკით ახშობდა. სხვას ისედაც არაფერს უსმენდა. რამდენიმე თვე სტუმარი-ვით ვიცხოვრე, კარგად ვერც ვიმახსოვრებდი, სად რა იყო. თან ძირითადად პოსტ ან პრეოპერაციულ რეჟიმში ვიყა-ვი. მთავრდებოდა ლიპოსაქცია, იწყებოდა მკერდის ანევა, კერტების ცენტრში დაბრუნება. მთავრდებოდა თვალების აქაჩვა და შუბლის გადატკეცა, იწყებოდა დუნდულების ინ-პლანტებით დამრგვალება და აზიდვა...

დამლაგებელი მთლიანად უმკლავდებოდა ტრიპლექსს. ანკრიალებდა ყველაფერს კაბინეტის გარდა. ეს ერთადერთი კუთხე იყო, რომელსაც თავად ალაგებდა. ხის დიდ მაგიდაზე ლამაზი ქანდაკებები ედგა: საათი, ქირურგიაში აღებული პრი-ზები და უფუნქციო საფერფლე...

ერთ საღამოს უხეშად მითხრა, ჩემს მაგიდასთან რა გინდო-დაო. გამიკვირდა, სულ რამდენიმე ნივთს შევეხე და ისიც თა-ვის ადგილზე დავაბრუნე. კარგა ხანს ვფიქრობდი, საიდან მიხ-ვდა-მეთქი. მერე ჩავთვალე, რომ მტვრის ოდნავ კვალს შეეძ-ლო გავეყიდე. ვერ მოვითმინე და ერთხელ კიდევ ავიღე ქალის

ფორმის საფერფლე, ეს ნივთი რაღაცნაირად არ მასვენებდა... მტვრის ოდნავი ფენა სულის შებერვით გაფანტე და ჩასაფერფლებლად გამზადებული შიშველი სხეული ფრთხილად დავაბრუნე უკან. მიხვდა და გაბრაზდა. ახლა უკვე ვიცი, საიდან... მაგიდაზე ისეთი სიმეტრიით იყო ყველაფერი განლაგებული, როგორც იდეალურ ნახაზზე, კომპიუტერულ გრაფიკაში...

შვილი არასდროს უნდოდა. „მამის" მეძახდა – ჩემზე მხოლოდ ათი წლით უფროსი. თავიდანვე გამაფრთხილა, რომ მეც ასე უნდა მიმემართა, მე – მის საყვარელ ნივთსა და ყველაზე წარმატებულ პროექტს.

იადან ჯნამდე ჩემი სოფლის ამბებს საერთოდ აღარ ვიხსენებდი, თითქოს ყველაფერი დამავიწყდა. თურმე სიზმრებში ჩამისახლდა წარსული და ბოტოქსის თუ ლიპოსაქციის მწარე ნემსივით მერჭობოდა სხეულის სხვადასხვა ნაწილში.

ბავშვობაში დედამ მითხრა, პირველად იყო კაციო. დედას არ უთქვამს, რომ პირველად იყო სიტყვა... მან თქვა, კაციო... ამ კაცის ნეკნიდან გაჩნდა ქალიო.

იქნებ ამიტომ მესიზმრება მამი ხელში ლანცეტის, მაკრატლის ან ნემსის ნაცვლად ნეკნით. დიდი, სისხლიანი ნეკნით.

მეგონა გადაცემა დამთავრდა, მაგრამ სცენარში კიდევ ერთი რეკლამა ყოფილა ჩაჩრილი. დასაჩუქრებული მონაწილეები მიჩუმებულიყვნენ და დაღლილი, მოწყენილი სახეებით შეჰყურებდნენ წამყვანს, რომელიც ამჯერად უკვე ჭურჭლის კომპანიას წარადგენდა.

– როგორც დისკუსიამ აჩვენა, სასმისსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია... – ფრთხილად წარმოთქვა მან.

საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. წითელ სავარძელშიც ვეღარ ვპოულობდი ადგილს.

– ტაში, ხალხო, ტაში! – ბოლოჯერ დაიღრიალა რეჟისორმა.

ალკოჰოლური კომპანიის საჩუქარი სახლში დამლაგებელმა ამოალაგა. ბოთლებს მოჰყვა მეღვინეობაზე გამოცემული პრიალა ჟურნალი. სანამ გადავაგდებდი, თვალი გადავავლე.

ღვინოს ჭურჭლის მიხედვით თურმე მართლა ეცვლება გემო, შემადგენლობაც კი. გამიკვირდა. მერე გამახსენდა ორი ქვევრი ჩვენს დიდ ეზოში. როგორ უვლიდა და ეფერებოდა ბაბუა... პლასტმასის ბოთლში სული ეკარგებაო ღვინოს – ჟურნალში ეწერა. სუნი? დაეჭვებული დავუბრუნდი წინადადებას. სული! სული ეკარგებაო. ყდას კიდევ ერთხელ დავხედე, მერე ნაგვის ყუთში გადავუძახე, მაგრამ ეს აზრი ველარ მოვიცილე... „ჭურჭელი ცვლის შიგთავსსაც“ – მელოდიასავით ამეკვიატა.

მამიმ შემაქო, გადაცემაში კარგად იყავიო. რომ ვერავინ მიცნო, ის გაუხარდა. კლასიკური მუსიკა ჩართო. ფორტეპიანოს აკორდები თითქოს სიტყვებად ჩამესმა...

იცვლება თუ არ იცვლება?

იცლება... იქნებ ივსება?

ვნება... ჩემი ნება...

შიგთავსი, ფორმა, შიგთავსი...

არსი... არსი... შინაარსი...

აზრი... ჩემი აზრი...

რა გჭირსო, მკითხა, ანტიდეპრესანტის დალევა დაგავიწყდაო? არა-მეთქი. ზედმეტი ხომ არ დალიეო? თავი გავაქნიე. კაბა ნელა გამხადა. ხომ არ დავუწიო მუსიკასო, პირველად მკითხა ასეთი რამ.

სექსის დროს სინათლეს არასდროს აქრობდა. არც თვალებს ხუჭავდა. თუ პირისპირ იყო, ისე მიყურებდა, როგორც რეაბილიტაციის შემდეგ საბოლოო შედეგის შეფასებისას. სიამოვნება წამით თუ გამოეხატებოდა სახეზე და ისიც უფრო კმაყოფილება იყო ალბათ... ზურგიდანაც ვგრძნობდი მის გამჭოლ მზერას. იქნებ სწორედ ამ დროს მწიფდებოდა ახალი, მომდევნო ოპერაციის იდეა.

გადაჭიმულ მუცელზე ნაწიბური სანამ ბოლომდე არ გააქრო, არ მოეშვა. მერე უკვე თამამად მეალერსებოდა ჭიპის ირგვლივ... თავის თავს ეფერებოდა ჩემში. ვგრძნობდი, რომ

არასდროს დათმობდა ამ გლუვ სიბრტყეს, არასდროს დაუშვებდა მუცლის გაბერვას. არ დატოვებდა ადგილს სულისთვის...

ზოგჯერ ანტიბიოტიკები და კონტრაცეპტივი ერთმანეთს არ ეთავსებოდა. გულმოდგინედ იგონებდა ახალ კომბინაციებს, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების სმა არაფრით შემეწყვიტა. მეც ვსვამდი, ვყლაპავდი ყველაფერს, რასაც მაძლევდა. მორჩილად ველოდი შინ... ვიხდიდი, ვწვებოდი. როცა საჭირო იყო, ექიმების შეკრებებსა და საერთაშორისო კონფერენციებზეც ვშიშვლდებოდი, როგორც ნიმუში.

კარზე კაკუნია ბრახუნი.

– რომელი ხარ? – ხალათს ვიკრავ, – ვინ არის?

თავდახრილი გოგო დგას. სიზმარშივე ვცდილობ, არ გამეღვიძოს. მახსოვს, რომ არ უნდა შემეშინდეს, თორემ გამეღვიძება! არ უნდა გამეღვიძოს!

– ვინ ხარ? – ვამბობ ფრთხილად.

– მე ვარ! – მპასუხობს.

მეშინია. ხელ-ფეხი მიცახცახებს. კუნთებს ვერ ვიმორჩილებ, თავის ნებაზე ხტიან. სადაცაა გამეღვიძება... ცოტაც, ვფიქრობ, ცოტაც... თვალებს გახელის უფლებას არ ვაძლევ.

– მე ვარ! – ისე მკაფიოდ მესმის, ცხადი მგონია.

– ვინ? – კარს ვაღებ.

იამზეა.

იმდენი ვიარე, სანამ ფეხები არ დამიწყლულდა, დამისისხლიანდა... McQueen-ის გველის ტყავის ფეხსაცმელს ქუსლი მოტყდა, არ იყო ამ გზებზე გათვლილი. რა საშინელია სიბნელე, შეიძლება ისე აგირიოს თავგზა, ველარ მიხვდე, საით მიდიხარ... მიწაზე რომ დავჯექი და სული მოვითქვი, წამომდგარმა ორიენტაცია დავკარგე. ვაითუ, უკან გავუდექი გზას?! მთავარია უკან არა, ოღონდ უკან არა...

– საით მიდიხართ?

– ღმერთს მადლობა... – მანქანის კარი სწრაფად გამოვაღე.

– როგორ? საით? – მუსიკას დაუწია ბიჭმა. ჩემზე უმცროსი ჩანდა, ასეთები ჩემს სოფელში იყვნენ, ჯგუფშიც იყო ერთი-ორი, მამის სახლთან მშენებლობაზეც...

– თქვენ საით?... – არ ვიცოდი, რა მეთქვა, – ფულს გადაგიხდით, – ესღა მოვიფიქრე.

– გომი! გაწყობს? – სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უკვე მანქანაში ვიჯექი. სანამ კარს მოვკეტავდი, შუქზე ჩემი შეთვალიერება მოასწრო.

კაბინაში მძაღე სუნი იდგა. ფანჯარა არ ჩამომიწევია. ჩახუთულ ჰაერში მიწის არომატი გავარჩიე და ღრმად შევისუნთქე.

მუსიკას ისევ აუწია და გადმომხედა. გავუღიმე.

ოღროჩოღრო გზაზე მოდუნებული ვირწეოდი. ოფლიანი კაბა ალაგ-ალაგ მეკვროდა. ჩემს ფეხებთან რაღაც გორავდა, რამდენიმე კარტოფილი გადმოვარდნილიყო შეკრული ბადეებიდან. კითხვებს არ ვპასუხობდი. ვიღიმებოდი... ვინჯღრეოდი და ვიღიმებოდი. ალბათ მთვრალი ვეგონე. რუსულადაც კი სცადა დალაპარაკება. სიგარეტი ვთხოვე, გაუხარდა. ისევ ქართულად მომმართა, სად მიდიხარო, იქ რას აკეთებდიო, ასეთი გოგოო, ისეთი გოგოო... რომ გაიგო, ინა მქვია, რუსული სიმღერები ჩამირთო, „ბლატნოები“... ბავშვობის მერე არ მომესმინა, ბიჭები სოფლის ბირჟაზე მანქანის მაგნიტოფონში ატრიალებდნენ ხოლმე ზაფხულობით. მუსიკას მხრებით ავყევი. გზა გასწორდა. მანქანა გაჩერდა და მე მაინც ვჯანჯღარებდი... გამოუცდელი იყო, მაგრამ თამამი, უხეშიც. მუსიკა დამთავრდა. მისი ხვნეშაღა ისმოდა. ჰაერი უფრო ჩაიხუთა, დამძიმდა. ხელები მოკლე ჰქონდა, სულ ესაა, რაც მასზე დამამახსოვრდა.

გომში ტელეფონი მთხოვა. მე ფული გავუწოდე. აღშფოთდა, იუკადრისა და თვალი კუპიურისკენ გაექცა. ფული სკამზე დავტოვე. მისიგნალა, ინა, ინაო, სახელი ვეღარ გაიხსენა. ბოლოს შემეშვა, წავიდა. საათს რომ დავხედე, გამიხარდა, რომ მალე ინათებდა. სიარული გავაგრძელე. ტანზე ნელ-ნელა

ისევ გამოჟონა ოფლმა, ფეხებს შორის სისველე გამეგლისა და შემაშრა.

სოფლამდე კიდევ სამ კაცთან ვიყავი. აქედან ორი ერთი მანქანის მგზავრი იყო. ვგრძნობდი, როგორ დაეძებდა ჩემი „პლასტმასის" სხეული სულებს, ხარბად ისრუტავდა შემხვედრ სიცოცხლეებს.

არ მინდოდა, შვილის მამა მცოდნოდა. შვილი მარტო ჩემი უნდა ყოფილიყო, სულ ჩემი...

დედა რომ გარდაიცვალა, სახლიც მომკვდარა მასთან ერთად. წავიდა და წაიყოლა კედლების სიმყარე, ფიცრების სიმშრალე, სამზარეულოდან – საჭმლის სუნი, ეზოდან – ფერადი ბოსტნეული, ხეებიდან – ხილის გემო, ბუხრიდან – ჰაერი... დედაჩემმა მეც წამიყოლა, ჩემი ნამდვილი სახელი, ბავშვობა, შიში, მოლოდინი და სირცხვილიც.

სანამ მამისთან გადავიდოდი საცხოვრებლად, მეზობლებმა რამდენჯერმე შემოთვალეს, სახლს მიხედეთო. როგორღაც მომწვდნენ. მერე კი მყიდველიაო, მამის მდივანთან დარეკეს. ასეთ ზარებს ის ქალი წარმატებით იგერიებდა.

კიდევ კარგი, არ გავყიდე... რად მინდოდა ის კაპიკები? რა ძვირფასია ახლა ეს ნანგრევები... მერე რა, რომ წყალი ჩამოდის და კიბის მოაჯირი მრჩება ხელში... მთავარია, მაქვს სახლი... მთავარია, მე ვარ... მე ვარ...

შავტუხა გოგოს რომ გავაჩენ, სქელი წარბებითა და მოგრძო ცხვირით, ვეტყვი, რომ პირველად იყო სიტყვა. ღვინოს გავასინჯებ სოფლის ეკლესიაში, სადაც მხოლოდ დღესასწაულებზე ამოვა მღვდელი რამდენიმე მოსახლის საზიარებლად. ვეტყვი, რომ ჭურჭელს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ღვინო...

რომ გაიზრდება, ჭურჭლის მნიშვნელობას მერე ავუხსნი – მას ხომ დროთა განმავლობაში შიგთავსის შეცვლაც შეუძლია.

– ჩემო ერთადერთო! – ასე მოვეფერები.

ყოველდღე დავუვარცხნი კუპრივით თმას და ვეტყვი – ჩემო ერთადერთო! განუმეორებელო! – ისე ხშირად ვეტყვი, სანამ არ დაიჯერებს!

დაიჯერებს აუცილებლად.

და ეს რომ ეცოდინება, მერე გავუშვებ...

მშვიდად გავუშვებ.

კარზე კაკუნია, ბრახუნი. ხალათს ვიკრავ. ვაღებ. მეზობლის ქალია. ახალმოწველილ რძეს და ჭყინტ ყველს მაწვდის. აქაურებმა იამზეს ნათესავად მიმიღეს, მისი ამბავი გამომკითხეს, საბერძნეთში ჰგონიათ...

– რაში მოგეშველო, შვილო? ცოდო ხარ ამხელა მუცლით... – წინსაფარზე ხელებს იმშრალებს ქალი.

არა ვარ-მეთქი ცოდო, ვილიმები. მიყურებს. ცოტა ხანს არ მიდის. ალერსითა და სიბრალულით მომჩერებია. ნახატები მაგონდება კლინიკის კედლებიდან.

– ისე, იამზეს კი გავხარ, შვილო... – კარიდან ტრიალდება უცებ, – სულ სხვანაირი ხარ, მაგრამ რალაცნაირად, იმასავით იყურები.

ცრემლები მადგება. თავს ვხრი. გადიდებული მკერდის ქვეშ მრგვალ მუცელს ვხედავ, იამზით სავსეს, მზით გაბერილს... ფეხებში სისველესა და სითბოს ვგრძნობ, თითქოს ცრემლები ამ სიცოცხლის ბორცვებს იატაკამდე ჩაუყვა. ძირს წყალი დგება.

– დღეს რა რიცხვია? – ვაჩერებ მიმავალ მეზობელს.

ქალი არ იბნევა, ხელებს იკაპიწებს.

– ნუ გეშინია! – ჩურჩულებს.

http://ekaterinetogonidze.wordpress.com/

არჩილ ქიქოძე

ოჯახური პორტრეტები

არის სურათები, რომლებიც მუდამ მემახსოვრება და ერთი ასეთი სურათი ლოგინზე მიჯაჭვული გალეული მოხუცი და მის საწოლთან ჩამომჯდარი, ხელჯოხზე დაყრდნობილი და ავადმყოფისკენ ყურადღებით დახრილი სულ ჭაღარა კაცია – უკვე ისიც მოხუცი. „ცოტა მათემატიკოსი, ცოტა ეთნოგრაფი, ცოტა დისიდენტი, მემორინე (სად გამოქექა ეს ყალბი, ჩიქორთული სიტყვა?) და საერთო ჯამში არაფერი!" – მამაჩემს არასოდეს ყვარებია ჩვენი სანათესაოს ის ფრთა, რომლის ერთადერთი წარმომადგენელი ძია გოგი იყო.

ლოგინად ჩავარდნილ ბაბუას ყველაზე მეტად დისშვილის დანახვა უხაროდა, სახე უნათდებოდა. ყველაზე მეტ ამბავს მას უყვებოდა. ამ ორ უახლოეს ნათესავს აბსოლუტურად არაფერი ჰქონდა საერთო, არც იერით და არც ხასიათით. ბაბუა პროფესიონალი სამხედრო იყო, თავის დროზე გენერლობას სულ ცოტა დააკლდა, მძლავრი, მკაცრი და ლამაზი კაცი, ბრძანებების გაცემასა და ამ ბრძანებების ულაპარაკოდ აღსრულებას მიჩვეული. მთელი ცხოვრება მაგრად იდგა მიწაზე და საერთოდ არ ჰყოლია მეგობრები, ძია გოგი – ყველას და ყველაფერს მოდებული. მასზე ყვებოდნენ, ერთხელ პოკერში წაგებული ფული რომ გადაეხადა, სამ დღეში დაწერა სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარი, რომელიც ერთმა ძალიან ცნობილმა დრამატურგმა საკუთარი სახელით სულ ადვილად მიჰყიდა კინოსტუდიას. ნიჭიერი რომ იყო, ამას მამაჩემიც აღიარებდა. ვიცოდი, რომ ახალგაზრდობაში ძალიან მოსწონდათ

ქალებს და თუმცა გარეგნობაში ჰქონდა რაღაც ძალიან მაზალო და ცოტა კომიკურიც, ამისი მაინც მჯერა. ლეგენდად დადიოდა ამბავი, როგორ შეაბა ერთხელ საქართველოში ტურისტად ჩამოსული რომელიღაც აფრიკული ქვეყნის პრინცესა და სასტუმრო ივერიაში რა მაქინაციებით დაუძვრა უშიშროებას, მეფის ასულის ნომერში რომ შეეღწია... მე რატომღაც მგონია, რომ მასში ბაბუა ქცევის და აზროვნების იმ თავისუფლებას ხედავდა, რასაც თვითონ, როგორც პარტიის წევრი, ოჯახის მამა და სამაგალითო სამხედრო, მთელი ცხოვრება მოკლებული იყო. ან, უბრალოდ, ძალიან უყვარდა საკუთარი დისშვილი.

იმ დღეებში მეც ხშირად მივდიოდი ბაბუას სანახავად. საქმე არაფერი მქონდა, სრულიად არაფერი. ის ჩემი მარტოობის დღეები იყო. რუსთაველი დემონსტრანტებს ჰქონდათ გადაკეტილი და ჩემებთან მისაღწევად ფეხით მიწევდა სიარული. დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება გარდუვალი ჩანდა – დემონსტრაციაზე უსინათლო მომღერლები გამოჩნდნენ და როგორც ოცი წლის წინ ძველ ხანჯალზე და ფიცხელ ომზე იმღერეს, ეს კი კარგს არაფერს ნიშნავდა. დაახლოებით ორ წელიწადში ერთხელ ვიღაცეებს ახსენდებათ ეს ადამიანები და უნამუსოდ მოაცუქცუქებენ რუსთაველზე, რომ მათი სიმღერის ფონზე სპეცნაზელთა მიერ დახეთქილი თავები კიდევ უფრო შემზარავი გამოჩნდეს, რომ დარბევის ღამე 9 აპრილის ღამეს დაემსგავსოს. ერი ხელახლა დაიბადა, ლაზარე აღდგა! – გაიძახიან ერთნი. სახელმწიფო შედგა – პასუხობენ ხელისუფალნი და მანიფესტანტთა მაღალპროფესიული დარბევისთვის ძალოვნებს უხდიან მადლობას. კიდევ ერთი მზაკვრული შეთქმულებაა აღკვეთილი; ტელევიზიით კომპრომატების ზღვა, სიბინძურე, რომელსაც ბოლო არ უჩანს, ნაცემი ადამიანები და აუცილებლად უსინათლო მომღერლები, რომლებსაც არასოდეს არავისთვის უთქვამთ უარი, მღეროდნენ, სანამ შეეძლოთ, მღეროდნენ დღევანდელი ხელისუფალთა მიერ გამართულ ქუჩის აქციებზეც, მღეროდნენ მერეც, მოხუცდნენ, დაიხოცნენ და ახლა უკვე

ერთადერთი ცოცხლად დარჩენილიღა უმღეროდა ძველ ხანჯალს და სამშობლოს თავის წამოზრდილ უსინათლო ქალიშვილთან ერთად... და გრძელდებოდა დაპირისპირება მუდმივად დაბადების პროცესში მყოფ ერსა და შემდგარ სახელმწიფოს შორის და წესით ამ ყველაფერზე ერთადერთი ბუნებრივი რეაქცია არის გულზიდვა, ოღონდ ამისათვის ჯანმრთელი ორგანიზმი უნდა გქონდეს...

ჩვენი დიდი სახლის განაპირა ოთახში კი სიმონიკა ბაბუა კვდებოდა. დიდხანს ბერდებოდა, დიდხანს კვდებოდა. ლოგინთან ის ეჯდა, ვისი მისვლაც ყველაზე მეტად ახარებდა, უყვებოდა ძველ ამბებს და ტიროდა. ამ კერპი და ფიცხი კაცის ცრემლები ძალიან უჩვეულო რამ იყო...

ცრემლი სდიოდა თავის ჩვილობაში გარდაცვლილი უფროსი ქალიშვილის გახსენებაზე, ტიროდა დახვრეტილ უფროს ძმაზე და მამაზე, რომელმაც ძმის დახვრეტის შემდეგ კომკავშირში შესვლის გამო დაწყევლა, ტიროდა ძია გოგის დახვრეტილ მამაზეც და გარდაცვლილ დედაზე – თავის ღვიძლ უფროს დაზე, ტიროდა სულ უბრალო ამბების გახსენებაზე – იტალიელ ჯარისკაცზე, რომელსაც მსოფლიო ომის ერთ ღამეს გადაეყარა, როდესაც ორივე თავ-თავის პოზიციებიდან ფრონტის ხაზზე მდგარი თივის ზვინისკენ გახოხდა, რომ ცოტაოდენი თივა გათოშილ სანგარში გასათბობად წაეღო... ეს ამბავი მე ბავშვობიდან ვიცოდი, ყოველ ცხრა მაისს გაშლილ სუფრასთან სადა კიტელში გამოწყობილი და ვერცხლისბალთიანი ქამრით შემოსალტული ბაბუაჩემი ღიმილით ყვებოდა ხოლმე, ის და იტალიელი სხვადასხვა მხრიდან როგორ დაეჯაჯგურნენ მოწინააღმდეგეთა პოზიციებს შორის ეულად მდგარ თივის ბულულს, ორივეს როგორ შეეშინდა და როგორ მუნჯურად ანიშნეს ერთმანეთს: შენ – შენთვის, მე – ჩემთვისო. 9 მაისს ბაბუაჩემს ფეხზე გაპრიალებული ტყავის ჩექმები – აზიაცკები – ეცვა და მკერდზე მრავალ ჯილდოთაგან უმნიშვნელოვანესი – „მამაცობის ორდენი“ ეკეთა. ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი კაცი. ის დიდხანს ბერდებოდა და დაბერებასთან

ერთად ისტორიაც ნელ-ნელა იცვლებოდა, უფრო ჰეროიკული ხდებოდა... ბაბუა იტალიელს იარაღის ამოღებას ასწრებდა და მარჯვედ ადებდა შუბლზე ან ერთი დარტყმით თიშავდა – თუნდაც ღრმა მოხუცებულობაში მისი დაძარღვული ხელების შემხედვარეს, ამის წარმოდგენა სულ იოლი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც უშვებდა – არ წირავდა ტყვეობისთვის და გახარებული და დამფრთხალი იტალიელიც ფართხაფურთხით მიხოხავდა საკუთარი სანგრისაკენ... მაგრამ ბოლოს, სიკვდილის პირას გაგულჩვილებულმა სიმონიკა ბაბუმ ამ ამბავს ისევ პირვანდელი, ჩემთვის ძვირფასი იერი დაუბრუნა – ჩრდილოეთის ტრამალებში ომისგან გატანჯული, სიცივისგან გასაცოდავებული ორი სამხრეთელი მშვიდობით შორდებოდა ერთმანეთს... ბაბუა კი ისევ ტიროდა.

არასოდეს უტირია ბებიაჩემზე. ეგ მაბრაზებდა, როგორც ქალს და შვილიშვილს, თუკი საერთოდ შეიძლება ამ ასაკის და ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანზე გაბრაზდე. თხუთმეტი წლის წინ, ბებიაჩემის სიკვდილის მერე მოშვებული თეთრი წვერი, რომელმაც მხოლოდ გაალამაზა და მეტი არაფერი, არც ერთი სიტყვა, არც ერთი ცრემლი...

მე კი ბოლო ათი წლის მანძილზე პირველად ვიყავი მარტო. თუმცა გოგოები სულ მირეკავდნენ, მნახულობდნენ, დაბადების დღეებზე მპატიჟებდნენ, ერთხელ დისერტაციის დაცვაზეც წავედი. აღმოვაჩინე, რომ საქმე არაფერი მქონდა, სრულიად არაფერი, თუ არ ჩავთვლით მობილური ტელეფონით მესიჯების გზავნას. მაგას ვაკეთებდი, ხუთოსანი მოსწავლის სიბეჯითით ვკრეფდი არაფრისმთქმელ წყალწყალა წერილს, ვაჭერდი Send-ს და გზავნილიც მიფრინავდა აუტანლად ყვითელი ჟურნალის უკანასკნელ გვერდზე რუბრიკაში „მიყვარხარ, მენატრები“, რომელსაც ადრე არასოდეს მივაქცევდი ყურადღებას, თუმცა ადრე არც იმ ჟურნალს ვიყიდდი.

„მიწერე ხოლმე! იქ მაგით ცხოვრობს ხალხი,“ – მითხრეს გოგლას ძმაკაცებმა და მეც ვწერდი კვირაში ერთ აბსურდს

მაინც. რაც მთავარია, ველოდებოდი ჟურნალის გამოსვლას, დილიდან გავრბოდი სუპერმარკეტში, ვყიდულობდი და ვკითხულობდი ყოველ ახალ ნომერს, ვითომ გოგლა ვიყავი, მაგრამ ის ალბათ ჯერ ბოლო გვერდს დაეტაკებოდა, როგორც ყველა პატიმარი, რომელსაც გარეთ ვინმე წერილის მიმწერი და ხმის მიმწვდენი ეგულება. მე კიდევ რაღაც დაგემოვნებული თვითგვემით თავიდან ვიწყებდი და ნაბიჯ-ნაბიჯ ვეცნობოდი გლეხური ენით მოყოლილ (ნეტა, ერთი კორექტორი რა გაუხდა ამხელა ტირაჟის ჟურნალს) მსოფლიო ამბებს და ლოკალურ ინტრიგებს, ჩვენი ბომონდის ჭორებს, ცნობადი სახეების ახირებებს და მათი გარდერობებს, რუბრიკებს „წმინდა მამები გვირჩევენ" და „კითხვები მოძღვარს" ცოდვებით დამძიმებული სამყაროს უახლოეს ხანში მოსალოდნელი აღსასრულის მუქარას და იქვე, შემდეგ გვერდზე, ცნობილი წინასწარმეტყველის უტყუარ წინასწარმეტყველებას უახლოეს ხანში იბერიის უცილობელი გაბრწყინების შესახებ... სულ ბოლოს „მიყვარხარ, მენატრების" ჯერიც დგებოდა. ტუსაღებთან მიწერილ სამლარიან მესიჯებს ყველაზე გულდასმით ვკითხულობდი: მე მჯერა შენი, მიყვარხარ გიჟურად, თავდავიწყებით, გეფერები, გელოდები, შენი სუნი დღემდე დამყვება, მოსვენებას არ მაძლევს, შენით ვცოცხლობ, მწყურიხარ... იმ დღეს სასამართლოზე თავი ვერ შევიკავე, არ უნდა მეტირა შენი თანდასწრებით, მაგრამ რა ვქნა, აღარ შემიძლია, უნდა მაპატიო... შენი შვილი სულ გკითხულობს, გელოდება, ძალიან გაიზარდა, უაღრესად ჭკვიანი და დადებითია... ყველაზე უარესი, რისი გაკეთებაც შეგეძლო, შენ უკვე ჩაიდინე, ახლა მხოლოდ ერთი გზა დაგრჩა. ღმერთს ებარებოდე!... მიშგულადეხ ძმაო, აქ შენებს არ ვაკლებთ არაფერს, თქვენი სათიბის ამბავიც ისე გადაწყდა, ჩვენ რომ გვინდოდა და შენ რომ გაგეხარდება, შენ მთავარია, გული არ გაიტეხო და ღმერთის გზით იარო, ძნელი აღმართი გაქვს ასავლელი, მარა ნიჩევო. უფალი იყოს შენი შემწე... და უცებ ამდენ დრამატიზმში და ვნებაში ჩემს თეთრი ყვავივით გამოჩხერილ წყალწყალა მესიჯს

ვაწყდები... უცებ, ბრახ! გუშინ მარიკამ დისერტაცია დაიცვა და იქ ყველა შენ ამბავს კითხულობდა, ყველას ენატრები... ვერაფერი ნუგეშია, არა, ოთხ კედელში გამომწყვდეული კაცისთვის? ვერ გამოვდექი კარგი პატიმრის ცოლი თუ პატიმრის კარგი ცოლი – რომელია სწორი?

მერე ისევ რუსთაველის პროსპექტს მივუყვებოდი ჩემების სახლისკენ. ულტიმატუმების ვადა იწურებოდა, აქაური ჰაერი კიდევ უფრო მძიმე იყო, ყველა რაღაცა ცუდს მოელოდა, „ფეხს არ მოვიცვლით, აქედან ფეხს არ მოვიცვლით, არ გვეშინია!" – მეგაფონში კიოდნენ ლიდერები. წვიმდა და მობუზული დემონსტრანტები პატარ-პატარა ჯგუფებად შექუჩებულიყვნენ, ვცდილობდი სწრაფად გამევლო რუსთაველი და ჩემებისკენ დროზე ამეხვია. იქ უცვლელი მხვდებოდა ყველაფერი. მუდამ შეწუხებული დედა და სიმონიკა ბაბუ-ძია გოგის ტანდემით გაღიზიანებული მამა. ბაბუა კი დისშვილს ახლა „ზაუერის" სამბეჭდიანი თოფის ამბავს უყვებოდა. „ზაუერ, ტრი კალცა" – ასე ამბობდა და არც ვიცი, რას ნიშნავს, თორემ დროისგან დაძენძილ შალითაში მოთავსებული თოფი, რაც თავი მახსოვს, ასე ედო ლოგინის გვერდით და ტყვიები თუ მოეპოვებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, მაგრამ ერთხელ აკი დააქუხა კიდეც, ჩეხოვის დრამატურგიული კანონების სრული დაცვით...

თურმე, ეს თოფი ერთადერთი ნაალაფარი ნივთი იყო, რომელიც გერმანიიდან ჩამოჰყვა. „ზაუერი" საკუთარ მამას, ჩემს დიდ ბაბუას, ჩამოუტანა, სოფლად მცხოვრებ ახირებულ კაცს, სანადირო იარაღის და მონადირე ძაღლების უბადლო მცოდნეს, რომელიც კომკავშირში შესვლის დღიდან ხმას არ სცემდა. მოჰყვა, როგორ მოჰქონდა თოფი თვეები, როგორ ავიდა სოფელში და წარსდგა ოთხი წლის უნახავი მამის წინაშე ყველა ორდენით დამშვენებული, ხელში ლამაზ შალითაში შენახული გერმანული თოფით, რომლითაც მშობლის გული უნდა მოეგო. მამამ კიდევ არც შვილს და არც იარაღს ზედ არ შეხედა: ხომ არ გგონია, შენს „ნამარადიორალს" ხელში დავიჭერო?! ღმერთო, როგორ ტიროდა, ამ ამბავს რომ იგონებდა.

ძია გოგის მისი ცვილად ქცეული ხელი ეჭირა, ოთახში მოხუცებულობის, უძლურების სუნი იდგა. ვიცოდი, საბანქვეშ ბაბუას რაღაც პამპერსის მსგავსი ეკეთა, ისიც ვიცოდი, მამაჩემის დაქირავებული ექთანი რომ კარგად უვლიდა და თეთრი წვერიც კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი, მაგრამ ამ ორი ადამიანის – ერთმანეთისთვის ხელჩაჭიდებული და ერთმანეთის თვალებში მაცქერალი ორი მოხუცის შემხედვარე (დისშვილი ბიძაზე თვრამეტი წლით იყო უმცროსი, მის ასაკში ბაბუაჩემს ჯერ კიდევ მძლეთამძლე იერი ჰქონდა, ძია გოგი კი ძლივს დაჩაქჩაქებდა თავის ხელჯოხით და ბაბუაჩემის სანახავად ჩვენი ქვაფენილიანი აღმართის ამოვლა დიდ ძალისხმევად უჯდებოდა) ვფიქრობდი, რომ ადამიანი ამას არ იმსახურებს, რომ ცოდოა უძლურებისა და უსუსურებისთვის. წუთისოფელიო – სიცოცხლეზე ვამბობთ და უსაშველოდ გრძელი რამ კი არის, რომლის გახსენება თურმე ცრემლის უშრეტი მდინარეა, ჰოდა, მისი გამლევი ადამიანი მის დასალიერში არ იმსახურებს ჩაფსმას, უძლურებას, უსუსურობას. ცოდოა...

მერე რუსთაველზე დემონსტრაცია დაარბიეს. ამას ყველა ელოდა. პროსპექტი ღამით გაწმინდეს, დილით იქ აღლუმი უნდა ჩატარებულიყო. ჯერ გაწმინდეს, მერე გარეცხეს იმიტომ, რომ იქ სისხლი იყო. სახელმწიფომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შედგა, ერი კიდევ ერთხელ დაიბადა, მაგრამ ამჯერად სპეცნაზმა გადაამეტა, რაღაცა მოირღვა საათივით ანყობილ მექანიზმში და ხალხი დაიხოცა... აღლუმი მაინც მოეწყო, ჩამოიარა ჯარმა, გადაიფრინა ავიაციამ, უსინათლოთა ნაცვლად ახლა თვალხილულმა და სექსუალურმა ვარსკვლავებმა უმღერეს სამშობლოს, იქ დამსწრე უცხოური დიპლომატიური კორპუსი ცოტა დაბნეული ადევნებდა თვალს ჰიბრიდული რეჟიმის ეგზოტიკურ თავისებურებებს. მერე პრეზიდენტმა საკუთარი ხელით ჩამოჰკიდა ღირსების ორდენები გამოჩენილ ქართველებს: მოცეკვავეებს, მომღერლებს, მეცნიერებს და მათ შორის... მამაჩემს...

კინაღამ გავგიჟდი, პირდაპირ ეთერში რომ დავინახე. და-

ნახვა და დედაჩემის ზარი ერთი იყო. ამიხსნა, რომ ასე გოგლასთვის მოიქცა, ჯილდოზე უარი რომ ეთქვა, მერე დახმარებასაც ველარ სთხოვდა ვერავის, პირიქით – შეიძლება გოგლას და, შესაბამისად, ჩემი მდგომარეობაც დამძიმებულიყო. მდგომარეობის დამძიმება – ასე პაციენტებზე ამბობენ ხოლმე ექიმები. ის ლაპარაკობდა, მე ვუსმენდი, არ შევპასუხებივარ, მისთვის უფრო მეტი დისკომფორტი რომ არ შემექმნა, ვცდილობდი, დამეჯერებინა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ, ყველაფერი გოგლასთვის და ჩემთვის ხდებოდა და არა ახალ უნივერსიტეტში სრულ პროფესორის თანამდებობის მოსაპოვებლად, ანდაც სქელი კანის ქვეშ პარაზიტივით ჩაბუდებული კონფორმიზმის ჭიის გამოსაკვებად.

მერე ჩემს ცხოვრებაში პირველად მივიღე მონაწილეობა პროტესტში. ჩემს გოგოებს გავყევი. მეუბნებოდნენ: დარჩი, მდგომარეობა არ დაგიმძიმდეთო (ისევ ეს მდგომარეობის დამძიმება), მამაჩემის ორდენი რომ არა, ალბათ არც წავიდოდი. იქ ბევრი ვნახე ჩემი და ჩემი გოგოებისნაირი – ცოტა შეშფოთებული და ცოტა ამაყი. არასოდეს არაფერზე პროტესტი არ გამოგვიხატავს, ეს ცოტა გვაშინებდა, მაგრამ გვეამაყებოდა კიდეც, რომ შევძელით. ვინ აღარ შემხვდა იქ და უცებ ამდენ ხალხში ხელჯოხიანი ძია გოგი რომ დავინახე, უფრო გამიხარდა, რომ სახლში არ დავრჩი. აღარ მოვცილდი, ხელი გავუყარე და ერთად გავიარეთ რუსთაველის პროსპექტი დემონსტრაციის სულ კუდში, რადგან ძალიან ნელა მოდიოდა. მართალია, რუსთაველზე ჩვენი მარში ცოტათი ჰგავდა დეფილეს, მაგრამ ძია გოგიც აქ იყო და ესე იგი, სწორად ვიქცეოდით. არ შემშინებია, რომ მამაჩემის ორდენზე მკითხავდა რამეს, ძალიან ტაქტიანი კაცი იყო. ასე ჯოხის კაკუნით ხმის ამოუღებლად გავიარეთ მთელი რუსთაველი და ასეც იყო ჩაფიქრებული – მდუმარე პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ. ხალხს რომ გადავხედე, არ ვიყავით ცოტა. მივედით იმ ადგილამდე, სადაც რამდენიმე დღით ადრე ხალხი დაიხოცა, და გავჩერდით. მერე დავიშალეთ...

მერე ჩვენზე დაწერეს, რომ იმ დღეს ქუჩაში გამოვიდა საზოგადოების ყველაზე საშიში სეგმენტი, ძველი პრივილეგიებისთვის მებრძოლი საბჭოთა ინტელიგენცია. ოღონდ ჩემი ოჯახის ყველაზე მენამული ინტელიგენტი უკვე ღირსების ორდენოსანი იყო. კიდევ დაწერეს, რომ ამაზრზენია ჩვენი მცდელობა, გარედან ვუყუროთ მოვლენებს და გვერდზე დავრჩეთ, როცა სახელმწიფოს გარეშე მტრები ახვევიან და შიდა მოღალატეები უთხრიან ძირს. ჩვენ კი მორალისტის პოზაში გვინდა სუფთა ხელებით დავრჩეთ. ვერ მოგართვით, ბატონებო! თუმცა, შემიძლია დავიფიცო, რომ იმ აქციაზე აბსოლუტური უმრავლესობა ქალბატონები ვიყავით... ამაზე დაიწერა ერთი სტატია, მერე კიდევ ერთი, კიდევ და ბოლოს ძია გოგის სატელევიზიო დებიუტიც შედგა. პირველად და უკანასკნელად გამოვიდა ტელედებატებში და ახლაც არ ვიცი, თვითონ გამოთქვა სურვილი თუ სთხოვეს და უარი ვერ უთხრა. ტელედებატები, რომელიც მისი სრული კრახით, კატასტროფით დამთავრდა და რომელსაც თავიდან ბოლომდე ვუყურე. მამაჩემის ღირსების ორდენით დაჯილდოვება ისე არ გამკვირვებია, როგორც მისი ტელევიზორში გამოჩენა...

ორი ორზე იყვნენ. უფრო სწორედ, ასე იყო ჩაფიქრებული. „უბრალოდ მოქალაქე...“ ასე მომხიბლავად წარადგინა საკუთარი თავი, როცა ჟურნალისტი მისი წარდგენისას დაიბნა, ვერ მიხვდა, რა პროფესიის კაცად წარედგინა: იგროკი და პოკერისტიო – ხომ ვერ იტყოდა. ან არადა, წლების მანძილზე ძია გოგი სწორედ თამაშით ირჩენდა თავს და სხვასაც ბევრს უმართავდა ხელს. ცოტ-ცოტა ყველაფერი და საბოლოო ჯამში არაფერი – ჩაიქირქილებდა მამაჩემი, თუ ტელევიზორი ჩართული ჰქონდა. ძია გოგი კი სიმპათიურად და თავდაჯერებულად გამოიყურებოდა და თანაც არაერთხელ მქონდა ნანახი, კამათისას როგორ გამოჰყავდა წყობილებიდან მამაჩემი და კიდევ სხვები, მეგონა, ქვას ქვაზე არ დატოვებდა. გვერდს ლარივით დაჭიმული ადამიანის უფლებების დამცველი პატარა გოგონა უმაგრებდა რომელიღაც არასამთავრობო

ორგანიზაციიდან – ეს ორი ერთად უკვე კურიოზი იყო. გოგონას ადამიანის უფლებათა დარღვევის უზარმაზარი არზა ჰქონდა მომარჯვებული, ოღონდ იმის გადმოლაგებამდე არ მისულა საქმე.

მათ ოპონენტებად ჰყავდათ ორი გმირი ახალი საქართველოსი, სხვანაირად კი, ორი ჩემი ძველი პაკლონიკი. ოღონდაც იმ ძველ დროში მათ საერთო სხვა არაფერი ჰქონდათ. ორივეს მოვწონდი სტუდენტობის დროს. ამირანის თითქოს ცულით ნაჩორკნ სახეს და დევგმირულ აღნაგობას თავისი სახელი უხდებოდა. მეორეს მუდამ ცინიკური, ყველაფრისმცოდნე ჩაღიმება ჰქონდა და ფანტომასივით პირმოკუმული სიცილი, რომელიც ჯერ კიდევ იმ შორეული დროიდან გამოჰყვა...

დავინახე ეს ორი და პირველი რაც მომაფიქრდა – გოგლაზე სათხოვნელად ორივესთან მიმესვლებოდა. ვიყავი კი მიმსვლელი? იმ ძველ დროში მე და გოგოებს ამირანის გვეშინოდა. პირველ კურსზე გვიმტკიცებდა, ქართველი მებრძოლები ქალის ძუძუზე ლესავდნენ ხანჯალსო. ეროვნულ ნიადაგზე დამყნობილი ფროიდის „პასაჟირი“ იყო. აფხაზებს აფსუებს ეძახდა და ოსებს – ოვსებს. მერე გაზვიადისტდა, მერე საერთოდ გაქრა. ახლა ისევ გამოჩნდა და სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე დადგა, ძირითადად – იდეოლოგიის დარგში. ცოტა ხნით ადრე რადიოში ვუსმინე, იმისთანებს ლაპარაკობდა, რომ მანქანა გავაჩერე და ბოლომდე დავუგდე ყური. მშობლებს ურჩევდა, ბავშვებისთვის „სამი მუშკეტერი“ არ წაეკითხებინათ, როგორც საოცრად მავნებელი წიგნი და როცა ყველაფერზე დასათანხმებლად მზადმყოფმა ჟურნალისტმაც კი შეიცხადა: კი მაგრამ, რატომო?! ძალიან მშვიდად აგვიხსნა, რატომაც: ოთხი იდიოტი სამშობლოს ღალატობს იმისთვის, რომ ერთი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის რეპუტაცია გადაარჩინოს და მთელ იმხელა წიგნში სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე მზრუნველი ერთადერთი გმირი არის კარდინალი რიშელიე. – რა საინტერესო თეორიაა?! ამ მხრივ არასოდეს

მიფიქრია, – ნელ-ნელა ჩაწვდა წიგნის მთელ მავნებლობას და სივერაგეს ჟურნალისტიც. აი, ეგეთი ტიპი იყო ამირანი და, მგონი, ყველაფერთან ერთად – არაფრისმაქნისიც. აზრი არ ჰქონდა მაგისთვის თხოვნას, მაინც არ გაინძრეოდა.

ფანტომასზე კი ამბობდნენ, ბევრი რამე შეუძლია, გავლენა აქვსო. გოგლას ძმაკაცებმა ისიც თქვეს, აბოიმაში ზისო. ნეტა, რა დამსახურებებისთვის მოხვდა იმ აბოიმაში? ალბათ, იმისთვის, რომ შეიმუშავა ეროვნული თეზისი, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: ქვეყანა იმყოფება საომარ მდგომარეობაში, მოსახლეობის დაკვეთა არის გართობა. ხომ მაგარია?! ოღონდ, ვინ ერთობა და ვინ ომობს?! მართლა ომები და სროლები რომ იყო, ერთხელ ვიღაცის დაბადების დღიდან მეტრომდე გამაცილა. გზაში სულ თავის ფილოსოფიურ ნაშრომებს მიყვებოდა, მაგითი მკერავდა! მეტრომდე მიმიყვანა და იმ უდენობაში და სროლებში მარტო გამიშვა სახლში, კრეტინი! კასრიდან გამომძვრალი და აბოიმაში ჩასკუპებული დიოგენე! ვის ვის და მაგას ვერ ვეტყოდი ვერაფერს. ადრე მეცოდებოდა, ახლა „აბოიმაში" მჯდარი გულს მირევს...

და როგორ დამარცხდა იმ დღეს ძია გოგი... თუმცა, ქართული საზომით, ადამიანი, რომელიც მეტს იყვირებს, ხელჯოხს მაგიდას დაარტყამს და იმავე ხელჯოხს ოპონენტს სახესთან უტრიალებს, შეიძლება გამარჯვებულადაც ჩაითვალოს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მწარედ დამარცხდა და ალბათ ძალიანაც განიცადა. ერთხელ მახსოვს, კამათისას თქვა, რომ შეთქმულების თეორიების სჯერათ მხოლოდ უმეცრებს („უმეცარი", რა თქმა უნდა, მამაჩემი იყო), რომლებიც მოვლენების არსში ვერ გარკვეულან ან გარკვევა ეზარებათ. ახლა თვითონ მსოფლიო შეთქმულებაზე ალაპარაკდა, დაიწყო და აღარ გაჩერდა, მთელი ცხოვრება თვითონ სხვისი წონასწორობიდან გამომყვანმა თავად დაკარგა წონასწორობა. დისკუსია რუსთაველზე დარბეულ დემონსტრაციაზე, ძალის გადამეტებაზე და საერთოდ ძალადობაზე უნდა ყოფილიყო, ის კი ლაპარაკობდა მსოფლიო შეთქმულებაზე, რომლის მიზა-

ნიც კაცობრიობის იდეალების გარეშე დატოვება იყო, უსაფრთხოება და ფული – მისი თქმით დღევანდელი მსოფლიო მხოლოდ ამაზე იდგა და მას დიდი მონოპოლისტები მართავდნენ უსახური კაცუნების ხელით... მისი ლაპარაკი იყო სრულიად არათანმიმდევრული, ამის გამო ჩემთვის გაუგებარი და ამაღელვებელი, რადგან მივხვდი, მართლა ნაფიქრი ჰქონდა ამ ყველაფერზე, ოღონდ სათქმელს თავი ვერ მოუყარა, სულ სხვაგან წავიდა, წიგნების სიყვარულზე ალაპარაკდა, განათლებაზე, როგორც ხსნის ერთადერთ გზაზე, რას არ მიედმოედო. არასამთავრობო სექტორიდან მოსული გოგონა გაოცებული უსმენდა და ხელში ოხრად დარჩენილი კანონდარღვევების კონას ბღუჯავდა, ფანტომასს თავის ქედმაღლურ-ცინიკური ნიღაბი ეკეთა, ამირანმა მოიწყინა და ცოტა დაიბნა, რადგან მიხვდა, რომ თავის მუდმივ და სახელოში ჯოკერივით გადამალულ არგუმენტამდე (მაშინ, ოცი წლის წინ სად იყავით, როცა კანონიერ ხელისუფლებას ებრძოდნენ და მის მომხრეებს სასტიკად უსწორდებოდნენ? მაშინ რატომ არ გამოხატავდით პროტესტს?) საქმე არ მივიდოდა. ძია გოგი კი აღარ გაჩერდა, ლაპარაკობდა გაუთავებლად და სულ უფრო სცილდებოდა სათქმელს. და ბოლოს, ფანტომასმა გააწყვეტინა ღიმილით, უფრო სწორად – ჩაღიმებით:

– რასაც თქვენ ბრძანებთ, ამაში ახალი არაფერი არ არის. ტიპიური მემარცხენე იდეოლოგია, ოღონდ არათანმიმდევრულად ჩამოყალიბებული...

– თქვენ უბრალოდ საბჭოთა კავშირი და ძველი პრივილეგიები გენატრებათ, – გამოფხიზლდა ამირანიც.

და მაშინ ძია გოგი აფეთქდა, ხელჯოხი დააკაკუნა მაგიდაზე და ახსენა თავისი დახვრეტილი მამა, რომ პარტიის წევრი არ ყოფილა და არავითარი პრივილეგიები არასოდეს არ ჰქონია, რომ კომუნისტები ყოველთვის სძულდა და რომ არც იმათ ეხატებოდათ გულზე...

არ გინდა, ძია გოგი, არ გინდა, – ვჩურჩულებდი ჩემთვის. მილიონი მაყურებლის თვალწინ სამოცდაათ წელს გადაცილე-

ბული კაცი საკუთარი არსებობის გამართლებას ცდილობდა და ჯოხის მაგიდაზე კაკუნით გაიძახოდა, რომ ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინ დისიდენტები სწორედ მის სახლში იკრიბებოდნენ და რომ აკრძალული ლიტერატურაც სწორედ მასთან ინახებოდა...

– მაგრამ როგორც ვიცი, ერთადერთი ნასამართლეობა დისიდენტური მოღვაწეობისთვის კი არა, მუქთახორობისთვის გაქვთ...

– და თავს მთელი ცხოვრება შულერობით ირჩენდით...

ესე იგი, მაინც შეისწავლეს. მოუმზადებლები არ მოსულან...

ამირანს ხელჯოხი მოუქნია, მაგრამ ვერ მისწვდა. „ვაითუ, დაიჭირონ!" – გავიფიქრე და გულიც გადამიქანდა. ისიც გაექაჩა დასარტყმელად, რომ დაერტყა – ადგილზე გაათავებდა, მაგრამ ფანტომასმა არ დაანება და მაგაზეც მადლობელი დავურჩი. უფლებათა დამცველმა გოგომაც იყოჩაღა, ჟურნალისტიც შუაში ჩადგა...

ეს კადრები ახლა უკვე You Tube-ზეც დევს. მას მერე, რაც ძია გოგი აღარ არის, უსაშველოდ ბევრჯერ მაქვს ნანახი. გული! გულით გარდაიცვალა საკუთარ ლოგინში და მეზობლის აბიტურიენტმა შვილმა იპოვა, როცა დილით წიგნის სათხოვნელად შეაღო მისი ბინის მუდამ დაუკეტავი კარი. თბილისში, მგონი, უკანასკნელ კომუნალურ სახლს, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა, მალე დაანგრევენ და მის ადგილას ახალს ჩადგამენ რამეს. ამას რომ ვერ მოესწრო, კარგია. ვიცი – ეშინოდა.

სახლი მალე აღარ იქნება და ერთადერთი ხილული რამ, რაც ძია გოგისგან დარჩა, არის სწორედ მისი სატელევიზიო დებიუტის, მისი მარცხის კადრები, რომლებსაც ხანდახან ქართულ ვიდეოპორტალებში და სოციალურ ქსელებშიც გადავაწყდები ხოლმე, ძირითადად უჯრაში, რომელსაც „პრიკოლები" ჰქვია და კომენტარებიც დაახლოებით ასეთი ახლავს: ნახე, ბაბუ ჯოხს რა მაგრად იქნევს! ბაბუ ნახე რა! შაულინი ქართულად და ა.შ. მაგრამ მე მისგან კიდევ დამრჩა

ერთი რამ – ამბავი, რომელსაც ბაბუაჩემის ოთახში მომიყვა. მთელი ცხოვრება ინახა და მე გამანდო. ჰო, ამბავი ნამდვილად არის და მე მასთან აუცილებლად მივალ – ზიგზაგებით, როგორც მჩვევია, არათანმიმდევრულად, მაგრამ მივალ, ამის რომ არ მჯეროდეს, საერთოდ არ გავიხსენებდი იმ დღეებს, რომლებსაც ჩემი მარტოობის დღეები დავარქვი და როგორც აღმოჩნდა, მისი მარტოობის უკანასკნელი დღეებიც იყო...

აი, იმ დღეების კიდევ ერთი სურათი: სიმონიკა ბაბუა უკვე აღარ ლაპარაკობდა, აღარაფერს ყვებოდა, არაფერს იხსენებდა და არც ტიროდა. ვეღარც ჩვენ გვცნობდა და ვეღარც გოგის – თვალღია ინვა ჭერს მიშტერებული და გარდაცვლილებს ელაპარაკებოდა. ეძახდა ადამიანებს, რომელთაგანაც ზოგი ვიცოდით, ზოგი კი, წარმოდგენაც არ გვქონდა, ვინ იყვნენ. ეს ისეთი უცნაური საუბრები იყო, რომ ყველაფრის მნახველი ვალიდა ექთანიც კი დაფრთხა, თითის წვერებზე სიარული და განუწყვეტელი პირჯვრის წერა დასჩემდა.

იმ დღეს ჩემი რძალი მოვიდა და ჩემი ძმისშვილები მოიყვანა დიდი ბაბუის სანახავად, ოღონდ ბაბუის ნახვა აღარ ღირდა... ვიფიქრეთ, რომ ბავშვები მხოლოდ დაიზაფრებოდნენ და არც ჩემს რძალს გამოუდია თავი. სამზარეულოში ვისხედით და სიგარეტს ვეწეოდით. ჩემკენ ახალი და სასიკეთო არაფერი იყო და უფრო ეგვიპტიდან ახლად დაბრუნებული ჩემი რძალი ყვებოდა. ლამაზი, გარუჯული ბავშვები აქეთ-იქით დარბოდნენ. ძალიან საყვარელი ძმისშვილები მყავს. რძალმა ეგვიპტეზე ერთი ის თქვა, რომ პირამიდები და სფინქსი სურათებზე უფრო ლამაზია, ვიდრე სინამდვილეშიო და აქაურ ამბებზე გადავიდა, ორ დღეში დასწეოდა ყველა ჭორს. ისედაც კოხტას, რუჯი და თეთრი ბალახონი უხდებოდა, თითქოს ენისჩლექით ლაპარაკის მანერა, თვალების, აი, რაღაცნაირი ფახური – „შენს ბავშვურ ღიმილს ვერვინ გაექცა!“ და დროდადრო, ზოგჯერ საკმაოდ უადგილოდ წარმოსროლილი უცხოური შორისდებული „ვაუ!“ მოკლედ, ჩემი რძალი თავის სტიქიაში იყო, ბავშვური უშუალობით და სისასტიკით დებდა მიწაში

ყველას, ვისაც კი მისწვდებოდა და მის რატრატში ბავშვები გადაგვავიწყდა. გვიან მოვისაკლისეთ და იქ ვიპოვეთ – ბაბუას ოთახში, რომელშიც ვერც კი წარმომიდგენია, ამის მერე რა უნდა იყოს ან ვინ უნდა დაიბუდოს. ოთახი საპნის ბუშტებით იყო სავსე, მისი ერთადერთი ცვილის ფიგურას დამსგავსებული ბინადარი კი ჭერს მიშტერებული უხმოდ იწვა შავ-თეთრი ფოტოების ქვეშ. კედლებიდან ის ადამიანები იმზირებოდნენ, რომელთაც შესახებაც ბაბუა უკანასკნელი დღეები ელაპარაკებოდა. მომაკვდავი, უფრო საიქიოში ვიდრე სააქაოში მყოფი თეთრწვერა დამდნარი მოხუცი, უამრავი დიდი და პატარა საპნის ბუშტი და ზღვიდან ახლად დაბრუნებული ორი ხუჭუჭა და შავტუხა გოგო, ჟივილ-ხივილით მთელ ოთახში რომ დასდევდნენ ბუშტებს. რაღაცა იყო მომნუსხველი და საზეიმო ამ სურათში და ჩემი რძალი, მგონი, ძალიან დაფრთხა. სასწრაფოდ გაათრია შვილები და სამზარეულოში რომ დავბრუნდი, კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია. მანამდე ცოტა ხანს დავრჩი ბაბუასთან. ვიცოდი, ჩემი ოთახში ყოფნა მისთვის სულერთი იყო, ჭერისთვის თვალი არ მოუცილებია, მაგრამ მომეჩვენა, რომ ისევ ტიროდა. პარკეტს დახეთქილი ბუშტების სველი და მრგვალი ნაკვალევი აჩნდა. მე კი სიმონიკა ბაბუს უკანასკნელად ვხედავდი ცოცხალს.

მერე გოგლა ვნახე. თვეში ერთხელ ასეთი დღეც მიდგებოდა. ჩემი მანქანით პირველად წავედი მარტო იმსიშორე პაემანზე და ჩემი სიყოჩაღის გამიკვირდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მე არ ვიყავი, სხვის თავს ხდებოდა ყველაფერი, აუტანელ ბადრაგ ქალს მე არ გავუჩხრეკივარ, ჩემს სხეულზე არ უფათურებია ხელები – ვითომ, უარესი არ გადამხდომია?! მერე შუშის ტიხართან ჩამომჯდარი ველოდი, როდის შემოიყვანდნენ და პირდაპირ რომ დამისვეს, ისე ჩამოვხსენი კედლიდან ყურმილი, რომ საკუთარი თავი რომელიღაცა კინოს გმირი მეგონა. წასვლამდე გამოვიპრანჭე კიდეც. გოგლას კი ყოველთვის ამსგავსებდნენ ლინო ვენტურას, მაგრამ, აბა, მე რომელი ბადრაგის მომსყიდველი და პურში ქლიბის ჩამ-

დები ვიყავი, თუმცა ეგეთი პერსონაჟებით სავსე იყო შუშის აქეთა მხარე, ოღონდ სახელმწიფოში მომუშავე ერთადერთი სრულყოფილი სისტემის წინაშე ისინიც კი უსუსურად გამოიყურებოდნენ, ჩემნაირ კონტექსტიდან ამოგლეჯილებზე რომ არაფერი ვთქვა. ჩემი ლინო ვენტურაც მოტეხილი და გაჭაღარავებული იყო. უფრო ერთმანეთს თვალებში ვუყურეთ, ვიდრე ვილაპარაკეთ. ცდილობდა ყოჩაღად დაეჭირა თავი და ამან გული ამიჩუყა. მალე დამთავრდება ყველაფერიო, მეუბნებოდა...

მერე ერთი ამბავი მოხდა. იმ თვეების მანძილზე, რაც პაემანზე დავდიოდი, ვიღაცამ პირველად აუწია ხმას. სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, ბადრაგს მისთვის ხელი ჩაევლო, მაგრამ ვერ იმორჩილებდა. „ერთი მაკოცნინე, კაცი არა ხარ?!" ისტერიკა არ ჭირდა, უბრალოდ თხოვდა, ხმამაღლა, მერე უფრო ხმამაღლა, მერე აყვირდა. შუშას აქეთ, მე რომ გამჩხრიკა, იმ ქალს ეჭირა მისი ცოლი თუ შეყვარებული. ის არ ყვიროდა, მაგრამ ჯიუტ, უხმო წინააღმდეგობას უწევდა. არ მიყვებოდა გასასვლელისკენ. – ერთი აკოცნინე, ბიჭო, შეხედე, სუ პატარები არიან! – ჩახლეჩილი ხმები აიმაღლეს რეციდივისტების დახატულმა, ყველაფრის მნახველმა და ნახიშტარმა ცოლებმა, თითქოს რაღაც ძალიან ძველი და სულ მთლად გადავიწყებული მოაგონდათო, მერე პატიმრებიც აყვირდნენ. – აკოცნინეთ! ერთი აკოცნინეთ, ხალხი არა ხართ?! ჩვენ ორის გარდა ყველა ახმაურდა, გოგლამ სახეზე რაღაც უხერხული ღიმილივით გამოიდნო, თითქოს მიბოდიშებდა, იქ ყოფნა და იმ ყველაფრის ყურება რომ მიწევდა. მე თვალების დამალვა და ყურებზე ხელის აფარება მომინდა. შუშის ტიხრის ორივე მხარეს კარები გაიღო და შემოვარდნილი ბადრაგი უხმოდ და უშეცდომოდ ამოქმედდა. ჯერ ის ბიჭი გაათრიეს, მერე დანარჩენი პატიმრები. გოგლას რომ ხელი ჩაავლეს, მერე აღარ მიყურებია, ჩვენც ჯოგად გამოგვრეკეს გარეთ...

ის გოგო მერე მე წამოვიყვანე თბილისში და დიდუბეში ჩამოვსვი. ერთი თვის დაქორწინებულებიც არ ვიყავით, როცა

ქურდობისთვის დაიჭირეს და თერთმეტი წელი მიუსაჯესო. ორსულად იყო. მაინც, რა იდიოტები არიან ეს კაცები...

წერეთელზე ჩამოვსვი და მანქანა დაძრულიც არ მყავდა, რომ დედაჩემმა დარეკა და მითხრა: ბაბუაშენი აღარ არისო... რატომღაც პირველი აზრი რომელიც თავში მომივიდა, დაახლოებით ასეთი იყო: მამაჩემი უკვე აღარასოდეს შეჭამს წინაკას. სასაცილოა, რამ მომაფიქრა? ბაბუა რაც ლოგინად ჩავარდა, მას მერე უკვე აღარ ჭამდა. წინაკის უხმო დუელი ერთადერთი დაპირისპირება იყო, რასაც მამას უბედავდა. უცნაური რამ სანახავი – ერთმანეთის პირდაპირ მჯდარი მამა-შვილი, ორი სრულიად სხვადასხვა და თითქოს სერიოზული შესახედაობის ადამიანი. ბაბუა – ხმელი, ლამაზი მოხუცი და მამა – სათვალიანი, აღიარებული და ფუყე პროფესორი, ერთმანეთის ჯიბრზე, ერთმანეთის თვალებში შემყურენი როგორ ახრამუნებდნენ ცხარე წინაკებს და თანაც, ნასიამოვნები სახეების მიღებას ცდილობდნენ და ამ კონფლიქტით კი არა, კონფლიქტზე პატარა მინიშნებითაც კი დამფრთხალი დედაჩემი, თავისი მუდმივი გამომეტყველებით, სახეზე სრულიად კაცობრიობის მიმართ უტყვი საყვედური რომ აწერია. ასეთი იერის პატრონი ყველაზე უკეთ თავს პანაშვიდებზე გრძნობს და არასოდეს არც ერთს არ ტოვებს. ჰოდა, ახლა პანაშვიდის ჟამი საკუთარ სახლშიც დაუდგა. ბაბუა აღარ იყო, რაღაცა დიდი ნავიდა და ჩემებთან მისულს მომეჩვენა, რომ განწყობა საზეიმო უფრო იყო, ვიდრე სამგლოვიარო.

ნამდვილი სიკვდილი ცოტა ხანში თავის ფეხით მოვიდა, როცა ჩვენს სახლში იმ ქალმა შემოაბიჯა... ჩვენ მას ველოდით...

უკვე ყველა შეგროვდა: ჩემი ბიძები, ბიცოლები, ბიძაშვილები, ჩემი ძმა და მისი ძმაკაცები ფუსფუსებდნენ, იყო ხმადაბალი ბჭობა, რა, როდის და რა თანმიმდევრობით უნდა გაკეთებულიყო. კედლის გასწვრივ უკვე დალაგებულ სკამებიდან ერთ-ერთზე ჩუმად იჯდა ხელჯოხს დაყრდნობილი ძია გოგი. მარტოხელა მოხუცების სიკოხტავე უფრო მიჩუყებს გულს, ვიდრე მათი მოუვლელობა. თვალზე ცრემლი მომადგა,

როცა წარმოვიდგინე, პერანგს თვითონ როგორ იუთოვებდა. მივუჯექი და „ტელევიზორში გნახეთ“-მეთქი, ვუთხარი. ხელი ჩაიქნია, თითქოს გახსენებაც არ უნდოდა. ჩემი ძმის ბიჭებმა ნოხი მოიტანეს და შუა ოთახში დადგმულ ტახტს გადააფარეს, ყველაფერი მზად იყო. მხოლოდ ჩემი ძმის მიერ დამკრძალავ ბიურო „ჰადესიდან“ (კიდევ კარგი, ჩემი კლასიკური განათლების მქონე გოგოები ჯერ არ იყვნენ მოსულები, თორემ ამ დასახელებაზე ბევრს იქოთქოთებდნენ) გამოძახებულ „ბალზამიროვშიკს“ ველოდით. ამ პროფესიის ხალხს არასოდეს აქვთ სახელი, აქვთ მარტო ხელობა, რომლის დასახელება ყოველთვის ჩურჩულით წარმოითქმება. ისინი მოდიან, თავიანთ შემზარავ საქმეს აკეთებენ, მერე ჩვენს მიცვალებულებს აკოხტავებენ, აცმევენ დედაჩემის მიერ ნაპოვნ კოსტიუმს, რომელიც, ვიფიქრე, რომ დამდნარ ბაბუას უკვე ძალიან დიდი ექნებოდა... ვერავინ ვიფიქრებდით, თუ ამ ხელობის ადამიანი ქალი აღმოჩნდებოდა.

არავინ ელოდა ქალს და, მით უფრო, ახალგაზრდას. შემიძლია დავიფიცო, რომ ჩემზე რამდენიმე წლით პატარა მაინც იყო. მარტო მისი ქალობა არა, მისი ჩვეულებრიობა იყო შესაზარი. არ იყო საშიში იერის, არ ჰქონდა გაყინული თვალები, პირიქით, სხვაგან რომ მენახა, შეიძლება მასზე სიმპათიურიც მეთქვა, თუმცა სხვაგან არც შევამჩნევდი. ძალიან ჩვეულებრივი იყო – სადად ჩაცმული, დაღლილი და არა სულელი. ჰო, არ ჰქონდა სულელის გამომეტყველება. მგონი, კარგად გრძნობდა იმ შთაბეჭდილებას, რასაც მისი ვიზიტი ყველგან ახდენდა და ცოტა შეფერებულიც ჰქონდა. ცოტა ქედმაღლურად ეჭირა თავი და მხოლოდ „მიცვალებული სად არისო?“ – იკითხა. ყველა დაბნეული გაჰყვა ოთახის კარამდე და ოთახში კი მხოლოდ მე შევყევი, დანარჩენები ზღურბლს ვერ გადმოვიდნენ, ვერ გაბედეს, დაფრთხნენ. ავდექი და შევყევი უფრო მისი ქალობის, ვიდრე ბაბუის ხათრით, კიდევ ვიღაც შემოვიდა ოთახში და თავის მობრუნებაც არ მინდოდა, ვიცოდი, ძია გოგი იყო.

და რა საწყალი, როგორი დაბნეული. ეგეთი არასოდეს

მენახა. ისეთი დაბნეული იყო, რომ ოჯახური ისტორიების მოყოლა დაუწყო და კარგი ექსკურსიამძღოლივით ჩამოატარა შავ-თეთრი საგვარეულო პორტრეტები და ისიც, ისიც, განა, არ უსმენდა?! უსმენდა და თავსაც სწორ ადგილას უქნევდა, სრულიად ნორმალური და ადეკვატური ჩანდა. ღმერთო! – ვიფიქრე, – რა უნდა გაუჭირდეს ქალს, რა უნდა ჰქონდეს გადატანილი, რომ ეს ხელობა იკისროს? არ იყო არც სულელი და არც გომბიო. მეც ავიჭერი, რამდენჯერმე შევთავაზე ჩაი და ყავა, რამდენჯერმე მივიღე უარი. ძალიან მინდოდა მეჩვენებინა, რომ არ მძულდა და არ მეშინოდა მისი. რის სიძულვილი?! ძალიან მეცოდებოდა და შიშით ძალიან მეშინოდა. დაბნეული ძია გოგი კი უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარ შობადობის ბუმზე უამბობდა და ომიდან დაბრუნებული სიმონიკა ბაბუს მრავალშვილიანობას სწორედ იმ საერთო ოპტიმიზმის ილუზიით ხსნიდა, დიდი კატასტროფის დასრულების შემდეგ რომ მოიცვა მსოფლიო...

აქ კი უკვე გააწყვეტინა:

– წვერი დავუტოვო თუ გავპარსო?

მაგაზე არ გვიფიქრია, შემეძლო გავსულიყავი და მამისა და ბიძებისთვის მეკითხა, მაგრამ არ ვქენი – თვითონ შემოსულიყვნენ. ბაბუას წვერი უხდებოდა. დატოვეთ-მეთქი.

– კარგია, თორემ რა გაპარსავს ამისთანა ჯაგარს?!

და ბაბუას წვერზე მოქაჩა, რაღაცნაირად დაეჯაჯგურა, ოროსან ბავშვს უგულოდ რომ მოქაჩავს თმას მასწავლებელი და ამ დაჯაჯგურებაში იყო ყველაფერი და არც იყო არაფერი სიძულვილის გარდა, ადამიანების, გინდა ცოცხლების და გინდა მკვდრების მიმართ, საკუთარი თავის მიმართ, ჩვენი „მასტიკაწასმული" კეთილდღეობის მიმართ. კინაღამ მუხლები მომეკვეთა, კიდევ კარგი, რომ ცელოფნის პარკების და წყლის მოსატანად გამიშვა. იქ აღარც დავბრუნებულვარ, ჩემს ძმას გადავაბარე ეგ საქმე და ძია გოგის გამოყვანა ვთხოვე, თორემ ისე იყო მონუსხული, რომ შეიძლება ბოლომდე ვერ დასწრებოდა მის საქმიანობას.

ჩემს ყოფილ ოთახში ჩავიკეტე, ფანჯარა გავაღე და სიგარეტს რომ ვუკიდებდი, ხელები მიკანკალებდა. იმ საღამოს უკვე ძალიან გვიან გამოვედი ოთახიდან, ბედად, ჩემი გოგოები მოვიდნენ და იმათ გამართეს...

იმაზე უფრო ტრაგიკული სახეებით შემოლაგდნენ ოთახში, ვიდრე მეგობრის ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულ ბაბუას ეკუთვნოდა. გოგლა რომ ყოფილიყო ჩემ გვერდით, იხალისებდა. სასაცილოები არიან და საყვარლები, ესენიც უმეტესად უხერხემლო პროფესორების, დოცენტების და მათი ოდესღაც ლამაზი ასპირანტების შვილები. „მკვდარი ენების ცოცხალი სპეციალისტები" – ჩემი ქმრის მთავარი გასართობი. ყველაზე მეტად მათთან ერთად ტელევიზორის ყურებაზე ხალისობს, რადგან რაც არ უნდა ხდებოდეს – ომი, მიწისძვრა, წყალდიდობა, სხვა დიდი თუ პატარა, ლოკალური თუ გლობალური კატაკლიზმი, ესენი ჩვენს თავზე ან მთელს მსოფლიოზე დატეხილ ახალ უბედურებაზე მეტად დიქტორის რბილ ლ-ს ან გრამატიკულ უკულმართობას შეიცხადებენ და როგორ ერთობა ამაზე ტელევიზორთან წამოკოტრიალებული გოგლა: ისე წამოიკივლებენ, თითქოს გახურებული შანთით დადაღესო, „ქართული დიქციის და გრამატიკის უკანასკნელი მარტვილები", „დედაენის ბოლო ბასტიონები" და კიდევ რას არ ეძახის: ასირიოლოგები, შუმეროლოგები, ლათინური და ძველი ბერძნულის სპეციალისტები... ჩემი არარსებული შვილის ძიძები... – ერთადერთხელ წამოსცდა მაგარ მთვრალს და მაშინვე ენაზე იკბინა, მაშინვე გამოფხიზლდა, მაგრამ გვიან იყო. მთელი ღამე ვტიროდი. ვიცოდი, ნანობდა, მეცოდებოდა კიდეც, მას სულ არ ვსჯიდი, თუმცა თვითონ ასე ეგონა და აბაზანის კარზე რომ მიბრახუნებდა, მომაძახა კიდეც: ჩემს დასასჯელად თუ ტირი, გეყოფა, უკვე დასჯილი ვარო! დებილი! რა გოგლას დასასჯელად?! გასკდა რაღაც შიგნით და დილამდე ვიტირე...

ტელეფონი ამოვიღე და პირდაპირ „მიყვარხარ! მენატრებიში!" ვაფრინე მესიჯი: „გოგლა, ჩემო სიხარულო, დღეს გნახე

და უკვე მენატრები. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. შენი ბიჭებიც ამას ამბობენ. მალე ისევ ერთად ვიქნებით. დღეს სიმონიკა ბაბუ გარდაიცვალა. დაისვენა საწყალმა. აქ ვარ, ჩემებთან. ღამეც აქ დავრჩები. არაფერი მიჭირს. გვერდს დედაენის ბასტიონები მიმაგრებენ."

არაუშავს გამომივიდა...

გოგლას რა უნდა ციხეში? არ უნდა ჩამჯდარიყო. გოგლა აქ უნდა ყოფილიყო, უნდა ეტრიალა, ქელეხისთვის ცოცხალი და ღვინო ჩამოეტანა, დარბაზი ეშოვა, ეროხროხა, ეხმაურა და საკუთარი სიყოჩაღით თავისი „არაპრაგმატული" სიმამრი გაეოცებინა...

გამოვიყვანთ! – იძახიან იმისი ძმაკაცები და დრო კი გადის. ჯერ იმათ თავისი ფასი არ უთქვამთ, მერე ჩვენ ვეტყვით ჩვენსას. რა დრო დაგვიდგა, ეგეთ დარღვევებზე ადრე ერთ პურმარილს ვუშლიდით საგადასახადოს და ეგ იყო... ადვოკატმა ნახა, კარგად არის. მამამ ნახა – აზიარა, მოექცა ეგ კაცი, როგორც იქნა. აზრზე მოვიდა. მოქცეული და ნაზიარები გოგლა და მამაო, რომელიც თვალით არასოდეს მინახავს. ერთხელ დამირეკა და დანაბარები გადმომცა. ადრე გოგლას ძმაკაცების მამაო იყო, ახლა გოგლას მამაოც არის. მამაო (ამ სიტყვას მგონი აღარაფერი ეშველება, წოდებით ბრუნვაში დარჩა ქართულ რეალობაში – ჩემი გოგოების კიდევ ერთი წუხილი) შევიდა, მამამ ნახა, გოგლა ზონაზე გადაყავთ და იქ შეიძლება სცემონ – სცემენ ხოლმე ახლად შესულებს, მაგრამ მამამ იპოვა სხვა მამაო, რომელიც ზონის უფროსის მოძღვარი აღმოჩნდა, იმან დარეკა და არ სცემენ. კიდევ კარგი, მოვასწარით და მამაომაც იშუსტრა..."

გვიან გამოვედი. ბაბუა უკვე დიდი ოთახის შუაგულში ესვენა. მეც დავჯექი ცოტა ხნით ჭირისუფლებისთვის განკუთვნილ სკამზე. გოგოები ორივე მხრიდან მომისხდნენ, ხელები დამიჭირეს, ვითომ გამაკავეს, რამე სისულელე რომ არ ჩავიდინო თუ რატო? სულ გაგიჟდნენ ეგენი სიბერეში. უკვე აღარ მეცინებოდა, ძალიან დიდ სისულელეს ჰგავდა ეს ყველაფერი.

ერთი სული მქონდა, ყველა წასულიყო. როდის-როდის წავიდნენ კიდეც.

მერე ჩემს ყოფილ ოთახში ვცდილობდი დაძინებას. სიბნელეში ვიწექი, მარტო ვიყავი, ჩემ გარშემო ლურჯად ბნელოდა, მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ტანზე ქამარი... აჰა, მოვიდა, დაბრუნდა ჩემი ქალიშვილობის დროინდელი ეროვნული ეროტიკა – ნახმარი და სიბინძურეში ამოსვრილი. დაბრუნდაო, ვამბობ, ვითომ წასულიყო სადმე... და მანანაც... ეგ ორი რამ ყოველთვის ერთად, ორი ჩემი თავი... გოგლასაც ხომ იმიტომ გავყევი ცოლად, რომ ისიც მანანას ბავშვებიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა და ეგ მენიშნა სასიკეთოდ...

მანანა, მანანა! – თურმე ერთად ვყვიროდით ოდესღაც. ბევრი წლის წინ მანანამ იხვის ჭუკი დაგვიტოვა მისახედად და თვითონ სადღაც წავიდა. მე კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც ჩემი ერთადერთი კინოროლი ვითამაშე. სხვათა შორის, მერეც შემოუთავაზებიათ, მაგრამ არასოდეს აღარ მომნდომებია. მაშინ კი მშობლებმა მოგვკიდეს ხელი და თოჯინების თეატრში კინოს გადაღებაზე წაგვიყვანეს, მე და კიდევ სხვები. რეჟისორი, რომელიც იმ ფილმს იღებდა, ოჯახის ახლობელი იყო და როგორც თბილისში ხდებოდა ხოლმე, სულ ნაცნობების ბავშვები დაპატიჟა. მე ვხვდები, რომ ფილმი მოკლე და კეთილ ზღაპრად ჰქონდა ჩაფიქრებული, ჩემთვის კი სევდიანი რამ გამოვიდა. იქ ყველანი პატარები ვართ, საგანგებოდ ფილმისთვის გამოპრანჭულები, კარგები ვართ იმ სიკარგით, მხოლოდ ბავშვი რომ შეიძლება იყოს. ფარდის უკნიდან მელაკუდა ხტება და ჩვენთვის ჩაბარებულ იხვის ჭუკს მიაცუქცუქებს და ჩვენც გადიდებული, შეშინებული თვალებით მთელი ხმით ვყვირით – დასახმარებლად მანანას ვუხმობთ და მანანაც მოდის...

მანანა, მანანა, მანანა! – და იმ ბავშვებიდან რამდენი ცოცხალი აღარ არის და მარტო ბიჭები, არა – გოგოებიც, საწყლები. იმ ძველ, უდარდელ დროში (ესეც საბჭოეთის ნოსტალგია!) ასეთი პატარები, საყვარლები სულ მთლად ცოდოები არიან

საკუთარი ბედისთვის. მე ეგოისტურად ყველაზე უფრო მაინც საკუთარი თავი მეცოდება, ჩემი ბაფთები და მაქმანები, ნარმა-მიტკალი მიჩუყებს გულს... ჰოდა, ბავშვობის მერე ერთადერთხელ მოხდა, რომ ის ფილმი ხალისით და სევდის გარეშე ვნახე, როცა აღმოჩნდა, რომ პატარა გოგლაც იქ იყო გადაღებული. საიდანღაც კასეტაც იშოვა და ერთად ვუყურეთ, ერთმანეთს საკუთარ თავები დავანახეთ, ვიცინოდით და მაშინ ვიფიქრე, რომ ცოლად გავყვებოდი. ისეთ კაცად ჩანდა, რომლის ზურგს ამოფარებული დაცულად ვგრძნობდი თავს და არის კიდეც ასეთი. მამაჩემს არ მოსწონდა, გაუთლელად მიაჩნდა – კიდევ ერთი პლუსი! რაც მთავარია გოგლაც მანანას კლიენტი იყო, ოღონდ – გადარჩენილი, საღსალამათი, ცოცხალი, ყოჩაღი, ავკარგიანი...

– ჩვენი თაობის ნამდვილი სექსსიმბოლო იყო... – გამოაცხადა ჯერ კიდევ შავ-თეთრი კინოს დროინდელმა ვარსკვლავმა, არტისტულად მოიწმინდა თვალზე მომდგარი ცრემლი და იქ კი მთელ მოწყენილ პანაშვიდს გაეცინა, – დიახ, ნამდვილი სექსსიმბოლო!

მანამდე ძლივს ამოიყვანეს ჩვენს კიბეზე. „სექსსიმბოლო" – როცა ეს სიტყვა ჩვენში პირველად გაისმა, მას უკვე დიდი ხანია აღარ იღებდნენ. ერთადერთი, რის უფლებასაც ეკრანებზე საკუთარ თავს აძლევდა, ფილმის ბოლოს მხსნელი ვაჟკაცისთვის ლოყაზე ლოყის მიდება იყო, როდესაც ჩიხტიკოპიანს და დამორცხვებულს რაინდი თეთრი რაშით გაიყვანდა სამშვიდობოს... იმ რაინდებიდან აღარავინ იყო ცოცხალი. თვითონაც ანაქრონიზმად ჩანდა – ძალიან მოხუცი, არტისტული და გაპრანჭული. მაშინ გავიფიქრე, რომ ბაბუაჩემის სასიყვარულო თავგადასავლებზე არაფერი ვიცოდი...

სხვა ჩვეულებრივად მიდიოდა ყველაფერი – ლაყე ხელის ჩამორთმევები და უგულო კოცნები. ჭორაობა... „რას დამსგავსებია, საწყალი!" „შვილის ამბის მერე სულ მთლად მოტყდა." „ეგ მე ცოცხალი აღარც მეგონა..." და ა.შ. მამაჩემთან და ბიძებთან ვინ არ მოდიოდა?! მაშინ გავიფიქრე, რომ ამ

ჩვენს ქალაქში მთავარია, ქცევის რაღაც ელემენტარული წესები დაიცვა და ყველაფერი გეპატიება. მოდიოდნენ ძველები, რომლებიც სულ არ ჩანდნენ მამაჩემის მიერ ორდენის მიღებაზე განაწყენებულები, ბოლო-ბოლო ყველამ იცოდა, რომ სიძე ჰყავდა ციხეში და ალბათ თვითონაც ვერ იტყოდნენ ჯილდოზე უარს, ვიღაცა ყველას ეყოლებოდა დაჭერილი თუ არა – დასაჭერი მაინც. მოდიოდნენ ახლები, როგორც ორდენოსანთან და სანიმუშო მოქალაქესთან და მისი მამის ხსოვნას მიაგებდნენ პატივს. პანაშვიდზე ყველა თანაბარი იყო, ერთ სივრცეში აღმოჩენილი მოსისხლე მტრები ხელსაც კი ართმევდნენ ერთმანეთს და პატარა დისკომფორტი მხოლოდ იმაზე ეტყობოდათ, რომ სასწრაფოდ თავისიანებს ეძებდნენ, იმათთან დაჯგუფება ერჩივნათ. ერთმანეთის საპირისპირო კედლებთან შექუჩებული ძველები და ახლები და შუაში ბაბაუჩემის კუბო. ნეტა, „მიყვარხარ, მენატრებიში" რომ მიმემესიჯებინა ბაბაუაჩემის პანაშვიდი „ვესტსაიდურ ამბავს" ჰგავს-მეთქი, გოგლა თუ მიმიხვდებოდა. მგონი – ვერა, თუმცა გოგლასებური ღადაობა კი გამომივიდა. სამბარუმბა-ჩაჩაჩა! არა, მეშლება – ფილმში მამბო იყო. მართლა წარმოვიდგინე, მამბოს ჰანგებზე როგორ აცეკვდნენ ბაბუაჩემის კუბოს გარშემო წრეზე მოსიარულე ძველები და ახლები, ადგილობრივები და პუერტო-რიკოელები, „კარენნოები" და ჩამოთრეულები, თეძოების რხევით ერთმანეთს გვერდი აუარეს, ერთმანეთის პარტნიორობა აიცილეს და საპირისპირო კედლებთან მივიდნენ, დამწკრივდნენ, შემოტრიალდნენ – მამბო!

ოლონდ რა შუაში იყო ამ ყველაფერთან ბაბაუჩემი?

ღამღამობით ბევრს ვფიქრობდი მასზე – ჩემს მშველელზე. ბევრი წლის წინ გაუბედურებული და გათახსირებული გამოვიქეცი ჩემი პირველი ქმრის სახლიდან და შველა მას ვთხოვე. არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგო, რომ მომიტაცეს – უთხრეს, რომ გავიპარე და ბოლომდე ასე ეგონა. გაპარვა კი არ მაპატია, არ მოვიდა ახალ ოჯახში ჩემს სანახავად, ხოლო

როდესაც ჩემებთან გადმოგვიპატიჟეს, მხოლოდ მან ერთადერთმა გაუსწორა თვალი სიმართლეს და თავის ახალ სიძეში ჩვეულებრივი მანიაკი ამოიცნო.

გვერდზე გამიყვანა და მკითხა:

– კარგად ხარ მაგათ სახლში?

თავი დავუქნიე, კარგად ვარ-მეთქი...

– ეგ შენი ვაჟბატონი არ მომწონს, – არ იცოდა მიკიბ-მოკიბვა. – თუ იქ ვინმემ გაწყენინა, დაბრუნდი. აქ არის შენი სახლი.

რატო არ მოგწონს ბაბუ-მეთქი? – ღიმილით ვკითხე.

– რაც აქ იჯდა, ერთხელაც არ შემოუხედია თვალებში. ეგ არ არის ჯანმრთელი კაცი...

არც მაკოცა, არც მომეფერა. არც ველოდი რამე მსგავსს, მაგრამ მთავარი მითხრა. სახლი მქონდა და სახლში მელოდნენ. ვიღაცამ მაინც დაინახა, ჩემი უბედურება თუ არა, იმ ადამიანის ავადმყოფობა, ჩემი ქმარი რომ ერქვა... უკვე შემეძლო გამოვქცეულიყავი, მხოლოდ შიშიღა დამრჩა გადასალახი, თორემ არც ცხრაკლიტული მედო და არც ბოროტი დედაბერი მდარაჯობდა...

ბაბუამ გამაბედვინა და ბაბუამვე დამიცვა, რაცა წასაყვანად მომაკითხეს. ვიცოდი მომაკითხავდა, ვიცოდი, ეგრე ადვილად არ დამანებებდა თავს. ზამთრის ღამეში, სიბნელეში, პირდაპირ ეზოდან დაიწყო ჩემი სახელის ღრიალი და გინება...

ახლა ბაბუა შუა ოთახში ესვენა და უცხო ხალხი მის გარშემო წრეზე დადიოდა. მოკვდა და დაისვენა საწყალმა. ეგ იყო და ეგ?! სულ უცხო ხალხი, მთელი ჩვენი ქალაქი, რომელსაც იმდენი ჰქონდა გადატანილი, მონელებული და ასხლეტილი, რომ ას წელიწადს მიტანებული კაცის სიკვდილს ნამდვილად ველარ შეიმჩნევდა. უბრალოდ, პირობითობები უნდა დაცულიყო, წესი აღსრულებულიყო და მაქეთკენ მიდიოდა კიდეც ყველაფერი...

კარის ჩარჩოს მიყუდებული ძია გოგის დანახვა მამშვიდებდა. გავიხედავდი და იდგა, უხმოდ, გაუნძრევლად. ჩემი ძმა ან რომელიმე ბიძა მივიდოდა, არ მესმოდა, მაგრამ ვხვდე-

ბოდი, დაჯდომას და მოსვენებას სთავაზობდნენ. მხოლოდ თავს გააქნევდა უარის ნიშნად და ისევ იდგა, გაუნძრეველი და რაღაცნაირად მნიშვნელოვანი – ყველაფერი ცოტ-ცოტა და საერთო ჯამში არაფერი. მაშინ ვიფიქრე, რომ მის ხელში კარტი არასოდეს მენახა და ვერც წარმოვიდგენდი, სათამაშო მაგიდასთან როგორ გამოიყურებოდა. პოკერისტის რომანტიკული შარავანდედით მოსილი წიგნის ჭია, დიდ მეცნიერობას რომ უწინასწარმეტყველებდნენ და არც ერთი ნაშრომი რომ არ მიუყვანია ბოლომდე, უცოლო და უშვილძირო მექალთანე... მახსოვს, ჩემს ღრმა ბავშვობაში მამაჩემი ბაბუის ზურგს უკან დისიდენტებთან ურთიერთობისთვის ლანძღავდა, ახლა ის აქვს სალაპარაკოდ: რანაირი დისიდენტი ეგ იყო, ერთხელაც არ მჯდარაო...

და ალბათ, როგორ გაუძნელდა მისთვის დახმარების თხოვნა, მაგრამ როცა გაგვიჭირდა, სწორედ მას მიმართა. გოგის უნდა დავურეკოთ! – თქვა და მუხლზე დაირტყა ხელი. „ზაუერის“ ორივე ლულას ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა და თოფით ხელში ოთახში შემობრუნებული სიმონიკა ბაბუა ისეთი ვესტერნის გმირს ჰგავდა, გოგლა რომ გიჟდება და ძალით რომ მაყურებინებს ხოლმე – საკუთარი ოჯახის ან ქალაქის დასაცავად იარიღის ხელში ამღებ მოხუც შერიფს. მაშინ ჯერ წვერს არ ატარებდა, მხოლოდ ჭაღარა ულვაში ჰქონდა, ბებიაც ცოცხალი იყო და ისიც დამფრთხალი ქოთქოთებდა ოთახის კუთხეში.

– გვესვრიან, ბოზიშვილი ვიყო!

ბაბუამ აივნიდან გაუხსნა ცეცხლი ჩემს წასაყვანად მოსულ არეულ ლანდებს. მერე ისინიც ისროდნენ, ქვევიდან, სიბნელიდან. ოთახში შემოვარდნილი ერთი ტყვია, რამდენიმე დღის მერე ვნახეთ კედელში. დანით კედლიდან ამოღებული და კმაყოფილებით ბაბუის ხელისგულზე დასვენებული სულ არ გამოიყურებოდა საშიშად. ბაბუა არ მოხრილა, არც შემკრთალა, მას მე ზურგიდან ვხედავდი. თოფს ხსნიდა და გასროლილ ჰილზებს ახლებით ანაცვლებდა. როგორ მინდოდა, რომ მოეკლა, დაეხოცა, გაენადგურებინა... მაგას წიწილები

ხომ არ ვეგონეთ, საფანტი რო დაგვიშინაო. ოჰ, ეს შერიფი! ზამთრის ქურთუკებში გატანილ, ძალადაკარგულ საფანტს ერთმანეთს ზურგებიდან ბინძური მუწუკებივით თითების დაჭერით აცლიდნენ თურმე. ეს ბოლო რამ იყო, რაც მათზე გავიგე და მორჩა, დამთავრდა ყველაფერი, რადგან ძია გოგიმ ყველაფერი მოაგვარა.

მან და კიდევ ერთმა გამხდარმა, შავმა და შავსათვალიანმა კაცმა, რომელიც ჩვენთან მოიყვანა და ბაბუასთან ერთად სამთა თათბირი გამართეს. მე ისინი არ მინახავს, ჩემს ოთახში ვიყავი ჩაკეტილი. მათი წასვლის მერე უჩვეულოდ ატკრიაცებული დედაჩემი, მამას რომ არ გაეგონა, ჩურჩულით ყვებოდა: ძალიან გალანტური კაცი იყო, რომ მიდიოდა ხელზეც მეამბორა და ასე მითხრა: ბედნიერი ვარ, ასეთ ოჯახს რომ შემიძლია დავეხმაროო, მერე წიგნების თაროებს მოავლო თვალი და დაამატა, ნეტა, მეც წიგნები მეკითხა თავის დროზეო...

და დამთავრდა, ასე, სულ ადვილად, ერთი ხელის მოსმით, ერთი დალაპარაკებით, შავსათვალიანი შავი ბიძის ერთადერთი სიტყვით. არც ვიცი, რა მოხდა, როგორ იყო, ის კი ვიცი, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამქრალი ადამიანი, რომელსაც კორექტულობის გამო დღემდე ჩემი პირველი ქმარი ჰქვია, სადისტის გარდა, ლაჩარიც იყო.

და რა ადვილად მომიგრიხა კისერი? ჩემი ძმა მაშინ ინგლისში სწავლობდა, „ბიჭია და ამ არეულ დროში შარს არაფერს გადაეყაროსო." მე გოგო ვიყავი და არაფერი მემუქრებოდა. სულ ადვილად მომერია, სულ ადვილად დამაჩმორა! კორექტულობა რომ არა, მე ოთხში ფეხაკრეფით შემონოდებული დედაჩემის ბულიონის ანაბარა არ დავრჩებოდი და ფსიქოლოგებთან და ფსიქიატრებთან ვიქნებოდი სატარებელი. პირველად რომ დამარეკინა სახლში და დედაჩემს დამალაპარაკა და სად ხარ შვილო? როგორ ხარო? ერთადერთი რამე ვუთხარი: გავბედნიერდი... და მეტი ვერ შევძელი, ტირილი დავიწყე და დავიჯერო, დედაჩემი ვერ მიხვდა, რა დღეშიც ვიყავი? მიხვდა და მამა არ შეაწუხა, არ ჰქონდა მისი იმედი. „ქმარმა" კი იმ ტირილის

გამოც მცემა. ყველას დაგიხოცავო, მემუქრებოდა... მაგისი არ მეშინოდა, სხვა რამის მეშინოდა – მამას სიმართლე რომც გაეგო, მაინც არ მოკლავდა, ვერაფერს იზამდა, თოფს კი არა, რაგატკასაც ვერ დაახლიდა...

ვითმენდი, სანამ შემეძლო. ვიყავი მხოლოდ პატარა გოგოშკას საყვარელი ეროტიული ლექსების ანაბარა. თუმცა, ნებისმიერი რამ გამოდგებოდა. მაგას მივხვდი – უსაშველოდ დიდხანს თუ იმეორე რაღაცა, შამანივით ტრანსში ვარდები და გადიხარ. არ ვიცი, რა ჰქვია იმას, სადაც გადიხარ, მაგრამ გადიხარ და საშველია – ისეთი საშიში აღარ არის არც ტკივილი და არც სირცხვილი. მე ის ლექსები მქონდა – კაცის მიერ დაწერილი ქალური ლექსები, რომლებიც მუდამ მიყვარდა, ჩემს შტერულ ფანტაზიებში რაღაც მსგავსი მელოდა. მერე რამდენი რამე წავიკითხე და გავიკითხე იმის დამწერზეც. ისიც კი მომეჩვენა, რომ შემთხვევით არ ამირჩევია თავშესაფრად მისი ლექსები. ის და მისიანებიც მოსპეს. რას ერჩოდნენ? ვის რას უშავებდნენ? უდარდელი პეპლებივით ცხოვრობდნენ, თავზე ჰქონდათ დამხობილი ჯერ ქუთაისი და მერე – თბილისი. ფული რომ გაუთავდებოდა, მამას წერილს მისწერდა და თავს აცოდებდა: დასაკლავი მოზვრის თვალები მაქვსო და ჭრიდა. მამა უგზავნიდა და უგზავნიდა. ან ის და ტიციან ტაბიძე ავლაბარში ადიოდნენ მთვრალები და ოვანეს თუმანიანს ქვევიდან ეძახდნენ: ოვანეს, შენა ხარ ყველაზე დიდი პოეტი, ოვანეს! ყველაზე დიდი ხარ, ოვანეს! ესეც ჭრიდა – მოხუცი სომეხი ღიმილით გამოაღებდა ფანჯარას და ამოდითო – ეტყოდა, სუფრას გაუშლიდა და ფულსაც აძლევდა. ეცოცხლათ, ვის რას უშლიდნენ? სტალინს, ლენინს, პარტიას უწერდნენ ლექსებს, ოღონდ ეცოცხლათ. ძმა ოცდაოთხ წელს დაუხვრიტეს, თვითონ ოცდაჩვიდმეტამდე გაქაჩა...

მე დღემდე ვქაჩავ. საწუწუნო არაფერი მაქვს. ოჯახიც მყავს, ქმარი სროკზე – კლასიკური ვარიანტი. ის ლექსები კი დღემდე მახსოვს, უსასრულოდ შემიძლია ვიმეორო, ვიმეორო, ვიმეორო და გავიდე...

იქ სადაც სდუმან პირამიდები მზის ქორწილის დროს...

ერთადერთი ნათურა, სილით დამწვარი ლოყა და აბლაბუდა ჭერში...

მე დავწვები მზისფერ სილაზე იქ სადაც სდუმან პირამიდები შენ მომინდები...

ფხრეწის ხმა და ეგეთ კაბას ასს გიყიდი კიდე...

შენ მოგაფრენს ცხენი არაბული თვალებდანაბული...

რუსი მხატვრის ივან კრამსკოის უცნობი ქალბატონი მიყურებს კედლიდან სირცხვილი არ არსებობს, ოღონდ მალე დამთავრდეს ყველაფერი...

საყვარელ ხელებს მივეცემი როგორც ნაზ საწოლს...

ჩემი კბილები ჩემსავე მუშტად შეკრულ ხელზე არც ტკივილი არსებობს ოღონდ მალე დამთავრდეს ყველაფერი...

და შენ დამკოცნი ვით დედოფალს ვით მონას და ცოლს.

უზარმაზარი ტარაკანა კრამსკოის ქალბატონის ქვეშ...

სილიან ტანით მდინარისკენ გავეშურებით, მწვანე ტალღებში დავიოკებთ ჩვენ ღელვას ალურს.

ჩემზე მომჩვარული, მერე ვაი-ვაგლახით წამოზლაზნილი სხეული და ვსო ჩემი ცოლი ხარ სხვა გზა არ დამიტოვე თუ გიყვარს ძალის გამოყენებაც უნდა შეგეძლოს ადნაჟდი ვ ამერიკე ხო ნანახი გაქვს?

და მე მჩატედ ვიწევი ჩემი საპანაშვიდე სკამიდან და შევდივარ იმ ოთახში, თითქოს ვგრძნობ, რომ იქ რაღაც ან ვიღაც უნდა დამხვდეს...

შევდივარ.

გასვენების წინა ღამეს ისევ ვაბიჯებ იმ კარის ზღურბლს, შევდივარ ბაბუაჩემის ოთახში, რომელშიც იმ ქალის მოსვლის მერე არ შემიხედავს. ლოგინსა და კედელს შორის ისევ მოჩანს ზაუერის დროისგან დაძენძილი შალითა და ლოგინთან ხელჯოხზე დაყრდნობილი ძია გოგი ზის. სულ არ მიკვირს. კარს ვიხურავ და წინ ვუჯდები – ბაბუაჩემის ლოგინის შიშველ ზამბარებზე.

– მაშინ, ძია გოგი, მე ფეხმძიმედ ვიყავი...

ამომხედა. რას ვერჩოდით ამ კაცს? ყველა მას რატომ უყვებოდა ყველაფერს?

– მე ორსულად ვიყავი. აბორტი გავიკეთე... ექიმები მეუბნებიან, მაგის გამო აღარ მიჩნდება შვილი... ვერ გავაჩენდი. იმის შვილს ვერ გავაჩენდი! შვილი მოვუკალი, დავუბრიდე...

ამ ბოლო სიტყვამ ყველაფერს, სულ ყველაფერს მიახვედრა და უმწეოდ ჩააქინდრინა ჭაღარა თავი. მაშინვე მივხვდი, რომ ყველაფერი გაიგო. იმას კი ვეღარ მივხვდი, რას ვერჩოდი? რაღა ამას – ყველაზე ნაკლებად დამნაშავე მოხუცს. კარგა ხანს ჩუმად ვიყავით, ოღონდ არ იყო გაუსაძლისი სიჩუმე, მერე ამომხედა.

– ელენე, რაღაც მინდა, რომ მოგიყვეთ. გაქვთ მოსმენის თავი?

თავი დავუქნიე და მოვისმინე ამბავი, რომელიც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ასე დალაგებულად ვერ მიამბობდა. წინადადებებზე ეტყობოდა, ბევრჯერ ჰქონდა ნაამბობი და ხმამაღლა კი პირველად ჰყვებოდა. რადგან მოვახერხე და მის ამბამდე მივედი, მე თვითონ მეტს არაფერს დავამატებ, თითქმის რომ არაფერს... მე უხმოდ ვუსმენდი, ბაბუაჩემის ცარიელ ოთახში ვისხედით და ოჯახური პორტრეტების გარდა არავინ იყო ჩვენი გამგონე, ერთადერთხელ შემოიხედა მამამ და სასწრაფოდ გავიდა, თითქოს ოთახის კარი შეეშალაო, მეტი არავინ შემოსულა. ძია გოგი კი ყვებოდა და ყვებოდა, თითქოს უფროს-უმცროსობით სიმონიკა ბაბუასგან ესტაფეტა გადმოგვეცაო, და ამ ოთახში ახლა ის გახდა მთხრობელი, მე კი – მსმენელი...

– ელენე, გაგიგიათ, მამაჩემი რომ ახალდაქორწინებულთა ფაეტონს დაესხა თავს. ჰო, ჩვენს სანათესავოში ეგ ამბავი ყველამ იცის ანეკდოტივით, არის კიდეც ანეკდოტი. მაგ ამბავს სიმონიკაც ღიმილით ყვებოდა ხოლმე. თუმცა ცდილობდა არ მეგრძნო, მაგრამ ვიცოდი, მამაჩემი არასოდეს ყვარებია, თვლიდა, რომ იმ ხნის კაცს თავისზე ლამის ორჯერ უმცროსი ქალი არ უნდა მოეყვანა ცოლად. მამაჩემმა ხომ ჯერ

კატორღა მოიხადა, მერე დაბრუნდა და როდის-როდის დედა ითხოვა, სულ რამდენიმე წელი იყვნენ ერთად... წუწკი იყოო, – ერთხელ ბაბუათქვენს წამოსცდა. მე სიმონიკაზე არასოდეს გავბრაზებულვარ და, მით უმეტეს, მამაჩემთან დაკავშირებით. არც მქონდა ამ საკითხზე გაბრაზების უფლება, რატომ? სწორედ ეგ მინდა რომ მოგიყვეთ...

ოღონდ, შორიდან უნდა დავიწყო, იმ ფაეტონზე თავდასხმით... მამას ის გოგო უყვარდა, ალბათ, იმასაც მოსწონდა, მაგის საბუთიც მაქვს... შეიძლება, იმის მხრიდან არც ისე სერიოზულად იყო ყველაფერი, ან იქნებ იყო და, უბრალოდ, არ გააყოლეს. ის თავადის ქალი იყო, მამა – იმერეთიდან რკინიგზის ხაზს ჩამოყოლილი პროვიზორის შვილი, თუმცა გიმნაზიადამთავრებული და კარგი იერის ახალგაზრდა კაცი. მოკლედ, ქალი სხვას გააყოლეს და მამა მაყრიონს ჩაუსაფრდა, რევოლვერით ხელში შუა გოლოვინის პროსპექტზე აახტა ნეფე-პატარძლის ფაეტონს. სამჯერ გაისროლა და თითო ტყვია ყველას დაახალა, ერთი – ნეფეს, ერთი – პატარძალს და მესამე თვითონ იკრა მკერდში და, როგორც თქვენც იცით, სამივე გადარჩა, სამივე... ანეკდოტია, აბა, რა არის?!

მამა მოარჩინეს, გაასამართლეს და კატორღაში უკრეს თავი. თითქმის ათი წელი იყო იქ, სანამ რევოლუციები და გასაბჭოება მოუსწრებდა, მერე გაათავისუფლეს – ბოლოს და ბოლოს კლასობრივ მტრებს ესროლა... მე მამა არ მახსოვს, როცა მოვიდნენ და წაიყვანეს, სამი წლის ვიყავი. ვიცი, რომ ჩემთვის მძინარისთვის უკოცნია. არ მახსოვს, არც ის კოცნა მახსოვს და საერთოდ არაფერი...

აი, ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ წლების, ათწლეულების მანძილზე გოლოვინზე მომხდარი სროლის ამბავი თითქმის ერთადერთი რამ იყო, რაც მამის შესახებ ვიცოდი. ამ ამბავს ყვებოდნენ, ჩემი ფაქტობრივი აღმზრდელები, ჩვენი მეზობლები – ვალიკო ღლონტი და რაჟდენ საყვარელიძე და ყვებოდნენ სულ სიცილ-ხარხარით, ჩემი თანდასწრებით, რო ეგეთი მაგარი იყო მამაშენიო. ოღონდ დედაჩემთან არა-

სოდეს მოუყოლიათ, დედაჩემის, მგონი, ეშინოდათ კიდეც... დარწმუნებული ვარ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ეს ამბავი, რომელიც იმდენი ვიტრიალე გონებაში, რომელზეც იმდენი ვიფიქრე, სანამ ისტორიამ სრულიად ეპიკური სახე არ მიიღო. რევოლვერით შეიარაღებული მამა უსასრულოდ, გაუთავებლად ახტებოდა გოლოვინზე მიმავალ ფაეტონს. მრისხანე და ლამაზი იყო. ეგ სურათი დღემდე არ გახუნებულა, ოღონდ იცვლებოდა ხოლმე, მე თვითონ ვცვლიდი რაღაც-რაღაცეებს. როცა წამოვიზარდე და რაღაცეები გავიგე იმ წლებზე, ძალიან არ მომინდა, რომ მამას ნაგანის სისტემის რევოლვერი სჭეროდა ხელში. ნაგანისთვის მეცოდებოდა, ნაგანით ხომ სიკვდილმისჯილებს კლავდნენ და უგზოუკვლოდ გამქრალი მამაჩემის ხვედრიც ალბათ კეფაში ნაგანის ტყვია იყო და აი, ერთხელაც ვალიკო ღლონტმა კინოთეატრ „აპოლოში" წამიყვანა პირველ შავ-თეთრ ვესტერნზე – ჯონ ფორდის „დილიჟანსზე", რომელსაც საბჭოთა გაქირავებაში ერქვა კიდევ უფრო მაგარი სახელი: „მოგზაურობა სახიფათო იქნება". საოცარი სანახაობა იყო მაშინ ის ფილმი. საფოსტო ეტლს ინდიელები მისდევდნენ, ეტლში კი მთელი ახლად დაბადებული ამერიკა იჯდა – კეთილშობილი მეძავი, ბანკირი, შერიფი, მღვდელი, რომელიც შეთავსებით კომვოიაჟერიც იყო, ლოთი ექიმი, გაგიკვირდებათ და ერთი პოკერის მოთამაშეც იყო, ორსული ქალი და, რაც მთავარია, სულ ახალგაზრდა ჯონ უეინი ვინჩესტერით ხელში. ვალიკომ მითხრა, რომ ეს არის ჰენრის სისტემის ვინჩესტერი, ეს კიდევ კოლტი, ეს კიდევ სმიტი და ვესსონის რევოლვერიო და საიდან იცოდა ამ კაცმა მაშინ ამდენი, ჩემთვის დღემდე საიდუმლოა. მე სმიტ-ვესონი მომეწონა, შესახედავად და სახელითაც და მამა სმიტ-ვესონით შევაიარაღე, ის დავაჭერინე ხელში და გაქანებულ ფაეტონზე ამ კოხტა სახელის და იერის რევოლვერით ხელში შემხტარი მამა კიდევ უფრო ლამაზი და მრისხანე გამოჩნდა...

მამასთან დაკავშირებული ერთადერთი დოკუმენტი დედაჩემის სიკვდილის მერე ვიპოვე და იცით, რა აღმოჩნდა? გაყ-

ვითლებულ ქაღალდზე ლურჯი ქიმიური ფანქრით დაწერილი პატარა ბარათი – იმ პატარძლის, პატარა თავადის ქალის ხელწერილი, თანხმობა თუ დაპირება უპასუხისმგებლო ფლირტზე, ან სულაც წაგებული ნაძლევი, ფანტი ან რამე მსგავსი... ბარათი ახლაც ზეპირად მახსოვს:

Я, княжна Екатерина Георгиевна Накашидзе даю настоящую подписку гражданину Антону Николаевичу Сванидзе в том, что начиная с 17-летнего возраста обязуюсь целовать его по первому требованию.

და ქვეშ თარიღი...

• "იცით, რამდენი ხანი მეჭირა ის წერილი ხელში. არც კი ვიცი, რამდენჯერ გადავიკითხე. იმ გაყვითლებული ფურცლის ნაგლეჯიდან მთელი ეპოქა დამეტაკა, თავადი, მოქალაქე, ფლირტი, ქორწილი, რევოლვერი და რაც, მთავარია, დედა... მე ასე მგონია, რომ იმ ხელწერილს მამა სადღაც ძალიან გულდასმით მალავდა, ისეთ ადგილას, რომ ჩხრეკისას იმათაც ვერ მიაგნეს, ან არადა, გადააბრუნეს სახლი, ყველაფერი წაიღეს, ყველა ფოტო, ყველა საბუთი. უკვე მერე დედამ სადღაც შემთხვევით იპოვა მისგან დამალული ეს ხელწერილი და შეინახა... არ დაწვა, არ გადააგდო, ვინ იცის, რამდენი ხანი ატრიალა ხელში? ალბათ, კიდევ ჩემზე უფრო დიდხანს... ვერ წარმომიდგენია, რომ ეტირა, უფრო ჩემსავით ქაღალდის ნაგლეჯით ხელში გაქვავებულს ვხედავ...

დედა რომ გარდაიცვალა, მე უკვე სტუდენტი ვიყავი. ეს ჩემი ამბავიც ამაზეა – გარდაცვლილ დედაზე, არასოდეს ნახულ მამაზე, ჩვენს სამეზობლოზე, ჩემს სახლზე, თქვენც რომ ბევრჯერ ყოფილხართ, სიმონიკა ბაბუს რომ მოჰყავდით ხოლმე ხელჩაკიდებული. მე სხვაგან არასოდეს მიცხოვრია და იმედი მაქვს, აღარც მომიწევს. ჩემს ასაკში გვიანია ადგილის შეცვლა, ის სახლი ჩემთვის ყველაფერია – ჩემი ბავშვობაც, ჩემი ობლობაც, ჩემი თავგადასავლებიც, ჩემი ბიბლიოთეკაც და ჩემი სირცხვილიც, მაგრამ რასაც გიამბობთ, ეს მხოლოდ სირცხვილი არ არის, არც ტრაგედია, რაღაცა უფრო მეტია,

ვიდრე ან ერთი, ან მეორე... ჩემთვის ამის მოყოლა მნიშვნელოვანია, წელან გადავწყვიტე, რომ თქვენთვის მეამბა, თუ უკვე არ დაგღალათ ბერიკაცის ლაყბობამ... არა?

ჰოდა, არავის არ ყოლია ისეთი უცნაური სამეზობლო, როგორიც მე მყავდა. იმ ხალხისგან და მათი შთამომავლებიდან ჩვენს სახლში მხოლოდ მე დავრჩი. ჩემი შეგნებული მეხსიერების დასაწყისი სამამულო ომის დაწყებას ემთხვევა და ყველაფერი სასწაულად კარგად მახსოვს. დანარჩენი უფრო ძველი ამბები – მხოლოდ ფრაგმენტულად. ჩვენი სართული იყო რეპრესიებს გადარჩენილი „მავნე ელემენტების" ნამდვილი ბუდე, ჩვენი დიდი ხის აივანი იმათი და მათთან ერთად ჩემი შეკრების ადგილი. ჩვენ ვიყავით ყველაზე უცნაური სამეული მე – ექვსი წლის ბავშვი და ვალიკო ღლონტი რაჟდენ საყვარელიძესთან ერთად. ერთი ლაწირაკი და ორი შუა ხნის მამაკაცი. მხოლოდ აივანზე არა, ყველგან თან დამათრევდნენ – კინოში, კიროვის პარკში... ვინ იცის, სად აღარ? კიდევ ჩვენს სართულზე ცხოვრობდა ასევე დახვრეტილი კოჭლი ამილახვრის (სულ ასე იხსენებდნენ, თითქოს სახელი არა ჰქონია იმ კაცს) უშვილო ქვრივი დეიდა მარიამი, რომელიც სტენოგრაფისტი იყო და სახლშიც ბევრს მუშაობდა. მისი ფანჯრებიდან გამოსული საბეჭდი მანქანის რაკარუკი არის ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მთავარი ხმა. საინტერესო კონტინგენტი იყო. რაჟდენს ჰყავდა ცოლი და უკვე წამოზრდილი შვილები. ვალიკო მარტოხელა იყო და მარტოხელაც გარდაიცვალა. ჩვენი სართული იყო სულ „კონტრა", ოღონდ ყოვლად უმაქნისი და უპასუხისმგებლო. ერთი სართულით ქვევით კი ჩვენი მფარველი დემონი ცხოვრობდა...

ჩვენები – ვალიკო და რაჟდენი ისეთებს ლაპარაკობდნენ, რომ იმის მეასედზე ქრებოდა ხალხი, მგონი თვითონაც ხვდებოდნენ, ვინ იცავდათ და ვისი წყალობით იყვნენ ცოცხლები, ოღონდ ამას არ იმჩნევდნენ. კიბეზე შეხვედრისას დემონსტრატიული სალამი – არტისტულად გამომწვევიც კი, ქვედა მეზობლის მხრიდან კი მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი თავის დაკვრა და სულ ეგ იყო მაგათი ურთიერთობა...

ომი სულ ახლოს იყო, გერმანელები კავკასიას იყვნენ მომდგარები. ჩვენი კონტრა გააქტიურებული იყო, ოღონდ ეს აქტიურობა რაში გამოიხატებოდა? ხანდახან თბილისის ცაზე ძალიან შორს გამოჩნდებოდა ხოლმე გერმანული თვითმფრინავები – ძირითადად მზვერავები. ესენი სასწრაფოდ შევარდებოდნენ ამილახვრის ქვრივთან და იმისი თეატრალური ბინოკლი გამოჰქონდათ აივანზე, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ, მეც გამახედებდნენ ხოლმე. ესე, მიაჩერდებოდნენ ცას და დაიწყებდნენ, რომ წასულია გორელი კინტოს საქმეო. საყვარელიძე უფრო რუსულენოვანი იყო, „გორიისკი კინტო" – ასე ამბობდა. აბა, რაო, – ღლონტიც დაუმოწმებდა – გერმანელებს ისეთი გენერლები ყავთო: მანშტაინი, გუდერიანი, პაულიუსიო, – დღემდე არ ვიცი და ვერც წარმომიდგენია, საიდან იცოდა იმათი სახელები... ამილახვრისეულ ლორნეტში გერმანულ თვითმფრინავებსაც კი სცნობდა და იმათაც ასახელებდა და ამას ექვსი წლის ბავშვის თანდასწრებით ლაპარაკობდნენ.

მართალია, ერთხელ დედაჩემმა ორივე მაგრა დაცეცხლა ჩემთან ამეების ლაპარაკისთვის, მაგრამ არც თვითონ იყო ნაკლები. ომის პირველივე დღეებში წიგნების კარადიდან დამტვერილი გერმანელი კლასიკოსები გადმოალაგა, საგულდაგულოდ გაწმინდა და დიდი კულტურის ხალხი მოდისო – გამოაცხადა. ესეც ჩემი თანდასწრებით, არადა, თავისივე ღვიძლი ძმა, ბაბუათქვენი სიმონიკა, ომის პირველივე დღიდან ფრონტზეა და ლომივით იბრძვის, გმირობას გმირობაზე ჩადის...

აი, ეგეთ უცნაურ გარემოში ვიზრდებოდი... მაგალითად, არის აზრი, რომ პოკერი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დროს შეიტანეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა და მერე იქიდან ჩვენთანაც მოხვდა. ტყუილი! პოკერს მე ღრმა ბავშვობიდან ვთამაშობდი ორ დიდ, გულუბრყვილო და უპასუხისმგებლო კაცთან ერთად და მესამე მე ვიყავი. იმ ჩემი აღმზრდელებისთანა ხალხი აღარასოდეს შემხვედრია. დღემდე იქ რომ არ

ვცხოვრობდე, სიზმარი მეგონებოდა ყველაფერი და არ დავიჯერებდი, რომ ასეთი სახლი როდესმე არსებობდა...

კიდევ გვქონდა პიანინო, რომელზეც ყოველ დილით დედა ერთი საათი მაკვრევინებდა. ეგ იყო ჩემი სატანჯველი. ჩემი დაკვრის დრო გენერალი თხელიძის სახლში დაბრუნებას ემთხვეოდა. სამუშაოდან მოსული ჩემი მუსიკის ქვეშ იძინებდა. არასოდეს დასცდენია საყვედური, რომ დაძინებაში ხელს ვუშლიდი. პირიქით, დედაჩემს ერთხელ კიბეზე შეხვდა და უთხრა, რომ ბავშვს ნიჭი აქვს და ამ ნიჭს განვითარება და ყოველგვარი ხელშეწყობა სჭირდება და რომ დილაობით ძალიან სიამოვნებს ჩემი სმენა...

ჯალათი იყო. ღამე მუშაობდა, დილით მოდიოდა დასაძინებლად. ერთხელ დედაჩემის გადასახლებიდან დაბრუნებული მეგობარი ქალი შეეჯახა კიბეზე და დამუნჯებული ძლივს ამოვიდა ჩვენამდე. მხოლოდ ხელს იშვერდა იქით, ქვემო სართულისკენ... ეგო, ეგო, იმეორებდა, მაგის სახე არ დამავიწყდებაო, როცა მაწამებდნენო, მაგას ფურცლებში ჰქონდა თავი ჩარგული და ხანდახან ამომხედავდა და მკითხავდა: ესე იგი, არ ცნობთ თავს დამნაშავედ? მე სირცხვილისგან ხმას ვეღარ ვიღებდი, თორემ უკვე დამნაშავედაც ვცნობდი თავს და ყველაფერზე ხელის მომწერი ვიყავიო, ოღონდ იმის საქმიანი იერი უფრო მაშინებდა, ვიდრე – ტკივილიო... ჩარგავდა ისევ ფურცლებში თავს და ეგ ნიშანი იყო, რომ უნდა გაეგრძელებინათო... მერეო... დანარჩენი ვეღარ გავიგე და მაშინ წესიერად ვერც მივხვდი, ვისზე ლაპარაკობდნენ, რადგან დედაჩემმა დამავლო ხელი, გვერდზე ოთახში გამათრია და პიანინოსთან დამსვა...

მე პიანინოზე ვუკრავდი, გვერდზე ბინაში დეიდა მარიამი აკაკუნებდა საბეჭდ მანქანას, ვალიკო და რაჟდენი დღედღეზე გერმანელებს ელოდნენ, ის კი ყოველ დილით, ვინ იცის, რისი კეთებით დაღლილი მოდიოდა და ჩემი ფუგების ქვეშ იძინებდა...

ერთხელ მისმა კარის მეზობელმა დაიფიცა, კინოში ვნახე

და შუქი რომ აინთო, რომელიღაც სენტიმენტურ ფილმისგან ცრემლი ადგა თვალზეო. შეიძლება, არ ტყუოდა. მაგაზე წაკითხული მაქვს რაღაც-რაღაცეები და მჯერა, რომ ჯალათებსაც შეიძლება ჰქონდეთ სენტიმენტი, ოღონდ იმდენი წლის მანძილზე, რაც გვერდიგვერდ ვიცხოვრეთ, არათუ მის თვალზე ცრემლი, მის სახეზე მიმიკის ნასახიც არ შემინიშნავს. გამოკვეთილი ყვრიმალები, მელოტი თავი, მუდამ მოწესრიგებული, აივანზე არათუ პერანგის, პიჯაკის გარეშე გამოსული არ მინახავს არასოდეს, გამოცდილი ჩეკისტი – ოცდაოთხ წელს შიდა ქართლის თავად-აზნაურობის გამწყვეტი და ამომგდები, მზვერავი, ჯალათი და ჩვენი მფარველი დემონი. ოღონდ, მე ჯერ ექვსი წლისა ვარ და მაგეების არ ვიცი არაფერი, ქვედა სართულზე ვარ ჩასული მის შვილთან სათამაშოდ. ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. ეგ ერთადერთი შვილი ჰყავდა და რუსი ცოლი მარფა ალექსეევნა, სულ თითის წვერებზე რომ დაუდიოდა სახლში. იმათთან შევედი და ახლაც მახსოვს ის სცენა. მუხლებზე ვუზივარ და ბრემის ცხოველების ენციკლოპედიას მათვალიერებინებს – ლამაზი სურათები იყო შიგნით. და ვეუბნები ამ ჩემი ორი ბედოვლათი აღმზრდელისგან გაგონილს, რომ მალე გერმანელები მოვლენ და გვეშველება, რომ იმათ მსოფლიოში ყველაზე მაგარი გენერლები და თვითმფრინავები ჰყავთ... არც გატოკებულა, არც ძირს ჩამოვუსვივარ, მაგრამ მახსოვს, თითქოს რაღაცა შეიცვალა ოთახში, გარედან შემოსული მზის სხივებიც ისეთივედ დარჩა, ნიავით შერხეული ფარდაც, მაგრამ მახსოვს. შეიძლება, ჩემი გამოგონილია და ის დღეც მხოლოდ იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მაშინ დედაჩემმა პირველად და უკანასკნელად მცემა. განა თვითონ ამოვიდა?! დედაჩემის სიცოცხლეში ერთხელაც არ გადმოუბიჯებია ჩვენი კარის ზღურბლი. თავის კარის მეზობელი სლავისტი ემხვარი გამოაგზავნა, აი ის, კინოში მისი სენტიმენტის მოწმე რომ გახდა და იმის მერე კიდევ უფრო რომ შეშინდა. ემხვარი ჩუმი კაცი იყო, ჩურჩულით ლაპარაკი იცოდა, აბა, რა იქნებოდა, როცა

რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ ჩეკისტს ერთადერთი კედელი ჰყოფდა. დაფეთებული ამოვარდა და დედაჩემს გენერლის დანაბარები გადასცა. თხელიძემ ქართული კარგად იცოდა და, როგორც მერე გავიგე, დაკითხვები ყოველთვის ქართულად მიჰყავდა, სამეზობლოს რუსულად გვეურთიერთებოდა და სლავისტ კაცსაც არ გასჭირვებია მისი დანაბარების ამოტანა: „პუსტ დომა ტაკოე ნე გავარიტო!“ ბავშვი პატარაა, არ იცის, რას ამბობს და სახლიდან ნუ გაიტანს ეგეთ რამესო. გესმით თქვენ?! მეტი არაფერი, არც წყაროს კვლევა დაუწყია, თუმცა მშვენივრად ხვდებოდა ყველაფერს და არც ღამე დაგვცემია ვინმე, არც ჩვენ და არც ჩვენს სამეზობლოს. იცოცხლე, დედაჩემმა ჩემს განმანათლებლებს დღე აყარა, მე ხომ დიდხანს მცემდა და ყურებს მაგლეჯდა: ჩემი ხელით მოგკლავ, ეგენი რომ კიდევ სადმე ილაპარაკოო... ის აღარ ახსოვდა, გოეთეს და შილერს რომ რუდუნებით აცლიდა მტვერს და გერმანელები მალე აქ იქნებიანო, იავნანასავით რომ უღიღინებდა...

მაგრამ გერმანელები აღარ გამოჩნდნენ და ვალიკო ღლონტი და რაჟდენ საყვარელიძეც უკვე სულ ტყუილად ითხრიდნენ თვალებს მოწმენდილ ცაში ამილახვრისეული ლორნეტით ყურებით, მაგრამ დიდად არ მოუწყენიათ – ახალი გასართობი გამოუჩნდათ. ლენინის ქუჩაზე ჩავყავდით და ირანიდან აზერბაიჯანის და ჩვენი გავლით ფრონტისკენ რახრახით მიმავალ მოკავშირეთა გამოგზავნილ დახმარებას მაჩვენებდნენ. ლენდ ლიზის ამერიკული დახმარებით დატვირთული უცხო იერის დიდი და პატარა მანქანები კარგი საყურებელი იყო და მხოლოდ ჩემთვის არა. და ამათ ისევ ყველას სახელი იცოდნენ, რომ აი, ეს ვილისია, ეს დოჯი, ეს დიდი არის სტუდებეკერი, ეს კიდევ ფორდია და ნელ-ნელა ცხადი გახდა, რომ მანშტაინმაც ვერაფერი გააწყო და პაულიუსი მთლად ტყვედ ჩავარდა და, გინდა, არ გინდა, გამარჯვება გორელი კინტოსკენ იხრება. და მაშინ ვალიკო ღლონტმა საზეიმოდ გამოაცხადა:

– და მაინც, ის ქართველია!

ომი დამთავრდა. დაბრუნდა ქვეყანა ხალხი. ბაბუათქვენი

სიმონიკა დაბრუნდა ორდენებით დამშვენებული: ყოჩაღი ოფიცერი, ლამაზი კაცი, მამაცობისთვის დაჯილდოებული და, იცით, იმასაც კი ეშინოდა ჩვენი მეზობლის. ჩვენთან მოსული ყოველთვის დაბალ ხმაზე იკითხავდა: ის რას შვრებაო? და ქვედა სართულისკენ გაიქნევდა თავს. ამას რომ ვამბობ, ბიძაჩემს არ ვაკნინებ – უნდა გშინებოდა, თუ ტვინი გქონდა თავში. ამას მერე და მერე მივხვდი, ბოლოს კი მთლად შუბლით შეეჯახე...

მე მგონი, მეზობლებში ერთადერთი ვიყავი, ვისაც გამოელაპარაკებოდა ხოლმე. მუსიკას რომ თავი დავანებე, გამაჩერა და მისაყვედურა: არ უნდა გექნა, ნიჭი გაქვს და ნიჭს კიდევ განვითარება და მოვლა სჭირდებაო. მოსწონდა, წიგნებით რომ მხედავდა, ერთი წიგნი თვითონაც ჰქონდა ამოჩემებული და ის მათხოვა – პლუტარქეს „შედარებითი ბიოგრაფიები". რომ წავიკითხე და დავუბრუნე, მკითხა: რას ფიქრობ? დიდად არ ვფიქრობდი არაფერს, რომაელი და ბერძენი მხედართმთავრების, ტირანების ბიოგრაფიები იყო, საინტერესო. ზოგი მომწონდა, ზოგი – ნაკლებად. რაღაცა მოვროშე, თქვენ რას ფიქრობთ-მეთქი? ადამიანი ყველა დროში ერთნაირი იყოო, თქვა და ხელი ჩაიქნია, თითქოს ადამიანზე – კაცობრიობაზე ჩაიქნია ხელი. იმიტომ მოსწონდა პლუტარქე, რომ ეს დასკვნა გააკეთა.

იმისი შვილი ჩემზე რამდენიმე წლით ადრე გახდა სტუდენტი და რუსეთში წავიდა სასწავლებლად. ერთხელ კიბეზე გამაჩერა და მთხოვა: იქნება აკაკი წერეთელის რამე წიგნი გქონდეს, მინდა ნიკოლოზს გავუგზავნო მოსკოვში – სულ რომ არ გარუსდესო. ესეც რუსულად მთხოვა. წიგნი ვუშოვე, მივეცი და, ვიცი, გაუგზავნა. ოღონდ ვერაფერი ვერ გავიგე, ვერც მაშინ და ახლაც არ მაქვს პასუხი, ან მისთვის რას ნიშნავდა ქართველობა? ან რატომ აკაკი წერეთელი? არ ვიცი. ბევრი რამე არ ვიცი ამ ამბავში...

მერე სტალინი მოკვდა და კარგად მახსოვს, ჩვენს აივანზე სლავისტ ემხვარს რომელიღაც საკავშირო გაზეთი აქვს ამო-

ტანილი და ვახვევივართ ზედ – ჩვენი სამეული, ამილახვრის ქვრივი, დედაჩემიც აივანზეა გამოსული. გაზეთის განშლა სულ სტალინის ფოტოებით არის აჭრელებული და მიდის დიდი ბჭობა და ხალხი, ვისაც ქმრები, ძმები და ნათესავები ყავთ დახვრეტილი, ვინც თორმეტი წლის წინ გუდერიანს და მანშტაიმს ელოდა, მთელი სერიოზულობით დავობს იმაზე, თუ რომელ სურათზე უფრო კარგად გამოიყურება ბელადი? უფრო მეტიც, სად უფრო ლამაზია: იალტის კონფერენციაზე ჩერჩილთან და რუზველტთან ერთად, წითელ მოედანზე გამარჯვების აღლუმს რომ იბარებს, ქარხანაში სტახანოველებთან ერთად თუ აეროდრომზე მფრინავ ჩკალოვს ჩახუტებული? და ბოლოს ვალიკო ღლონტმა თითი ატაკა უკანასკნელ ფოტოს – ყვავილებით შემოჯარულ, სიცოცხლეშიც დიდად მიმიკების არმოყვარულ და ახლა უკვე სამუდამოდ გაყინულ სახეს და საზეიმოდ გამოაცხადა:

– კუბოში!

დედაჩემი რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა. მაშინ უკვე აღარც რაჟდენი იყო და აღარც დეიდა მარიამის საბეჭდი მანქანის რაკარუკი ისმოდა ჩვენს აივანზე. ვალიკო ღლონტი ჯერ კიდევ ჩვენს სახლში ცხოვრობდა, კიდევ დიდხანს იცოცხლა, ჯერ ახალ ბინაში გადავიდა, ერთ კვირაში ის ბინა პოკერში წააგო და სიკვდილამდე თავის დასთან და სიძესთან იყო შეკედლებული. თხელიძეც ცოცხალი იყო, თუმცა საქმეებს ჩამოშორებული, სტალინის შემდგომი რეპრესიები ასცდა და საკავშირო პენსიონერიც იყო. კიბეზე რომ შემხვდებოდა, შვილის ამბავს ვკითხავდი ხოლმე და ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: სულ გადაჯიშდა, ნამდვილი რუსიაო, ამასაც უემოციოდ, ყოველგვარი გარეგნული სინანულის გარეშე ამბობდა და ხელსაც ისე ჩაიქნევდა, როგორც პლუტარქეს შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი – ადამიანი მუდამ ერთნაირი იყოო, როცა ამბობდა.

მე უკვე ჩემი წრე მყავდა. ჩემი ტოლი ძმაკაცები. ეს ის პერიოდია, როცა გადარჩენილმა პატიმრებმა დაიწყეს სახლში

დაბრუნება. ჩემს მეგობარს ნოდარ ცქიტიშვილს თითქმის ოცი წლის უნახავი მამა დაადგა დილით მძინარეს, ლოგინზე ჩამოუჯდა და ყურში ის ჩასჩურჩულა, სულ პატარას რომ ეუბნებოდა: ნოდარიკო, რა მოგსვლია, ცხვირზე კუტუ ამოგსვლია... ნოდარი ყვებოდა, თვალები გავაღე და მაშინვე დავხუჭე. ახალგაზრდა მახსოვდა და მოხუცი კაცი მეჯდა თავთანო...

დედაჩემის სიცოცხლეში თხელიძე ჩვენს სახლში არ შემოსულა. პანაშვიდებზე ამოდიოდა და კარის ზღურბლთან დგებოდა. ერთი საათი მაინც იდგა კუშტი, შეუვალი, რომაული ქანდაკების მსგავსი, მერე უხმოდ ტრიალდებოდა და დაბლა ჩადიოდა...

ქელეხზე მე თვითონ დავუძახე. არც იყო ქელეხი. ჩემთანვე გავშალეთ პატარა სუფრა. ოცი კაცი თუ იქნებოდა, რამდენიმე ნათესავი, ვალიკო ღლონტი, უკვე ძალიან დაფეხვილი ემხვარი, ჩემი ბიჭები... ჩემი ფეხით ჩავედი და ამოვიყვანე, თორემ არც გაახსენდებოდა არავის. ამოვიყვანე და გვერდითაც მოვისვი. სიმონიკა იყო თამადა. იცით, როგორი სიტუაცია იყო? ძნელია ამისი ახსნა... დედა დავასაფლავე – ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი. დავრჩი სულ მარტოდ და მაინც რაღაც იმედიანი განწყობაა. სიმონიკა თამადობს და ხომ უნდა ახსენოს ოჯახიდან წასული სხვა ადამიანებიც, პირველ რიგში – მამაჩემი, და თითქმის ყველა რეპრესირებულია, მაგრამ უკვე ყველა რეაბილიტირებულიც არის. თამადობს, აცვია თავისი ცნობილი გალიფე შარვალი და აზიაცკები, უკიდია ის „ზა ატვაგუ“ ორდენი და თავიდან, ეტყობა, რომ უჭირს ძალიან, მაგრამ თამამდება ნელ-ნელა, ხანდახან კი გამოაპარებს თხელიძისკენ თვალს, მაგრამ ერთხელ რომ გადალახა რაღაცა, აღარ ჩერდება უკვე... მე და ჩემი ბიჭები კიდევ ახალგაზრდები ვართ, კარგები ვართ და გარეთაც გაზაფხულია, ფანჯრებია ღია. ბიძაჩემი კიდევ გმირობას გმირობაზე ჩადის, უკვე ქუხს იმისი ხმა და, მგონი, ბედნიერიც არის, რომ ამდენი წლის უთქმელობას დააღწია თავი. უკვე უსამართლობასაც ახსენებს, უსამართლოდ დასჯილებს და ჩემ გვერდით მჯ-

დომი თხელიძე ერთს არ გახედავს თამადას, გაყინული სახით აიღებს ჭიქას, დაადებს ტუჩს, დადგამს. ზის და, როგორც ყოველთვის, არაფერი აწერია სახეზე, რაც მთავარია, იმ მისთვის საჭირო ერთადერთი წიგნიდან აქვს დასტური, რომ ადამიანი ყოველთვის ერთნაირი იყო და რომ სულ ასე იქნება...

და ყველაზე მთავარი ის არის, რომ იმ დღეს მარტო სიმონიკა კი არა, ჩემი სხვა ნათესავებიც – მამის მხრიდან ნათესავები, მამაზე რომ არასოდეს კრინტი არ დაუძრავთ, თითქოს არც არსებობდა ეგეთი ადამიანი, ახლა ჩემი თანდასწრებით იხსენებენ, მის ამბებს ყვებიან, ჩვეულებრივ ადამიანურ ამბებს და მერე რა, რომ უკვე აღარ ჩანს სასაცილოდ ის ხუმრობები, რაზეც ახალგაზრდობაში მამაჩემი და იმის მეგობრები იცინოდნენ, მთავარია, რომ უცებ ზვავივით მატყდება თავზე უამრავი ამბავი მამაჩემის შესახებ და უკვე მხოლოდ გოლოვინზე გაკეთებული სამი გასროლის ანაბარა აღარ ვარ და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დედა წავიდა და მამა დაბრუნდა სახლში. მამა ვიპოვე...

სიმონიკა უკვე მეორედ ამბობს მამაჩემის სადღეგრძელოს უკვე მუშტმოღერებული და თვალცრემლიანი. ისტორია ყველას გაასამართლებსო! – იძახის და თხელიძისკენ უკვე თამამად იყურება...

და ამ დროს ეს კაცი – პლუტარქეს მოყვარული შეუვალი ნიღაბი ჩემკენ იხრება და მხოლოდ ჩემს გასაგონად მეუბნება ერთადერთ ფრაზას – როგორც ყოველთვის რუსულად, თუმცა, ვიცი, რომ საწამებელი ენა ქართული ჰქონდა:

– Я знал вашего отца до самого конца, – პაუზა და ჩემთან სულ ახლოს მოტანილი მისი სახე, რომელიც მაკვირდება, კარგად გავიგე თუ არა, რასაც მეუბნება – Вы можете им гордиться...

და მანდ დასრულდა ყველაფერი და ჯერ ბიძაჩემი სიმონიკა შემეცოდა იმიტომ, რომ მას არაფერი გაუგია და ჰგონია, რომ მართლა რაღაცა დამთავრდა და ახალი, კარგი, იმედიანი დაიწყო. იმისი ცრემლები და აღტკინება დამენანა და იმის პატარა

გმირობა – საკუთარ თავზე გამარჯვება, მაგრამ ბედნიერიც იყო – ჩემზე ბედნიერი. და საერთოდაც ყველა – სიმონიკაც, ჩემი ბიჭებიც, ვალიკო ღლონტიც... ყველა და ყველაფერი სადღაც მიღმა დარჩა და ვიყავით მხოლოდ მე და მამაჩემის ჯალათი ერთ სუფრაზე გვერდიგვერდ მჯდომები... ჩემთვის ეს მეტი იყო, ვიდრე ჩემი ტრაგედია, ვიდრე ჩემი უსუსურობა, ამას სახელსაც ვერ დავარქმევ. ვერც ის გამიგია, მისი მხრიდან ამის თქმა რა იყო – ცინიზმი თუ მონანიება, ალბათ ორივე ერთად, მონანიება, რომელმაც მე დამასამარა... არ ვიცი, ის ერთი წინადადება რომ არა, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ სხვანაირი იქნებოდა, სულ სხვანაირი... გროტესკიც იყო ამ ყველაფერში. საერთოდ, ბევრი მიფიქრია ამაზე და ძალიან ვშიშობ, რომ ეს მარტო ჩემი ისტორია არ არის. არც საკაცობრიო ამბავი მგონია, მაგრამ ქართული ამბავი მაინც არის, შეიძლება გაუცნობიერებელი, მაგრამ – ქართული. იცით, ელენე, ჩვენ სამშობლოდ გროტესკული ტრაგედიების ქვეყანა გვერგო, სადაც კაცი ორ ადამიანს კლავს, თავსაც იკლავს და სამივე ცოცხალი რჩება, ეს სცენა კი მისი შვილისთვის ყველაზე სათაყვანებელი რამ არის. სადაც მოძალადე და მსხვერპლი ერთ სუფრაზე გვერდი-გვერდ სხედან და სადღეგრძელოები კი გრძელდება, ბოლო არ უჩანს... და ეს გროტესკი ჩვენ ძალიან გვშველის, ხშირად უბრალოდ ხსნაა ჩვენი, მაგრამ ხანდახან ის თავად ტრაგედიაზე აუტანელი ხდება...

და ამ დროს ისევ გაიღო კარი და ბიძაჩემმა სამზარეულოში გაშლილ პატარა სუფრაზე დაგვიძახა, დაღლილები და მოშიებულები ხართ თქვენცა და ჩვენცო. ძია გოგი არ დარჩა, ხვალ ყველას მძიმე დღე გვაქვსო, – თქვა. ვიღაცამ ტაქსის გამოვიძახებო, ვიღაცამ მე წავიყვანო... მე თვითონ წავიყვანე ჩემი მანქანით – ვერავის დავანებებდი.

ხვნეშით, ბებრულად მოეწყო ჩემ გვერდითა სავარძელზე. ხელჯოხიც როგორღაც შემოიტანა მანქანაში. დახმარებას მე ვერ გავუბედავდი, ვერც ჩაჯდომის და ვერც გადასვლის დროს. დახმარება ყოველთვის მისი საქმე იყო.

– ეგრე, ელენე, ეგრე ვიცხოვრე ქურდულად და პარვით, – უკვე სხვა ტონით თქვა, თითქოს მხიარულად და თვალი ჩამიკრა.

გამეცინა:

– თქვენ რაღას იპარავდით, ძია გოგი?

– დროს, ელენე, დროს. ყველაზე მთავარი – მთელი სიცოცხლე მოვპარე საკუთარ თავს.

მის სახლამდე ხმა აღარ ამოგვიღია. ქუჩები ცარიელი იყო და რაღაცნაირად მსუბუქად მიმყავდა.

ხვალ ყველას მძიმე დღე გვაქვსო, – კიდევ ერთხელ ჩაიდუდღუნა, სადარბაზოსთან რომ გავუჩერე, მერე რბილად მომიჭირა ხელზე ხელი და კარი გააღო. სანამ გადავიდოდა, კიდევ ერთხელ მომიტრიალდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო:

– ელენე, იცით, ხევსურებს სჯერათ, რომ საიქიოში მოხვედრილ მიცვალებულის სულს პირველი დედის ძმა ეგებება და ის მასპინძლობს... მე ძალიან მომწონს ეგ ხევსურული ვარიანტი – მაწყობს...

მანამდე არ დამიძრავს მანქანა, სანამ ჯოხის კაკუნით ტროტუარი არ გადაჭრა და სადარბაზოს ძველი ხის კარი არ შეაღო. სიგარეტს მოვუკიდე და ცარიელ ქუჩაზე დაბლა დავეშვი. წარმოვიდგინე, როგორ სვენებ-სვენებით აივლიდა სამ სართულს, კარს გასაღებს მოარგებდა, გაივლიდა ჩაბნელებულ და ჩაჩუმებულ საერთო აივანს, საკუთარი ცარიელი ბინის მუდამ ღია კარს ჰკრავდა ხელს და ოთახში შუქს აანთებდა...

სტოპ! ჩემი მანქანა შუა ქუჩაში გაჩერდა.

ბევრი წლის წინ, „ზაუერის" გასროლიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც სახლიდან გასვლა დავიწყე, რაღაც წიგნის სათხოვნელად მივაკითხე. დაბლა გოგოები მელოდებოდნენ. მის სახლში შესულმა დავინახე ის, რაც მანამდე არასოდეს შემემჩნია. ბიბლიოთეკად გადაქცეულ მისაღებ ოთახში წიგნის თაროებისგან შექმნილი დერეფანი შეუქცევლად, სრულიად საბედისწეროდ მიემართებოდა კედელში დატანებული უზარმაზარი ფანჯრისკენ, თითქოს ერთადერთი გამოსავალი

დერეფნის ბოლომდე გავლა და ფანჯრიდან გადახტომა იყო. მონუსხულივით მივაჩერდი გასავლელს, ჩემს მზერას თვალი გააყოლა და მაშინ მითხრა:

– მეც ხშირად მიფიქრია...

თქვენობითაც მას მერე მომმართავს...

და აქ შემეძლო შავი ფარდა ჩამომეშვა და თხრობა დამემთავრებინა, მაგრამ ერთი რამ კიდევ მაქვს სათქმელი.

გოგლა მართლა გამოუშვეს – გარიგება შედგა. ერთი კვირა გრძელდებოდა ჩვენს სახლში ქეიფი. მამაო მოვიდა. სახლი აკურთხა. გოგლას თავისი საყვარელი ვესტერნების ყურება არ მოუშლია და, ესე იგი, მთლად ცუდად არ არის მისი საქმე.

სამი თვის შემდეგ კი, სანამ ვინმეს რამეს ვეტყოდი, სანამ გოგლას გავაღვიძებდი და ვეტყოდი, ავდექი და „მიყვარხარ, მენატრებიში!" კიდევ ერთი წერილი გავაგზავნე. ფაქტიურად არსაით გავგზავნე მესიჯი, რადგან ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩემს ქმარს იმ ჟურნალის დანახვაზე ელეთმელეთი მოსდის. მე კი ის ნომერი ზეპირად მახსოვს. ავდექი და ავკრიფე, ამჯერად სტილის აბსოლუტური დაცვით:

გოგლა, ჩემო სიხარულო, მე ორსულად ვარ. ეტყობა ასეთი იყო ღმერთის ნება. ეხლა მჭირდება შენი მოფერება და მოფრთხილება. ყველაფერი კარგად იქნება.

Send

ფანჯარაში გავიხედე. გარეთ, ქუჩაში, და მთელ სამყაროში არაფერი მომეჩვენა შეცვლილი.

მართალი იყო ძია გოგი. გროტესკი გვშველის.

„ლიტერატურული პალიტრა", 2012